სენსეი

II

ანასტასია ნოვიხ

სენსეი
II

სიმართლეს ვერ დაემალები, სიბრძნეს ვერაფერს გამოაპარებ. არაფერია დედამიწაზე იდუმალი, ოდესმე რომ არ გამჟღავნდეს. ადამიანის სიცოცხლე და სიკვდილი – ერთიანი პროცესის ნაკადია. წარსულში გარკვევა ნიშნავს აწმყოს საშიშროებების დაძლევის სწავლას. ხოლო იქიდან გამოცურვა კი შესაძლებელია, მხოლოდ ადამიანად გახდომის შემდეგ.

წიგნი შედგენილია ჩანაწერების საფუძველზე ყოფილი მეათეკლასელი გოგონას პირადი დღიურებიდან, რომლებიც მოგვითხრობენ 1991 წლის ზაფხულის მოვლენების შესახებ.

წიგნი მოგვითხრობს აღმოსავლური ორთაბრძოლების ხელოვნებებით, შემეცნების წყურვილითა და შინაგანი ძიებით გატაცებული ახალგაზრდა კომპანიის უჩვეულო თავგადასავლების შესახებ. ქრება უბრალო ცხოვრებისეული ფაციფუცი, როცა გვერდით იმყოფება ისეთი უნიკალური ცოდნისა და იუმორის დაუოკებელი გრძნობის მქონე პიროვნება, როგორიცაა სენსეი. ზღვაზე ჩვეულებრივი დასვენების დღე იქცევა შემთხვევებით დახუნძლულ მოვლენად. სენსეის ამაღელვებელი მსოფლმხედველობა, ფენომენალური შესაძლებლობების უჩვეულო დემონსტრაციები. ძველთაძველი ბრძნული იგავი ბოდხისატვის შესახებ, რომელშიც საუბარია ადამინის სულის შინაგანი ძიების სიღრმისეული არსის შესახებ. ასევე, გასაოცარი მოთხრობა ცნობილი კიევის რუსეთის წმინდანის, უანგარო მკურნალის – აღაპიტ პეჩორელის შესახებ, რომლის სასწაულმოქმედი ნაწილები დღემდე ინახება კიევის პეჩორის ლავრის ახლო გამოქვაბულში. ამას და ბევრ სხვას აღმოაჩენს თავისთვის ამ უნიკალური, ცოცხალი წიგნის მკითხველი.

პროლოგი

– მაგრამ, ყველაფერი ასე ცუდად ხომ არ არის. მით უფრო, თუ გადაწყვიტე დარჩენა, მიეცი მათ კიდევ ერთი შანსი და ნება მომეცი...

ამ დროს, გაუგებარია საიდან, ზღვას გადაუქროლა მსუბუქმა ქარმა და გამოაცოცხლა მთვარის ბილიკი. ამ უკანასკნელმა მომაჯადოებლად გაიბრჭყვიალა თავისი ვერცხლისფერი თამაშით და იტაცებდა იდუმალ შორეთში. ბუნება, თითქოს სპეციალურად ახელებდა არსებას, ერთი მხრივ გარშემოეკვრებოდა მას თავისი მარადისობით, ხოლო მეორე ხმრივ – დედამიწის ბუნებრივი სიმშვენიერით. როგორც ჩანს, ამ თავმოუხვეველ აღტყინებაში იმალებოდა რაღაც იდუმალი, მხოლოდ მისთვის ცნობილი საიდუმლოება.

– თუ ასე გსურს, გასინჯე გეთაყვა. სანამ აქ ვართ, დრო კიდევ გვაქვს...მაგრამ ყანა უკვე დიდი ხანია მომწიფდა. და შეუჩერებლად გამრავლებული სარეველას ჯგრო უკვე მეტისმეტად ამძიმებს დედამიწას...სუსტი აღმოჩნდა ნათესი, მიუხედავად იმისა, რომ მათ უვლიდნენ: ილუზიის წამებმა დაუბნელა მათ მარადისობის რეალობა.

– და მაინც, ვიმედოვნებ, ვიპოვო...

ქარის მორიგმა შემობერვამ წაიღო სიტყვები თავის უკიდეგანო სივრცეში. არსების ორი ნაწილი ისევ გაერთიანდა თავის არსობაში. გამეფდა მცირე სიჩუმე. და მხოლოდ კოცონი ჩუმად ტკაცუნობდა დამწვარი ტოტებით. ჩადებული, კოხტა წნელები სწრაფად გარდაიქმნებოდა დანახშირებულ, უფორმო ნაცრის გროვად. საოცარია, გავიდა მხოლოდ წამი და თითქოს არასოდეს ყოფილა ეს საოცარი მატერია, თითქოს სულაც არ არსებობდა იგი.

ქვიშაზე დავარდნილი ქვა – ქვიშის მარცვალთა შრიალი,
ტალღის ზვირთცემა – ქვიშის მარცვალთა შრიალი,
შენი გამალებული სირბილი,
ტერფი ქვიშაზე – ქვიშის მარცვალთა შრიალი,
სიცოცხლე – ეს მხოლოდ ნაბიჯია,
ხოლო წლები მასში – ქვიშის მარცვალთა შრიალი.

რიგდენ ჯაპო

1

ყველა ბიჭი გაიქცა საბანაოდ. როგორც იქნა დადგა მომენტი, როცა სენსეი მარტო დარჩა. ის იდგა წყალმარჩხობაში და თანდათან ეგუებოდა ზღვის ცივ წყალს. მისი სიმარტოვით ვისარგებლე და დავუწყე მას წინა ღამის, ჩემი საოცარი სიზმრის მოყოლა წითელი მხედრის შესახებ. ამ უჩვეულო მოჩვენებამ გამაოცა თავისი განუმეორებელი რეალისტურობით, სიკაშკაშითა და ემოციურობით. ამის შესახებ სენსეისთვის თხრობის დროს, დავიჩივლე იმაზე, რომ არაფრით შემიძლია მისი არსის გახსენება, მახსოვდა მხოლოდ ის, რომ ეს მეტად მნიშვნელოვანი იყო ჩემთვის. აღნიშნული სიზმრის სრული ფიზიოლოგიური და ფილოსოფიური თვალთახედვით გაშიფვრის ჩემი მოლოდინების საპირისპიროდ სენსეიმ მხოლოდ გაიღიმა, რაღაც იდუმალებით გამომხედა და წარმოთქვა:

– დადგება დრო და ყველაფერს მიხვდები.

ამ სიტყვებმა უკიდურესად დააინტრიგა ჩემი პიროვნება, მაგრამ სენსეის არაფერი დაუმატებია მათთვის. დამტოვა რა სრულ გონებადაბნეულობაში, ის შემოუერთდა ჩვენი ბიჭების კომპანიას, რომლებიც მთელი გაქანებით ნავარდობდნენ და ცდილობდნენ თავიანთი ბუმბერაზი სხეულებით მოვარდნილი ტალღების შეკავებას. „გასაოცარი სიზმარი. გასაოცარი პასუხი. რას უნდა ნიშნავდეს ნეტავი ეს ყოველივე?“ – კვლავ ჩავფიქრდი.

სენსეისთვის გვერდიდან თვალის დევნებით, ვერ შემიწყვეტია გაკვირვება, თუ რამდენად ბუნებრივად ეჭირა თავი მას რეალობის, თითქოსდა სრულიად განსხვავებულ სფეროებში. ბიჭების კომპანიაში იგი პრაქტიკულად არაფრით გამოირჩეოდა, განა მხოლოდ უდიდესი ამტანიანობითა და იუმორის შესანიშნავი გრძნობით. მაგრამ, საკმარისი იყო, ხატოვნად რომ ვთქვათ, მისი სულიერი ცხოვრების სიმებისთვის შეხება, რომ მათგან მოდიოდა თავისი არაჩვეულებრივი სიდიადით, დახვეწილობით, სიმარტივითა და იმავდროულად განუმეორებელი სიბრძნით მომხიბვლელი უმშვენიერესი მელოდია, რომელიც პირდაპირ გიზიდავდათ მასთან...

საოცრად იდუმალი ადამიანია. წარსულის ანალიზებისას წავაწყდი საინტერესო დაკვირვებას: ყველაფერი ან ყველა, ვისთანაც ან რასთანაც სენსეის ჰქონდა შეხება, იწყებდა თანდათანობით შეცვლას. ჩემთვის მიუწვდომელი რჩებოდა, როგორ ახერხებდა იგი ამას. მაგალითისათვის მოვიყვანოთ, თუნდაც ჩემი ბედი. ჯერ კიდევ ნახევარი წლის წინ, ჩვიდმეტწლიანი ასაკის მიუხედავად, ჩემი სხეული ხომ დაღუპვისაგან ბეწვზე ეკიდა. იმ ძნელბედობის ჟამს, როცა გარშემო ტრიალებდა პრაქტიკულად სრული სასოწარკვეთილება და ახლო ნათესავების თვალები აღვსებული იყო მწუხარებითა და თანაგრძნობით, სწორედ ამ „უკანასკნელ მომენტში“ შევხვდი აღმოსავლური ორთაბრძოლების ოსტატს – სენსეის, რომლის შემეცნება და შესაძლებლობები აშკარად სცილდებოდა ყოველდღიური უფერულობის საზღვრებს. სენსეიმ პირდაპირ შეცვალა არა მხოლოდ ჩემი ბედი, არამედ მთელი სამყარო ჩევს წარმოსახვაში. ახლა მე ზუსტად დარწმუნებული ვარ, რომ ეს შეხვედრა სულაც არ ყოფილა ბედნიერი შემთხვევითობა, როგორც ადრე მივიჩნევდი. ყველა „უეცარი შემთხვევითობის“ შეჯამებით, რომელთაც გარდაუვლად გამოიწვიეს ჩემს ცხოვრებაში ცვლილებები, დავრწმუნდი, რომ მოცემული შეხვედრა უფრო კანონზომიერებაა, ზემოდან ვიღაცის ნების გამოვლინებაა. და ვინაიდან, სენსეის წყალობით დავრჩი ცოცხალი, ე.ი. ეს ვიღაცას სჭირდებოდა.

მაგრამ, რატომ და რისთვის? რა ძალმიძს ისეთი, რის გამოც დამტოვეს ცოცხალი? ძნელია ვარაუდი იმის შესახებ, რასაც ვერ ჩაწვდები. ამასთან, როგორ უნდა ჩაწვდე ბოლომდე უმაღლესი ძალების ჩანაფიქრს? შემთხვევითი შეხვედრა, სიტყვა, უსიტყვო მოქმედებაც კი შეიძლება გახდეს მოვლენათა ისეთი ჯაჭვის წარმოქმნის მიზეზი, რომელიც უხილავად გამოიწვევს რაღაც გლობალურ ცვლილებებს, იქნება ეს ცალკეულ ინდივიდებში, თუ საზოგადოების მაშტაბებში ზოგადად. მაგრამ ამ თავდაპირველი ბიძგის განმახორციელები ჩვეულებრივი ადამიანი, ალბათ, დარჩება თავისი ქმედების საერთო შედეგის შეუცნობელი, ვინაიდან ცხოვრობს აზრების შეზღუდულ სამყაროში და მხოლოდ და მხოლოდ „თავისი რეალობის“ გარემოცვაში. ყველაზე საოცარი ისაა, რომ თითოეულ ადამიანს ყოველდღიურად, ამაზე ეჭვმიტანის გარეშე, საკუთარი არჩევანის ძალით შეაქვს თავისი მოკრძალებული წვლილი ამ სამომავლო მოვლენების ზვავის ზრდად თოვლის ბურთში.

ინტუიტიურად ვგრძნობდი, რომ ჩემი ბედის ჭეშმარიტი არსის ამოხსნა იმალებოდა იდუმალ სიზმარში და როგორც ცნობისმოყვარე ადამიანს, მინდოდა ყველაფრის ერთიანად გაგება და სასურველია, რაც შეიძლებოდა დაწვრილებით. მაგრამ საიდუმლოება საიდუმლოებად რჩებოდა

2

მადიანი საუზმის შემდეგ ჩვენი დიდი კომბანია განცხრომაში წამოწვა ქვიშაზე და მიეფიცხა თავისი სხეულებით დილის ალერსიან მზის სხივებს. ჩვენი კომპანია – ეს არის აღმოსავლური ორთაბრძოლების (და არა მხოლოდ) ერთიანი ლტოლვით და ასევე, ჩვენი მწვრთნელის, იგორ მიხაილოვიჩისადმი, რომელსაც ჩვენ მეგობრულად სენსეის ვუწოდებდით, განსაკუთრებული და გულწრფელი პატივისცემით გაერთიანებული სხვადასხვაასაკოვანი ენთუზიასტების ჯგუფი.

სენსეი სინამდვილეში არაორდინალური პიროვნებაა, თუმცა გარეგნულად არაფრით გამოირჩეოდა კომპანიიდან. ახალგაზრდა, ქერათმიანი, სპორტული აღნაგობის მამაკაცი. რა თქმა უნდა, არაჩვეულებრივად განმჭვრეტი და ჭკვიანი თვალები შეეძლო შეემჩნია გარეშე დამკვირვებელს. ისე კი...ასაკითა და სოლიდურობით უფრო გამოიყოფოდა ჩვენი ორმოცი წლის ფსიქოთერაპევტი, ნიკოლაი ანდრეევიჩი. სერიოზულობით კი ვალოდია – სენსეის ძველი მეგობარი, რომელიც ხელმძღვანელობდა რომელიღაც სპეციალური დანიშნულების განყოფილებას, როგორც ხალხში ამბობენ – სპეცრაზმს. მბრძანებლური ხმით – ვიქტორი, ჩვენი სემპაი, მილიციაში მომუშავე ახალგაზრდა ბიჭი. სიფიცხით, გაქილიკების უნარითა და უშრეტი იუმორით – ჟენია და მისი მეგობარი სტასი, მაღალი ათლეტური აღნაგობის ბიჭები უფროსი ჯგუფიდან. სიყმაწვილით კი – რუსლანი და იურა, ასევე, ჩვენი მხიარული კომპანია, რომელიც ოდესღაც აღმოსავლური ორთაბრძოლების შესახებ ვიდეოფილმების ყურების შემდეგ გაემართა კარგი მასწავლებლის საძებნელად და მიაგნო ცოდნის ასეთ საგანძურს, როგორიც იყო სენსეი და გონებაშიც ვერ წარმოიდგენდა, რომ ასეთი უნიკალური პიროვნებები არსებობენ ამ ქვეყანაზე. ჩვენი მხიარული კომპანია ეს არის ანდრეი, კოსტია, სლავიკი, ტატიანა და მე. ამ წელს ჩვენთვის უკვე დაირეკა სკოლის ბოლო ზარი და ჩაიარა გამოსაშვები გამოცდების ცხელმა პერიოდმა. უკან დარჩა სკოლის წლები, წინ კი მთელი ცხოვრებაა თავისი სიმწრითა და სიხარულით, მარცხითა და გამარჯვებებით, დაცემებითა და აღმაფრენებით. ჩვენ სწორედ ვიმყოფებოდით იმ განუსაზღვრელ „შუაგულში“, რომელიც გვეჩვენობოდა სულის მოსათქმელად ყველაზე საუკეთესო დროდ.

მიდიოდა ზღვის სანაპიროზე სენსეისთან ერთად დაუვიწყარი დასვენების მხოლოდ მესამე დღე. მაგრამ, რა დღეები! ეს იყო სწორედ ის ოქროს ხანა, როცა საშუალება გაქვს შენი საუკეთესო მეგობრების კომპანიაში არა მხოლოდ დაისვენო, არამედ აღივსო გასაოცარი შთაბეჭდილებებით და რაც ყველაზე მთავარია, სიბრძნით სენსეისთან ესოდენ გულითადი ურთიერთობის შედეგად.

სლავიკი და იურა ვალოდიას ხელმძღვანელობით ჯარის წესრიგის დაცვით გაემართნენ სანაპიროზე ქვიშით ჭურჭლის გასაწმენდად, ვინაიდან დღეს დილით დადგა მთი ჯერი. ამასთან, ახალგაზრდა ბიჭებისაგან არანაირ წინააღმდეგობას ადგილი არ ჰქონია. მათთვის საკმარისი იყო ერთი მსუბუქი შეხსენება ვალოდიას მბრძანებლურად–ბოხი ხმით, რათა ენთუზიაზმით მოეხიკათ მთელი ქვაბები და საქმეს შედგომოდნენ. ამ კომიკურმა სიტუაციამ გამოიწვია ხუმრობების მთელი კორიანტელი ვალოდიას მისამართით. მაგრამ მან, შეცბუნების გარეშე, სამხედროსავით თქვა:

– წესი წესია.

ნიკოლაი ანდრეევიჩის ხელებში ისევ გაჩნდა წიგნი, რომელსაც იგი უკვე მესამე დღეა ხელიდან არ უშვებდა და დროდადრო კითხულობდა. სენსეისთან საუბარში მის მიერ წამოყენებული შეკითხვების მიხედვით, წიგნი რაღაცნაირად იყო დაკავშირებული მის ფსიქოთერაპევტულ საქმიანობასთან. იგი მსჯელობდა იმის შესახებ, რომ ფსიქოლოგია, სამწუხაროდ, ჯერ კიდევ ახალგაზრდა მეცნიერებაა და რომ კარგი ფსიქოლოგი დღეისათვის უნდა იყოს იმავდროულად კარგი ფილოსოფოსიც, ვინაიდან ფსიქოლოგიური მეცნიერების განვითარების თავდაპირვანდელ წყაროებთან სწორედ ფილოსოფოსები იდგნენ.

– აიღეთ, თუნდაც ფსიქოლოგიის ფუძემდებლებიდან ერთერთი პირველთაგანი – სოკრატე. მოუსმინეთ, რა შესანიშნავი სიტყვები დაწერა მან. – ნიკოლაი ანდრეევიჩმა გახსნა ჩანიშნული გვერდი და ხმამაღლა წაიკითხა. – „როგორაც, შეუძლებელია ცალკე თვალების განკურვნა თავის გარეშე, ხოლო თავის მკურნალობა – ტანისგან დამოუკიდებლად, ასევე, შეუძლებელია სხეულის მკურნალობა სულის განკურვნის გარეშე...“ და ერთიც: „სულის მკურნალობა...საჭიროა შესაბამისი შელოცვებით, ეს უკანასკნელი კი წარმოადგენს სხვა არაფერს, თუ არა ჭეშმარიტ სიტყვებს, – ნიკოლაი ანდრეევიჩმა ბოლო სიტყვებზე გააკეთა განსაკუთრებული ხაზგასმა, – ამ სიტყვებისაგან სულში იმკვიდრებს გონივრულობა, ხოლო მისი ყოფნა და დამკვიდრება აადვილებს ჯანმრთელობის დაფესვიანებას, როგორც თავის, ასევე, მთელი სხეულის არეში“.

ნიკოლაი ანდრეევიჩი გაჩუმდა, თვალები შეავლო გვერდს, შემდეგ კი განაგრძო:

– ჩემი სიტყვების გაგონებაზე კრიტიმ წამოიძახა: „ჩემო სოკრატე, თავის ტკივილი ჭაბუკისთვის იქნებოდა ჰერმესის ჭეშმარიტი საჩუქარი, საკუთარი თავის გამო გონების სრულყოფა რომ ეძულებინა!“

– ეს მართალია, – გაეღიმა სენსეის.

– გაგონილა, დაწერილია 14 საუკუნის წინ და დღემდე აქტუალურია.

– რა თქმა უნდა, იმიტომ, რომ სიბრძნემ დრო არ იცის.

– დიახ, რამდენად სწორად შენიშნა სოკრატმა.

– სოკრატმა მხოლოდ გადმოგვცა ის, რასაც მას ასწავლიდნენ. სოკრატე ვერ იქნებოდა სოკრატე, თავის გზაზე კრიტონს რომ არ შეხვედროდა, რომელიც მოიხიბლა მისი (სოკრატეს) სულიერი სიმშვენიერით და რომელმაც მისცა შესაბამისი განათლება. ამიტომაც, ძალინ ცდებით იმაში, რომ ფიქრობთ, თითქოს ფსიქოლოგია იწყება სოკრატედან. ის, რაც გადაეცა სოკრატეს მისი მასწავლებლისგან, მოგვიანებით კი, შესაბამისად, შთამომავლებს, ეს უძველესების ჭეშმარიტი

ცოდნის მხოლოდ შორეული ექოა...ფსიქოლოგია უფრო ძველი მეცნიერებაა, ვიდრე ვარაუდობენ. და სულაც არ არის ახალი. მის შემქმნელებად და ფუძემდებლებად მიიჩნევიან არა სოკრატე, უილიამ ჯემსი და მით უფრო ლე ბონი, ზიგმუნდ ფრეიდი, ალფრედ ადლერი და სხვები. ეს ადამიანები მხოლოდ ცდილობდნენ თავიანთი მსოფლმხედველობის პრიზმიდან მცირე ნაწილებით, ნაწილობრივ აღედგინათ ის, რაც ოდესღაც ადამიანებს მიეცა მთლიანობაში და რაც უგუნურად გაიფანტა დროთა განმავლობაში...საერთოდ კი ეს მეცნიერება ფესვებით გამჯდარია უძველეს დროში.

– ფსიქოლოგია...როგორც მეცნიერება...უძველეს დროში?! – გულწრფელად გაიოცა ნიკოლაი ანდრეევიჩმა.

– დიახ, სწორედ, როგორც მეცნიერება, – დაადასტურა სენსეიმ. – ძველი ხალხები ფლობდნენ ისეთ ცოდნას, რომელთა დონის მიღწევა თანამედროვე ადამიანებს ჯერ აღარ ძალუძთ. დღეს თუ ფსიქოლოგია მხოლოდ ცდილობს პიროვნების სტრუქტურის, საერთო კანონზომიერებების, ადამიანებს შორის ურთიერთობების კანონების შესწავლას, ძველი ადამიანებისათვის ეს იყო მხოლოდ ზედაპირული ფილოსოფია, ვინაიდან ფლობდნენ ფსიქოლოგიის უფრო სიღრმისეულ ცოდნას – სხვადასხვა ფსიქოტექნიკებს. ისინი იკვლევდნენ საკუთარი სულის და არა საკუთარი ეგოს სიღრმეებს. ხოლო მეცნიერება „ფსიქოლოგია“ იწყება სწორედ საკუთარი თავის შესწავლით. და რაც უფრო უკეთ შეიცნობს ადამიანი საკუთარ თავს, მით უკეთ გაიგებს არა მხოლოდ სხვა ადამიანებს, არამედ, ზოგადად, მთელ სამყაროს.

– ნება მომეცი, მაგრამ თანამედროვე ფსიქოლოგიაშიც არის ბევრი სხვადასხვა ფსიქოტექნიკა.

– გეთანხმები, მაგრამ როგორი ფსიქოტექნიკა? როგორც წესი, ყველაზე ელემენტარული და მიაქციე ყურადღება, უმეტეს შემთხვევაში მიმართულია მატერიალური საწყისისაკენ. განა შეიძლება თანამედროვე კაცობრიობას, მეცნიერება ფსიქოლოგიის ამჟამინდელი განვითარების პირობებში უწოდო სულიერად განვითარებული თანასაზოგადოება? რა თქმა უნდა, ვერა. იმიტომ, რომ თანამედროვე ფსიქოლოგია ეხება მეტწილად მდაბიო დონეს – იგი ცდილობს ადამიანური ეგოს მიერ შობილი კონფლიქტების პრობლემების გადაწყვეტას. მარტივად რომ ვთქვათ, იგი იხარშება ცხოველური საწყისის „წვნილში“, მიუხედავად იმისა, რომ მის წინაშე დასმულ ამოცანებში მთავარია ადამიანის სულის შეცნობა. „თეორიისა“ და „პრაქტიკის“ ასეთი თანაფარდობის პირობებში, თავად გესმით, როგორი წინააღმდეგობრივი მომავალი ელის ამ მეცნიერებას. სხვა სიტყვებით, მთლიანობაში, თანამედროვე ფსიქოლოგია ცდილობს ეგოიზმისა და სიდიადის მანიის ერთმანეთთან შერიგებას.

– პრინციპში, ეს ერთი და იგივეა, – აკურატულად შენიშნა ფსიქოთერაპევტმა.

– მეც ხომ იგივეს ვამბობ, – ხაზი გაუსვა სენსეიმ, მისცა რა ნიკოლაი ანდრეევიჩს საშუალება, სიღრმისეულად ჩაწვდომოდა მის სიტყვებს. – არავითარ შემთხვევაში არ ვაკნინებ ფსიქოლოგიის მნიშვნელობას თანამედროვე სამყაროში. ეს შესანიშნავი, საჭირბოროტო დისციპლინაა. ნამდვილად ღირს მისი განვითარება, იგი ეხმარება ადამიანებს სტრესების მოხსნაში და საკუთარ შიშებთან გამკლავებაში. მაგრამ მიჩნდება ერთი კითხვა, ექიმო. მითხარით გეთაყვა, რატომ ვერ აწყობს წესრიგს ყველა ფსიქოლოგი საკუთარ თავში და იმავდროულად ცდილობს სხვის გონებაში შეძრომას?

– როგორ თუ რატომ? – შეანელა ინტონაცია ნიკოლაი ანდრეევიჩმა და მოკლე პაუზის შემდეგ გამოცოცხლებულმა უპასუხა: – ჭამა ხომ გინდა. მათ მხიარულად გაიცინეს, რის შემდეგაც ფსიქოთერაპევტმა განაგრძო საუბარი.

– თუკი ძველი ადამიანები ასეთ ცოდნას ფლობდნენ, მაშინ მათ, წესით, საერთოდ უნდა ჰქონოდათ ოქროს ხანა.

– სავსებით მართალია. ასეც იყო.

ნიკოლაი ანდრეევიჩი ჩაფიქრდა, შემდეგ კი იკითხა:

– რომელ ძველ დროს გულისხმობთ? ჩვენს ცივილიზაციაში?

მივაქციე ყურადღება, რომ ნიკოლაი ანდრეევიჩი ესაუბრებოდა სენსეის, ხან მეგობრულად – შენობით, ხან მოწიწებით ფორმაზე გადასვლით – თქვენობით.

– მე, რა თქმა უნდა, არც კი ვუწოდებდი ჩვენი ცივილიზაციის დასაწყისს ძველ დროს. ჩვენი ცივილიზაცია არსებობს სულ რაღაც თორმეტი ათასი წელი. თუმცა მისი განვითარების დასაწყისში კაცობრიობას გადაეცა ცოდნის გარკვეული ნაწილი, ფსიგოლოგიის დარგის ჩათვლით.

– გადაეცა ცოდნა? საინტერესოა, ვის გადაეცა ისინი?

– ეს ცოდნა გაფანტული იყო მთელს მსოფლიოში: ევროპაში, აზიაში, აფრიკაში, სამხრეთ და ჩრდილოეთ ამერიკაში. ძველი ეგვიპტის, ინდოეთის, მესოპოტამიის, ციმბირის, ჩინეთის ტომების ბრძენი ხალხი მათ ინახავდა, როგორც იდუმალ ცოდნას. თუმცა მათში ჩახედულთა გეოგრაფიის მთელი განედის მიუხედავად, ეს ცოდნა დროთა განმავლობაში მაინც დაიკარგა. რა მიზეზითაც, თქვენ, ბატონებო, ახლა იძულებულნი ხართ, ხელახლა გამოიგონოთ ბორბალი.

– და მაინც უცნაურია. როგორ შეეძლო ამ ცოდნის მიღება ადამიანებს სხვადასხვა კონტინენტებზე, მით უფრო სხვადასხვა ტომებში? და ყველაზე საინტერესოა, ვის შეეძლო მათი გადაცემა? რამდენადაც ჩემთვის ცნობილია, მაშინ ოკეანე გადაულახავ დაბრკოლებას შეადგენდა. მისი გადაფრენა, ჯერ ჯიდევ შეუძლებელი იყო, ხოლო გადაცურვა კი პრაქტიკულად შეუძლებელი.

– უბრალოდ, ჩვენს წარმოდგენაში ყოველივე ამის გასაკეთებლად აუცილებელია რაღაც ტექნიკა ან, უკიდურეს შემთხვევაში, მოწყობილობა. ძველ ადამიანებს კი საკუთარი უნარებით შეეძლოთ ყველაფრის მოგვარება. ტყუილად არ მიხსენებია ადამიანური ფსიქიკის მათი სიღრმისეული ცოდნის შესახებ. მათ ხომ შეეძლოთ საკუთარი უნარების მართვა. ის, რის შესახებაც ახლა კამათია გაჩაღებული – ლევიტაციის, ტელეკინეზის, ტელეპორტაციისა და მსგავსი რამის შესახებ – ძველი ხალხისთვის ჩვეულებრივი რეალობა იყო. ეს ისეთივე ბუნებრივი იყო, როგორც, მაგალითისათვის, ჩვენთვის ველოსიპედით მგზავრობა ან ცურვა...

– შესანიშნავია! – მოურიდებლად ჩაერია საუბარში რუსლანი, რომელიც, ჩვენს მსგავსად, უნებლიედ გახდა „მეტრების“ საუბრის მსმენელი. – ჩვენ რომ მოგვცა ასეთი ცოდნა ეხლა! მოგინდა – გაფრინდი. ეს ხომ მაგარია! სენსეი, შეიძლება ამის სწავლა?

სენსეიმ ყმაწვილს ჯერ სერიოზულად გახედა, მაგრამ შემდეგ მის სახეზე გამოიკვეთა მსუბუქი ღიმილი.

– რა თქმა უნდა, შეიძლება.

– და როგორ, თუ დაწვრილებით დავიწყებთ ამაში გარკვევას? – შეეცადა „გონივრულად“ დაესვა საკითხი რუსლანს.

სენსეი, მცირედით დადუმდა, უყურებდა რა მას და ინარჩუნებდა სახეზე ოდნავ შესამჩნევ ღიმილს, შემდეგ კი წარმოთქვა:

– ეს ელემენტარულია. გესმის, ამ საქმეში მთავარია – შენი მიდგომა, შენი სურვილი, შინაგანი განწყობა და ყველაზე მთავარი – ამ ლევიტაციის განცდის შენი უდიდესი სურვილი. თვით ლევიტაციის პრინციპი რთული არ არის. ძირითადი მარცვალი შენს სურვილში დევს...

– ეს, თითქოს გასაგებია და კონკრეტულად...ფიზიკური მნიშვნელობით? – მცდელობას არ აკლებდა გონებამოკრებილად წარბებშეყრილი რუსლანი, თითქოს მის წინაშე იყო გადაუჭრელი რებუსი.

– თუ კონკრეტულად? მოდი ასე ვთქვათ, თითოეული ადამიანი არის მკაცრად ინდივიდუალური ტორსიული ველის გენერატორი. ეს ტორსიული ველი ზემოქმედებს მისი გარემომცველი ფიზიკური სივრცის ფოტონებზე და ურთიერთმოქმედებს სხვა ინდივიდუმების ტორსიულ ველებთან. ლევიტაციის ეფექტის, ანუ უფრო მარტივად, შენი ფიზიკური სხეულის ჰაერში გამოკიდების ეფექტის დასაწყებად აუცილებელია გარკვეული აღგზნების მინიჭება ფსიქიკური ენერგიის მეშვეობით და კინეტიკური ენერგიის გადაყვანა პოტენციალურში და პირიქით. ადრენალინის გამოყოფის შედეგად ეს იწვევს ფსიქიკური ენერგიის მძლავრ ამოფრქვევას, რაც გამოიწვევს სხვა ინდივიდუმის ტორსიული ველის უდიდეს აღგზნებას, ეს კი უეჭველად აისახება შენი ენერგეტიკული პოტენციალის საგრძნობ მომატებასა და აჩქარებაზე.

მაშ ასე, როცა იწყებ გონებრივ წარმოსახვას, ლაბილურ სპინალურ სისტემაში, ანუ შენს ტვინში წარმოიქმნება გარკვეული სპინალური სტრუქტურები, რომლებიც იმეორებს ფორმირებული წარმოსახვის სივრცით–სიხშირულ სტრუქტურას. თავის მხრივ, ეს ინფორმაცია გადაეცემა არა მხოლოდ ორგანიზმს ზოგადად, არამედ გარემომცველ სივრცეში და ამგვარად ურთიერთქმედებს ფოტონებთან, ანუ ელექტრომაგნიტური გამოსხივების კვანტებთან. გარკვეული პირობების, კერძოდ, პირადი ძალისა და აზრის მკაფიო კონცენტრაციის არსებობის შემთხვევაში დგება ეფექტი, რომელიც შედეგად იძლევა შენი წონის მკვეთრად შემცირების შესაძლებლობას. შემდეგ კი, როგორც იტყვიან, საქმე ტექნიკაშია. მაშ ასე, როგორი ძალითაც ამუშავდება შენი მდგრადი აზრის (ფიქრის) გენერატორი, იმდენივე ხანს გასტანს ლევიტაციის ეფექტი. ჩვეულებრივი ფიზიკა და არაფერი რთული და ზებუნებრივი მასში არ არის...

ბიჭები ცდილობდნენ ყურადღებით მოესმინათ სენსეის თითოეული სიტყვა. მე კი, საერთოდ, ნახევარიც კი ვერ გავიგე მისი ნათქვამიდან, ვცდილობდი უბრალოდ დამემახსოვრებინა მისი სიტყვები, ვახდენდი გონებაში მათ დუბლირებას, რათა შემდეგ სიტყვა–სიტყვით ჩამეწერა ჩემს დღიურში. ნიკოლაი ანდრეევიჩმა ყოველივე მოსმენილისაგან უბრალოდ პირი დააღო და ისეთი გაუგებარი მზერა აღებეჭდა, როგორც პირველკურსელ სტუდენტს, რომელიც იმყოფება ვიღაცის, სულ მცირე, სადოქტორო დისერტაციის დაცვაზე.

– ანუ, ყველაფერი დამოკიდებულია შენს შინაგან ნებისყოფაზე. ეს ძალა ხომ უზარმაზარია. აი, უძველეს დროში ადამიანებს „ვიმანები“, ეს უზარმაზარი კონსტრუქციები აჰყავდათ ცაში მხოლოდ თავიანთი ნებისყოფის ძალით, ანუ კონცენტრირებული აზრის (ფიქრის) ფსიქიკური ენერგიით, რომ არაფერი ვთქვათ მათი საკუთარი სხეულების შესახებ. ძველ ხალხებს უნარი ჰქონდათ, აეწიათ და გადაეადგილებინათ ასობით ტონა. და რატომ გამოსდიოდათ ეს მათ? იმიტომ, რომ ეს ადამიანები ფლობდნენ საკუთარი გონების დისციპლინას! ყველაზე მთავარია –

სასურველ შედეგზე კონცენტრირებულად გონების მოკრება, მაშინ ხდება ფსიქიკური ენერგიის აკუმულირება. თავში უნდა გქონდეს მხოლოდ საბოლოო მიზანი, მკაფიო და ნათელი. შენ უნდა შეიგრძნო და წარმოიდგინო მთელი ეს პროცესი რეალურად...

სენსეის ასეთი განმარტების დროს რუსლანს გამოეხატა მიზანსწრაფული გამომეტყველება. ნათელი იყო, ყმაწვილი აინთო პრაქტიკაში სიტყვების ხორცშესხმის სურვილით.

– სენსეი, ამის სწავლას დიდი დრო სჭირდება? – აღფრთოვანებით დაირატრატა რუსლანმა.

– თუ სერიოზულად, საათების განმავლობაში ლევიტირების სასწავლებლად, საჭიროა დრო. ხოლო რამდენიმე წამით ნავარდობისათვის – ამის მიღწევა შეუძლია პრაქტიკულად ყველა დამწყებს.

– აი ეს მესმის! – აღფრთოვანებით წარმოთქვა რუსლანმა. – ესე იგი შეიძლება პირდაპირ ახლა გავსინჯო?!

– რატომაც არა? ყველაფერი შეიძლება, თუკი ძალიან მოინდომებ.

– როგორ? რა უნდა გავაკეთო? – მოუთმენლად იკითხა რუსლანმა.

– მოცემულ შემთხვევაში, პირველადი სწავლებისათვის მეტად მნიშვნელოვანია გაქანება. პირველ ჯერზე, რა თქმა უნდა, ვერ გპირდები, რომ დიდ ხანს იფრენ, მაგრამ დაახლოებით ერთწუთიანი თავისუფალი ფრენა – ეს სავსებით რეალურია. მეტს, ვეჭვობ, ვერ გაუძლებ. უკიდურეს შემთხვევაში, კრიტიკული წერტილის გადალახვის შემდეგ, შეძლებ რამდენიმე წამით წყლის ზედაპირზე სირბილს.

– მართლა? წყლის ზედაპირზე? – გახარებულად წამოიძახა რუსლანმა.

– ბუნებრივია...აქ მეტად მნიშვნელოვანია სიჩქარის ელემენტი, ასევე წყვეტის იმპულსური ძალა...

აქ რატომღაც გამახსენდა წყალმზომი, რა სიჩქარითა და სიმსუბუქით დასრიალებს ეს მწერი წყლის ზედაპირზე. გამახსენდა ზოოლოგიის გაკვეთილები და გავიფიქრე: „თუ გავითვალისწინებთ მცირე წონასა და წყლის ზედაპირული დაჭიმულობის აპკს, ალბათ, ეს პროცესი სავსებით შესაძლებელია“.

ჩვენს კომპანიაში დაიწყო მთელი აჟიოტაჟი. რუსლანი დაძაბული ყურადღებით უსმენდა სენსეის სიტყვებს და ემზადებოდა ზღვის მხარეს აეღო სტარტი. დანარჩენი ბიჭი ინტერესით ადევნებდა თვალყურს ამ პროცესს. ჟენიამ და სტასმა დაიწყეს რუსლანისთვის კარგი სტარტის აღების რჩევების მიცემა. ანდრეიმ და კოსტიამ გამოთქვეს ამ ექსპერიმენტის მომდევნო მონაწილეებად ყოფნის სურვილი. ჩვენ, ტატიანასთან ერთად უკვე თითქმის შურით ვუყურებდით „იღბლიან“ რუსლანს, რომელიც ჩვენი კომპანიიდან პირველი აიჭრება ჰაერში.

და აი აქ, კოსტიკამ, მისთვის დამახასიათებელი ენთუზიაზმით მიმართა სენსეის შეთავაზებით:

– ხომ არ გამესინჯა მე რუსლანის ნაცვლად, ასე ვთქვათ, ექსპერიმენტის სისუფთავისათვის. მე ხომ მასზე ორი კილოგრამით ნაკლებს ვიწონი.

– ორი კილოგრამით, ორი კილოგრამით, – გააქილიკა იგი რუსლანმა.

– ვინც პირველმა იკითხა, ის გაფრინდება პირველი! რიგი მოიკავე.

– რა მნიშვნელობა აქვს? – ჩაიქნია ხელი კოსტიამ. – სენსეი, შეიძლება ჩვენ ორმა ერთდროულად შევძლოთ? თორემ, იქნებ, მას რაღაც ვერ წაუვიდეს სწორად?

– ამას კიდევ ვიხილავთ, ვის არ გამოუვა! – გაბრაზდა რუსლანი. – და საერთოდ, გადი აქედან, მხოლოდ მიშლი ხელს ყურადღების მოკრებაში...

სენსეის კი მხოლოდ გაეცინა ასეთ ბიჭურ აღტყინებაზე და განაგრძო თავისი დარიგებები:

– რა გაღელვებთ, ბიჭებო, ყველანი მოასწრებთ მოსინჯვას, თუ ასეთი სურვილი გაქვთ. კიდევ ერთხელ გიმეორებთ, მთავარია – კარგი გაქანების აღება...

– მე, ამასთან, რაიმეს ვიგრძნობ...ფიზიკურად? – გულმოდგინედ კითხულობდა რუსლანი და ალმაცერად გახედა მის გვერდით მოკალათების მცდელობაში მყოფ კოსტიას.

– რა თქმა უნდა. გარკვეული შეგრძნებები იქნება. მოწყვეტის მომენტში, მაგალითად, მკვეთრად შეგეცვლება პულსის სიხშირე. ის გაიზრდება, დაახლოებით ორმოცი ერთეულით. შეიცვლება, ასევე, ტალღური პროცესების კოგერენტულობა შენს თავის ტვინში. აფრენის დროს, თავდაპირველად დაიწყება სუნთქვის სრული გაჩერება, შემდეგ კი შეიცვლება თვით სუნთქვის ხასიათი. ერთი სიტყვით, შეგრძნებების გამაზე ნუ ღელავ. ჩათვალე, რომ სრული თაიგულით უზრუნველყოფილი ხარ. ახლა შენთვის მთავარია – კარგი გაქანების აღება, გასაგებია?

რუსლანი იდგა სრულ დაძაბულობაში, როგორც ამბობენ, საბრძოლო სამზადისში № 1:

– გასაგებია, გასაგები, – უპატაკა მან. – შემდეგ რა ვქნა? როგორ მოვწყდე მიწას?

სენსეიმ უპასუხა:

– ამაზე არ იდარდო, მიწას ნამდვილად მოწყდები. მთავარია, კარგად გამოქანდი და არავითარი გარეშე აზრები. მთავარია – მიზანი. შენი მიზანია – ფრენა.

– გავიგე, გავიგე! მაშ ასე, მიზანი მაქვს. აზრები არა. რა ვაკეთო შემდეგ?

– შემდეგ კი, – წარმოთქვა სენსეიმ. – გაქანდები და...მთელი ძალით უთავაზებ ვალოდიას საჯდომში ფეხს. – და მიუთითა ჩვენს სპეცრაზმელზე. ის ზუსტად შესაბამის, წელში მოხრილ პოზაში იდგა და მშვიდობიანად რეცხავდა ჭურჭელს ზღვის ნაპირზე. რუსლანის „საწყისი აჩქარებისათვის“ ვალოდია ზუსტად იმყოფებოდა „სასტარტო პოზიციაში“. – და მორჩა! შემდგომი ლევიტაცია შენ გარანტირებული გაქვს.

ჩამოვარდა სიჩუმე. ხალხმა გაოცებით გადაიტანა მზერა ჩვენი სპეცრაზმელიდან სენსეიზე და ცდილობდა მომხდარის გარკვევაში. მაგრამ, დროში გაქვავებული ეს უსიტყვო სცენა დიდ ხანს არ გაგრძელებულა. პირველი, ვინაც გაიგო სენსეის მიერ ნათქვამის მთელი არსი, იყო ნიკოლაი ანდრეევიჩი. მას ისეთი სიცილი აუტყდა, ცრემლებიც წამოსცვივდა თვალებიდან. ბიჭებამდე ცოტა მოგვიანებით დავიდა. მაგრამ როცა მეც მოვეგე გონს, ზღვის სანაპიროს ჰაერი ირყეოდა ჩვენი კომპანიის ხარხარით ფრენის პირველობის პატივისთვის რუსლანისა და კოსტიკას ერთმანეთისათვის რიგის თავაზიანი დათმობის გამო. ჩვენმა „მორიგეებმაც“ კი შემოიხედეს კოლექტივის საყოველთაო ხარხარზე და იჩქარეს შემოგვერთებოდნენ ბოლომდე გაურეცხავი ქვაბებით. ცნობისმოყვარეობით გატანჯულნი, ისინი კიდევ მთელი ათი წუთის განმავლობაში ცდილობდნენ გაეგოთ, რა მოხდა სინამდვილეში.

მას შემდეგ, რაც ბიჭები ცოტაოდენი ჩაცხრნენ და მათი უმრავლესობა გაიქცა ზღვაში საბანაოდ, ერთმანეთზე ხუმრობით „ლევიტაციის ახალი მეთოდის“ გამოცდით, მხოლოდ მაშინ დაუბრუნდა ნიკოლაი ანდრეევიჩი საუბარს იგორ მიხაილოვიჩთან, რომელიც ასე უტიფრად იყო გაწყვეტილი რუსლანის უგუნური ცნობისმოყვარეობით.

– ვერაფრით გამიგია, ჯერ–ერთი, ვის შეეძლო ძველი ადამიანებისათვის ამ ცოდნის გადაცემა და მეორეც, როგორ შეეძლოთ იმ პირველყოფილ ტომებს თავიანთი პრიმიტიული აზროვნებით ასეთი მეცნიერებების აღქმა?

– საქმე ის არის, რომ ეს ტომები არ ყოფილან პირველყოფილი ტომები. ეს იყო ატლანტის ცივილიზაციის ცოცხლად დარჩენილი შთამომავლები. მათი აზროვნების დონე სულაც არ ყოფილა პრიმიტიული, როგორც შენ მიგაჩნია. ის აბსოლუტურად ისეთივე იყო, როგორც ჩვენი. მთელი ამ დროის განმავლობაში ადამიანის ტვინმა ხომ არ განიცადა არანაირი ცვლილება. მეტიც, ისინი ბევრად უკეთ და ხარისხიანად იყენებდნენ თავის ტვინის შესაძლებლობებს, ჩვენთან შედარებით.

– ანუ, შენ იმის თქმა გინდა, რომ ისინი ჩვენზე ბევრად უკეთ იყვნენ ინტელექტუალურად განვითარებულნი?

– შესაძლოა, ეს შენთვის პარადოქსალურად ჟღერს, მაგრამ ეს ფაქტია. პროცენტული თანაფარდობით თუ გავზომავთ, ახლა ჩვენ ვიყენებთ ჩვენი შესაძლებლობების დაახლოებით 10 %, ისინი კი 50 %–ზე მეტს. ახლა კი დათვალე თავად. გამოდის, რომ ისინი ჩვენზე ხუთჯერ უფრო გონივრულები იყვნენ ჩვენი დროის ყველა ილუზორული „მაღალტექნოლოგიური“ განვითარების მიუხედავად.

– მაგრამ, როგორ შეიძლება ასეთი რამ?

– საქმე ის არის, რომ საერთო ჯამში, ჩვენ მხოლოდ ვიწყებთ ჩვენი შესაძლებლობების ათვისებას. ხოლო, ამ ცივილიზაციის დასაწყისში მაღალი გონებრივი პოტენციალის მქონე ადამიანებმა, პირიქით განიცადეს დეგრადირება, ანუ მიემართებოდნენ თავიანთი მაღალი მიღწევებიდან მდაბლისკენ. ეს ნორმალურია, ის გათიშული ჯგუფები ხომ წარმოადგენდნენ წინანდელი, მაღალგანვითარებული ცივილიზაციის ნარჩენებს. შემდგომ კი მათ შთამომავლებმა დაკარგეს ადრინდელი უნარები და ცოდნა, ასე ვთქვათ ჩამოქვეითდნენ საგრძნობლად და შემდეგ ისევ, ყველაფერი თავიდან დაიწყეს.

მთელი პრობლემა მდგომარეობს გარე ფაქტორებზე მაღალგანვითარებული ცივილიზაციების მეტისმეტ დამოკიდებულებაში. – სენსეიმ ცას ახედა. – აი აიღე, მაგალითისათვის, მზე. თანამედროვე მეცნიერები ვარაუდობენ, რომ მისი რესურსები საკმარისი იქნება მილიარდი წლის განმავლობაში, შემდეგ კი მას შეუძლია გაფართოება და ჩაქრობა, რის შედეგადაც ყოველივე ცოცხალი დედამიწაზე გაქრება. მაგრამ ჯერ–ერთი, ეს მხოლოდ მათი ვარაუდებია, ვინაიდან მზის შესახებ მეცნიერებმა ცოტა რამ თუ იციან. მეორეც, ახლაც კი, ნებისმიერ დროს მზეზე შეიძლება მოხდეს მეგაგამონატყორცნი დედამიწის მიმართულებით. თუ ასეთი რამ მოხდება, სამი დღის შემდეგ დედამიწაზე ყოველივე ცოცხალისაგან ალბათ არაფერი დარჩება. კაცობრიობისაგან კი, საუკეთესო შემთხვევაში, ადამიანების მცირე, გათიშული ჯგუფები, რომელთა წინაშე მწვავედ დადგება გადარჩენის საკითხი. მცენარეულობით კვებისთვისაც კი, ხომ საჭიროა მათი მოყვანა, ამისთვის კი აუცილებელია, სულ მცირე, მათი თესლების პოვნა. მაგრამ, გლობლური კატასტროფაც კი რომ არ მივიღოთ მხედველობაში, უბრალოდ წარმოიდგინე, რა დაგვემართება, ახლა რომ დავრჩეთ ელექტროობის, გაზის, ნავთობის, მარტივად რომ ვთქვათ, ცივილიზაციის ყველა სიკეთის გარეშე. ჩვენ პრაქტიკულად განწირულნი ვიქნებით დასაღუპად. ასე მოხდა მაშინაც...

– დიახ, ამგვარად გაჩნდნენ ისტორიაში „მონადირეები“ და „შემგროვებლები“, – სევდიანად გაეღიმა ექიმს, – უმაღლესი ცივილიზაციისათვის დამახასიათებელი ასტრონომიული და მათემატიკური ცოდნის მოულოდნელი გამობრწყინებით.

– სრულიად მართალია. დასაწყისში იყო ტომები, გაერთიანებები. შემდეგ მათში გამალებულად დაიწყო განვითარება რელიგიამ, მოხდა მასებში ინტელექტის დაქვეითებით დაინტერესებული ზოგი ინდივიდის მიერ ძალაუფლების უზურპაცია. გონებაჩლუნგების მართვა უფრო ადვილია. აი ასეთნაირად, ძვირფასო ნიკოლაი ანდრეევიჩ ჩამოვქვეითდით იქამდე, სადაც ვართ ამჟამად.

– მდა, – მძიმედ გააჭიანურა ფსიქოთერაპევტმადა მცირეოდენი ფიქრის შემდეგ დასძინა: – არადა ხომ მართალია, ადამიანი უპირველეს ყოვლისა წარმოადგენს ცივილიზაციის სხვადასხვა პროდუქტის მომხმარებელს და მხოლოდ მცირე რგოლს მათი წარმოების ჯაჭვში. თუკი არაფერი ეს არ იქნება, მაშინ როგორ ვიყოთ? სახლსაც კი ვერ აიშენებ. იქ, ხომ თეორიული ცოდნის გარდა აუცილებელია ცივილიზაციის მთელი აღმოჩენები: იგივე აგური, ცემენტი, ლურსმანი და ა.შ. ასე კი...

ნიკოლაი ანდრეევიჩმა მხრები აიჩეჩა.

– ასე კი მხოლოდ, ქოხი ან მიწური, – გაეღიმა სენსეის.

– დიახ, საუკეთესო შემთხვევაში გამოქვაბული, – მხარი დაუჭირა მის იუმორს ნიკოლაი ანდრეევიჩმა. – თუკი არსობრივად გავერკვევით, რისი კეთება შეუძლია თანამედროვე ადამიანს ბუნებასთან ერთი ერთზე დარჩენის შემთხვევაში? და მართლაც, არაფერი წესიერის.

– ნამდვილად...ზოგ განსაკუთრებით ზარმაც ინდივიდს წარმოდგენაც კი არ აქვს ელემენტარულის შესახებ, მაგალითად, რა და როგორ უნდა მოიყვანო მიწაზე, – ხუმრობით თქვა სენსეიმ: – მათთვის ხომ პროდუქტები მაღაზიებში „იზრდება“, უკვე პოლიეთილენის პარკებში. რაზე უნდა ილაპარაკო აქ?

ამის გაგონებაზე, დავიწყე ნათქვამის ჩემს პიროვნებაზე მორგება. ამასთან, სასწრაფოდ შევეცადე გამეხსენებინა ჩემი ოჯახის სააგარაკო გამოცდილება, რას და როგორ თესავდა დედაჩემი ბოსტანში და საერთოდ, რისი კეთება შემიძლია ცხოვრებაში და რისი არა. „ელემენტარულ საგნებში“ ხარვეზი იმდენად ბევრი აღმომაჩნდა, რომ ჩემი თავის შემეშინდა. გადავწყვიტე, რადაც უნდა დამჯდომოდა, შეძლებისდაგვარად, ამენაზღაურებინა გამოტოვებული. სახლში დაბრუნებისათვის დავგეგმე გამომეკითხა უფროსი თაობა, როგორ გადარჩნენ ომის წლებში, როცა ირგვლივ იყო უმკაცრესი პირობები, შიმშილი, ნგრევა. ასევე, დავისახე მიმეღო ყველაზე შესაძლისი მონაწილეობა აგარაკის საქმეებში და სინამდვილეში მესწავლა, სენსეის სიტყვების არ იყოს, „ელემენტარული საქმეები“. როცა გაიძულებენ რაღაცის კეთებას – ეს ხომ ერთია, მაგრამ როცა თავად ხარ აღტყინებული რაღაცის სწავლის სურვილით – ეს სრულიად სხვა საქმეა.

ჩვენს „მეტრებს“ ისევ გაეცინათ საკუთარ ხუმრობებზე, შემდეგ კი სენსეიმ შესთავაზა:

– კარგით ექიმო, საკმარისია მოსაწყენზე საუბარი, წავიდეთ ვიბანაოთ. – და ცისკიდურზე მზის მდებარეობის ნახვის შემდეგ ფილოსოფიურად დასძინა: – სანამ ჯერ კიდევ არის ასეთი შესაძლებლობა.

ბანაობით გამოძღომის შემდეგ სტასმა და ჟენიამ გადაწყვიტეს გასაბერი ნავით წყალზე გასეირნება, აკვალანგებით ყვინთვა და შეძლებისდაგვარად თევზის დაჭერა. მათ დიდი სიამოვნებით შემოუერთდათ ვალოდია და ვიქტორი. გასაბერი ნავის მომზადებისა და მასში სათევზაო კუთვნილებების ჩატვირთვის შემდეგ ამ ოთხეულმა გასცურა ნაპირის გასწვრივ თევზის ქარხნის მიმართულებით. დანარჩენები კი, როგორც ამბობენ, ცხონდნენ ზღვაზე მოხვედრით, ხანგრძლივი ბანაობისა და ცხელ ქვიშაზე მოკლე შესვენების მონაცვლეობით. სენსეი და ნიკოლაი ანდრეევიჩი ამჯობინებდნენ „მზის აბაზანებს“, რის შემდეგაც აკეთებდნენ ხანგრძლივ გაცურვებს ზღვის მხარეს, საითკენაც ჩვენი ახალგაზრდა კომპანია შეცურვას ვერ ბედავდა.

სრულფასოვანი დასვენების დრო შეუმჩნევლად გაფრინდა. ჩვენი ბიჭები მორიგი ბანაობისა და ნაპირზე ნეტარებით წაყრის შემდეგ, შემოქმედებითი აზრის სრულყოფილების გზით პატარა ქვიშის გორაკების შექმნის პრიმიტიული გართობიდან მივიდნენ ქვიშიდან მარტივი სკულპტურის შექმნის იდეამდე სხეულის ნაწილების მონაწილეობით. გრანდიოზული ჩანაფიქრის „მსხვერპლნი“ გახდნენ კოსტიკი, რუსლანი და სლავიკი, უფრო ზუსტად, მათი თავები, ფეხები და ხელები. ძერწვის პროცესში, გათამამებული შემოქმედებითი მადისა და ბობოქარი ფანტაზიის წყალობით, „ხელოვნების ნიმუშის“ დასამშვენებლად საქმეში ჩარიეს სამზარეულო ჭურჭელი (თეფშების, კოვზების, ჩანგლების სახით), სამოსის ელემენტები, ასევე, ბუნების ძღვენი, როგორებიცაა ლელქაში, წყალმცენარეები, ნიჟარები და მწირი ადგილობრივი მცენარეულობა. ჩვენი შემოქმედებითი აქტიურობის დროს პოზირებადი თავების განსაკუთრებული ადგილმდებარეობის გათვალისწინებით, საჭირო იყო მათთვის მუდმივად წყლისა და საკვების მიცემა, ცხვირების, ლოყების ფხანა, ბუზებისა და სხვა ცოცხალი არსებების, რომლებიც, ცნობისმოყვარე ტურისტების კილიმანჯაროს მთაზე ასვლის მსგავსად, ცდილობდნენ მომენტით სარგებლობასა და მათზე შეხოხვას, განდევნა. ბოლოს და ბოლოს, გაუთავებელი სიცილის თანხლებით მიმდინარე დაძაბული შრომის შემდეგ, ჩაფიქრებული ზღაპრული პერსონაჟი დრაკონი – ზმეი გორინიჩის თანამედროვე ვარიანტის ნაცვლად გამოგვივიდა, როგორც ანდრეიმ თქვა, „უცნობი ჯიშის მუტანტი“. როცა ვაკეთებდით უკანასკნელ შტრიხებს ჩვენი „ლამაზმანის“ მორთვაში, მისმა ერთერთმა თავმა (რომელიც რუსლანის სახელს ატარებდა) შენიშნა შორს, ნაპირზე მორბენალი სტასი და ჟენია.

– ოჰო! ნავი სად არის? – გაიოცა „გორინიჩის ყველაზე თვალმახვილმა თავმა“. – რამე ხომ არ დამართნიათ?

სლავიკის სახელის მატარებელი თავი ზარმაცად შემობრუნდა იმ მიმართულებით თავისი შეუდარებელი მორთულობით „ქუდის“ სახით, მისგან ჩამოშვებული წყალმცენარეებით და ენის წაბორძიკებით დაამატა:

– დაავიწყდათ ალბათ რაღაც.

დაბოლოს, მესამე, ყველაზე ბრძენმა (კოსტიკას სახელით ცნობილმა), ორი დანარჩენის შუაში მდებარე და თავისი სტატუსით, პირადად ტატიანას ხელებით ტუალეტის ქაღალდის, ხელსახოცის, ლელქაშისა და სხვადასხვა ბალახეული მცენარეებისაგან დამზადებული სუპერჩალმით მორთულმა „თავმა“, გონივრულად წარმოთქვა:

– რაიმე რომ დავიწყნოდათ, ასეთი სიჩქარით არ ირბენდნენ.

და მართლაც, ბიჭების სიჩქარის მიხედვით, ვერ იტყოდი, რომ სირბილი სასეირნო ჰქონდათ. მით უფრო ვიქტორისა და ვალოდიას, ასევე შესაბამისი აღჭურვილობის, რომელიც თან წაიღეს, არყოფნა, აშკარად მეტყველებდა იმაზე, რომ მათ რაღაც გადახდათ თავს. მთელი ჩვენი ყურადღება გადატანილ იქნა უფროს ბიჭებზე.

ბიჭებმა კი ბანაკამდე მორბენის შემდეგ დაიწყეს სულის მოთქმა ჩქაროსნული სირბილისგან, ამასთან გაოცებით უყურებდნენ ჩვენს შემოქმედებით ჩანაფიქრს.

– რა დაგემართათ? – შეწუხებულმა იკითხა ყველაზე „ჭკვიანმა თავმა“.

– ეს რამ გაგაკეთებინათ! – გაეღიმა ჟენიას გრანდიოზული ქანდაკების ცქერით.

– სად არის სენსე? – შეკითხვაზე შეკითხვა დასვა სტასმა.

– ეგერ არის. – ანდრეიმ მიუთითა ზღვის მიმართულებით, სადაც ტალღებს შორის აქა–იქ მოჩანდა ორი თავი. – ცურავს ნიკოლაი ანდრეევიჩთან ერთად.

სტასმა და ჟენიამ მიმოიხედეს და შორს გაიხედეს. ჟენიამ მცირე ფიქრის შემდეგ მიიდო თითები ტუჩებთან და დაიწყო ხმამაღალი სტვენა ზღვის მიმართულებით, ცდილობდა რა მოცურავეთა ყურადღების მოპყრობას. სტვენა იმდენად მკივანა აღმოჩნდა, რომ ანდრეი სიცილით გაეცალა მას ყურების ფშვნეტით:

– გამაფრთხილე მაინც, ასე ხომ დაყრუებაც შეიძლება.

– რა მოხდა? – გამოკითხვებში ჩაერთო იურა.

– ავარია ხომ არ დაგმართნიათ თქვენს ხომალდზე? დინება ვერ დაიმორჩილეთ? – მზაკვრულად იკითხა ყველაზე „თვალმახვილმა თავმა“

– იმედი გვაქვს, მსხვერპლის გარეშე, – დაასკვნა თავისი „მოძმის“ აზრი „ჭკვიანმა თავმა“.

– არაფერი მომხდარა, – სანამ ჟენიას გამოჰყავდა თავისი მხატვრული სტვენა, ერთიანად გასცა სტასმა ყველა შეკითხვას პასუხი. – ნავი წესრიგშია. ყველა ცოცხალია, რასაც თქვენც გისურვებთ... – სტასმა ღიმილით გადახედა ქვიშიდან ამოშვერილ ბიჭების თავებს, მათი „გაგდებული“ კიდურებით. უბრალოდ, ნაპირზე დელფინი ვიპოვეთ.

– დელფინი?! – თითქმის ერთად წამოვიძახეთ მე და ტატიანამ.

– ჰო, პატარა. – ბიჭმა ხელებით ზომა გვიჩვენა. – მეტრნახევარი იქნებოდა.

ჩვენს კომპანიას წამოსცდა აღფრთოვანების შეძახილი.

– აი ეს მესმის?

ამ დროს სიღრმეში მოცურავე სენსეიმ და ნიკოლაი ანდრეევიჩმა შემოიხედეს და ჟენიამ დაიწყო მათთვის ხელების ქნევით სიგნალების ჩვენება. კაცებმა უკან, ნაპირისკენ გამოსცურეს.

– ცოცხალი დელფინი?! – დაინტერესდა ანდრეი.

ჟენია, საკუთარ თავზე „რადიოშუქურას“ მოვალეობების თავზე აღებით, მაშინათვე ჩაერთო ლაპარაკში.

– ჯერ ცოცხალია, გვერდში აქვს ჭრილობა, თანაც ახალი, იქედან ჯერ კიდევ სისხლი სდის.

– ფუუ, – ზიზღით წარმოთქვა რუსლანმა.

– მართლაც, აგრძელებდა ვითარების დაძაბვას ჟენია, – ეს სანახაობა სუსტი ნერვების მქონეთათვის არ არის.

– ვინ დაუშავა ასე? – სიბრალულის ტონით წარმოთქვა სლავიკმა.

– განა ცოტაა „ბუნების მოყვარული“? – შავი იუმორით მიუგო ჟენიამ. – საითაც არ გაიხედავ, ყველგან მანიაკები დადიან ნაპირზე. სულ მსხვერპლის ძიებაში არიან... – და ქვიშაში ჩამარხული ბიჭის შებოჭილ მდგომარეობას რომ დახედა, დაამატა: – განსაკუთრებით უმწეო მსხვერპლს.

– ჰო, – გაეცინა კოსტიკას ჩვენთან ერთად. – შენ ეხლა მოგვიყვები! ამას ჰქვია, „მოიხადეთ ქუდი და ყურები კარგად გამოიფხიკეთ“.

ჟენიამ შემაფასებლად გახედა კოსტიკას თავს სკულპტურის საერთო კომპოზიციაში და მის თვალებში გაიელვა ცელქმა მზერამ.

– ეს კი იდეაა, – ჩაიჩურჩულა ბიჭმა და როგორც საქვიშე საქმეების ჭეშმარიტმა ოსტატმა დაიწყო სასაცილო იდეებით ჩვენი, ისედაც კომიკური „მუტანტის“ შემკობა.

როცა წყლიდან სენსეი და ნიკოლაი ანდრეევიჩი ამოვიდნენ, ჩვენი კოლექტივი უკვე იმყოფებოდა დაუცხრომელი, შეუკავებელი სიცილის მდგომარეობაში, თანაც, არა მხოლოდ „მაყურებლების“, არამედ ამ სკულპტურისათვის თვით მპოზირებლების. ეს უკანასკნლენი ხარხარებდნენ ყველაზე მეტად და ირყეოდნენ, თითქოს ახალგაღვიძებული ვულკანები, რის გამოც „ხელოვნების ნიმუშს“ აქა–იქ უცვიოდა დეტალები. თუ გავითვალისწინებთ ჟენიას კომენტარებს ამასთან დაკავშირებით, შეიძლება წარმოიდგინოთ, როგორ აცრემლებულ–ახარხარებულ მდგომარეობაში მოგვისწრეს სენსეიმ და ნიკოლაი ანდრეევიჩმა წყლიდან ამოსვლისას. თუმცა, ამ კოლექტიური ქმნილების მისამართით რამდენიმე სასაცილო ხუმრობით ისინიც სწრაფად შემოუერთდნენ ჩვენს სიმხიარულეს. ნიკოლაი ანდრეევიჩი კი, საერთოდ, სკულპტურისათვის ჟენიას დანამატების მიხედვით, რომლითაც ეს უკანასკნელი თავს იწონებდა, ხუმრობით დაუსვა მას ერთმნიშვნელოვანი „დიაგნოზი“ და აღწერა მისთვის დამახასიათებელი ყველა სიმპტომი.

როცა დასრულდა მთელი ეს უწყვეტი სიცილი და ქვიშიდან ამოთხრილი ხელოვნების „მსხვერპლნი“ საბანაოდ წავიდნენ, სტასმა მოკლედ უამბო სენსეისა და ნიკოლაი აბდრეევიჩს მათი აღმოჩენის შესახებ. სენსეის გვერდით მდგომი ჩვენი ფსიქოთერაპევტი თავიდან გარკვეული დაძაბულობით უსმენდა ახალგაზრდას, მაგრამ შემდეგ ცოტა მოდუნებულმა წარმოთქვა:

– მე კი მეგონა...ისე სტვენდით ნაპირიდან, თითქოს მთელი თქვენი ეკიპაჟი ჩაიძირაო.

– ეს ამ ოხერმა შეგაშინათ, – დამნაშავე ღიმილით გაიქნია თავი სტასმა ჟენიასკენ.

– მართალია, – დაუდასტურა ანდრეიმ, რომელიც ისმენდა მათ საუბარს, – ვარჯიშობდა აქ ჩვენი ყურების გამოსაცდელად.

ჟენიამ თვითკმაყოფილებით გაიღიმა და გაიქნია ხელი ანდრეისკენ.

– ეჰ, სოფელო! არაფერი გესმით ჩვენს აკუსტიკურ ხელოვნებაში.

ისევ გაეცინა ყველას. სენსეიმ კი გაიღიმა და თქვა:

– წამოდით, მიჩვენეთ, თქვენი დელფინი.

სტასი, ჟენია, სენსეი და ნიკოლაი ანდრეევიჩი გაემართნენ. ამ დროს წყლიდან ამომავალმა რუსლანმა ჰკითხა იურას:

– შენ დელფინი ოდესმე გინახავს?

– არა.

– მეც არა. წავიდეთ ჩვენც, ვნახოთ.

– წავიდეთ.

ისინი აჩქარდნენ სენსეის დასაწევად. მათ კი უკან დაედევნა არანაკლები ცნობისმოყვარეობით შეპყრობილი მთელი ჩვენი კომპანია . ნიკოლაი ანდრეევიჩი შემოტრიალდა და იხილა რა ასეთი მასობრივი ლაშქრობა, შეჩერდა.

– ბიჭებო, ბანაკში ვინ დარჩება?

– ვისგან უნდა დაიცვა იგი? – ყველას მაგივრად პასუხი ანდრეიმ გასცა. – მაინც არცერთი ცოცხალი სული ირგვლივ არ არის...

– მარტოსული მანიაკის გარდა, – შემაშინებელი „კადრსმიღმა“ ხმით დაიძახა ჟენიამ. ყველას გაეცინა, ნიკოლაი ანდრეევიჩმა კი კითხვის გამოხატვით გახედა სენსეის.

– არა უშავს, – მიუგო მან უსიტყვო შეკითხვას.

– მანქანები?

– კარგი შენც, ეს ხომ მხოლოდ რკინაა. თუ რამე მოხდა, ფეხით ჩავალთ ქალაქამდე.

– და მართლაც, – მხიარულად დაუჭირა მას მხარი ექიმმა და გადაერთო სენსეის განწყობაზე. – მით უმეტეს, რომ სიარული ჯანმრთელობას უხდება!

დაახლოებით 20 წუთიანი ფეხით სვლის შემდეგ შევნიშნეთ სანაპიროზე გამოთრეული გასაბერი ნავი, იქვე კი ცხოველის უძრავი სხეულის გვერდით მჯდომი ვალოდია და ვიქტორი და სიბრალულისგან ასველებდნენ მას ზღვის წყლით, თუმცა უკვე ცხადი იყო, რომ ეს დელფინს ვეღარ უშველიდა. ეს უკანასკნელი იწვა ქვიშაზე, თავით ნაპირისკენ. სანაპიროს ზღვის ტალღები ძლივს აღწევდნენ სხეულის კუდამდე.

მისვლისთანავე მდუმარედ შემოვევლეთ გარს ამ უჩვეულო არსებას და პირველი, რამაც გამაოცა მასში იყო ნაპრალისებრი მუქი თაფლისფერი თვალები. ისინი გაშეშებულიყვნენ მდუმარე, სასტიკი ტკივილისა და ტანჯვის გამოხატვაში, როგორც უდიდესი უბედურებაგამოვლილი ადამიანი. მისი მუქი, თითქმის შავი ფერის, მზეზე წყლისგან მობრჭყვიალე ზურგი, აჩენდა სიცოცხლით სავსე სხეულის ილუზიას. თეთრი მუცელი და ლამაზი შავ–თეთრი ზოლები გვერდებზე კონტრასტულად გამოიკვეთებოდა იდეალურად გლუვ კანზე. ღია უბნები მოჩანდა სიმპათიური დრუნჩის ირგვლივ ოდნავ გამოშვერილი ქვედა ყბით. ტანზე გვერდით, ოდნავ თავის ქვეშ ჰქონდა ნაჩხვლეტი ჭრილობა, საიდანაც უკვე ძლივს მოდიოდა სისხლი. დელფინის „მუდამ გულთბილი“ ღიმილი არარეალური ჩანდა ასეთი სასტიკი სიკვდილის სარეცელზე. ამ უწყინარ, კეთილმეგობრულ არსებაზე ყურებით და დახმარების ვერ აღმოჩენის გაცნობიერებით გული სიბრალულისაგან შეიკუმშა

– ეს ვინ ჩაიდინა? – დერლფინის ყურებისას სევდით იკითხა ანდრეიმ.

– როგორც ჩანს მეთევზეებმა ბარჯით დაარტყეს, – მიუგო სენსეიმ, ჭრილობის დათვალიერებისას.

– ღმერთო, რისთვის?! – სიბრალულისაგან აღმოხდა ტატიანას.

– ზოგჯერ დელფინები მეთევზეებს ნათევზავებს ჰპარავენ, გემსართავებს უფუჭებენ. მაგრამ დელფინი, მხოლოდ და მხოლოდ ცხოველია. ის მიცურავს იქითკენ, სადაც ნადავლია. ადამიანები კი...–სენსეიმ მძიმედ ამოიოხრა და მზერა რამდენადმე გაუმკაცრდა, – ამისათვის მათ კლავენ.

სენსეი დადუმდა, ჩემში კი ამ დროს აღიძრა სხვადასხვა გრძნობების მთელი ნაკადი. ყელში რაღაც ბურთი გამეჩხირა, თვალებს კი ცრემლები მოაწვა. რომელმა ცხოველმა, სხვაგვარად ამ ადამიანს ვერ უწოდებ, ასწია ხელი ამ სესანიშნავ ქმნილებაზე? ეს ხომ დელფინია, დედამიწის

სრულუფლებიანი, ოკეანის მკვიდრი. მისი „სახლი“ ბევრად მეტია ჩვენსაზე. ჩვენ ადამიანებს მათი მოკვლა კი არა, არამედ ამ კეთილმოსურნე არსებებისგან მათი საოცარი მეგობრულობის, ბუნებრივი სიმხიარულის, სიცოცხლის ჰარმონიის სწავლა გვმართებს. ისინი ხომ, მიუხედავად იმისა, რომ გარეული ცხოველები არიან, არასოდეს ცდილობენ ბუნებისგან იმაზე მეტის აღებას, ვიდრე სჭირდებათ არსებობისათვის, არასოდეს ცდილობენ ვიღაცის ან რაღაცის დატაცებას. ისინი მშვიდობიანად თანაარსებობენ მსოფლიო ოკეანის „მაცხოვრებლების“ უდიდეს სახეობრივ სხვადასხვაობასთან და არა უბრალოდ არსებობენ, არამედ მათი სიცოცხლისადმი სიყვარულის გათვალისწინებით, ეჭვიც არ მეპარება ამაში, შეუძლიათ დატკბნენ ყოველი გამოვლილი წუთით.

ჩემი აზრით, ჩვენს „ცივილიზებულ“ პროგრესზე გამოდევნებაში, რომელიც მოითხოვს სულ უფრო მეტ ბუნებრივ მსხვერპლს, ჩვენ ვკარგავთ ჩვენს ადამიანურ სახეს, პირველ რიგში საკუთარ თავს, სულიერს ვკარგავთ. გაუმაძღარი, გაუთავებელი მოთხოვნილებებით ვადიადებთ ეგოს, ვემსგავსებით არა მხოლოდ დედამიწის, არამედ მასზე ყოველივე ცოცხალის, მათ შორის საკუთარი თავის მსგავსთა გამანადგურებელ მახინჯ, უსულო ცხოველებს. და ამას ნორმად მივიჩნევთ?! განა ამისთვის ვართ გაჩენილები ამ ქვეყანაზე? ცხოვრება – წამია. ყველას უნდა ამ წამის განმავლობაში ბედნიერი იყოს. უნდა, მაგრამ არ შეუძლია. რატომ? ბუნება გვაძლევს თავის მდუმარე პასუხებს ამ შეკითხვებზე თავისი ყოველდღიურობის ჰარმონიაში. მაგრამ ჩვენ ვაკეთებთ ყველაფერს პირიქით: დაკვირვების ნაცვლად – ვკლავთ, გონივრულად შექმნის მაგივრად – ვანგრევთ. ეს საშინელებაა – ცხოვრება ცხოველური ბუნებით და ფლობდე გონებას, სადაც ბატონობს ეგო. მარადიული ტანჯვები...არადა, ბედნიერება ხომ ასე ახლოსაა.

საჭიროა მხოლოდ სიკეთისკენ შემობრუნება და უბრალოდ ადამიანად გახდომა.

ბიჭები მდუმარედ იდგნენ და უყურებდნენ დელფინის სხეულს. სტასიც კი, რამდენად თავშეკავებული იყო იგი, მანაც ვერ გაუძლო ამ სანახაობას, ძლივს იკავებდა ემოციებს:

– გადამყროდა მე ეხლა ეს მეთევზე, ძალიან დიდ ხანს დაკარგავდა რაიმე სიმძიმის ხელში აღების სურვილს...

– ...და სულელურის თავში გაელვების სურვილსაც, – ასეთივე ტონით დასძინა ვიქტორმა.

– სიძულვილი – ცუდი მრჩეველია, – ჩაფიქრიანებულმა უპასუხა სენსეიმ.

– ვინ ლაპარაკობს სიძულვილის შესახებ, – აიჩეჩა მხრები ჟენიამ. – ჩვენ მას სიყვარულით დავჟეჟავდით გვარივნად, ისეთნაირად, რომ იგი არა თუ ხელს ასწევდა დელფინზე...იგი წყალს 7 ვერსის მანძილზე აუვლიდა გვერდს, პირსაბანამდე გზას დავავიწყებდით.

– აბა, აბა, შენ ჩვენო „ტოლერანტულო“, – ძლივს შესამჩნევი ღიმილით წარმოთქვა სენსეიმ და მცირეოდენი დუმილის შემდეგ დასძინა: – სერიოზულად თუ ვიტყვით, შენ, რა თქმა უნდა, რაღაცაში მართალი ხარ, **თუ იქნები ბოროტების მიმართ შემწყნარებელი, ვერც კი შენიშნავ, როგორ გაგიცივდება გული სიკეთისადმი. თუმცა, ბოროტების დასჯისას, საჭიროა დროზე შეჩერება. მხოლოდ ამგვარად შეძლებ შენს შიგნით ჩასაფრებული საფრთხის თავიდან აცილებას. გამარჯვებული არ ამაყობს, არ ძალადობს, არ ზეიმობს. ის იმარჯვებს... და პირველ რიგში, საკუთარ თავზე. ასე რომ, ბოროტების დასჯისას, საჭიროა გახსოვდეს სიკეთის შესახებ**.

ბიჭებმა მოუსმინეს სენსეის და კვლავ ჩაქინდრეს თავები დელფინის სხეულზედ.

– მოდით, დავმარხოთ ეს საბრალო, თუ რა ვქნათ, – შეგვთავაზა ჟენიამ მცირე დუმლის შემდეგ, თითქოს ცდილობდა სენსეის წინაშე რეაბილიტირებას.

– მართალია, – ანდრეიმ დაუჭირა მას მხარი. – ახლავე ნიჩაბს მოვიტან...

– რა საჭიროა ნიჩაბი? – შეეპასუხა ჟენია. – ბევრნი ვართ, უფრო სწრაფად ხელებით გამოგვივა სამარის გათხრა ქვიშაში. რა დიდი საქმე ამას უნდა?

და, თითქოს თვისი სიტყვების დასტურად, ჟენიამ ხელების რამდენიმე ფართო ქნევით მოხვეტა საკმაოდ ქვიშა, როგორც დიდჩამჩიანმა ექსკავატორმა და გვიჩვენა, როგორ სწრაფად კეთდებოდა ეს. სენსეიმ კი ჟენიას „ქვიშის სამუშაოების“ დროს ხელებით დააგროვა წყალი და დაასხა დელფინს. შემდეგ ნაზად დაუწყო თავზე ფერება და ამასთან, რაღაცას დასჩურჩულებდა:

– რად გინდათ მისი დამარხვა ხმელეთზე? – ის მეზღვაურია. მისი მშობლიური სტიქია – ზღვაა...

– რა, აი ასე გადავაგდოთ ზღვაში? – გაოცდა ჟენია. – მოდით, უმჯობესია ქვიშაში დავფლოთ, ყოველ შემთხვევაში მას თევზები მაინც არ შეჭამენ. აქ იგი მშვიდად განისვენებს...ჩაცუცქულმა სენსეიმ გახედა მას და გაეღიმა, რისგანაც ჟენიამ, კვლავ იგრძნო, რომ რაღაც წამოროშა, გონებააბნეულად დაამატა: – ჩვენი ძვირფასი ამხანაგი.

ასეთი რეპლიკით მან ბიჭებში ღიმილი გამოიწვია, რომელიც მათ შეეცადნენ, დაემალათ, ვინაიდან მომენტი ამისათვის, აშკარად უდროო იყო.

სენსეიმ არაფერი უპასუხა ჟენიას. მან დაიწყო დელფინის თავის წამოწევა, ჩაავლო ორივე ხელი.

– აბა, ნიკოლაი ანდრეევიჩ მომეხმარე...

დასახმარებლად, ნიკოლაი ანდრეევიჩის გარდა,უმალვე დაიძრნენ სხვა ბიჭებიც, ჟენიას ჩათვლით. თუმცა სხეულის გადასატანად სავსებით საკმარისი აღმოჩნდა სენსეი, ნიკოლაი ანდრეევიჩი და ვალოდია. „სამგლოვიარო ექსკორტი“ ზღვისკენ დაიძრა. ჩვენი კომპანიის ნაწილი ნაპირზე დარჩა, დანარჩენი, ჩემი პიროვნების ჩათვლით, მივყვებოდით თან. როგორც კი წყალი წელამდე გვწვდა და დელფინის სხეული სანახევროდ წყალში აღმოჩნდა, სენსეიმ უთხრა თავის თანაშემწეებს:

– წადით, ახლა კი მე თვითონ. წყალში იგი უფრო მსუბუქია...როცა კაცები გადასცემდნენ სენსეის დელფინის სხეულს, შევნიშნე, რომ სენსეიმ არა უბრალოდ შემოავლო მას ხელები. ჩემს გასაოცად, მან მარცხენა ხელისგული დაადო პირდაპირ ჭრილობას, თითქოს დამალაო იგი ცნობისმოყვარე თვალებისგან. მარჯვენა ხელით კი ზემოდან შემოავლო ცხოველის ზურგს ხელი და დელფინის სხეულის წყალში სანახევროდ ჩაძირვის შემდეგ მასთან ერთად გაემართა სიღრმეში. ჩვენ კი დავრჩით ადგილზე.

სენსეი ნელა და ფრთხილად მიდიოდა, თითქოს მის ხელებში იყო არა მკვდარი დელფინი, არამედ პატარა ბავშვი, რომელიც ნაზად ეჭირა და მოთმინებით ასწავლიდა ცურვას. ისინი თანდათანობით გვშორდებოდნენ ზღვაში. მოხლოდ მაშინ, როცა წყალი სენსეის მკერდამდე სწვდა, იგი გაჩერდა. გავიფიქრე, რომ ახლა იგი უჯიკავებს სხეულს სიღრმეში და იგიც ჩაიძირება ფსკერზე. საშინლად შემეცოდა ეს დელფინი. იმ სამწუხარო ვითარების მიუხედავად, რომლის წყალობითაც შევძელით გვენახა ბუნების ეს საოცარი ქმნილება და ჩვენი შეხვედრის დროის სიმცირისა, მაინც ეს დელფინი მომეჩვენა რაღაცნაირად ახლო და ალალი. ჩემში იშვა უჩვეულო გრძნობა ამ ცხოველისადმი, რომლის ზუსტად გადმოცემა სიტყვებით შეუძლებელია, თითქოს მისი სიცოცხლის დროინდელი უბედურება ჩემი უბედურება იყო და მისი ტკივილი – ჩემი

ტკივილი. რაღაც უხილავი ერთიანობის ამ გაუგებარმა შეგრძნებამ დაიწყო ჩემი გადავსება შიგნიდან. თვალები დავხუჭე, შემეშინდა რა წყალში მისი ჩაძირვის მომენტის ნახვის და გავიფიქრე, აჯობებს მეხსიერებაში ჩამრჩეს სენსეისთან მისი „მოგზაურობის“ სურათი. მაგრამ, რაღაც დროით თვალების დახუჭვის შემდეგ, მოულოდნელად გავიგონე ტატიანას გაოცებული ხმა:

– ის რა, ცოცხალია?!

გავახილე თვალები და გაოცებით დავინახე, რომ ჩემი მეგობრები ცნობისმოყვარეობით თვალს ადევნებდნენ სენსეისა და დელფინს, რომელიც ჯერჯერობით სენსეის ხელებში იყო. წყალი, სადაც იმყოფებოდა დელფინის კუდი, ტალღისებურად ამოძრავდა. ჯერ ვიფიქრე, რომ მომეჩვენა. მაგრამ რამდენიმე წამის შემდეგ ტალღის შეძრა კვლავ განმეორდა, თანაც ბევრად უფრო ძლიერ. ამას უკვე ვერაფერში აურევ. ბიჭებმაც იგივე შენიშნეს. ჩვენ გახარებულებმა წამოვიყვირეთ:

– უყურეთ, იგი ცოცხალია! ჩვენი ხმაურით ყურადღებამოპყრობილი და ნაპირზე დარჩენილი ბიჭები შეეცადნენ ჩვენთან მოსვლას. ჩვენ კი გვინდოდა სენსეისთან მიახლოება. მაგრამ ნიკოლაი ანდრეევიჩმა გაგვაჩერა ყველანი.

– ჩუმად, ნუ ხმაურობთ. იდექით ადგილებზე. ნუ შეაშინებთ მას...

ჩვენი კომპანია გაირინდა, აღფრთოვანებით ადევნებდა თვალს მომხადრს. დასაწყისში დელფინის მოძრაობები იყო სუსტი, თითქოს ნელ–ნელა მოდიოდა გონზე ღრმა გონმიხდილობის შემდეგო. მაგრამ ცოტაოდენ მოგვიანებით ისინი უფრო თამამი და ინტენსიური გახდა. გასაოცარი იყო ისიც, რომ ეს გარეული დაჭრილი დელფინი, რომელმაც გაუძლო გაუგონარ ტკივილს მისი მკვლელი ადამიანისგან, არც კი ცდილობდა სენსეის ხელებიდან დაღწევას, თუმცა ეს უკანასკნელი მას მხოლოდ წყალში ჩაძირვის საშუალებას არ აძლევდა. პირიქით, გამოცოცხლებული მოძრაობების მიხედვით, დელფინი თითქოს ივსებოდა ცხოვრებისეული ძალებით. როგორც ჩანს, ამის რაღაცნაირად გაცნობიერების შემდეგ, იგი არ ცდილობდა მზრუნველი, კეთილი ხელებიდან დასხლეტას.

რამდენიმე წუთის შემდეგ დელფინმა წყლიდან ამოიქნია თავისი ბრტყელი, ფორმით, ზვიგენის მსგავსი, მხლოდ მინიატურული კუდი, სასაცილოდ დაჰკრა წყლის ზედაპირს და ჩაყვინთა. სენსეისგან ახლომახლო ამოყვინთა, შემოტრიალდა მისკენ გვერდით და რაღაც დროის განმავლობაში დამოუკიდებლად ახდენდა წყალზე ბალანსირებას, ამასთან აკვირდებოდა, ვის ეკავა იგი ხელებში ამას წინათ. სენსეიც გაშეშდა, დელფინის ყურებაში. რამდენიმე ხნის შემდეგ, როგორც ჩანს, როცა ეს მდუმარე დიალოგი დასრულდა, დელფინი შემოტრიალდა და ნელა გასცურა ღია ზღვის მიმართულებით. ჩვენი მოლოდინების საპირისპიროდ, იგი მეტი არ ყვინთაობდა და ცდილობდა წყლის ზედაპირზე ცურვას. სენსეიმ კი გააცილა იგი მზერით ცატაოდენი, შემდეგ ჩაყვინთა, გადაისწორა თმები და დაბრუნდა ნაპირზე.

როცა ჩვენ უკვე ყველანი შევგროვდით ნაპირზე, ვიქტორმა შენიშნა:

– რაღაც სუსტად მიცურავს. რამდენადაც ჩემთვის ცნობილია, დელფინები – სწრაფმავალი ქმნილებაა.

რაზეც ჟენიამ პასუხი გასცა მის საყვარელ სოფლურ დიალექტზე:

– შენთვის რომ ბარჯით ასე ეთავაზებინათ, ვნახავდი, როგორ გაცურავდი...კიდევ კარგი, რომ ასე მაინც აბუქსირებს თავის სხეულს.

– კი, ჯერ სუსტია, – ჩაფიქრებულად წარმოთქვა სენსეიმ, გააყოლა თვალი ნახევარმთვარის ფარფლიან შავ სილუეტს, რომელიც ნელა ქრებოდა ზღვის ჰორიზონტზე და პერიოდულად იკარგებოდა ტალღებს შორის.

– მეც ხომ ამას ვკითხულობ, გადარჩება კი? – საქმიანად ჩაიჩურჩულა ჟენიამ.

– ენა მოიკვნიტე, არ გათვალო, – შესთავაზა სტასმა მას. ჟენიამ მაშინათვე მიიღო მისი რჩევა. ცრურწმენის რიტუალის მიხედვით სამჯერ გადააფურთხა მარცხენა მხარს ზემოდან, მოიხადა ქუდი და ხის ნაცვლად თავის თავზე დაიკაკუნა სამჯერ. სტასმა ამ მოძრაობების დანახვაზე გაიცინა:

– ხეს უნდა შემოკრა, ხეს.

– ხე ხომ მხოლოდ ხეა, – ისეთი ტონით წარმოთქვა ჟენიამ, თითქოს ეს მხოლოდ და მხოლოდ ცხოვრებისეული წვრილმანი ყოფილიყო.

ჩვენ გაგვეღიმა. სტასმა კი ჩაიქნია ხელი მისკენ და მოგვმართა:

– მოგვეხმარეთ ნივთების მითრევაში, თორემ თევზაობის სურვილი საერთოდ გაქრა.

მეორეჯერ გამოერება არ გვჭირდებოდა. ყველა ერთსულოვნად წავიდა ანკესების, ზურგჩანთების ასაღებად ნავის დასაცლელად. თვით ნავი კი ბიჭებმა წყალმარჩხზე თოკით წამოათრიეს, როგორც ბურლაკებმა ნაპირის გასწვრივ.

სანამ ჩვენ ვემზადებოდით ნივთების წასაღებად, ამასობაში ამოვარდა ძლიერი ქარი. წასვლის წინ კვლავ გავხედეთ ზღვას და ვეძებდით ჩვენს დელფინს. მაგრამ იგი არსად ჩანდა წარმოქმნილ ტალღებს შორის. ქარის ხმაურში გაისმა წყალს ზემოთ მოტრიალე თოლიის სევდიანი კივილი...სამწუხაროდ, ამ ცხოვრებაში ყველაფერს აქვს დასაწყისი და დასასრული.

თავები ჩავქინდრეთ. ცხადია, არავის უნდოდა დაეჯერებინა, რომ ჩვენი, თითქმის გამოცოცხლებული დელფინი ჩაიძირა, თუმცა საღი აზრი გვკარნახობდა საპირისპიროს. გარკვეული ხანი მდუმარედ ვიარეთ, სულ ვიყურებოდით იმედით იქითკენ, სადაც ბოლოს დავინახეთ დელფინი. მაგრამ ყოველ ჯერზე მწუხარებით თვალებს ვხრიდით ქვიშისკენ, ფეხებქვეშ.

– არა, ბოლოს და ბოლოს, – პირველმა ჟენიამ ვერ გაუძლო ამ ტოტალურ, დამამწუხრებელ სიჩუმეს. – დელფინები ხომ არ იძირებიან. ეს ხომ თევზია!

– იძირებიან, – მშვიდი ხმით უპასუხა სენსეიმ, რომელშიც არ ყოფილა არანაირი ემოციის მინიშნება. – არის შემთხვევები, როცა ისინი იძირებიან წუთის განმავლობაში, განსაკუთრებით, როცა არიან აღგზნებული, შეშინებული. მაგრამ თუ ისინი იძირებიან – ეს სწრაფად ხდება...და თუ ბოლომდე გულახდილები ვიქნებით, დელფინი – ეს საერთოდ თევზი არ არის, არამედ, ადამიანის მსგავსად, თბილსისხლიანი ძუძუმწოვარი. მათ აქვთ განვითარებული ტვინი. სხვათა შორის, დელფინის თავის ტვინის ქერქს ადამიანის ქერქთან შედარებით დიდი ფართობი აქვს.

– შესაბამისად კი მეტი ტვინის ხვეული აქვს, ზოგ ჰომოსაპიენსთან შედარებით, – ხუმრობით დასძინა ნიკოლაი ანდრეევიჩმა და გადახედა ჟენიას.

სენსეის გაეღიმა და განაგრძო:

– და ადამიანის მსგავსად, დელფინები რეაგირებენ სხვადასხვა სიტუაციაზე, სტრესულის ჩათვლით. მათაც ახასიათებს შიში.

– მაინც ვერ გამიგია, როგო შეიძლება ისინი იძირებოდნენ? – აიჩეჩა მხრები ჟენიამ, ან სინამდვილეში ვერ აცნობიერებდა, ან თავს იკატუნებდა.

– ჩვეულებრივად, – მიუგო სენსეიმ. – ისინი უბრალოდ იხრჩობიან ადამიანებივით. თუ დელფინი სტრესულ მდგომარეობაშია, წყლის მოხვედრა ნესტოების გავლით ფილტვებში საკმარისია რომ დაიხრჩოს...

– ნესტოების გავლით? – შეეკითხა რუსლანი. – ეს რაღაც ადამიანის ნესტოს მსგავსია?

– კი მასეა, მაგრამ განთავსებულია თავის ყველაზე ზედა ნაწილში და იგი პირდაპირ უერთდება ფილტვებს.

– მაგარია! ცხვირს დააცემინებ და ზღვა ირგვლივ მოისვრება... – რუსლანმა არ დაასრულა, შესთავაზა რა უხალისოდ მომღიმარ საზოგადოებას თავად დაესრულებინა მისი „გენიალური ვარაუდი“.

– საინტერესოა, როგორ ახველებს იგი წყალში? – დაინტერესდა ანდრეი.

– არანაირად. დელფინები არასოდეს ახველებენ.

– როგორ გაუმართლათ...ამ თბილსისხლიან ძუძუმწოვრებს, – შურით წარმოთქვა ვიქტორმა, რომელსაც დილიდან აწუხებდა ხველება. – ალბათ, ისინი არასოდეს ცივდებიან.

– და რატომ არ ვარ მე დელფინი? – ოცნებით წარმოთქვა ჟენიამ.

– ცდები, – უპასუხა სენსეიმ ვიქტორს. – ისინი ისევე ავადმყოფობენ, როგორც ჩვენ. მეტიც, ჩვენ მათთან იდენტური, რესპირატორული დაავადებების გამომწვევი მიკროორგანიზმები გვაქვს. აი ჩვენგან განსხვავებით, დელფინებს ძალიან ცუდად გადააქვთ გაციება. მათში იგი, ხშირ შემთხვევაში, გადადის ფილტვების ანთებაში, რაც თითქმის ყოველთვის მთავრდება ცხოველის სიკვდილით.

ჟენიას სახეზე აესახა უდიდესი გაკვირვება:

– მართლა? მაინც, კარგია, რომ დელფინი არ ვარ.

– თუკი ისინი წყლისგან იხრჩობიან, მაშ როგორ ცხოვრობენ იქ? – დაინტერესდა კოსტია.

– იღუპებიან ისინი მხოლოდ ძალიან დიდი სტრესების შედეგად, როცა ვარდებიან პანიკაში, პრინციპში ისევე, როგორც ადამიანები. ისე კი, ისინი მეტად მორგებულად ცოცხლობენ გარემოსთან, მათ ისეთი კუნთური და საჰაერო სასარქვლე სისტემა აქვთ, რომელიც იდეალურად მუშაობს ყველაზე მძიმე გარემო პირობებში.

– ჰოო, – ამოიოხრა ნიკოლაი ანდრეევიჩმა. – ამას ჰქვია, შიში ყველას ათანაბრებს. – მცირე დუმილის შემდეგ ჰკითხა სეინსეის: – მოიცა, გამოდის, რომ დელფინებში აპნოეს – სასუნთქი გზების გაჩერებისას – მნიშვნელოვანია ფსიქოლოგიური ფაქტორი, როგორც ადამიანებში?

– სრულიად მართალი ხარ.

– აპნოე? – გაიკვირვა რუსლანმა. – ეს რა არის?

ჟენიამ ჩიხითხითა:

– შენ რა...აპნოე არ იცი? ეს ხომ სუნთქვის შეკავებაა. მეც კი ვიცი ამის შესახებ!

რუსლანმა შეხედა ნავში ჩადებულ აკვალანგებს და მრუდე ღიმილით წარმოთქვა:

– როგორ არ უნდა იცოდე?

– არაფერი უშავს, – გაამხნევა იგი სტასმა. – იყვინთავებ ჩვენთან ერთად და გეცოდინება.

– უჰ, თავით ქვიშაში, – დაამატა ჟენიამ სიცილით და სტასს გადახედა. მათ ერთად გაეცინათ, სავარაუდოდ, გაახსენდათ რაღაც სასაცილო შემთხვევა თავიანთი წარსულიდან. რუსლანმა კი ნაწყენად ჩაილუღლუღა:

– მე რა, სირაქლემა გგონივარ?

– თუ არადა, ე.ი. იქნები, – უღვარძლოდ განაცხადა ჟენიამ და ისევ სტასს გახედა.

ბიჭებმა იგრძნეს აშკარა ხრიკი მის სიტყვებში და მოითხოვეს გამოეაშკარავებინათ რა იმალებოდა მათ ამ ხითხითში. მათ გვიამბეს ისტორია თავიანთი პირველი წარუმატებელი ცდების შესახებ ყვინთვის სწავლის პროცესში. ზოგადად, არაფერი განსაკუთრებული, მაგრამ, რა თქმა უნდა, ჟენიას ინტერპრეტაციაში ეს მეტად კომიკურად გამოიყურებოდა. ბოლოს სტასმა წარმოთქვა:

– მაგარია, ადამიანს დიდი ხნით რომ შეეძლოს წყლის ქვეშ ყოფნა დამატებითი საშუალებების, აკვალანგების გარეშე.

– ეს სავსებით რეალურია, – სხვათა შორის შენიშნა სენსეიმ. – ადამიანის ტვინი დაპროგრამებულია ბევრ რამეზე. უბრალოდ, საჭიროა ამ შესაძლებლობების გამოყენება...აბა, რა არის ადამიანის სუნთქვა? ეს არის ჰაერის ჩასუნთქვისა და ამოსუნთქვის მონაცვლეობა. აღნიშნული პროცესი ხდება დიაფრაგმისა და სანეკნე კუნთების შეკუმშვის ხარჯზე, რისი წყალობითაც იცვლება გულმკერდის მოცულობა. გაზების ცვლა ხორციელდება ფილტვების ალვეოლების დონეზე სისხლის გამდიდრებით. სისხლს გადააქვს ჟანგბადი უჯრედებში და იქედან გამოაქვს ნახშირორჟანგი. რით ხდება ამ სუნთქვის რითმის რეგულირება? დაგრძელებულ ტვინში განთავსებული სუნთქვის ცენტრით. სწორედ აქ დევს „სიჩქარეების გადართვის“ ოქროს გასაღები.

– პროგრამების თვალსაზრისით? – ჩაილაპარაკა კოსტიკამ.

– რა თქმა უნდა.

– ჟენიამ თვითკმაყოფილებით გაიცინა:

– ჰო, გასაღები კი, იმ ზღაპრისა არ იყოს, დევს თავისთვის მშვიდად და არავინ იცის, სად მდებარეობს ის. ხოლო, ვინაც იცის, ის დუმს, რამეთუ თვითონ ვერ წვდება იმ საკლიტეს.

– გეშლება, – გაეღიმა სენსეის. – ვისაც უნდა, ის ყოველთვის იპოვის...და მიწვდება კიდეც. ეს სუნთქვის შეკავების პრაქტიკა ბევრია. საჭიროა მხოლოდ ძიება, დაუზარლობა და არა ზღაპრების მოყოლა იმის შესახებ, რომ არაფერი არ არსებობს და მხოლოდ იმიტომ, რომ თურმე შენთვის არ არის ცნობილი. აი მაგალითისათვის, იოგაში არის სუნთქვაზე კონტროლის დამყარების პრაქტიკა. ეწოდება პრანაიამა. თუმცა თავდაპირვანდელ ვარიანტში იგი მიეწოდებოდა სწორედ, როგორც ადამიანის ერთერთი უძველესი რეფლექსთაგანის – „ჩაყვინთვის რეფლექსის“ გაღვიძების ინსტრუმენტი, თანაც, არა იმდენად, როგორც წყალში, რამდენადაც საკუთარი ცნობიერების სიღრმეებში, სადაც ადამიანი თანდათან უახლოვდებოდა სულის სათავეს. ამჟამად ეს პრაქტიკა რამდენადმე სახეცვლილია და გაბერილია მთელ სწავლებამდე, სადაც იოგები ძირითადად ძალასა და ენერგიას ხარჯავენ სუნთქვის კონტროლის სასწავლებლად, ორგანიზმში ზოგი პროცესის, მაგალითად ჭრილობების შეხორცების დასაჩქარებლად, ან ზოგადი მეტაბოლიზმისა თუ გულის შეკუმშვების შესანელებლად...ეს, რა თქმა უნდა, ასევე კარგია, ადამიანი თუნდაც ასეთი ხერხით სწავლობს თავისი აზრების კონტროლირებას. მაგრამ ადამიანების მიერ ზედმეტად

დანაწევრებული შეიქნა ერთი მთლიანი და გართულებული მარტივი. ამიტომაც, ამ პრაქტიკით მეცადინე დღევანდელი ადამიანი უყურებს წილადს და ჰგონია, რომ სწორედ ეს არის მთლიანი...და ახლა უკვე უშუალოდ ჟენიასთვის მიმართვით სენსეიმ თქვა: – ასე რომ, თუ გსურს უბრალოდ სუნთქვის შეჩერების სწავლა, შეგიძლია გამოიყენო ეს პრაქტიკა.

არჩევანი მდიდარია. ცნობიერების შეცვლილ მდგომარეობაში სუნთქვის შეკავების ტექნიკას ადამიანები ოდითგანვე ფლობდნენ. ეს პრაქტიკა შეიძლება ბევრგან შეგხვდეს: ტროპიკულ აფრიკაში, ჩრდილოეთ ამერიკაში, ლაპლანდიაში, კუნძულ ბალიზე. არაფერს ვამბობ თაობებიდან თობებზე, ზღვის ძღვენით მცხოვრები ადამიანების მიერ გადაცემულ ტექნიკებზე, მაგალითად იგივე, მარგალიტის მონადირეები.

ჟენიამ იფიქრა, იფიქრა და დაიწყო ხმამაღლა განსჯა.

– ისე კი საინტერესოა, რამდენი შეუძლია ადამიანს გაძლოს წყლის ქვეშ ჰაერის გარეშე? მაქსიმუმ ორი წუთი – და ისიც პროფესიონალ მყვინთავს. მხედველობაში მაქვს აკვალანგის გარეშე, – დააზუსტა ახალგაზრდამ.

ის მართლია, – დათანხმა ნიკოლაი ანდრეევიჩი. – შემდეგ დგება ანოქსია, მარტივად რომ ვთქვათ ჟანგბადოვანი შიმშილი, რაც თავის ტვინის ნივთიერებაში იწვევს შეუქცევად პროცესებს. ადამიანი კარგავს გონებას...

– ... და მორჩა, ალეს კაპუტი, – დაამთავრა ჟენიამ და მხარი დაუჭირა თავის „კომპანიონს“

– რაზეც სენსეი შეეპასუხა:

– ცნობიერების განსაკუთრებულ მდგომარეობაში უვარჯიშებელი ადამიანიც კი ბევრად მეტ ხანს გაჩერდება, ვიდრე ნებისმიერი პროფესიონალური მყვინთავი.

– კარგი რა, სენსეი, ეს მეტისმეტია, – არ დაიჯერა ბიჭმა.

– დავნიზლავდეთ? – აქვე შესთავაზა სენსეიმ და ამოუცნობად იცინოდა.

შენთან, სენსეი? არასოდეს, – უცებვე გადგა განზე ჟენია მათი მეგობრების საერთო ხარხარის ქვეშ. – მე თვითმკვლელს ვგავარ? მე ისედაც ვიცი, რომ შენსავით ამდენს ვერ გავძლებ წყლის ქვეშ.

– მე საკუთარი თავი არ მქონდა მხედველობაში, – დაამშვიდა იგი სენსეიმ. – აიღე ამ გვარდიიდან ნებისმიერი.

შერჩევის შესაძლებლობას მაძლევ? – ცბიერად გაიღიმა ჟენიამ და დაიწყო ჩვენი „გახვრეტა“ მზერით. აქ კი, თითქოს ჯიბრზეო, მოწყდა ჩემი პოლიეთილენის პარკის სახელური, რომელიც მიმქონდა.

უიმე, – გონებადაბნეულად წარმოთქვა ჩემმა პიროვნებამ და სწრაფად დაიწყო ქვიშიდან თევზსაჭერი ტვირთებისა და რაღაც ნივთების აღება.

გვერდით მომავალმა ანდრეიმ და ვალოდიამ დახმარება დაიწყეს. ჟენიამ კი თავის წაუგებელ „ობიექტზე“ ყურადღების მიტანით, თვითკმაყოფილებით წარმოთქვა:

– ავიღოთ, თუნდაც იგი და მიუთითა ჩემზე.

– როგორც გენებოს, – დათანხმდა სენსეი. – წინააღმდეგი ხომ არა ხარ? – შემეკითხა სენსეი.

მე კი, ჩემი მიამიტობის წყალობით ჩავთვალე, რომ ეს იქნებოდა რაღაც მომდევნო მხიარული გათამაშება, გადავწყვიტე დავყოლოდი სენსეის „სცენარს“. თავდაჯერებულ ჟენიაზე არაფრით ნაკლებად წარმოვთქვი:

– რა თქმა უნდა არ ვარ წინააღმდეგი. რაზეა ლაპარაკი? მე ხომ შთამომავლობით ვარ მყვინთავი მე–7 თაობაში. იცით, როგორ ყვინთაობენ ციმბირელები? ოჰო! როგორც ჩაყვინთავენ მთიან ალტაიში, შემდეგ კარის ზღვაში ამოყვინთავენ ხოლმე!

– ამოყვინთავენ თუ ამოტივტივდებიან? – გესლიანი ღიმილით დააზუსტა ჟენიამ.

– ნუ, ეს გააჩნია, ვის როგორ გაუმართლებს, – მივუგე მე.

ჩვენმა დიალოგმა ყველა გააცინა.

– მაშ, – ხელები მოისრისა ჟენიამ გამარჯვების წინასწარი ტკბობით. – რაზე დავნიზლავდეთ?

– რაზეც გნებავს! – მხიარულად მიუგო სენსეიმ.

– მაშინ... – დაიბნა ყმაწვილი.

– ბანაკში მორიგეობაზე, – უკარნახა მას სტასმა, ვინაიდან ახლოვდებოდა სწორედ მათი რიგი.

– სწორია, – მოეწონა ჟენიას. – ბანაკში მორიგეობაზე! ეს არის ყველანაირი ხვეტვა, ჭურჭლების რეცხვა, კოცონის ანუ კერის (ასე უწოდებდნენ ჩვენთან კოცონს) დანთება ნაპირზე და ბანაკური ყოფის სხვადასხვა მცირედ მოსაბეზრებელი ელემენტები.

– შევთანხმდით, – მიუგო სენსეიმ. – მივიდეთ ბანაკში და იქ მოვაწყოთ შეჯიბრება.

ხელები ჩამოართვეს ერთმანეთს, ხოლო ვალოდიამ „გაჭრა“ მათი ნიზლავი. ჩვენ განვაგრძეთ გზა. ჟენია კი თავისი აშკარა წარმატებით ფრთაშესხმული შეუდგა მოწინააღმდეგის „ფსიქოლოგიურ დამუშავებას“ და დაიწყო ჩემი მომზადება დალაგებისათვის, ჩამომითვალა ყველა სახის მომავალი სამუშაოები დაწვრილებით.

– იქნებ მტვერიც გადაგიწმინდო ლელქაშიდან? – სიცილით შევთავაზე მე, ამ სიმხიარულის მხარდასაჭერად.

– არა, როგორ გეკადრებათ, ეს ზედმეტია! – დაიწყო დელიკატურობა კმაყოფილმა ჟენიამ. – ჩვენ ხომ ბოლოს და ბოლოს ჯენტლმენები ვართ. შემოვიფარგლოთ ბანაკური ქაოსით. – და იქვე დასძინა: – თუმცა, თუ ქალბატონს ექნება შესაბამისი სურვილი, შეიძლება არა მხოლოდ ლელქაშიდან მტვრის გადაწმენდა. აი ის წუმპეც შეიძლება დალაგდეს.

ჟენიამ თავი ზღვისკენ გაიქნია და კიდევ ერთხელ ყველა ახარხარდა. ასე მივდიოდით კარვებამდე და ბიჭების სანაქებო ხარხარის თანხლებით ერთმანეთს ვუზიარებდით „დათმობებსა და თავაზიანობას“.

4

ჯერ კიდევ შორიდან შევნიშნეთ, რომ ჩვენი ბანაკი უჩვეულოდ გამოიყურებოდა, თითქოს დაფარულიყო თეთრი მოძრავი ნადებით. ჩვენ, რა თქმა უნდა, ვიცავდით სისუფთავეს, მაგრამ არა ასეთი თეთრი ქათქათა ფერის...ახლოს მისვლისთანავე დავინახეთ თოლიების „დიდი ნადიმი“. ჩვენმა მოულოდნელმა გამოჩენამ მათი მხრიდან გამოიწვია გაიძვერული შიში და პანიკური დაბნეულობა. თავიანთი თავაშვებული ნადიმისგან მოწყვეტილები, ისინი, როგორც ბრძანებით აფრინდნენ ზემოთ და გაუწიეს შინისაკენ, დატოვეს თავის შემდეგ ნარჩენების მთა. ასეთი გაუგონარი უტიფრობისაგან ჩვენი ჯგუფი გაოგნებას მიეცა.

ეს სურათი უნდა გენახათ. ყველგან ეყარა პარკები ბურბუშეულით, მაკარონებით, რომლებიც ამასთან, საგულდაგულოდ იყო შერეული ქვიშასთან. ერთგვარი ფრინველის სკინტლშერეული ქვიშიან–მარცვლოვან–მაკარონიანი საძირკველი. თეთრი დიუნებით იყო შემაღლებული

დაბნეული ფქვილის, მარილის, შაქრის გორაკები. მთელს, ამ დილის დარბევას ავსებდა აჟურული ხელსახოცები, რომლებსაც ქარი, თითქოს თამაშობსო, დააფრიალებდა მთელ სანაპიროზე. თუ, ამასთან, გავითვალისწინებთ ჩვენს ამასწინანდელ ნიზლავს, მაგალითად ჩემს პიროვნებას საერთოდ წაერთვა მეტყველების უნარი და რასაც ჰქვია „ხელები ჩამომეშვა“.

წუთიერი, სამარისებური დუმილის შემდეგ, რომლის დროსაც ზოგი გაოცებით, ზოგიც საშინელებით ათვალიერებდა ამ საოცარ პეიზაჟს სახელწოდებით „ქალაქგარე ნაგავსაყრელი“, ჟენიამ მოიფხანა კეფა და ანდრეის მიმართულებით ტრიუმფატორის ღიმილით წარმოთქვა:

– ესეც ასე. ამას ჰქვია „არცერთი ცოცხალი სული“?!

ანდრეიმ კი იჩქარა მოგერიება:

– ნამდვილად, შენი მანიაკი–მარტოხელას გარდა!

– ის, რომ იგი მარტოკა არ ყოფილა, ცალსახაა, – ხუმრობით შენიშნა ვიქტორმა და ათვალიერებდა დარბევის უამრავ ნაკვალევს. – ანაბეჭდების მიხედვით, ეს „თავკაცი“, როგორც ჩანს, ყოფილა ადგილობრივი ფაუნის წარმომადგენელი, რომელსაც, იმავდროულად გააჩნდა ოთხი თათი და შესაძლოა, კუდიც კი. იგი აშკარად პირველი იყო პროდუქტების კარავში.

– მართალია, – გამოესარჩლა უცნობ ცხოველს ჟენია. – იგი იქ დანაყრდა, შემდეგ მოსწყინდა და აი, საღამოს წვეულებაზე დაპატიჟა ყველა, ვისაც კი შეეძლო.

– კარგი საღამო გამოუვიდათ, – ირონიულად წარმოთქვა სტასმა. – ვინღა დაასუფთავებს ამ ყველაფერს მათ ნაცვლად?

– აბა თუ მიხვდები ერთი ცდით, – სიცილით შესთავაზა მას ჟენიამ და კმაყოფილებით შემომხედა.

შემდეგ, დროზე გონს მოგებულმა, მან ცოცხლად დაიწყო ჩვენი იმპროვიზებული ცოცხის ძიება შეკრული ტოტებისაგან. იგი ქვიშაში ნახევრად ჩაფლული აღმოჩნდა. ჟენიამ აიღო, დაფერთხა, მოგვაჩვენა ყველას, თითქოს უკანასკნელი მტვრის ნაწილაკი ჩამობერა მას და თავაზიანად გამომიწოდა.

– ინებე, კონკია! შენ დღეს დასვენება ზღვის სანაპიროზე ვერ გეღირსება. ნიზლავი ნიზლავია.

ცოცხი გამოვართვი, მესმოდა, რომ დალაგება ნებისმიერ შემთხვევაში აუცილებელი იყო და ის იყო დავიწყე წარმოსახვაში, რით დამეწყო ტერიტორიის გენერალური დასუფთავების დაწყება, ამ დროს სენსეიმ ხელიდან გამომართვა ცოცხი და მიმართა ჟენიას:

– მაგრამ, ნიზლავი მას ჯერ არ წაუგია.

– მაგრამ, გამარჯვებაც უკვე საეჭვოა რომ შეძლოს, – დარწმუნებული, მომცინარე სახით წარმოთქვა ახალგაზრდამ.

– აი რას გთავაზობთ, – თქვა სენსეიმ. – ასეთი რამ თუ მოხდა, მოდით გავართულოთ ამოცანა...

– არავითარ შემთხვევაში, ნიზლავი ნიზლავია, როგორც მოვილაპარაკეთ, – ჟენიას პროტესტი ჰქონდა დაწყებული, გაიფიქრა, რომ სენსეი, როგორც ყოველთვის, მისი პერსონისათვის გაართულებდა ამოცანას მეტისმეტად.

– ეს ხომ შენს სასარგებლოდ უფრო იქნება!

ჟენია გაყუჩდა და ეჭვით გაიხედა სენსეის მხარეს და ცდილობდა დაედგინა, სად იყო აქ ხრიკი. სენსეიმ კი წარმოთქვა:

– აიყვანე შენთვის მეწყვილე. წყლის ქვეშ გატარებულ თქვენს დროს ჯამურად დავთვლით. ანუ, რამდენს გაძლებთ თქვენ წყალქვეშ რიგრიგობით, მისი ერთი ჩაყვინთვის საპირისპიროდ.

ჟენიამ, ვერ იხილა რა ამაში მისთვის საეჭვო და შეუძლებელი, აქვე მომენტალურად დათანხმდა, შეეშინდა კიდეც, რომ სენსეი გადაიფიქრებდა:

– მოსულა! – და მლიქვნელურად დასძინა: – ყოველთვის ვიცოდი სენსეი, რომ შენ ხარ ყველაზე სამართლიანი სამართლიანთა შორის. თორემ ვინ იცის, – ეშმაკური ღიმილით გაიქნია თავი ჩემკენ, – შეიძლება მას, გზად, ფილტვების მაგივრად ლაყუჩები გაეზარდა.

ყველას გაეცინა და მეც, მათ შორის, ყელას დასანახად. მაგრამ ჩემში სწრაფმავალ ბურთად დაიწყო ზრდა ეჭვებმა უბრალო გათამაშების თობაზე. თუ ისინი არ ხუმრობდნენ, მაშინ ჩემი პიროვნებისათვის – ეს ხომ კატასტროფაა. მე ყვინთვაც კი არ შემეძლო, როგორც საჭიროა, რომ არაფერი ვთქვათ სუნთქვის შეკავებაზე წყალქვეშ. ამასთან კი ორ ნავარჯიშებ ბიჭს დავედარო! „აი ასე, გავეჩხირე ისტორიაში“, – შიშის ზარით გაიფიქრა ჩემმა პიროვნებამ.

მაშ ასე, – გამარჯვების მოლოდინში მოიფშვნიტა ხელები ჟენიამ, აირჩია მეწყვილედ, როგორც მე ვვარაუდობდი, სტასი, – დრო არ დავკარგოთ. გავეშუროთ ზღვისკენ.

მან გააკეთა მოსაპატიჟებელი ჟესტი მთელი ჩვენი კომპანიისათვის და მოგვიწოდა ვყოფილიყავით მოწმეები. გროვამ სიხარულით მიიღო ჩვენი კომიკის შემოთავაზება, დაყარა ნივთები და გაეშურა მის კვალდაკვალ. სენსეი შეფერხდა სიგარეტის მოკიდების გამო, მასთან ერთად კი ნიკოლაი ანდრეევიჩი. ჩვენც, ტატიანასთან ერთად ცოტაოდენ შევყოვნდით და წესისამებრ, ერთ გროვაში ვაგროვებდით დაყრილ ნივთებს. ამ დროს ნიკოლაი ანდრეევიჩმა მიმართა სენსეის და ჩუმად წარმოთქვა:

– ჟენია ხომ მარჯვე ბიჭია. როგორც კი სარფიანი გახდა დავის პირობები, უცებ იცვალა თავისი დამოკიდებულება მომხდარისადმი. თუმცა, სწორედ ასე იქცევა ბევრი ადამიანი. ეგოცენტრიზმის გამოვლინების ტიპიური მაგალითია.

რას იზამ, – აიჩეჩა მხრები სენსეიმ, ისევე ჩუმად უპასუხა. – თევზი ეძებს, სადაც უფრო ღრმაა, ადამიანი კი – სადაც უკეთესია, – და ღიმილით დასძინა: – როგორ უნდა დაჩაგროს მან საკუთარი თავი?

– მდა, ეს ეგოცენტრიზმი ადამიანებს ავტომატიზმამდე აქვთ გამომუშავებული. რა სიყვარულზე შეიძლება საუბარი მოყვასისადმი, თუკი ერთმანეთის გაგება არ სურთ?

– ეს არის ყველაზე სამწუხარო.

ამ დროისათვის ჩვენ, ტატიანასთან ერთად უკვე განვთავისუფლდით. მე გაუბედავად მივუახლოვდი სენსეის და დავის გადაჭრის იმედი მქონდა მისი პირობების რეალიზების გარეშე.

– მე, უნდა...

სენსეიმ არ მაცალა დასრულება და ჩემი მოწოლილი ეჭვების გამოთქმის შესაძლებლობა.მან რაღაც საოცარი სიკეთით წარმოთქვა:

– მიდი, მოემზადე. წყალს შეეჩვიე.

მისმა რბილმა და გულდაჯერებულმა ტონმა რამდენადმე დამამშვიდა. ჯერ კიდევ ვიმედოვნებდი, რომ ეს რაღაც გათამაშება იყო, ტატიანასთან ერთად გავეშურე ზღვისკენ. იქ უკვე იცდიდა „მხარდამჭერთა ჯგუფი“ კოსტიკას, ანდრეისა და სლავიკას სახით. უნდა აღინიშნოს, რომ

ჩვენი დიდი კომპანია დაიყო ორ ნაწილად: ისინი, ვინც ხუმრობით გულშემატკივრობდნენ სტასსა და ჟენიას და ისინი, ვინც ხუმრობით „იზიარებდა“ ჩემს მდგომარეობას.

ტორპედოების მსგავსად წყალში ხმაურით შესული და მზეზე გახურებული სხეულების, ერთი ხელის მოსმით გაგრილების მიზნით უცებვე წყლის სიღრმეში მყვინთავი უფროსი ბიჭებისაგან განსხვავებით, ჩვენ, ტატიანასთან ერთად ვცდილობდით წყალთან შეგუებას თანდათანობით. თუმცა, ბიჭებმა „თანამგრძნობთა“ ჯგუფიდან გადაწყვიტეს ამ პროცესის დაჩქარება და დაგვიწყეს წყლის მოსხმა ყველა მხრიდან. ვინაიდან ისინი განზრახ გვიტევდნენ წყალმარჩხის მხრიდან, მე და ტატიანას მოგვიწია წყალში, სიღრმეში გაქცევით თავის შველამ, ბუნებრივია, შემდეგომი ჩაყვინთვით.

ჩაყვინთვის წინ, ჟენიასა და სტასის სუნთქვითი ვარჯიშების საკმაოდ ხილვის შემდეგ, კოსტიკამ წამოიგო თავზე წყალმცენარეებისგან დაწნული „გამარჯვებულის გვირგვინი“, დაიწყო „წყალმარჩხობაში ყვინთვის საკითხებში“ ჩემი დამრიგებლის როლის იმპროვიზებული შესრულება. მთელს ამ პროცესს თან სდევდა ბიჭების სასაცილო ხუმრობები. მაგრამ, კოსტიკას ფილოსოფიური რჩევების მიუხედავად, ჩემი ძალები სუნთქვის შეკავებაზე მეტისმეტად მცირეზე ყოფნიდა. ის კი არა, კოსტიკა ცდილობდა ძალით გავეჩერებინე წყალქვეშ მხრებზე დაწოლით და ზედაპირზე ბუტბუტებდა თავის „დირექტივებს“. მაგრამ ამ ქმედებებმა ჩემზე, მხოლოდ უფრო შემაშინებლად იმოქმედა, ვინაიდან, საბოლოო ჯამში თვითშენარჩუნების ჩემი ინსტინქტი თავისას შვრებოდა და მე გასაოცარი სიმარჯვით ვახერხებდი თავის დაძვრენას კოსტიას ხელებიდან და ზედაპირზე ამოსვლას, ზოგჯერ კი პანიკაში საკუთარი „დამრიგებლის“ წყალში ჩათრევის ხარჯზეც კი. რამდენიმე ასეთი არანებაყოფლობითი ჩაყვინთვის შემდეგ, კოსტიკასგან თავსაყრელად ბევრი „რაციონალიზატორული“ წინადადება წამოვიდა ყვინთვის მეთოდის სრულყოფილების თაობაზე, მაგალითისთვის წყალში ჩემი წონის დამძიმება კისერზე აგურებისგან დამზადებული „ყელსაბამის“ ჩამოკიდება, ბეტონის ბორკილების დადება და ა.შ.

– ბოლოს და ბოლოს, რა ამოცანა დგას შენს წინაშე? – ხუმრობით ბჭობდა კოსტია, იფერთხავდა ყურებში შეღწეულ წყალს და თავის „დაუდევარ მოწაფესთან“ ერთად წყალში ჩაყვინთვის შემდეგ ჩამოშლილ წყალმცენარეებს ისწორებდა. – ჩაყვინთვა. ხომ ასეა?! ასეა. ხოლო ამოყვინთვაზე ხომ საუბარი არ ყოფილა.

ჩვენ კვლავ გაგვეცინა.

– ძალიან კეთილი ხარ, რა! – საინტერესო ინტონაციით წარმოთქვა ტატიანამ.

ერთი სიტყვით, უფროსი ბიჭებისგან განსხვავებით, რომლებიც მთელი სერიოზულობით ვარჯიშობდნენ, ჩვენ გამოგვდიოდა სრული კლოუნადა. ასე რომ მე, როგორც ამბობენ, ყოველი შემთხვევისთვის წარმოსახვაში დავნებდი დღეღამის განმავლობაში კონკიას როლის შესრულებას.

როგორც იქნა მოვიდნენ ნიკოლაი ანდრეევიცი და სენსეი. ვიფიქრე, რომ ჩვენი მცდელობების დანახვის შემდეგ, სენსეი გადაიყვანდა ნიზლავს მორიგ დიდ ხუმრობაში და ამ მხიარულ ნოტაზე საქმე დამთავრდებოდა. მაგრამ, როცა იგი მოგვიახლოვდა და მთელი სერიოზულობით განაცხადა: „აბა, დავიწყოთ?“, როგორც ამბობენ, შიშისაგან სული ქუსლებში ჩამივარდაო. მეგობრებისათვის ჩემი შიშის ჩვენება არ მსურდა და ღიმილით და ან შიშისაგან ან ცივი წყლისგან აკანკალებული ტუჩებით მივმართე სენსეის:

– სენსეი, მე ვერ შევძლებ...აჯობებს, უცებ დავიწყო დალაგება...

რაზეც სენსეიმ მშვიდად მომიგო:

– დანებება საჭირო არ არის. განდევნე შენი შიში. მოიშორე ყველა ეჭვი. დაიჯერე, რამეთუ ნათქვამია „რწმენაში შეიძენ“.

ჯერ კიდევ დაბნეულობით ვუყურებდი მას მდუმარე შეკითხვით: „ამას როგორ ვიზამ?“ ამ დროს, სენსეიმ შემხედა თვალებში და მიპასუხა:

– უბრალოდ მოდუნდი. არ იფიქრო სუნთქვაზე. შენი ამოცანაა: მედიტაციის ღრმა მდგომარეობა, აზრების მინიმუმი. მოახდინე გონების მოკრება ერთიდან ათამდე თვლის დროს. ათ წამს ხომ გაძლებ?

– თუ ათ წამზეა საუბარი, თავისუფლად გავძლებ, – სიამაყით წავიტრაბახე ჩემი ასეთი „მიღწევით“.

– მაშინ, რაღას განიცდი? დაითვალე ათამდე და ამოყვინთე. მაგრამ სწრაფად არ ითვალო, არამედ ნელა, აუჩქარებლად, როგორაც ითვლი სამნიშნა ციფრებს, მაგალითად, 501, 502, 503 და ა.შ. გასაგებია?

– კი.

ამ სიტყვების შემდეგ მე არა უბრალოდ დამვშვიდდი, არამედ ცნობისმოყვარეობამ ამიტაცა. წყლის ქვეშ ხომ მედიტაციის კეთება ჯერ არ მიცდია. რაოდენ საოცარიც არ უნდა იყოს, ჩემი ცნობისმოყვარეობა გადაიზარდა მყარ რწმენაში, რომ ყველაფერი კარგად იქნება. ეს გრძნობა ისახებოდა სწორედ რაღაც შინაგანი რწმენისგან, სენსეისადმი აბსოლუტური ნდობისგან. მეტიც, არა იმდენად, ნდობისგან, არამედ, უფრო მეტად მისი არსობის შესახებ ჩემი სულის გაუხსნელი ცოდნისგან, რომელიც გამოიხატებოდა მხოლოდ ინტუიციურად, მგრძნობელობით დონეზე.

„თუ ყვინთვაა, ყვინთვა იყოს“, – გაიფიქრა ჩემმა პიროვნებამ და გავაკეთე რამდენიმე წინასწარი მკვეთრი ჩასუნთქვა–ამოსუნთქვა. იგივე გააკეთა ჩემმა პირველმა „მეტოქემ“ ჟენიამ. „სამ თვლაზე“ სტარტისთვის მომზადების შემდეგ, ჩავისუნთქე რაც შეიძლებოდა მეტი ჰაერი და ჟენიასთან ერთდროულად ჩავყვინთე. სენსეიმ დამადო ხელი თავზე, ფარსმანდუკის მიდამოში და ოდნავ დამაჭირა, როგორც გავიფიქრე, დროზე ადრე რომ არ ამომეყვინთა. მოსალოდნელი პანიკის ნაცვლად, მე პირიქით, მოვდუნდი და სენსეის რჩევის თანახმად აუჩქარებლად დავიწყე თვლა ათამდე. ამ დავალებასთან ადვილად გამკლავების შემდეგ, გადავწყვიტე კიდევ ზედმეტი ორიოდე წამი გავჩერებულიყავი წყალქვეშ საერთო ჯამში მეტი დროის მოგროვების მიზნით. მაგრამ, დავიწყე თუ არა თავიდან თვლა, ვიგრძენი, რომ სავარაუდოდ სენსეის ძლიერმა ხელებმა დამიწყეს წყლიდან ამოყვანა. გამოგიტყდებით და ცოტაოდენი გული დამწყდა, შემეძლო ხომ კიდევ გავჩერებულიყავი. რა იყო ის 10 წამი? ამოვყვინთე თუ არა დავიწყე აღშფოთება, ჯერ თვალების გაღებაც კი ვერ მოვასწარი ისე:

– რა დაგემართათ, მე მზად ვარ...კიდევ შემიძლია გაჩერება...

მაგრამ როცა შევხედე დანარჩენებს, ვერაფერი გავიგე. ყველა იდგა რაღაც მდუმარე გაოგნებაში, მიყურებდნენ, როგორც სხვა სამყაროდან მოფრენილ უცხოპლანეტელს. ჟენია და სტასი იმყოფებოდნენ ბიჭებს შორის და საეჭვო გაოცებით თვალს არ აშორებდნენ ჩემს აღშფოთებულ პიროვნებას. გავიფიქრე, იქნებ მათ საერთოდ არ ჩაუყვინთავთ, იქნებ მოხდა რამე? და მხოლოდ სენსეი ინარჩუნებდა ოლიმპიურ სიმშვიდეს.

– საკმარისია შენგან, – გულთბილად გაიღიმა იგი. – ისედაც 10 წუთია წყალქვეშ ხარ.

– ვინ?! მე?! – გაეღიმა ჩემს პიროვნებას, მეგონა მეხუმრებოდა.

– მართალია, ცხოვრებაში ყველაფერი ხდება, – წარმოთქვა სტასმა და კეფა მოიფხანა. – მაგრამ საქმე ის არის, რომ ეს „ყველაფერი“ ყველას ვერ შეხვდება.

– ხედავ, როგორ განიცდის ყველა, განსაკუთრებით ზოგიერთი ტრაბახა, – გაიქნია თავი სენსეიმ ჟენიასკენ, რომელსაც გაოცებისაგან პირი ღიად დარჩა და თვალებიც გამოეზნიქა, ან გასაცინებლად ან მართლაც ძლიერი გაოცებისაგან. – ახლა ხომ დალაგება მოუწევს ზოგს და კონკიად გადაქცევა.

როგორც ჩანს, ჟენია ამ სიტყვებმა გონზე მოიყვანა და კბილების კომიკური კაწკაწით დაიბრუნა ყბა ჩვეულ მდგომარეობაში და ხელითაც წაეშველა. ამის შემდეგ მან თავისი უცვლელი ხუმარა ტონით წარმოთქვა:

– დასუფთვება – დიდი სიამოვნებით! მაგრამ ორიენტაციის ცვლილებასთან დაკავშირებით, ასეთი შეთანხმება არ ყოფილა.

სტასი შეუდგა მის „დამშვიდებას“ და გამოიწვია სიცილის მთელი ზღვა.

– „კონკია“ – ეს, ჩემო ძვირფასო, ინდივიდუალური შრომითი საქმიანობის ისეთი სახეობაა, როცა დროის უმოკლეს ვადებში საჭიროა სამუშაოს მაქსიმალური რაოდენობის შესრულება, ამასთან, მუქთად...

– მუქთად, მუქთად, – გააბრაზა იგი ჟენიამ. – შენ რა გიხარია? ერთად ვყვინთავდით და ერთადვე დავალაგებთ, კონკიავ–2.

არავითარ შემთხვევაში, საშტატო განრიგით კონკია ერთი გვყავს, – სიცილით შეეპასუხა სტასი.

– ა, ე.ი. შენ ფერიად ჩაეწერე არა? ან დასუფთავების საგადასახადო ინსპექტორად? მტარვალო!

ბიჭებმა ხუმრობა დაიწყეს და ამასთანავე, თავიანთი გაშეშებული მდგომარეობიდან გამოსვლა.

– სენსეი, რა გაუკეთე მას ასეთი? – არსებითად, ვალოდიამ იკითხა პირველმა.

– არაფერი განსაკუთრებული, შევცვალე მისი დროის აღქმის მექანიზმი, მისი ეზოოსმოსი.

– ეზოოსმოსი? ეს რაღაა? – დაინტერესდა ვიქტორი.

– როგორმე მერე მოგიყვები, – ჩაიქნია ხელი სენსეიმ. – მაშ რა, ნიზლავი დამთავრდა, წავიდეთ და წესრიგში მოვიყვანოთ ბანაკი...

– სარეველასაგან მარცვლეულის, ხოლო ბუზებისგან კოტლეტების გამორჩევა, – განავრცო სენსეის პასუხი სტასმა.

– ეს შეუძლებელია, რომ მან შეძლოს წყალქვეშ ათი წუთის გაძლება! – ირონიულად აღშფოთდა ჟენია, გახედა ნაპირს და, როგორც ჩანს მოსალოდნელმა სამუშაომ შეძრა. – ჰაერის გარეშე ამდენს ვერავინ ცოცხლობს!

სენსეიმ კი, გაღიზიანებულმა წარმოთქვა:

– ხალხო, როგორ მომაბეზრეთ თავი თქვენი ურწმუნობით! შენ ხომ საკუთარი თვალით დაინახე.

– კი, მაგრამ, იქნებ მას წყალქვეშ რაღაც სასუნთქვი მილი ჰქონდა. ეს გაცურებაა! სუფთა მოტყუება!

სენსეიმ დაღლილმა ჩაწია თავი გვერდზე და გაეღიმა:

– რა თქმა უნდა, გაგაცურეთ. შენ მოგატყუეს ჯერ კიდევ იმ დღეს, როცა გაჩნდი ამ ქვეყანაზე.

ყველას გაეცინა. სენსეი კი შემოტრიალდა და დაიწყო წყლიდან ამოსვლა ნიკოლაი ანდრეევიჩთან ერთად.

– წავიდეთ, – სიცილით აჩქარებდა სტასი ჟენიას.

– არის, ბატონო ობერ–შტურმან–ფიურერ ფერია, – დუნედ უპატაკა ჟენიამ, ამოიოხრა და გათამაშებულად სევდიანად დასძინა: – ეს რა ძაღლური ცხოვრება გვაქვს, ჩვენ კონკიებს, ყოველ დღე საჯარიმო სამუშაოები გვაქვს.

ყველა დანარჩენიც გაეშურა ნაპირისკენ. აქ კი დაიწყო ყვედობის კორიანტელი მთელი სიგრძე–სიგანით. ვცდილობდი მეგობრებისგან გამეგო, მართალი თუ იყო, რომ წყალქვეშ 10 წუთი ვიყავი. ისინი კი თავის მხრივ, ახდენდნენ ჩემი შეკითხვების იგნორირებას და მეკითხებოდნენ, ხომ არ მქონია რაიმე დამატებითი სასუნთქი მილები წყალქვეშ. ერთი სიტყვით ჟრიამული თოლიებზე უფრო ძლიერი გვქონდა, როცა მათ ქანდარას დაუპატიჟებელი სტუმარი აწუხებდა. საბოლოო ჯამში ვერავინ ვერაფერი გარკვევით ვერ გაიგო.

დაიწყო ბანაკის ტოტალური დასუფთავება – დალაგება. მიუხედავად იმისა, რომ ჟენია ამ „ინდივიდუალურ შრომით საქმიანობაში“ კომიკურად ასახიერებდა მთავარ მოქმედ პირს, იგი მარჯვედ გაურბოდა მუშაობას და ქმნიდა მხოლოდ აქტიურ შრომით სანახაობას. სამაგიეროდ ისე გაახალისა მთელი კოლექტივი ხუმრობებითა და თავისი გამოხტომებით, რომ ვერც კი შევნიშნეთ, თუ როგორ სწრაფად დავალაგეთ ბანაკის მთელი ტერიტორია. მაგრამ როცა მას დაუწყეს გაქილიკება იმის თაობაზე, რომ, ფაქტიურად არც კი მუშაობდა, მან ზვიადი გამომეტყველებით განაცხადა, რომ მუშაობა სულელსაც შეუძლია, მისი აზრით კი მთავარია, პროცესის პროფესიონალური მართვა. რაზეც ყველამ განუცხადა მას „დიდი მადლობა“ და ერთსულოვნად გადაუძახეს იგი წყალში. „შრომითი გმირობების“ ასეთი „საზეიმო“ დასრულების შემდეგ დავიწყეთ ჩვენი ზარალის თვლა. ვინაიდან საკვების მარაგები სასურველია მეტი რომ ყოფილიყო, იქნა მიღებული ბაზარში წასვლის გადაწყვეტილება. ამ ჩვენმა უმცროსმა მეგობრებმა – თავდამსხმელებმა ხომ თვითონ, როგორც ჩანს, ცოტა მიირთვეს, თუმცა, ცივილიზაციის ამ კუნძულზე ასეთი საზეიმო ვითარების პირობებში აურიეს ერთმანეთში ბევრი პროდუქტი, მათ შორის კი მარცვლეული ქვიშით და ამასთან, ისე საგულდაგულოდ, თითქოს გაუმართიათ მთელი დისკოტეკა ცეკვებითო.

როცა შევადგინეთ პროდუქტების სია, უფროსმა ბიჭებმა გადაწყვიტეს მათ საყიდლად წასვლა მანქანით უახლოეს ბაზრდამდე. მაგრამ სენსეიმ შემოგვთავაზა ტექნიკა განზე გადაგვედო და თვითონ ჩაგვეტარებინა მოთელვა, ანუ პატარა გარბენი მოგვეწყო ნაპირის გასწვრივ. შეპასუხება, ბუნებრივია, ვერავინ გაბედა. ისინი, ვისაც ძალიან სურდა ჭამა, გამომშრალი პურით შეიქციეს მცირედით თავი. დანარჩენებმა გადაწყვიტეს პროვიზიის შეძენამდე თავის შეკავება, მით უფრო, რომ სენსეი ამბობდა, – შიმშილი ზოგჯერ სასარგებლოცაა.

თავდაპირველად პროდუქტების საყიდლად ლაშქრობაში გაემზადდნენ ვალოდია, სტასი და ჟენია. მაგრამ, როცა მათ შემოუერთდათ სენსეი ვარჯიშის იდეის შემოთავაზებით, ნიკოლაი ანდრეევიჩი, რუსლანი, ანდრეი და მე დავთანხმდით გაგვერბინა მათთან ერთად. და თუმცა კროსი მოგველოდა მძიმე, ფიზიკური დატვირთვის თვალსაზრისით, მაინც არ შემეძლო ასეთი მოგზაურობის გამოტოვება სენსეის გვერდით. ჩემთვის ხომ ეს არა უბრალოდ ლაშქრობა იყო,

არამედ სენსეის საინტერესო დაკვირვებების წყალობით მთელი ექსკურსია ადამიანურ სამყაროში, საკუთრი სამყაროს ჩათვლით, რა თქმა უნდა.

სენსეის დაპირების თანახმად, მან გზად მოგვიწყო კარგი ვარჯიში ფიზიკური დატვირთვებით. დასაწყისში მსუბუქი ძუნძულით მივემართებოდით ნაპირის გასწვრივ და შევჩერდით მხოლოდ ნახევარი საათის შემდეგ. შემდეგ სენსეის მეთაურობით გავაკეთეთ მოთელვა. ამის შემდეგ კვლავ სირბილი, ამჯერად უკვე აჩქარებით. შემდეგ იყო განზიდვები, პრესის ვარჯიშები, სირბილები წყალში, დაბრკოლებების გადალახვა ადგილზე. ერთი სიტყვით, სენსეიმ გამოიჩინა ხელგაშლილობა გამოგონებებში, რის წყალობითაც ეს ფიზიკური ვარჯიში გადაიქცა ჩვენთვის „საზღვაო დესანტის“ რაღაც უჩვეულო თავგადასავლად. მიუხედავად იმისა, რომ გადაღლილი კუნთები ხშირად გვახსენებდნენ თავს, როცა მივაღწიეთ „ცივილიზაციის“ საზღვრებს, შინაგანი სიამოვნება ბევრად მეტი იყო იმის გამო, რომ ეს ყველაფერი დაძლეული შეიქნა.

გადაწყვეტილი იქნა გაგვევლო პანსიონატების გავლით და ამგვარად მოგვეჭრა გზა ბაზრისკენ. გავცურეთ წყლოვანი ბადე–შემოზღუდვა პირველ პანსიონატსა და „ველურ ბუნებას“ შორის და გავედით ნაპირზე, როგორც ჩვეულებრივი დამსვენებლები და უკვე აუჩქარებლად გავემართეთ ნაპირის გასწვრივ. ადამიანები, ჩვეულებისამებრ, ატარებდნენ შვებულებას ქვიშაზე უსაქმურად წოლაში, ანაცვლებდნენ რა დივანიდან ტელევიზორის ცქერის სახლის ვითარებას ქვიშიდან ჭრელა–ჭრელა ხალხის თვალიერებით ზღვის ერთფეროვანი სივრცის ფონზე. თუ ისმოდა რაიმე ლაპარაკები, უმეტესწილად საყოფაცხოვრებო თემებზე. ვიღაც ვიღაცაზე ჩიოდა, ვიღაც კი ვიღაცას განსჯიდა, ზოგიც კი დასცინოდა სხვებს. მოკლედ, ცხოვრება მიედინებოდა ჩვეულებრივი ადამიანური კალაპოტით, არც მეტი, არც ნაკლები. დასაწყისში, რაღაცნაირად აშკარად იგრძნობოდა ეს მკვეთრი ზღვარი სენსეის მიერ მოთხრობებში გადმოცემულ სურლიერსა და იმ მიწიერ–მატერიალურს შორის, რაზედაც ხალხი ბჭობდა. მაგრამ შემდეგ, ჭრელი მასიურობის ატმოსფეროში სულ უფრო მეტად ჩაფლობასთან ერთად, თვითონ, ჩემდაუნებურად დავიწყე დამუხტვა მისი „არც თუ ისე სუფთა ჰაერით“.

როდის გამიჩნდა თავში „პროვოკატორი აზრები“, ძნელი სათქმელია. ალბათ, მათ დაიწყეს ყურადღების მიპყრობა წვრილმანებით. სადღაც თვალწინ გაიელვა ქალის ლამაზმა საცურაო კოსტუმმა და გავიფიქრე, როგორი იქნებოდა იგი ჩემზე. ვიღაცაზე შევნიშნე ლამაზი მორთულობები, რომელთა შეძენა მეც მოვისურვე. ჩემმა წარმოსახვამ უცებ დაიწყო იმ სურათის ხატვა, როგორ გამოვიყურები იმ საცურაო კოსტუმში იმ სამკაულებთან ერთად. ის ის იყო ამ აზრებს გაჩენის ნება დავრთე, რომ უმალვე დაიწყო გამოვლენა ქალბატონი შურის სახემ. მთავარი ის არის, რომ შევნიშნე ყოველივე ეს მაშინ, როცა შური მთელი ძალით მბრძნებლობდა ჩემს ცნობიერებაში და თავისი გაუმაძღრობითა და უკმაყოფილებით დაჩრდილა ყველა ნათელი გრძნობა. „ამას რას ჩავდივარ?! – შევშფოთდი ჩემთვის გულში. – სხვის სახეებს საკუთარ თავზე მორგებას ვცდილობ? ეს ხომ მე არ ავრ! ამას ჰქვია მთიდან ციგებზე ჩამოსრიალება, მაგრამ ისინი ჰგავდა ადგილიდან დაუძრავ საზიდარს და როგორ უნდა აზიდო იგი ამის შემდეგ აღმართზე მთაში?“

ჩემი სევდიანი ფიქრები შემაწყვეტინა ანდრეიმ, ალბათ, ასევე, ადვილად წამოგებული ცხოველური საწყისის ანკესზე.

– ვაჰ, შეხედეთ, ბიჭებს რა სხეულები აქვთ! – აღტაცებით ჩასჩურჩულა მან ბიჭებს და მიუთითა ფრენბურთის მოთამაშე ბიჭების გარუჯულ სხეულებზე. სავარაუდოდ, ეს იყო კულტურისტების ჯგუფი. – შეხედეთ, რა კუნთები აქვთ...

ამ ბიჭების გადაადგილების მანერის მიხედვით, იქმნებოდა ისეთი შთაბეჭდილება, რომ ისინი აშკარად თამაშობდნენ არა ფრენბურთს, არამედ საზოგადოებაზე და ახდენდნენ საკუთარი კუნთების დემონსტრირებას საუკეთესო პოზიციებიდან. ბუნებრივია, ისინი იზიდავდნენ გამვლელთა ყურადღებას, რომლებიც, თავის მხრივ, დაუფარავი შურით ათვალიერებდნენ მათ სხეულებს.

– სენსეი, შეიძლება სწრაფად დაკუნთვა, ასეთი კუნთების დაყენება?

– შეიძლება, – უბრალოდ უპასუხა სენსეიმ. – და რა აზრი აქვს? შეიძენ ერთს, დაკარგავ მეორეს. კუნთების ასეთი მასის დაბერვით, დაკარგავ ამტანიანობასა და სისწრაფეს. რას მოიგებ ამით? მხოლოდ გოგონების წინაშერ წაიტრაბახებ. – ანდრეი ცოტაოდენი შეყოვნდა, თითქოს სენსეის გაევლო მის მალულ ფიქრებში. – იცი რაშია ასეთი სურვილის მიზეზი? ელემენტარულ ადამიანურ შურში...ამ სიტყვებზე მეც შევკრთი. სულ ახლახან გავიფიქრე ამის შესახებ.

– მაგრამ, ეს არა მხოლოდ შენი უბედურებაა, არამედ ბევრის. რომ იცოდე, სინამდვილეში რაზე ფიქრობენ ადამიანები! მხოლოდ სიძუნწე, შური, ერთმანეთზე გამარჯვება თუნდაც სულ მცირედში. თავში მხოლოდ სხვა ადამიანების თვალში იმაზე უკეთესად გამოჩენის სურვილი უტრიალებთ, ვიდრე არიან სინამდვილეში. გესმით, რაშია უბედურება?! ადამიანებს სურთ ღირსეულად გამოიყურებოდნენ არა ღმერთის, არა საკუთარი სინდისის, არამედ სხვა ადამიანების თვალში. ამ ბოროტების მთელი მიზეზი დაფლულია ადამიანურ სურვილებში. ადამიანი ხომ მხოლოდ იმას აფასებს, რაც თავისთვის უნდა იხილოს ფასეულად. ხოლო ის, რისი დანახვაც მას თავისი თავისთვის არ სურს ღირებულად, იმას მისთვის მნიშვნელობაც ეკარგება. შური, სიძულვილი, სიბოროტე აღმოცენდებიან არა გარე სტიმულებიდან, არამედ თავმოყვარეობის შინაგანი ფესვებიდან.

ავიღოთ თუნდაც ეს ბიჭები, რომლებმაც ქვეყნის დრო დახარჯეს იმაზე, რათა დაებერათ კუნთები სხეულზე. საერთო ჯამში ხომ ეს მათ მრავალი წელი არ დასჭირდებათ, მაგრამ მათ შეარჩიეს თავისთვის კულტურისტის როლი და ასრულებენ მას. რისთვის? სულიერების სიმაღლეების მისაღწევად? არა. მხოლოდ იმისათვის, რომ გამოირჩეოდნენ ხალხის მასიდან. ზოგი მიისწრაფვის სხეულის დაკუნთვისკენ, ზოგი ტატუს იკეთებს, ზოგიც სხვადასხვა ფერში იღებება. და ყოველივე ამას მხოლოდ იმისათვის სჩადიან, რათა მოიპყრონ თავისკენ გონებით თანამოძმეების ყურადღება, საკუთარი განდიდების მანიის დასაკმაყოფილებლად. ჩვეულებრივი ცხოველური სურვილი.

ადამიანები ისევე იქცევიან, როგორც მაგალითისთვის, იაპონური მაიმუნები. ზოგი პრიმატი მათი ტომიდან მთელი დღის განმავლობაში აგროვებს თხილს, რათა შემდეგ ხუთი წუთის განმავლობაში მოყაროს ეს თხილი მთელი ჯოგის წინაშე, რათა მოიპყროს თანაჯოგელების ყურადღება. სხვა პრიმატები აცლიან ირმებს რწყილებს და თავის ტანზე ისვამენ მათ მხოლოდ იმისათვის, რათა შემდეგ მათი თანაჯოგელები მათვე აცლიდნენ ამ რწყილებს. ისევ და ისევ, ეს ყველაფერი კეთდება მხოლოდ იმისათვის, რომ მოიპყრონ ჯოგის ყურადღება...მაშ ასე, ეს

კუნთები, სამკაულები, მოდა და სხვა დანარჩენი – ეს ყოველივე არის ყურადღების მოსაპყრობად. ეს იგივე რწყილებია მაიმუნზე.

ადამიანი ხომ არაფრით განსხვავდება იმ მაიმუნისაგან თავისი ცხოველური ბუნების მხრივ. უბრალოდ მასში ეს ცხოველური საწყისი კიდევ უფრო გაძლიერებულია საკუთარი სიდიადის მანიის წყურვილით. რამეთუ, თითოეული ადამიანი, თუკი ის სულიერად საძაგელი და მდაბიოა, იწყებს საკუთარი თავის განდიდებას თავის ზრახვებსა და სურვილებში და იწყებს ყველაზე მაღლა თავის დაყენებას. არადა ნათქვამია: „ასე იქნებიან უკანასკნელნი - პირველნი, და პირველნი - უკანასკნელნი, ვინაიდან მრავალნი არიან ხმობილნი და მცირედნი - რჩეულნი“. ბევრი მალავს თავის ფარულ ცხოველურ ზრახვებს გარეგანი თვალთმაქცობით, თითქოსდა სულიერებისკენ ლტოლვით. სინამდვილეში კი მოხერხებული საბაბით მიმდინარეობს ცხოველური სურვილების რეალიზება, იმავე საკუთარი განდიდების მანიის მოთაფვლა, საკუთარი თავის განდიდება და იგივე, ამაო თავის წარმოჩინება სხვების დასანახად. თუმცა მათ ფარულ ზრახვებში ღმერთისადმი ჭეშმარიტი სიყვარულის პოვნა მეტად რთულია.

ქრისტიანები ადამიანების ასეთ სურვილებს დაარქმევდნენ სატანის ეშმაკობებს, რაც აშორებს ადამიანს მთავარისგან – სულისგან, მარადისობისგან. დააკვირდით თანამედროვე ცივილიზაციის მოდელს, მთელი მსოფლიო მუშაობს იმაზე, რომ ადამიანებში რაც შეიძლება მეტი სქონლისა და მომსახურების შეძენის სურვილი აღძრას, რასაც, თითქოსდა მოკლებულია და საჭიროებს სრული ბედნიერების მისაღწევად. მთელი მსოფლიო ილუზიებით ვაჭრობს. იგი ნაქსოვია სიყალბისაგან, ხოლო ძაფები მისი გამობმულია შურის გრძნობაზე. ადამიანები თვითონ წარმოშობენ ილუზიებს, ასაზრდოებენ მათ საკუთარი აზრების სიბილწით და თვითონვე ცხოვორბენ ამ ილუზიებში, აღიქვამენ რა მას ნამდვილ რეალობად. სამწუხაროდ ცხოველის გლობალური სიცრუის ფაქტი სააშკარაოზე ვლინდება მხოლოდ სიკვდილის პირისპირ. მაგრამ მაშინ უკვე მეტისმეტად გვიანია რაიმეს შეცვლა.

ახალგაზრდობა ხომ ერთი დღესავით გაფრინდება, როგორც თავისუფლებაზე აღმოჩენილი მკვირცხლი ბედაური. სადავეების დაქაჩვასაც კი ვერ მოასწრებ, რომ უკვე სიმწიფის ხანა დგება. სიმწიფის დროს ჩერდები და უკან იყურები და ხდება ფასეულობათა გადაფასება. შენი მიღწევები უკვე აღარ გეჩვენება იმდენად ღირებულად, ისინი უკვე არ ღირს იმად, რომ იმდენივე დრო და ძალა ეთმობოდეს მათ. ჩნდება ახალი სურვილები და ილუზიები, სოლიდური ადამიანების სამყაროში თვითდამკვიდრების სახით. ადამიანი იწყებს ხალხის მასიდან გამოყოფის ახალი ხერხების გამოგონებას. თვალის დახამხამებასაც ვერ მოასწრებ და უკვე სიბერემ გიწია, რომელშიც განვლილი ცხოვრებიდან უმეტესობა აბსოლუტურ აბსურდად გეჩვენება და საერთოდ კარგავს აზრს. სიბერესთან ერთად სულ უფრო ხშირად ჩნდება აზრები სიკვდილის შესახებ, რაც აიძულებს ადამიანს დაფიქრდეს მთავარზე – საკუთარ სულზე. რამეთუ იგი სულ უფრო და უფრო უახლოვდება იმ ზღვარს, საიდანაც შემოვიდა ამ სამყაროში, რათა იპოვოს საკუთარი თავი და გადაარჩინოს სული თავისი. მაგრამ ამ მიზნის მიღწევის ნაცვლად მან ცარიელ ილუზიებზე გახარჯა მთელი ძალა და დრო. ამ დროს კი ადამიანი იწყებს შფოთვას, ახალი ილუზიების გამოგონებას, ინუგეშებს თავს იმით, რომ სიკვდილის წინ ლოცვით შეძლებს იმ ქვეყნად პატიების დამსახურებას ყველაფრისათვის. ფაქტიურად კი ხომ ადამიანის მთელი ცხოვრების შეფასება ხდება.

ადამიანური უგუნურება უსაზღვროა. სიდიადის მანია ადამიანებს უბიძგებს საძაგელი საქმეებისკენ. – სენსეიმ გვერდებზე მიმოიხედა, ხელები გაშალა და სევდით წარმოთქვა: – ბიჭებო, რომ შეგეძლოთ იმის გაგონება, თუ რაზე ფიქრობენ ადამიანები, კოშმარი დაგეუფლებოდათ! თუმცა, პრინციპში, რად გინდათ ამის გაგონება, დააკვირდით საკუთარ თავს. რაზე ოცნებობთ ფარულად.

ჯერ კიდევ ამასწინათ, „პერესტროიკის დროს“, ადამიანები ფიქრობდნენ, რომ გადაარჩენდნენ სამყაროს და ააშენებდნენ კომუნიზმს, მხედველობაში მაქვს ჩვენი იდეური ადამიანები. ახლა კი, „პერესტროიკის“ შემდეგ ახალგაზრდობა რაზე ოცნებობს? ფულზე, კაპიტალიზმზე. ყველა წარმოიდგენს საკუთარ თავს მილიონერად, როკფელერად და მისთანებად. აზრებში ყველა ფლანგავს ფულს, ოცნებობს სიმდიდრეზე. ისიც, ვინც ბევრ ფულს შოულობს და ისიც, ვისაც საკმარისი ფულის შოვნა არ შეუძლია, ყველა ზღაპარს ყვება, როგორი გავლენიანები არიან ცხოვრებაში და საკუთარ მანიას წარმოაჩენენ. რატომ? იმიტომ, რომ მათ თავებში თავს ირთობს ეგოიზმი. რუს მწერალ–სატირიკოსს, მიხეილ ევგრაფეს–ძე სალტიკოვ–შედრინს შესანიშნავი სიტყვები აქვს დაწერილი ამასთან დაკავშირებით: „არ არსებობს იმაზე უფრო საშიში ადამიანი, რომლისთვისაც უცხოა ყოველივე ადამიანური, რომელიც გულგრილია საკუთარი ქვეყნის, მოყვასის ბედის, ყველაფრის მიმართ, გარდა მის მიერ ბრუნვაში გაშვებული ფულისა“. და იგი მართალი იყო.

გადაჭარბებული სიმდიდრეს კარგი არაფერი მოაქვს. დახარჯა ადამიანმა ცხოვრების წლები და მოატყუა ქვეყანა ხალხი. რამეთუ პატიოსნად დიდი ფულის შოვნა შეუძლებელია. ყველაფერი აგებულია სიყალბეზე, სიცრუეზე. დავუშვათ, იშოვა ადამიანმა ბევრი ფული. არ ვგულისხმობ, პატიოსნად მიღებულ ხელფასებს, საცხოვრებელი მინიმუმისათვის აუცილებელ ნორმალურ ფულს. ეს არის მცირე ფული. მაშ ასე, დავუშვათ იშოვა დიდი ფული. აღმოჩნდება, რომ დაკმაყოფილების გრძნობას ვერ პოულობს. თურმე, რაღაც არ კმარა. მას ესმის, რომ სჭირდება ძალაუფლება მისი მსგავსების – თანამოძმეების დასამონებლად, რათა უკვე თვითონ არ უხდებოდეს გარჯა, რწყილების საკუთარ ტანზე შესმა ირმიდან, მთელი ჯოგის, ბელადის ჩათვლით, ყურადღების მოსაპყრობად. არც ფულის გადაყრა, იმ იაპონური მაიმუნის მსგავსად თხილს რომ ყრის ჯოგის წინ, კვლავ ყურადღების მოსაპყრობად, არამედ ჩაიგდოს ხელში ეს ძალაუფლება და თვითონ გახდეს ბელადი. სწორედ ასე ჩნდებიან ძალაუფლების მქონე სტრუქტურების, ქვეყნების პარტიული ლიდერები. ამის შემდეგ აღმოჩნდება, რომ ძალაუფლებაც ცოტაა. მაშინ ისინი რაზე მიდიან? მსოფლიოს დაპყრობაზე. და იწყება ომები, აგრესია, დაპყრობა–დამონება. ასე იბადებიან ნაპოლეონები, სტალინები, გიტლერები და მათი მსგავსნი. იპყრობენ ტერიტორიებს, აფართოებენ თავიანთი ქვეყნების საზღვრებს, ხოლო დაკმაყოფილების გრძნობას მაინც ვერ ეუფლებიან. რატომ? იმიტომ, რომ რა ძალაუფლებასაც ადამიანი დედამიწაზე არ უნდა ფლობდეს, ვერასოდეს მიიღებს მისგან კმაყოფილების გრძნობას, რამეთუ მაინც რჩება თავისი სურვილების მონად. ხოლო ჭეშმარიტი ძალაუფლება – არის ძალაუფლება საკუთარ თავზე.

კაცობრიობის ისტორიაში არის ასეთი გზის უაზრობის, აბსურდულობის, ცხოველის მხრიდან ასეთი გლობალური მოტყუების უამრავი მაგალითი. ერთერთი მათგანია ალექსანდრე მაკედონელი – ადამიანი, რომელმაც მოახდინა საკუთარი ამბიციების მაქსიმალური რეალიზება. მან დაიპყრო უზარმაზარი ტერიტორიები და შექმნა უძველესი დროის უდიდესი მონარქია. და რა

მოხდა შედეგად? იმ დღეს, როცა ალექსანდრე მაკედონელი გახდა „მსოფლიოს მბრძანებელი“ იგი გაერიდა ყველას და მწარედ ატირდა. როცა მხედართმთავრებმა იგი იპოვეს, გაოცდნენ, არასოდეს ენახათ თავიანთი სარდალი მომტირალი ცხარე ცრემლებით. ისინი კი მის გვერდით იყვნენ ყველაზე რთულ სალაშქრო სიტუაციებში. ალექსანდრე იყო სიმამაცის ნიმუში. მაშინაც კი, როცა სიკვდილი მასთან სულ ახლოს იყო, არავის დაუნახავს მის სახეზე სასოწარკვეთილების კვალიც. ამიტომაც მხედართმთავრებს სტანჯავდათ კითხვა, რა დაემართა მას, ვინც დაიპყრო მთელი ერები? მას შეეკითხნენ ამის შესახებ და ალექსანდრემ აუხსნა მათ თავისი სევდის მიზეზი. თურმე, როცა მან გაიმარჯვა, მიხვდა, რომ დამარცხდა. და ახლა იმყოფებოდა სწორედ იმ ადგილას, სადაც ჩაიფიქრა „მსოფლიოს დაპყრობის“ თავისი გეგმა. მხოლოდ ამ მომანტში გააცნობიერა, რამდენად აზრსმოკლებული ყოფილა ეს ყოველივე. რამეთუ ადრე მას გააჩნდა მიზნები და გზა. ახლა კი მას წასასვლელიც, გზის გაგრძელება არსად აქვს და დასაპყრობიც მეტი არავინ დარჩა. და მან თქვა: „შინაგანად საშინლად დაცარიელებულად ვგრძნობ თავს, რამეთუ წავაგე ჩემი ცხოვრების მთავარი ბრძოლა“.

სენსეიმ რაღაც მანძილი დუმილით განვლო, შემდეგ კი ისევ გაიმეორა:

– ასე რომ, ყველაზე უზენაესი ძალაუფლება – ეს არის ძალაუფლება საკუთარ თავზედ. გახსოვდეთ, როგორც ლაო–ცზის აქვს:

„ვინც სხვებს იცნობს, ის გონიერია.

ვინც საკუთარ თავს იცნობს, ის განათლებულია.

ვინც სხვებს სჯობნის, იგი ძლიერია.

ვინც საკუთარ თავს სჯობნის, ის ძლევამოსილია“.

– გეთანხმებით, ძალიან რთულია საკუთარი თავის დამარცხება, – ჩაფიქრებულად წარმოთქვა ნიკოლაი ანდრეევიჩმა.

– მთელი სირთულე სიმარტივეშია. ამისათვის უპირველეს ყოვლისა აუცილებელია საკუთარი აზრების კონტროლირება. ადამიანი ხომ მუდმივად თავისი განწყობის ტყვეობაშია, ცხოვრობს იმით, რაც განუწყვეტლივ ახარებს მის სიდიადის მანიას. მას ეზარება საკუთარი გონების ველისათვის თვალის დევნება. სწორედ იქ იწყებს აღმოცენებას ყველანაირი სარეველა. სარეველას ხომ არ სჭირდება სათუთად მოვლა და განებივრება ლოლიაობისგან. იგი თქვენი ნებართვისა და მონდომების გარეშე გაიხარებს.

– როგორ უნდა მოვაშოროთ ეს სარეველა? – იკითხა საგონებელში ჩავარდნილმა ანდრეიმ.

– მარტივად. ძირფესვიანად ამოთხრი. შენ ხომ არ გიჭირს საკუთარი აზრების კონტროლქვეშ მოქცევა პირდაპირ ახლა? არა. სწორედ ასეთი „პირდაპირ ახლადან“ შედგება მთელი ცხოვრებაც. იცხოვრე „აქ და ახლა“ და ნუ ჩავარდები ცხოველური გონებით დახატულ ილუზიებში. შენ ხომ არჩევანის თავისუფლება გებოძა! ჰოდა, ამოირჩიე.

ამ დროს გავედით დაჩრდილული ხეივნის მოასფალტებულ გზაზე.

– ძალაუფლების შესახებ გასაგებია, – დაიწყო მსჯელობა ნიკოლაი ანდრეევიჩმა, როგორც ჩანს, თავისაზე ფიქრობდა. – გამოდის, რომ ძალიან დიდი ფულის შოვნა შეუძლებელია პატიოსნად და ამასთან სინდისისა და ღირსების შენარჩუნება.

– რატომ არის შეუძლებელი? – შეეპასუხა მას ვიქტორი. – ტელევიზორში აჩვენებდნენ „მრგვალ მაგიდას“ მსხვილი ბიზნესმენების მონაწილეობით. ნორმალური კაცებია.

სენსეიმ შეხედა მას და მიუგო:

– ეს უსინდისო ადამიანებია. ისინი მატყუარები და ეგოისტები არიან, რომლებიც მჯიღებს ირტყამენ მკერდში და ზღაპრებს გვიყვებიან. მაპატიეთ ბიჭებო, მაგრამ ფუფუნებაში ცურვა და მდიდრული ცხოვრება მაშინ, როცა ირგვლივ ამდენი მშიერი და გაჭირვებულია და საკუთარი შემოსავლების ზრდაზე ფიქრი – არის ადამიანის წოდებისთვის შეუფერებელი საქციელი. უბრალოდ ადამიანობის ღირსნი არ არიან.

– არა, მოიცადე, – ვერ ცხრებოდა ვიქტორი. – რაშია დამნაშავე მდიდარი ბიზნესმენი? თუკი ის გონიერია და იცის, როგორ გამოიმუშაოს ფული, შოულობს კიდეც. ხოლო ის, კი ვისაც მუშაობა არ სურს, ზარმაცია, ალკოჰოლიკია ან კიდევ ვინმე ამის მსგავსი, მან ასეთები უნდა გამოკვებოს?

– არ უნდა გამოკვებოს. **უაზრობაა მშიერისთვის თევზის მიცემა, რამეთუ თევზი შეიჭმება და შიმშილი ისევ დადგება. ბევრად ბრძნულია მისთვის თევზის საჭერის მიცემა და მათი გამოყენების სწავლება.** სწორად გამიგეთ, არ ვარ სიმდიდრის წინააღმდეგ, არამედ სიღარიბის წინააღმდეგი ვარ, მე შეძლების მომხრე ვარ. ფულს ენერგიის გარკვეული ექვივალენტი აქვს. ხოლო ფიზიკის კანონები იუწყება, თუკი ენერგია სადღაც მიეწოდება, ე.ი. საიდანღაც იგი კლებულობს. სამყარო სამართლიანი და ყველასათვის ხელმისაწვდომი უნდა იყოს. მაგრამ, როცა მსოფლიოს მართავენ დემონის მონები, მხედველობაში მაქვს საკუთარი თავის პოლიტიკოსებად წარმომჩენი ქურდები, სამართლიანობა აქ არასოდეს იქნება. ამიტომაც იგი განწირულია.

– ისევ სამართლიანობის შესახებ, – ცბიერად წარმოთქვა ჟენიამ. – სენსეი, ამას უკვე კომუნიზმის სუნი ასდის.

– რას იზამ? ბავშვობაში მაქვს ასეთი აღზრდა მიღებული, რომ კომუნიზმი უკვე დიდი ხნით გამიჯდა სისხლში, – ხუმრობით მიუგო სენსეიმ. – და თუ სერიოზულად, თავად დაფიქრდით. ახლა ჩნდებიან ოლიგარქები. რის ხარჯზე მდიდრდებიან ისინი? ხალხის გაღატაკების ხარჯზე, იმის ხარჯზე, რომ ჰყიდიან ჩვენს სამშობლოს. რა, ისინი ასეთი ჭკვიანები არიან? მათ რაიმე სასიკეთო გააკეთეს ხალხისთვის. მაშ რატომ არის ქვეყანა ასეთი ღარიბი? საერთოდ, როგო უნდა გაჩნდნენ მდიდარი ადამიანები ღატაკ ქვეყანაში? მხოლოდ მათზე უფრო სუსტი ადამიანების გაქურდვით. და გინდათ თქვათ, რომ ესენია წარმატებული ადამიანები, ადამიანის წოდების ტარების ღირსნი? მე კი ვამბობ, რომ ისინი ჯოჯოხეთისათვის განწირული დემონის მონებია.

ეს ოლიგარქები ხომ კაპიკებიანი ქველმოქმედებითაც კი არიან დაკავებულნი სხვა ადამიანების დასანახად და მათი ქულების დასაწერად. მაგრამ, არიან კი ისინი თავიანთ ცხოვრებაში სერიოზული საქციელისა და საფუძვლიანი შინაგანი ცვლილებებისათვის მზად? ეჭვი მეპარება. ხომ ნათქვამია: „სადაც საგანძურია თქვენი, იქამც გულია თქვენი“. ასეთ ადამიანებს მეტისმეტად უჭირთ თავიანთი გულის მოწყვეტა დაგროვებული სიმდიდრისაგან. ასე იყო ათასი და ორი ათასი წლის წინათაც, რამეთუ ადამიანები, სამწუხაროდ აღარ იცვლებიან. გაიხსენეთ ბიბლია, როცა იესო ქრისტესთან მივიდა მდიდარი ყმაწვილი და შეეკითხა, რა უნდა გააკეთოს ისეთი, რომ მარადიული სიცოცხლე შეიძინოს. რაზეც იესომ მიუგო, რომ თუ მას სურს მარადიულ ცხოვრებაში შეაბიჯოს ფეხი, დაიცვას მცნებები „არა კაც ჰკლა; არ იმრუშო; არ იპარო; არა ცილი სწამო მოყვასსა შენსა წამებითა ცრუითა; პატივ-ეც მამასა შენსა და დედასა შენსა, რათა კეთილი გეყოს შენ და დღეგრძელ იყო ქვეყანასა ზედა; გიყვარდეს მოყვასი შენი, ვითარცა თავი თვისი“. მაგრამ ყმაწვილმა თქვა, რომ ყოველივე ეს მან შეინარჩუნა თავისი სიყმაწვილიდან. რაღა აკლია

მას? მაშინ იესომ უთხრა: „...თუ სრულყოფილებას ეძებ, წადი გაყიდე შენი მამული და ღატაკებს დაურიგე; და გექნება საგანძური ცათა სასუფეველში; მოდი და გამომყევი მე“. ამის გაგონებაზე ყმაწვილი „სევდიანად განუდგა მას, რადგანაც დიდი მამული ჰქონდა“. იესომ კი უთხრა თავის მოსწავლეებს: „აქლემი უფრო ადვილად გაძვრება ნემსის ყუნწში, ვიდრე მდიდარი შევა ღვთის სასუფეველში“.

ქვეცნობიერების დონეზე ისინი გრძნობენ თავიანთ უმაქნისობას და მოსალოდნელ შედეგებს. ამიტომაც ისინი აშენებენ ტაძრებს და ამ გზით ცდილობენ დანაშაულის გამოსყიდვას ღმერთის წინაშე. უგუნურნი! მათ დაავიწყდათ წერილი, ხომ ნათქვამია: ქურდების მიერ აშენებული ტაძრები არის სატანის თავშესაფარი. ისინი აშენებენ არა ღვთის სახლებს, არამედ თავშესაფრებს დემონისათვის. და თუ იმედოვნებენ, რომ ამის გამო ცოდვები ეპატიებათ, ძლიან ცდებიან. ამით კიდევ უფრო იმძიმებენ ცოდვებს. ამგვარად არა მხოლოდ საკუთარ თავს იწყევლიან, არამედ თავიანთ ახლობლებსაც, რომლებიც სარგებლობენ მათი „სიკეთეებით“. ისინი ხომ არც კი ეკითხებოდნენ თავიანთ მახლობლებს, სჭირდებათ თუ არა მათ ასეთი მსხვერპლი? მზად არიან თუ არა ისინი გაიზიარონ პასუხისმგებლობა მათი ცოდვებისათვის ღვთის წინაშე?

მოგიყვებით უძველეს დროში მომხდარ ერთ ისტორიას იმის შესახებ, თუ როგორ შეცვალა ერთმა ქურდმა და მკვლელმა ძირფესვიანად საკუთარი სიცოცხლე ბრძენთან შეხვედრის შემდეგ და გახდა დიდ ადამიანად. ოდესღაც, ძველთაძველ დროში ცხოვრობდა ერთი ავაზაკი, რომელიც ეწეოდა ხალხის ძარცვას და დაუფიქრებლად კლავდა ადამიანებს მათი მხრიდან წინააღმდეგობის გაწევის შემთხვევაში. ამავე დროს ქვეყანაზე ცხოვრობდა ადამიანი სახელად ნარადა. იგი პოეტი და მუსიკოსი იყო. განთქმული იყო თავისი სიღრმისეული სიბრძნით. ადამიანებს უყვარდათ იგი კეთილი რჩევებისათვის, მხიარული ხასიათისათვის, მისი ხუმრობებისა და მომხიბვლელი მუსიკისათვის, რომელსაც იგი ასრულებდა თავის საკრავზე.

ერთხელ ბრძენმა დააპირა მეზობელ სოფელში წასვლა. გზა გადიოდა სწორედ იმ ტყეზე, რომელშიც მოქმედებდა ავაზაკი. მაშინ ადამიანებმა დაუწყეს ბრძენს დაყოლიება, არ წასულიყო იმ გზით, ვინაიდან ეს ძლიან საშიში იყო. ნარადას მხოლოდ გაეცინა:

– მინდა შევხედო მას, ვინაც ჩაგინერგათ შიში და ლაჩრებად გაქციათ. იგი მხოლოდ და მხოლოდ ერთი ადამიანია, არადა ჩაკეტა მოძრაობა მთელ გზაზე.

ამის თქმის შემდეგ ნარადა გაემართა ტყისკენ, გზად უკრავდა თავის საკრავზე. მალე ავაზაკმა გაიგონა მუსიკა და გამოვიდა გზაზე. თავის გასაოცრად დაინახა ერთი უიარაღო ადამიანი, რომელიც, ჩანდა, რომ ბედნიერი იყო თავისი მელოდიის შესრულებით. პირველად ცხოვრებაში მან იგრძნო გაუბედაობა და მიმართა მუსიკოსს:

– განა არ იცი, რომ ამ გზაზე სიარული უსაფრთხო როდია?

ნარადამ კი დაკვრის შეუწყვეტლად გზიდან ჩამოუხვია და დაჯდა ავაზაკის გვერდით, რომელიც ამ დროს ლესავდა თავის მახვილს. მელოდიის ბოლომდე შესრულების შემდეგ ჰკითხა მას:

– რას აკეთებ ამ ტყეში მარტოკა?

მან უპასუხა:

– ხალხს ვძარცვავ. შენც წაგართმევ ახლა შენს სიმდიდრეს.

ბრძენმა მიუგო:

– ჩემი სიმდიდრე სხვა თვისებისაა – ისინი შინაგანია. მე თავად ვიქნებოდი ბედნიერი, გაგიზიარო იგი.

– მე მაინტერესებს მხოლოდ მატერიალური ფასეულობები, – განაცხადა ავაზაკმა.

– მატერიალურიო, ამბობ? – იკითხა ბრძენმა, აიღო ერთი მუჭა მიწა და განაქარვა. – ეს მხოლოდ და მხოლოდ მტვერია, ილუზია, რომელიც მალევე ქრება. ეს არაფერია მარადიულ სულიერ ფასეულობებთან შედარებით. მითხარი, რისთვის გინდა შენ ეს?

მან უპასუხა:

– ჩემი ოჯახისათვის: ჩემი დედის, ცოლის, შვილებისათვის. მე თუ მათ ფულს ვერ მოვუტან, მათ შიმშილი ელის. მეკი სხვა არაფრის კეთება ვიცი.

ბრძენი კი დაინტერესდა:

– შენ ხომ არ გიკითხავს მათთვის, სჭირდებათ თუ არა მათ ასეთი მსხვერპლი? მზად თუ არიან ისინი ღმერთის წინაშე გაინაწილონ შენთან პასუხისმგებლობა? ავაზაკობით დაკავებული ადამიანი პირველად თავის ცხოვრებაში დაფიქრდა.

– არ ვიცი. აქამდე ამის შესახებ არც მიფიქრია.

– წადი და ჰკითხე მათ, – შესთავაზა ბრძენმა. – მე კი აქ დაგელოდები.

და მან ისევ დაიწყო თავისი საოცარი მელოდიის შესრულება.

ავაზაკი სწორედ მისი რჩევის შესაბამისად მოიქცა. გაეშურა სახლში და ჰკითხა დედამისს, რაზეც ხნიერმა ქალმა უპასუხა:

– რატომ უნდა გავინაწილო მე შენთან ერთად პასუხისმგებლობა შენი ცოდვების გამო? მე შენი დედა ვარ და შენი მოვალეობაა ჩემი გამოკვება.

მისმა ცოლმა უპასუხა:

– რატომ უნდა ვაგო პასუხი შენი ცოდვებისათვის? მე ასეთი არაფერი ჩამიდენია და ღვთის წინაშე სუფთა ვარ. არ ვიცი, რა გზით შოულობ სარჩოს. ეს შენი საქმეა.

უზრუნველად გაზდრილი შვილების სახეების ყურებაზე, ავაზაკმა არც კი ჰკითხა მათ არაფერი. თავჩაქინდრული კვლავ დაბრუნდა ბრძენთან.

არავის უნდა ჩემი პასუხისმგებლობის გაზიარება. რაც არ უნდა ვაკეთო ოჯახისათვის, გამოდის, რომ პასუხისგება მხოლოდ მე მომიწევს. გამოდგა, რომ მარტოხელა ვყოფილვარ. რა უნდა ვაკეთო ამის შემდეგ?

ამ უკანასკნელმა სევდიანი თვალებით გახედა ბრძენის უმწიკვლო სახეს და მან უპასუხა:

– ჩამოიხსენი ქურდის ნიღაბი და დაწვი იგი კეთილი საქმეების კეთების ალში. მოინანიე შენს მიერ ჩადენილი ბოროტება. შეცვალე საკუთარი თავი და გახდი ადამიანად.

ამ უღრანი ტყიდან გზააბნეული ადამიანი გავიდა დიდ ბრძენთან ერთად...შემდგომში ადამიანებმა შეარქვეს მას ვალმიკი და გაითქვა საუკუნოდ სახელი, როგორც ლეგენდარულმა პოეტმა, ძველინდური, განთქმული ეპიკური პოემა „რამაიანას“ ავტორმა.

სენსეი დადუმდა. ჩვენც გარკვეული დრო მდუმარედ მივდიოდით და ვიყავით გაგონილისაგან შთაბეჭდილების ქვეშ. როცა კაფეს გვერდით ჩავიარეთ, სტასმა დაარღვია სიჩუმე და შემოგვთავაზა შევსულიყავით შიგნით გაზიანი წყლის დასალევად. ყველას მოეწონა ეს იდეა, რადგან საკმაოდ ცხელოდა. მხოლოდ სენსეიმ თქვა უარი და გვითხრა, რომ სკამზე

დაგველოდებოდა. მან მიუთითა ჩრდილში განთავსებულ სკამზე, სადაც იჯდა ასაკოვანი წყვილი. ჩვენ დავცილდით ერთმანეთს.

გაზიანი წყლის სწრაფად დალევის შემდეგ გავედი გარეთ, სანამ ბიჭები დამატებითი ჭიქა წყლით იკლავდნენ წყურვილს. სენსეი იჯდა მოხუცების გვერდით და რაღაცაზე საუბრობდა. ამ დროს კაფედან გამოვიდა ნიკოლაი ანდრეევიჩი და ჩვენ ერთად მივედით სენსეისთან, მივესალმეთ ასაკოვან წყვილს და გავხდით მათი საუბრის უნებლიე მსმენელები.

– ...მისი ლოცვებით.

– კარგი მამაოა, ბასილი, – დაეთანხმა სენსეი. – მან ბევრი რამ გააკეთა ადამიანებისთვის.

– ასე სწრაფად გაფრინდა ცხოვრება, – ამოიოხრა მოხუცმა ქალმა. – ვუყურებთ ახალგაზრდებს, სულ ცოტა ხნის წინ ხომ მათსავით ვიყავით. რაც მთავარია, სულში ვერ გრძნობ, რომ სხეული დაძაბუნდა.

– ადამიანი სულით არ ბერდება, – შენიშნა სენსეიმ და გულთბილად დასძინა: – ახალგაზრდებზე შურით ყურება საჭირო არ არის. მათ ხომ ჯერ კიდევ მოელით მთელი გზის გავლა. თქვენ კი უკვე ზღურბლზე დგახართ და თქვენ დაგრჩათ მხოლოდ დაკაკუნება კარზე.

– სწორედ ამაშია უბედურება. სიკვდილი კი არ მანაღვლებს, განშორება, – დამწუხრებულმა წარმოთქვა მოხუცმა ქალმა და მალულად მოიწმინდა ცრემლი. – ჩვენ ხომ ივანესთან ორმოცდაცამეტი წელი ერთად გავატარეთ სიყვარულში და საძრახისი სიტყვა ერთმანეთისაგან არ გაგვიგონია. – ბაბუამ დასტურად თავი დააქნია. მოხუცმა ქალმა კი მადლიერებით ჩაიდო მისი ხელი ხელისგულში. – ახლა კი, როგორც ჩანს, დადგა ჩვენი განშორების დრო. აი რის გამო არის დამწუხრებული ჩემი სული.

– ტყუილად წუხართ. ან რაზე სწუხართ? თქვენ სხეულზე წუხართ? – სენსეიმ მხრები აიჩეჩა, მიუთითა ახლომახლო მოსეირნე ახალგაზრდა წყვილზე და ღიმილით წარმოთქვა: – ღმერთო ჩემო, კიდევ მესმის ახალგაზრდობაში, მაგრამ ახლა მაინც რაზე დარდობთ?! – მათ ერთად გაეცინათ. – ხოლო სული...**სანამ სულში სიყვარული ცოცხლობს, – განშორება შეუძლებელია. მთავარი ხომ ის არის, რომ შენ იცი, გიყვარს ეს ადამიანი. როგორ უნდა დაგეკარგოს იგი, თუკი ის სინამდვილეში ძვირფასია შენი სულისთვის, თუკი მეხსიერება და სიყვარული მისდამი აგრძელებს თავად შენში ცხოვრებას...**

კაფედან დაიწყეს გამოსვლა ბიჭებმა, სენსეი წამოდგა სკამიდან და დაიწყო მოხუცებთან დამშვიდობება.

– ძალიან დიდი მადლობა, თქვენ მე ისე დამამშვიდეთ, – დასამშვიდობებლად ხმით ატირდა მოხუცი ქალი, თითქოს უნდოდა სენსეისთვის ერთიანად ყველაფრის გამოთქმა, რაც მის სულში ინახებოდა. – და მართალიცაა, რას შეუძლია ჩვენი დაშორება? რომც წავიდე მე, იქედან გავაგრძელებ მის სიყვარულს ისევე, როგორც აქ მიყვარდა. ამით რა დაიკარგება?

– არც არაფერი, – წარმოთქვა სენსეიმ. – აქ თქვენ წამებიღა იყავით ერთად, იქ კი მარადიულად ერთად იქნებით. უნდა გიხაროდეთ, რომ ახლოვდება მარადისობა. აქ ხართ ტანჯვასა და წამებაში, იქ კი შეიძენთ სიმშვიდესა და სიხარულს.

– ძალიან სასიამოვნო იყო თქვენთან საუბარი, – გულაჩუყებულად წაილუღლუღა მოხუცმა ქალმა.

– მე მესიამოვნა თქვენთან ურთიერთობა.

– არ ვიცი, შევხვდებით თუ არა ერთმანეთს კიდევ. ყოველი დღე ჩემთვის მოლოდინია. რა თქმა უნდა, კიდევ მინდა ვნახო მამა ბასილი და თქვენთან საუბარი. თქვენ ისე დამამშვიდეთ. ისეთი სიმსუბუქე ვიგრძენი სულში. ძალიან მინდა თქვენთან კვლავ შეხვედრა.

– ნუ დარდობთ, – ალერსიანად წარმოთქვა სენსეიმ და რაღაც განსაკუთრებული სითბოთი და სინაზით უყურებდა ქალს. – ჩვენ აუცილებლად შევხვდებით ერთმანეთს და ბევრი დრო გვექნება ურთიერთობებისათვის.

როცა საკმაოდ დავშორდით ამ მოხუცებულ წყვილს და ბაზრის მიმართულებით მივემართებოდით, ნიკოლაი ანდრეევიჩმა ჰკითხა სენსეის:

– ეს შენი ნაცნობები არიან?

– არა, – ღიმილით მიუგო სენსეიმ. – უბრალოდ მშვენიერი ადამიანებია.

– ეს ქალი, ავად არის რაიმეთი?

– კი. მას ცოტა დრო დარჩა საცხოვრებლად.

– ნუთუ მისი დახმარება არაფრით შეიძლება? – შეწუხებულმა ვიკითხე.

– შეიძლება. მაგრამ ასეთი სახის დახმარება მხოლოდ ავნებს, – უპასუხა სენსეიმ. – **ადამიანი – წარმავალია. სიკვდილი ბოლოს უღებს მოხუცობასა და ტანჯვას, ათავისუფლებს ყოფიერების ტვირთისაგან. შეყვარებული სულებისათვის – ეს ჯილდოა. საბოლოო ჯამში ხომ ჩვენ არ ვიცვლებით მხოლოდ იმიტომ რომ ვკვდებით...**

5

როგორც იქნა მივუახლოვდით ჩვენი მოგზაურობის მიზანს, – ადგილობრივ სასურსათო ბაზარს. შესასვლელთან განთავსებული იყო სკამები, სადაც ვაჭრობდნენ ყველანაირ ჩინურ წვრილმანს: ბრელოკებით, კალმისტრებით, საათებითა და სხვადასხვა ფართო მოხმარების საქონლით. სენსეიმ გადახედა ამ მრავალფეროვან ასორტიმენტს და სიმწრით ჩუმად წარმოთქვა:

– სულ დაკარგეს პატივისცემა. ყველანაირი ხარახურით აგვავსეს, როგორც მესამე სამყაროს ქვეყანა. ბიჭებმა დაუწყეს მთელს ამ მრავალფეროვან საქონელს დათვალიერება. სტასმა ხელში აიღო რაღაც კვადრატული ფორმის ბრელოკი საათის ფორმით, დააჭირა ღილაკს და მან დაიწყო გაუგებარი ხმოვანი სიგნალების გამოცემა, ციმციმი და ცვალებადი ციფრების გამონათება.

– ო, ეს რა უბედურებაა? – გაოცდა სტასი.

– პირდაპირ, როგორც გეიგერის მრიცხველი, – გაეცინა გვერდით მდგომ ნიკოლაი ანდრეევიჩს.

– რაო? – ჩაერჭო ჟენია ექიმსა და სტასს შორის. – ეს რა მრიცხველიაო?

– გეიგერის, – გაიმეორა ნიკოლაი ანდრეევიჩმა. – ასეთი ნაწილაკების აირგანმმუხტველი დეტექტორი.

ჟენია მიაშტერდა ნიკოლაი ანდრეევიჩს მდუმარე შეკითხვით. სტასმა კი ირონიულად დაავიწროვა თვალების, გადაწყვიტა დაეჩქარებინა მეგობრის აზროვნების პროცესი.

– გსმენია ასეთი ხელსაწყოს შესახებ, რომელსაც დოზიმეტრი ჰქვია, სოფელო?

– ა, ეს მგონი გამოსასხივებელი ხელსაწყოა, არა? – მეორე მცდელობიდან მიხვდა ჟენია.

– ეს არის გამოსხივების დოზის გასაზომი ხელსაწყო, – სიცილით წარმოთქვა სტასმა.

– მეც ხომ ამას ვამბობ.

ჟენიამ შეიქმნა „მეცნიერი კაცის“ სერიოზული სახე, აიღო სტასისაგან მოციმციმე „ხელსაწყო“ და დაიწყო მისი თვალიერება.

– ეს წამზომია, – განმარტა გამყიდველმა. – ოღონდ ის...ეხლა სხვას მოგაწვდით.

სტასმა თვალი ჩაუკრა, მიუთითა მას ჟენიაზე და მხიარულად თქვა:

– ყურადღებას ნუ მიაქცევთ, ის უბრალოდ დიდ ხანს სწავლობდა, ამიტომაც ცოტაოდენ შეფერხდა განვითარებაში.

ჩვენ გაგვეცინა. ჟენიამ კი გაიქნია თავი და გამიზნულად ხმამაღლა წარმოთქვა სპეციალურად სტასისთვის:

– მე, საერთოდ, ბოროტებას არ ვიმახსოვრებ...ხშირად მიხდება ჩაწერა. – და ამჯერად გამყიდველს მიმართა: – რა ღირს?

ამ უკანასკნელმა უთხრა ფასი და დაფაცურდა, რათა გამოეცვალა ეს გაფუჭებული ნივთი ახალზე.

– არა, არა, მე ამის ყიდვა მსურს, – გააჩერა იგი ჟენიამ. – ვიღაცამ ხომ ხარვეზიანიც უნდა იყიდოს თქვენგან ასპროცენტიანი ფასდაკლებით...

ამის შემდეგ ჟენია დაიქოქა შარიანი მყიდველისთვის დამახასიათებელი ისეთი სასაცილო გამონათქვამებით, რომ კინაღამ ცუდად გავხდით სიცილისაგან. ჩვენმა ფსიქოთერაპევტმაც კი, „საქონლის ჩამოფასების“ შესახებ ჟენიას მორიგი კლოუნადის შემდეგ, დაინტერესებულად ჰკითხა სტასს:

– იგი ასეთია ყველაფერში თუ კერძო საკითხებში? რაზეც მან მიუგო:

– ზოგადად და კერძოშიც.

– დიახ, ეს უკვე „დიაგნოზია“, – დაასკვნა სიცილით ექიმმა.

და როცა კმაყოფილმა ჟენიამ გამოივაჭრა ეს სამშვენისი კაპიკებად, ბიჭების ხუმრობის ქვეშ მივიდა სენსეისთან, ამ უკანასკნელმა თქვა:

– არ გრცხვენია ადამიანებისთვის კაპიკების აცლა?

– რა მოხდა? ეს მათ უნდა რცხვენოდეთ, ასეთი ნაგავის ასეთ ფასად ვჭრობისთვის. – და თავისი მომხიბვლელი ჰოლივუდური ღიმილით დასძინა: – შენ ხომ იცი სენსეი, ჩემი სინდისი კრისტალივით სუფთაა... – ნელნელა უკან გამობრუნებისას დაამატა: – მე ხომ ამით არ ვსარგებლობ.

– სწორედ ამაშია პრობლემა, – დაასკვნა სენსეიმ ბიჭების საერთო ხარხარის ქვეშ.

ჩვენ შევედით ბაზარში და დავიწყეთ პროდუქტების ყიდვა სიით. ჟენიამ კი უსაქმურობისაგან, მივიდა აქ ვიღაც, აშკარად უფრო სამხრეთული მიწებიდან ჩამოსულ და პომიდორებითა და კიტრებით მოვაჭრე გამყიდველთან. ყმაწვილმა შეიკერა სახეზე მნიშვნელოვანი გამომეტყველება და ეჭვით დაინტერესდა:

– რომელ ადგილებში ხარობდა თქვენი ბოსტნეული?

გამყიდველმა, სავარაუდოდ, ვერ გაიგო ბოლომდე შეკითხვა და ჩვეულებისამებრ დაიწყო საქონლის ქება. კითხვები ბოსტნეულის მოყვანის ადგილმდებარეობის შესახებ ნარნარად გადავიდა შეკითხვაზე ფასთან დაკავშირებით, რაც მეტისმეტად მომატებული აღმოჩნდა. გასაგებიცაა, ზღვაზე იაფი არაფერია. მაგრამ, როგორც ჩანს, არა ჟენიასთვის. დადგა, სულ მცირე,

მომხმარებელთა უფლებების დაცვის საზოგადოების ინსპექტორის პოზაში, ბიჭმა გამოიტანა თავისი „დოზიმეტრი“ და საქმოსნურად დაიწყო მისი ტარება საქონლის დახლის მთელ სიგრძე–სიგანეზე. დოზიმეტრმა, ბუნებრივია, დაიწყო წრიპინი, ციმციმი და ანათებდა თავის ტაბლოზე აბსურდულ ციფრებს. გამყიდველმა გაკვირვებით გამობერა თვალები. გაუგებარია საიდან, მის თავზე დაცემულმა, ამ გულშემაწუხებელი მყიდველის ქცევამ, აშკარად მოახდინა მასზე მეტად უსიამოვნო შთაბეჭდილება.

– არა, შენ ეს ნახე?! – ჟენია აღშფოთებით უჩვენებდა „დოზიმეტრის“ ჩვენებებს ამ დროს ახლოს მდგომ სტასს, რომელსაც დიდი ძალისხმევის ფასად უჯდებოდა სერიოზული სახის შენარჩუნება. – არა, ამას დამიხედეთ! ეს ხომ ჩერნობილზე უარესია! შენ რომელ ბირთვულ პოლიგონზე მოიყვანე ეს ბოსტნეული? – მიმართა ჟენიამ გამყიდველს და ცხვირწინ უტრიალებდა „დოზიმეტრის“ ჩვენებებს. – ხედავ, გეიგერის მრიცხველიც კი ველარ უძლებს, ზღვრულ ნიშნულებს აჩვენებს. პირდაპირ, რაღაც კოშმარია! მალე, საერთოდ, ბირთვული ნარჩენებით დაიწყებენ ჩვენს გამოკვებას...

ჟენიას სიტყვებზე ხალხმა დაიწყო შემოტრიალება. გამყიდველი, გონებადაბნეული უყურებდა, ხან მრიცხველს, ხან ბოსტნეულს და გაძლიერებულად ცდილობდა გარკვეულიყო, რა ხდება მის თავს, დაიწყო თავის მართლება, რომ მას ჰქონდა ყველაზე ხარისხიანი საქონელი. ხოლო, როცა ჟენიამ დაიწყო ამ ისტორიის გაბუქება უცნობლობამდე, გამყიდველმა პირადად შეჭამა პომიდორი ყველას დასანახად და თავისი ბოსტნეულის სრულ უსაფრთხოებაში არწმუნებდა არა იმდენად ბიჭუნას, რამდენადაც თავშეყრილ დოყლაპიებს. მაგრამ ამან ჟენია კიდევ უფრო გააფიცხა და გამყიდველის მოქმედებებზე პასუხად დაიწყო საშიში ისტორიების მოყოლა, თუ როგორ მოქმედებს რადიაცია ადამიანის ორგანიზმზე, თანაც იმის დაწვრილებითი ჩამოთვლით, რა იწყებს ორგანიზმში პირველ რიგში მწყობრიდან გამოსვლას (ბუნებრივია, მისი ჭკუით). ერთი სიტყვით, მან ისეთები მოჩმახა, ცნობისმოყვარე ბუზიყლაპიების ისეთი გროვა შემოიკრიბა, რომ ბოლოს და ბოლოს, გამყიდველმა შესტენა მას საქონელი, ალბათ, შესყიდვის ფასზე დაბალ ფასად, ოღონდაც კი თავი დაეღწია ამ „პანიკიორისაგან“ სასწრაფოდ.

ამ დროისათვის ჩვენ უკვე შევიძინეთ პროდუქტების ნაწილი. სტასმა და ჟენიამ მოგვძებნეს, გვიჩვენეს პომიდორებითა და კიტრებით სავსე პარკი. ამასთან, ჟენია ვერ წყვეტდა ტრაბახს თავისი „მიღწევებისაგან“ და გამოთქვა სურვილი, შეესყიდა ყველა დანარჩენი პროდუქტი ფასდაკლებით, რაზეც სენსეიმ დაძრახვის ნიშნად გაიქნია თავი:

– ეჰ, ხალხო, გიხსნით, გიხსნით და...

– არა, სენსეი, რატომ დავხარჯოთ მეტი, თუკი შეიძლება ვიყიდოთ გონივრულ ფასებში? ისინი ხომ აქ, ყველანი ხალხის გაყვლეფით არიან დაკავებულნი! მე კი, როგორც კეთილსინდისიერი მოქალაქე ვერ დავხუჭავ თვალს ამ უმსგავსობაზე. მე ხომ მინდა ჩემი წვლილი შევიტანო. – ბიჭებს ისევ სიცილის შეტევა დაემართათ, ჟენია კი აგრძელებდა თავის მართლებას და ეშმაკურად იცინოდა. – მე ხომ მათ მიმართ შურს არ ვგრძნობ. უბრალოდ, როცა ვხედავ ვაჭრობის მუშაკს, ჩემს შიგნით წარმოიშობა სამართლიანობის გამწვავებული შეგრძნება.

– ა–ა–ა, – გაეცინა სენსეის. – ამ თვისებას ამჟამად ასე უწოდებენ, არა?

– კი, – თავი დაუკრა მომღიმარმა სტასმა. – ამასთან, „სამართლიანობის ეს გამწვავებული გრძნობა“ მას გამოუვლინდება ორი სახით: ანგარებიანი და უანგაროს. ანგარებიანია მაშინ, როცა

მას უნდა, რომ „ის საგანი მასაც ჰქონდეს“. ხოლო უანგაროა მაშინ, როცა მას უნდა, რომ „გამყიდველსაც არ ჰქონდეს ეს საგანი“.

სენსეიმ, იმედგადაწურულმა, ხელი ჩაიქნია ჟენიასა და სტასისკენ და წარმოთქვა:

– მოიქეცით, როგორც იცით.

ნიკოლაი ანდრეევიჩმა გადასცა მათ ფული და სია. ჩვენი ჯგუფი დაიყო. ბიჭების ნაწილი ჟენიას გაჰყვა მის მიერ პროდუქტების ყიდვის პროცესისგან გასართობად. ხოლო სენსეი, ვალოდია, ექიმი და მე, ბიჭებთან შეხვედრის ადგილის წინასწარი მოლაპარაკების შემდეგ წავედით ნაპირისკენ.

ცა მოკამკამებული იყო. ნახევრად მძინარე დამსვენებლები ზარმაცად სეირნობდნენ ქუჩებში და პაპანაქება სიცხეს ემალებოდნენ ხის ჩრდილებში. ჩვენ გავედით დათქმულ ადგილას, დავდგით პროდუქტებიანი პარკები და დავსხედით თავისუფალ სკამებზე დიდი ხის ჩრდილქვეშ. ნიკოლაი ანდრეევიჩმა გადაწყვიტა დრო გამოეზოგა და დაუწყო სენსეის გამოკითხვა.

– სენსეი, შენ ძალიან საინტერესო თემას შეეხე აქეთობისას...მთელი ეს დრო ვფიქრობდი...კარგი, სიმდიდრე შენ და მე არ გვემუქრება ჩვენი პროფესიის გათვალისწინებით, მით უფრო ჩვენს ქვეყანაში, – ხუმრობით წარმოთქვა ექიმმა. – მაგრამ, თუ ვიქნებით სერიოზულები, რა უნდა ქნას კაცმა? ყველა ამბობს, აი ასე ცუდია, ისეც ცუდია, მაშ როგორ არის კარგად? როგორ უნდა იცხოვრო?

– გესმის, **ყოველი ადამიანი, არსობრივად, არ ცხოვრობს თავისი ნამდვილი ცხოვრებით. ის ირჩევს მისთვის მოწონებულ სახეს და როლს თამაშობს, თანაც, როგორც წესი, ბევრს.**

აი მაგალითისათვის, შენ ეხლა თამაშობ სტუდენტის როლს, ცდილობ, როგორც ლექციაზე, შეკითხვების დასმას, ჩაწვდე ჩემი პასუხების არსს. შემდეგ გადაერთვები ფსიქოთერაპევტის როლზე და ეცდები ჩემი სიტყვების გაანალიზებას. არსობრივად კი ეს მხოლოდ და მხოლოდ თამაშია, არც მეტი, არც ნაკლები. რადგანაც, შენ თვითონ იცი ის, რაზეც მე გელაპარაკები. უბრალოდ, საჭიროა ღრმად ჩაიხედო საკუთარ სულში.

ასევეა თითოეული ადამიანიც. ის თამაშობს. ზოგს მოსწონს ექიმის როლი, ზოგს მაგარი სპეცრაზმელის, მესამეს კი – ავტოზეინკლის როლი. ზოგი ირჩევს ალკოჰოლიკის, ზოგი ყაჩაღის, ზოგი კარიერისტისა და ზოგიც ცხოვრებაზე განაწყენებულის როლს. მაგრამ, ვინც არ უნდა იყოს ადამიანი, ფაქტიურად – ეს მხოლოდ და მხოლოდ მისი როლია. უბრალოდ, იგი იმდენად შეესისხლხორცება მას, რომ ფიქრობს, ეს არის მისი ნამდვილი როლი. სინამდვილეში, შექსპირი მართალია: – სამყარო – ეს მხოლოდ და მხოლოდ თეატრია.

და როგორც ნებისმიერი არტისტი, ადამიანი დაუკმაყოფილებელი რჩება თავისი როლით და ოცნებობს სხვა როლზე, სადაც თავის თავს უფრო მნიშვნელოვანს ხედავს. რასაც არ უნდა მიაღწიოს ადამიანმა, მას ეჩვენება, რომ თავისი ცხოვრების მთავარი როლი ჯერაც არ შეუსრულებია. და როცა თამაშობს იმას, ვინც თვითონ გამოიგონა, მაგალითისათვის, ღატაკს, მდიდარს, ავადმყოფს, ჯანმრთელს, ზეინკალს ან კოსმონავტს, არ აქვს მნიშვნელობა, – ადამიანი ოცნებობს სხვა როლზე. იგი თავის თავზე ირგებს პრეზიდენტის, ოლიგარქის, გმირი–მაშველის, სამართლიანობისათვის მებრძოლისა და კიდევ ვინმე სხვის როლებს...და ყოველთვის ოცნებებშია, თავს იმშვიდებს ამ ზღაპრებით. **განა უფრო მარტივი არ არის ოცნებების განზე გადადება და ადამიანისთვის ღირსეული როლის არჩევა?**

– შენ მხედველობაში გაქვს წმინდანის, ლამას ან ვისი როლი?

– გინდ ლამას, გინდა წმინდანის ან პატიოსანი, კეთილი ადამიანის, დაარქვი, როგორც გნებავს. **მე ამას ვუწოდებ უბრალოდ – ადამიანის წოდებისთვის ღირსეულ როლს. ის იყავ, ვინც უნდა იყო. რათა დაძინების წინ საკუთარი სუფთა სინდისის რწმენით მშვიდად იყო. რათა სიკვდილის წინ არ შეგრცხვეს საკუთარი აზრებისა და საქციელისათვის და რათა ღმერთის წინაშე წარდგენის წინ, როგორც ქრისტიანები ამბობენ – ღვთის სამსჯავროზე, სათქმელიც გქონდეს, რათა სასიკეთო საქმეების შენი კალათა სავსე იყოს, ხოლო ბოროტი საქციელის კალათა – ცარიელი. აი, რას ნიშნავს იყო ადამიანი**. და არა მარტო გარეგანად, არამედ, რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, შინაგანად. საკუთარ გონებაში წესრიგის დალაგება. უგულებელყავი სულელობა, უგუნურობა, ამაოება. მეტი იფიქრე ღმერთის, სულის შესახებ. თუ გაქვს თავისუფალი დრო – გამოიყენე იგი სულისთვის სასარგებლოდ, ილოცე, გააკეთე მედიტაცია, მიჰყევ სულიერ მეცადინეობას. **რამეთუ ცხოვრება მეტად ხანმოკლეა. და კაცს ეძლევა იგი იმისათვის, რათა ადამიანმა დაუმტკიცოს ღმერთს, რომ ღირსეულია ატაროს ადამიანის წოდება...**სენსეი ყვებოდა უბრალოდ და გასაგებად.

მისი სიტყვები აღვსებული იყო ისეთი გულწრფელობით, ისეთი მონაწილეობით, ძლიერებითა და სიკეთით, რომ ჩემში „ლოტოსის ყვავილი“ უნებლიეთ ამუშავდა და სასიამოვნო სითბო განავრცო მთელ სხეულში. სულში კი ისეთმა სიმშვიდემ დაისადგურა, თითქოს ჩემგან ჩამოძვრაო ყველა ნათამაშები ნიღაბი და დროებით გააშიშვლა ჩემი რეალური არსობა. რატომღაც სწორედ ასეთ თავისუფალ მდგომარეობაში მე სინამდვილეში ვაცნობიერებდი, რაზე საუბრობდა სენსეი. რამეთუ ეს გაგება მოდიოდა არა სიტყვებით, არამედ ჩემი სულიდან.

გარკვეული დრო მდუმარედ ვისხედით და ვტკბებოდით ბუნების ზღვის სურათით. სენსეის სიტყვებით წარმოშობილ ასეთ არაჩვეულებრივ მდგომარეობაში, როგორც ჩანს, არავის უნდოდა ზედმეტი სიტყვის წარმოთქმა. ყოველივე საოცრად მარტივი და გასაგები იყო. ამ მზერის უშფოთველობა დაარღვიეს ბაზრიდან დაბრუნებულმა ბიჭებმა.

– შეხედეთ, რამდენი სიკეთე შევისყიდეთ! – კმაყოფილებით წარმოთქვა ჟენიამ, გაშალა ხელები და გვიჩვენა დატვირთული პარკები, რომლებიც მოჰქონდათ მას და ბიჭებს. – თქვენ რად მოგიწყენიათ?

– არაფერი, ვუმზერთ, – თქვა სენსეიმ ზღვის შორეთში ყურებით.

ჟენიამაც ზრდილობის ნიშნად გაიხედა იმ მხარისკენ. ამ დროს ზღვაზე მიქროდა კატარღა, მასზე გამოკიდებული იყო ბაწარი, რომლის ბოლოც ხელთ ეპყრო წყლის თხილამურებზე მდგომ გოგოს.

– უჰ, რა მაგარი გოგოა! – შემფასებლურად წარმოთქვა ჟენიამ, რადგან იფიქრა, რომ საუბარი სწორედ გოგოს ეხებოდა.

– აი სწორედ, – წარმოთქვა სენსეიმ. – მე მათ ამასთან დაკავშირებით ანეკდოტს ვუყვებოდი და აი მათ მოიწყინეს.

ჟენიამ ჩაახველა:

– ეს რა ანეკდოტია ასეთი, რომ მათ ფიქრები მოეძალათ?

– რა და, ზის ორი მეთევზე მდინარის ნაპირას. მათ წინ კი ლამაზი გოგო დასრიალებს წყლის თხილამურებზე. ერთი მეორეს ეკითხება:

„წარმოდგენილი გაქვს, ახლა ის დაეცემა და დაიწყებს დახრჩობას. მე კი ჩავყვინთავ და გადავარჩენ მას. ამოვიყვან და მოვაჩვენებ, რომ ვუკეთებ ხელოვნურ სუნთქვას, თვითონ კი ვკოცნი და ვეხვევი მას“. როგორც კი თქვა ეს სიტყვები, გოგო ვარდება წყალში და იწყებს ჩაძირვას. მთხრობელი მაშინათვე წყალში ხტება. ჩაყვინთავს და ამოჰყავს ქალის სხეული. იწყებს ხელოვნური სუნთქვის კეთებას, კოცნას, ხვევნას. შემდეგ მიდის ამხანაგთან და ეუბნება:

„რაღაც ვერ გამიგია? ის მზეთუნახავი იყო, ეს კი რაღაც მახინჯია“. ამხანაგი კი მას გვერდიდან უყურებს და ეუბნება: „მართალია...ის წყლის თხილამურებზე იდგა, ეს კი ციგებზე“. ხის ქვეშ გაისმა კოლექტივის ხარხარი. მხოლოდ ჟენიას გაეცინა უხალისოდ, შემდეგ კი შეწუხებულმა იკითხა:

– ვერ გამიგია, რა შუაში იყო აქ ციგები? ის ხომ წყლის თხილამურებზე იდგა.

ჩვენ ისევ ავხარხარდით ყველანი, ამჯერად არა იმდენად ანეგდოტისაგან, რამდენადაც ჟენიასაგან. ყმაწვილი კი შეეცადა მიეჩქმალა თავისი უხერხულობა, უცებ დაფაცურდა და გადაიყვანა ხარხარის ნაკადი ბაზარში მისი შესყიდვების თავგადასავლებზე. მოთხრობას შემოუერთდნენ „მოწმეებიც“ და შეავსეს თავიანთი დაზუსტებებით. ბოლოს და ბოლოს, საკმაო სიცილის შემდეგ ყველამ დაასკვნა, რომ ამ ბაზარზე ამიერიდან ჟენიას მარტო გაშვება სახიფათოა. მან იქ თავისი „დოზიმეტრით“ ისეთი ჩოჩქოლი ატეხა, რომ თუ გადაწყვეტს იქ გამოჩენას კიდევ, ამ ნივთის გარეშეც კი, იგი აშკარად იგრძნობს თავის ძვლებზე მისი ხუმრობის შედეგებს.

ჩვენ გადავანაწილეთ პროდუქტები პარკებში ისე, რომ ყველასთვის მოხერხებული ყოფილიყო წაღება. როცა დავაპირეთ გაწევა შინისკენ უკანა გზაზე, ჟენიამ უეცრად ხმამაღლა გაიცინა:

– ა–ა–ა! გამოდის, რომ ის, ციგებით რომელიც იყო, ჯერ კიდევ გასული ზამთრიდან იყო წყალში.

ეს კი უკვე ბოლო წვეთი აღმოჩნდა. ჩვენ უბრალოდ სიცილით გონება დაგვეკარგა. გამვლელებიც კი, რომ გვიყურებდნენ, ჩვენთან ერთად იცინოდნენ, იმუხტებოდნენ რა ჩვენი სასიკეთო მუხტით, მიუხედავად იმისა, რომ არც კი ესმოდათ რატომ იცინოდნენ.

რადგანაც ჩვენ დატვირთულნი ვიყავით პროდუქტებით, წავედით პანსიონატების შემოვლითი, უფრო გრძელი და მოხერხებული გზით. როცა გავდიოდით მორიგი შენობის გვერდით, ჟენია გვერდებზე იყურებოდა და უეცრად გაჩერდა. მან დადო პარკები ასფალტზე და დაიწყო თავისი ჯიბეების დეტალური ქექვა, რომლებიც თავის დროზე ტანსაცმლის დიზაინერებმა უხვად დააკერეს, როგორც მის პერანგზე, ასევე, შორტებზეც.

– ნეტა, სად წავიღე? – საგონებელში ჩავარდა ბიჭი.

რადგანაც ჟენია ცოტა ჩამორჩა, ზოგი ჩვენგანიც შეჩერდა ბიჭის ლოდინში.

– აი ვიპოვე! – როგორც იქნა გახარებულმა წამოიძახა და გამოიტანა რაღაც დაკუჭული ქაღალდი.

– შენ რა, ამას ცხოვრების ექსტრემალური შემთხვევისთვის ინახავ? – გაეცინა ვალოდიას და აკვირდებოდა, როგორ ცდილობდა ბიჭი დაკუჭული ქაღალდის გასწორებას.

დიახ, ექსტრასენსორულისთვის, – ხუმრობით მოიგერია ჟენიამ.

აიღო თავისი პარკები და დაეწია სენსეის.

– სენსეი, ნახე, რა განცხადება ჩამოვხიე დღეს ბაზარში. კოსმოსისა და სრულიად დედამიწის მპყრობელის მთელი სახოტბო ოდა...

ბიჭმა გაუწოდა ქაღალდი.

სენსეიმ აიღო იგი და ღიმილით უკან დაუბრუნა.

– ასეთი სიკეთე ოლქში საკმარისად არის. აი შეხედე...იქაც ეს კიდია, იქაც და აი იქაც...

ჩვენ ცნობისმოყვარეობით დავატრიალეთ თავები ჟენიასთან ერთად იმ მიმართულებებით, სენსეი რომ მიგვითითებდა. მართლაც, ყველგან აჭრელებული იყო დიდი ასოებით დაწერილი ერთი და იგივე განცხადებები: „დიდი ექსტრასენსი, საერთაშორისო კლასის საპატიო ოსტატი, ორაკულების წინასწარმეტყველი, დიდი ჯადოქარი, რომლის მხოლოდ ერთი შეხედვით განიკურნა უამრავი ადამიანი, ვიტალი იაკოვლევიჩი...მრავალრიცხოვანი თხოვნების საფუძველზე ატარებს დამატებით სამკურნალო–გამაჯანსაღებელ სეანსს, რომლის ანალოგი მსოფლიოში არ არსებობს. სეანსის დასაწყისი...“ შემდეგ მითითებული იყო ხვალინდელი დღე, ასევე, ბილეთებზე უზომოდ გაზრდილი ფასი.

ამ უამრავი გაწეპილი განცხადების ხილვაზე აგვიტყდა ისტერიული სიცილი. ნაგვის კონტეინერზეც კი, რომლის გვერდითაც გავდიოდით, არ მოერიდათ გაწეპვა.

– ფუი ამას! – ბრაზით წარმოთქვა ჟენიამ. – მე კი, როგორც სულელს, მომქონდა ეს „სიმძიმე“ ჯიბით ბაზრიდან.

მან ისევ დაკუჭა ქაღალდი, ააგდო ზემოთ და ფეხით მოისროლა, როგორც ბურთი.

– რატომ ანაგვიანებ? – გულთბილად გაკიცხა სენსეიმ. – აზრების სისუფთავე იწყება შენი გარეგანი კულტურითა და მოწესრიგებულობით. წადი, აიღე ქაღალდი და სანაგვეში გადააგდე.

ამჯერად ჟენია, თავისი ჩვეული შეპასუხებებისგან განსხვავებით, აშკარად არაადეკვატურად მოიქცა, როგორც ჩანს, შეიტანა თავის დაუოკებელ იუმორში მრავალფეროვნება. კვლავ დადო თავისი პარკები და დაუზარებლად გაიქცა ქაღალდისკენ. აიღო თუ არა, ის ადგილიც კი მოასწორა ხელით, სადაც ეგდო წერილი, შემდეგ კი ნამდვილი კალათბურთელივით მოისროლა დაკუჭული ქაღალდი სანაგვე ყუთში, თითქოს ბურთი კალათში, „გაიტანა ქულა“ და კმაყოფილი სახით გათამაშებულად გაშალა ხელები:

– რომელ ქაღალდზეა საუბარი? არავითარი ქაღალდი არ ყოფილა. მოგეჩვენათ. რაღაც მზე მეტისმეტად აცხუნებს, ეს უეჭველი მირაჟი იქნებოდა.

– შენ ხომ უკეთ იცი, – სიცილით თქვა სტასმა. – შენ კი ჯინი ხარ ბოთლიდან.

ყველას გაგვეცინა ისევ. ჟენიას, როგორც ჩანს მოეწონა ახალ ხატებასთან დაკავშირებული ეს იდეა და წარმოთქვა:

– რატომაც არა? ჩაიფიქრეთ ნებისმიერი სურვილი, იყოს თქვენებურად, აგისრულებთ, – და მხიარულად ჩაპაჭუნებით დასძინა, – რა თქმა უნდა, თანამედროვე სამეურნეო ანგარიშისა და თვითმომსახურების გათვალისწინებით.

– რას გულისხმობ თვითმომსახურებაში? – ღიმილით წარმოთქვა სტასმა. – ეს რა გამოდის, ჩვენ თვითონ ჩავიფიქრებთ სურვილებს და თვითონვე ავისრულებთ ჩვენი ხარჯებით?

– რა მიხვედრილი ყოფილხარ! – მოუთათუნა ჟენიამ მას მხარზე, როცა პარკებისთვის გამობრუნდა.

ჩვენ ვიცინოდით, ანდრეიმ კი წარმოთქვა:

– პირადად მე, მხოლოდ ერთი სურვილი მაქვს – რაც შეიძლება მალე ჩავაღწიოთ ისარაზე პროდუქტებთან ერთად.

– ეგ მარტივია, – უპასუხა ჟენიამ და დაგვეწია თავისი ტვირთით: – არაფერია შეუძლებელი ჩემი ჯადოქრობისთვის. ამ სურვილის რეალიზაციისათვის არსებობს ორი ვარიანტი.

– დიადო ჯინო, გაახმოვანეთ გეთაყვა თქვენი ვრცელი ჩამონათვალი, – სასაცილოდ შესთავაზა სტასმა.

– პირველი ვარიანტი: ახლა ჩვენ სწრაფად ავჩქარდებით და მძიმე პარკების სახით კონკრეტული დატვირთვით ვახდენთ ბანაკამდე გარბენს.

– ეს მეტისმეტია! – ერთხმად ამოვიღეთ ხმა.

– თანაც ასეთ პაპანაქებაში, – დაიჩივლა ანდრეიმ.

– ეს არის ჯადოქრობა? – გაეცინა რუსლანს.

– მეორე ვარიანტი რომელია? – ღიმილით დაინტერესდა სტასი.

– ჯადოქრობის მეორე ვარიანტი შესაძლებელია, თუკი საქმეს გონივრულად მივუდგებით. რა არის მთავარი გადაადგილების საქმეში?

– ვალოდიას ქუსლი! – სიცილით უპასუხა ანდრეიმ.

ყველას გაახსენდა სენსეის დილის ხუმრობა და გაგვეცინა ისევ.

– ნუ, ზოგი ინდივიდისათვის ეს თავისთავად იგულისხმება, – აგრძელებდა თავისი როლის თამაშს ჟენია. – უფრო ფართოდ იაზროვნეთ!

– ფრთები! – წამოიყვირა რუსლანმა.

ჟენიამ წაიწკლაპუნა ენით და პომპეზური იერით წარმოთქვა:

– ეს მხოლოდ მაღალი ფრენის ჩიტებისთვისაა. იფიქრეთ უფრო ღრმად!

– ბორბლები, – დაინახა გამავალი ავტომანქანა სტასმა და ხუმრობით წარმოთქვა.

– ერიქა, სტას, შენ ექსტაზში შეიჭერი, – ნარკომანის გაწელილი ხმის კოპირებით ჩაიქნია ხელი ჟენიამ და მხიარულად დასძინა: – იფიქრეთ ღრმად – არ ნიშნავს ეიფორიაში ყოფნას. მაშ რა? ვარიანტები მეტი არ გაქვთ? ეჰ, რა გითხრათ! მთავარია, როგორც ამბობს ჩვენი ძვირფასი სენსეი, გონების დაკავება სასარგებლო საქმით. – მიაბრუნა თავი ჩვენთან ერთად მომღიმარი სენსეის მიმართულებით და ჰკითხა: – სწორად ვამბობ?

– სწორია, – თავი დაუკრა სენსეიმ.

– ხომ ხედავთ, მე თქვენგან განსხვავებით, გაკვეთილებს ვითვისებ. – თანაც, ძალიან სწრაფად.

– რა თქმა უნდა, ჩვენ როგორ შეგედრებით, შენ ხომ უნიკუმი ხარ, – ირონიით შენიშნა სტასმა.

– არც არავის შეპარვია ეჭვი! – თვითკმაყოფილებით დაამატა ჟენიამ და გამოზნიქა გულმკერდი. – მე, ასეა თუ ისე, ჯინი ვარ!

– რას შემოგვთავაზებთ ამჯერად, აბდურახმან აბდურახმანოვიჩ? – ირონიით ხმაში ჩაუბასა ვალოდიამ.

მაგრამ, ეტყობოდა, ჟენია წელავდა სიამოვნებას თავისი სიტყვების თამაშისგან:

– მოთმინება, მეგობარო. მაშ ასე, აი რით შეიძლება საკუთარი გონების გართობა ისე, რომ დრომაც შეუჩნევლად და სწრაფად გაიფრინოს? იუმორით! ასე რომ, ისმინეთ ანეგდოტები...

ჟენიას ანეგდოტების მორიგი ულუფის შემდეგ, როცა ჩვენ მისი „ჯადოქრობისაგან“ უკვე პირიც და მუცელიც აგვტკივდა ხარხარისაგან, ნიკოლაი ანდრეევიჩმა სცადა შეეკავებინა ეს

გაუთავებელი სიცილი, მეტი რაციონალურობით გამოეყენებინა დრო და ტაქტიკურად გადაიყვანა საუბარი მარადიული თემების კალაპოტში ადამიანისა და მისი სულიერი საზრდოს შოვნის გზების შესახებ. ამ საუბრის დროს სენსეიმ მოგვითხრო ერთი ლეგენდა.

6

ერთხელ მგზავრმა დაკარგა საკუთარი თავი. იგი აღმოჩნდა მარტოდმარტო უდაბნოში და არ შეეძლო გაეხსენებინა, ვინ იყო, სად იმყოფებოდა და საითკენ უნდა წასულიყო. რომელი მხარისკენაც მგზავრს არ უნდა მიემართა მზერა, ყველგან ქვიშები და უკიდეგანო დიუნები იყო. არ იცოდა მან, სად იყო მათი ბოლო და სად იყო დასაწყისი. მზე უმოწყალოდ წვავდა მის კანს. ქარი ახურებდა გავარვარებული ჰაერით.

დიდი ხანი მიდიოდა მგზავრი და უცებ გადაეყარა გამხმარ ეკალას. მან იფიქრა, რომ თვითონაც ეკალა იყო და გვერდით ამოუჯდა. მაგრამ უეცრად ამოვარდნილმა ქარმა წაიღო ეკლის ბუჩქი ქვიშის ბორცვებზე. იგი სიმსუბუქით გორავდა და თავისი ეკლების კვალს ტოვებდა. მან გაიფიქრა, რადგან ეკლის ბუჩქი მოძრაობს, ესე იგი, იცის საით უნდა იგოროს. რადგან კვალს ტოვებს, ესე იგი, მას მიუთითებს გზას. ჰოდა, მგზავრიც დაედევნა მას, მაგრამ ქარი ჩადგა და ეკლის ბუჩქიც გაჩერდა. ხელახლა ამოვარდნილმა ქარმა ამჯერად საპირისპირო მხარეს გადააგდო ბუჩქი. მგზავრიც მიჰყვა მას, მიუყვებოდა რა თავისსავე ნაკვალევს. ბოლოს და ბოლოს აღმოჩნდა იგივე ადგილას, საიდანაც დაიწყო მისი გზა. მგზავრმა გააცნობიერა, რომ ბუჩქი მკვდარია და ქარი მხოლოდ ეთამაშება მას. იგი მიხვდა, რომ უაზრობაა მკვდარი, გამხმარი ეკლის ბუჩქის კვალად სიარული, რამეთუ იგი არ ფლობდა სიცოცხლეს. ახლა უკვე მხოლოდ სტიქიები მბრძანებლობს მასზე. მგზავრმა აიღო ბუჩქი ხელში, მაგრამ იგრძნო ეკლის ძლიერი ჩხვლეტა. ამან ძლიერ გააოცა, რადგან, მიუხედავად იმისა, რომ ბუჩქი მკვდარი იყო, მაინც აგრძელებდა ტკივილის მიყენებას. გაღიზიანებულმა მოისროლა იგი.

მგზავრმა გზა განაგრძო. დიდ ხანს იარა. მას სტანჯავდა წყურვილი და შიმშილი, მაგრამ მაინც აგრძელებდა სვლას. დაინახა მფრინავი დიდი ფრინველი, მგზავრმაც გაიფიქრა, რომ თვითონაც ფრინველია. გამოეკიდა მას. იგი მსჯელობდა, რომ თუ ეს ფრინველი ასე მაღლა დაფრინავს, ესე იგი მასზე შორს ხედავს. მან იცის გზა, ესე იგი გაიყვანს მას იქითკენ, სადაც შესაძლებელი იქნება წყურვილის მოკვლა და დანაყრება, სადაც იგი, ბოლოს და ბოლოს შვებას იგრძნობს და გადაურჩება ტანჯვას. გახარებული მგზავრი მირბოდა, აქებდა ფრინველის მიზანსწრაფულ ფრენას და უხაროდა თავისი ოცნებებისგან.

ძლიერი ფრინველი ლამაზად და სწრაფად ფრინავდა. მგზავრი მთელი ძალით მისდევდა მას, იგი დაიღალა, მაგრამ მაინც აგრძელებდა სირბილს, თავს უკეთესი მომავლის იმედით ინუგეშებდა. ფრინველმა დაიწყო დაშვება უახლოესი დიუნის შემდგომ და მგზავრმაც აუჩქარა სირბილს. მას ეგონა, რომ მხოლოდ წამები აშორებდა თავის ოცნებებს. დიუნაზე რომ აირბინა, გაჩერდა და მოტყუების საშინელებამ მოიცვა იგი, თვალწინ გადაეშალა სიმართლე. ქვიშის ბორცვს მიღმა ასეთივე ფრინველების დუნდი გლეჯდა ცხედარს და სიხარბით მიირთმევდა მყრალ ხორცს. ზიზღით შებრუნდა და გაეცალა იქაურობას. მიხვდა, რომ ფრინველისთვის იგი მხოლოდ საკვები იყო.

ანასტასია ნოვიხის ნახატის ფრაგმენტი „კონტინუუმი“

დიდ ხანს მიდიოდა მგზავრი. მზე, როგორც ადრე, დაუნდობლად აცხუნებდა. ქარი თავისი გახურებული ჰაერით წვავდა. მას ტანჯავდა აუტანელი წყურვილი და შიმშილი. ძალები აღარ დარჩა თითქმის. ირგვლივ კი უკიდეგანო ქვიშები და ცისფერი ცა. აი აქ მგზავრმა დაინახა გველი. იგი გაბედულად, აუჩქარებლად მოძრაობდა, თითქოს წინდაწინ იცოდა თავისი გზა და ტკბებაო მისი გადალახვის თითოეული წამითო. მასში იგრძნობოდა სიმშვიდე და იმავდროულად რაღაც სიგრილე, ძლიერი სიცხის მიუხედავად. მგზავრა გაიფიქრა: „რადგან იგი არ ჩქარობს და მისგან სიგრილე იგრძნობა, ესე იგი მან იცის, სად იმყოფება წყარო. თუ გავყვები მას, შევძლებ მზისგან თავის დაცვას და წყურვილის მოკვლას“.

მგზავრი გაემართა გველის კვალდაკვალ. მან იგრძნო, თუ როგორ უბრუნდებოდა ძალები თანდათან და გაიფიქრა: „იქნებ, მეც გველი ვარ?“ მაგრამ ამ დროს გველი გაჩერდა და შემობრუნდა მისკენ. მან დაინახა, რომ გველს ჰქონდა შხამით სავსე კბილები. სხეულმა შიშისაგან დაიწყო თრთოლვა და გაერიდა მას. შეჩერდა მხოლოდ მაშინ, როცა დაეცა ცხელ ქვიშაზე. იგი გაბრაზებული იყო თავის თავზე, რომ აღარ შეეძლო დგომა, რადგან მხოლოდ ერთი ნაბიჯიღა აშორებდა გადარჩენისაგან. სხეულმა უღალატა მას, არადა, ფიქრობდა, რომ მისი სხეული არის თვითონ იგი.

ძლივს წამომდგარმა, მგზავრმა კვლავ განაგრძო გზა უდაბნოში. იგი დადიოდა მზის მცხუნვარე სხივებ ქვეშ და ახსენდებოდა გველისგან მომავალი სიგრილე და სიმშვიდე. სევდამ

მოიცვა მისი გული. ამ დროს თვალი მოკრა მოძრავ ჩრდილს. გაიფიქრა, რომ ეს იყო მირაჟი, გველის ზმანება. მაგრამ ჩრდილმა ისევ გაიელვა. დააკვირდა და მგზავრმა დაინახა ხვლიკი, მას

ანასტასია ნოვიხის ნახატის ფრაგმენტი „კონტინუუმი“

მოეჩვენა, რომ მისგანაც მოდიოდა რაღაც სიგრილე და გაიფიქრა: „რადგან მისგანაც მოდის სიგრილე, როგორც გველისგან, იქნებ მანაც იცოდეს, სად არის წყარო“. და გაჰყვა მას უკან, ცდილობდა არ ჩამორჩენილიყო. მაგრამ ხვლიკი ოსტატურად და სწრაფად მოძრაობდა. დაქანცა გზავრი უდაბნოში და ჩაძვრა ქვიშაში. რამდენიც არ თხარა ის ადგილი მგზავრმა, მისი პოვნა ვეღარ შეძლო. მაგრამ ხვლიკის დაკარგვით სასო არ დაუკარგავს. ეს ხომ მაინც გველი არ ყოფილა, არამედ მხოლოდ უწყინარი ხვლიკი, რომელიც მხოლოდ შორეულად ჩამოგავდა გველს. მისი მთელი არსი ამაო შფოთვა იყო.

მუხლებიდან წამომდგარმა მგზავრმა უმიზნოდ განაგრძო ხეტიალი. ის თავისი შეხვედრებისგან იმედგაცრუებული და გაბრაზებული იყო ურჩ და მშიერ, საკუთარ სხეულზე. მას მობეზრდა ეს ამაო ხეტიალი, უაზრო განცდები, დამაიმედებელი ოცნებები, ფუჭი ურვა და ამ უდაბნოს უსაზღვრო გულგატეხილობა, სიცრუე, მოტყუება, ილუზიები.

პაპანაქება აუტანელი ხდებოდა. სხეული კვნესოდა და იტანჯებოდა წყურვილისა და შიმშილისაგან, მაგრამ მგზავრი უკვე აღარ აქცევდა მას ყურადღებას. იგი მიდიოდა და მიდიოდა, სანამ ძალა ჰქონდა. საბოლოოდ დაძაბუნებული, დაეცა მზის ქვეშ გავარვარებულ ქვიშაზე და თითის განძრევაც კი აღარ შეეძლო. მხოლოდ თვალებს შეეძლო ყურება უდაბნოს უკიდეგანო დიუნებში გარდამავალ უსასრულო სუფთა ცაში. მგზავრმა გადაიტანა მზერა უამრავ სხვადასხვა ქვიშის ნაწილაკზე ცხვირწინ. ქვიშის თითოეული მარცვალი რაღაცით განსხვავებული იყო.

ანასტასია ნოვიხის ნახატის ფრაგმენტი „კონტინუუმი“

მაგრამ ქვიშის მასაში ეს განსხვავებები შეუმჩნეველი იყო. ქარი კი ადვილად გადაანაცვლებდა მათ.

და გაიფიქრა მგზავრმა: „მე ამ ქვიშის მარცვალივითა ვარ. არ ვიცი, ვინ ვარ. მაგრამ, რადგან ვარ, ესე იგი ვიღაცამ შემქმნა. რადგან ვიღაცას შევუქმნივარ, ასეთი ყოფილა მისი ნებაც. მაშინ ჩემი აქაური ხეტიალიც მისი ჩანაფიქრის მხოლოდ ნაწილია. ეს უდაბნოც – მხოლოდ და მხოლოდ მისი ნების ხორცშესხმის ადგილია. ის, რაც მე გადამხდა, უნდა მომხდარიყო. არსი ხომ არა გარეგან მოძრაობაშია, არამედ შინაგანის არსობაში. თუ მოვკვდები, რა შეიცვლება? ქვიშის ამ მარცვლებს ხომ არ სჭირდება ჩემი სიცოცხლე. მაშინ, რატომ შემქმნა მე შემქმნელმა? რა დასანანია, რომ გველი დავკარგე...“

მგზავრი უგონობაში ჩავარდა. გააღვიძა იგი კაშკაშა შუქმა. მან თვალები მოხუჭა და ხელი აიფარა სახეზე. მოეჩვენა, რომ შუქი უფრო ნაკლები გახდა. მაშინ მგზავრმა ხელი მოაშორა სახეს, დაინახა, რომ უკვე ღამე დამდგარიყო. მის წინ კოცონი ენთო, ხოლო კოცონთან მწირი იჯდა და საჭმელს ამზადებდა. მწირმა ჰკითხა მას:

– ვინ ხარ?

– მთავარია, ვინ ვარ? – გაიგონა პასუხად.

– არ ვიცი, – თქვა მგზავრმა. – მე ისე დიდხანს მივდიოდი, რომ დამავიწყდა, ვინ ვარ.

მაშინ მწირმა გაუწოდა მას წყლით სავსე დოქი და თქვა:

– შენ დიდ ხანს გტანჯავდა უდაბნოს პაპანაქება. დაიოკე წყურვილი ჩემი წყაროდან.

ანასტასია ნოვიხ, ნახატი „რეალობა“

მგზავრმა მადლიერებით მიიღო მწირისაგან დოქი და ხარბად დაეწაფა დიდი ყლუპებით. მაცოცხლებელი სითხე გავრცელდა სხეულში. მას მოეჩვენა, რომ ასეთი გემრიელი წყალი ჯერ არასდროს გაესინჯა ცხოვრებაში. წყლით მოოხებულმა, მგზავრმა დაუბრუნა დოქი მწირს და ჰკითხა:

– საიდან გაქვს, უდაბნოს ქვიშას შორის ასეთი გრილი და სუფთა წყალი? მისი გემო მაგონებს უსუფთავეს მთის წყაროს.

მწირს გაეღიმა და წარმოთვა:

– არ შემიძლია სიტყვებით გადმოგცე ამ წყაროს ადგილი. რამეთუ მისი ცნობა შეიძლება, მხოლოდ მასში არსებობით. სიტყვებს არ შეუძლია გამოცდილების გადმოცემა.

მგზავრი დაფიქრდა და იკითხა:

– რატომ ვერ გადმოსცემს სიტყვა გამოცდილებას?

– მწირმა უპასუხა:

– შენ დალიე წყალი და ამგვარად მიიღე გამოცდილება. აქამდე, რარიგადაც არ უნდა აღმეწერა შენთვის, რამდენად გემრიელი და შესანიშნავია ეს წყალი, მისი გემოს გაგებასა და შეფასებას მხოლოდ გასინჯვის შემდეგ შეძლებდი. მხოლოდ შენ შეგიძლია განსაზღვრო, შენთვის როგორია ეს წყალი. მხოლოდ შენ შეგიძლია გაიგო და შეიგრძნო წყალი, როცა შენი ტუჩები ეხება მას, როცა იგი ავსებს შენს პირის ღრუს და ჩაედინება შენს ორგანიზმში ყელის გავლით. და ეს გამოცდილება

გეკუთვნის მხოლოდ შენ, რამეთუ ყოველი ადამიანი თავის წყალს სვამს. მაგრამ, რამდენიც არ უნდა დალიო, მაინც შეგაწუხებს წყურვილი და მხოლოდ მას შემდეგ მოიკლავ, როცა თვითონ გახდები წყარო.

– და როგორ შემიძლია გავხდე წყარო?



ანასტასია ნოვიხის ნახატის ფრაგმენტი „კონტინუუმი“

– იპოვე საკუთარი თავი, საკუთარი არსობა და გახდი იმად. სიცოცხლე და სიკვდილი, როგორც ერთიანი ნაკადია. ნაკადში მოძრაობს არსობა. მოძრაობაში იძენს მარადიულს, უცვლელს. არავის შეუძლია სწორად შეაფასოს მღელვარე ნაკადი, თუ არ შევა მის წყალში, რამეთუ ეს არის მომავალი. ვერავინ შეძლებს ერთსა და იმავე წყალში ორჯერ შესვლას, რამეთუ ეს წარსულია. არის მხოლოდ ნაკადის მოძრაობა, რამეთუ ეს არის აწმყო. ყველა წყალი ადრე თუ გვიან აღწევს თავის წყაროს და ხდება იგი და უბრუნდება პირველყოფილ სიწმინდეს.

მგზავრი გაოცდა ამ სიბრძნით და იკითხა:

– საიდან იცი შენ ეს ყოველივე წყლის შესახებ?

– მე ვიყავი მისი სინესტის წყარო, – იყო პასუხი.

მწირმა გაუწოდა მას საჭმელი და უთხრა:

– შენ ასე დიდ ხანს დაეხეტებოდი უდაბნოში. დაიოკე შიმშილი ჩემი საჭმლით.

მგზავრმა მადლიერებით მიიღო მწირისაგან საჭმელი და სიამოვნებით შეუდგა ჭამას. საჭმელი იმდენად გემრიელი და ნოყიერი მოეჩვენა, რაც აქამდე ცხოვრებაში არ ეჭამა. საჭმლით დანაყრების შემდეგ მგზავრმა ჰკითხა მწირს:

– რატომ არის შენი საჭმელი ასე გემრიელი? ასეთი ცხოვრებაში არ მიჭამია.

– შენ მშიერი იყავი. საკვები – მხოლოდ და მხოლოდ ხორცის სიამოვნებაა. იგი აძღებს ხორცს, მაგრამ შიმშილს არ უოკებს. ვინც საჭმელს უმაღლეს სიკეთედ მიიჩნევს, უარს ვერ ამბობს მის

დაგროვებაზე. მაგრამ, რამდენიც არ უნდა აგროვო იგი, მაინც გაგიფუჭდება. საკვები იძლევა დროებით სიამოვნებას მისი ფლობით. იგი სასარგებლოა მხოლოდ ხორცის მხარდასაჭერად, რომელშიც სულია მოქცეული.

– მაგრამ, რატომ არის, რომ შენი საკვების ასე მცირე რაოდენობით უფრო მეტი ძალა შემემატა, ვიდრე ოდესმე ყოფილა?

– იმიტომ რომ ეს ძალა, საჭმლის ასეთად გადამქცევი, როგორიც არის, დაუსაბამო და უსაზღვროა. ის არის უსაზღვროს ზღვარი და უკიდეგანოს კიდე. მაგრამ თვითონ საკვები – იგი დასრულებადია, შეზღუდულია საკუთარი საზღვრებით.

მგზავრი კვლავ გაოცდა:

– საიდან იცი ეს საჭმლის შესახებ?

– მე ვიყავი ამ ქვეყნის მზარეული.

შიმშილისა და წყურვილის დაოკების შემდე მგზავრა ყურადღება მიაქცია თავის სამოსს. ის დახეული და დაძველებული იყო და შერცხვა საკუთარი თავის.

მწირმა შენიშნა ეს და უთხრა:

– შენ არ უნდა გრცხვენოდეს საკუთარი სამოსის. ტანსაცმელი ეს მხოლოდ და მხოლოდ შექმნისა და რღვევის ერთიანი პროცესის ნაწილია. იმაზე მეტი უგუნურობა არ არსებობს, ვიდრე საკუთარი სამოსის ახირებების ამება. რადგან ის, რაც მისი არსია, გამწყვდევს თავის ვიწრო საზღვრებში, გაშორებს სამყაროს და გაფლობს ამ გაუცხოებით გამოწვეულ ეჭვებსა და შიშებში. იგი გაიძულებს არსებობას მისი ფორმებისა და გარეგანი ილუზიებისათვის, რომლებიც სახეს ქმნიან მისას სხვებისათვის და გითრევს ამით შენ მისდამი უფრო მეტ მზრუნველობაში. ყველა ფორმას ხომ გააჩნია თავისი წესები. წესები – კი მხოლოდ და მხოლოდ კონტრასტების ერთობლიობაა.

შენს სამოსს გააჩნია საზღვარი. იგი იცვითება. შენ თავისუფალი ხარ მის ტარება–არტარებაში. მაგრამ ერთის გაცვეთის შემდეგ, შენ სხვას იცვამ. თუმცა, ზღვარის დაურღვევლად, უსაზღვროს გამოკიდება დამღუპველია.

მგზავრი ისევ გაოცდა:

– საიდან იცი ყოველივე ეს სამოსის შესახებ?

– მე ამ ქვეყნის მკერავი ვიყავი, – უპასუხა მწირმა.

მგზავრმა მიმოიხედა:

– მითხარი, მე როგორ მოვხვდი აქ?

– მოხვედი. – მიუგო მწირმა.

– მაგრამ მე მახსოვს მხოლოდ პაპანაქება და ქვიშა.

– და რა გაქვს ნანახი? მგზავრმა დაიწყო გახსენება:

– მე ვნახე გამხმარი ეკლის ბუჩქი, რომელსაც აქეთ–იქეთ დააქროლებდა ქარი. იგი კვალს ტოვებდა ქვიშაზე. მე მივყვებოდი მას და მეგონა, რომ იგი გზას მიჩვენებდა. მაგრამ ქარმა

მიმართულება იცვალა. მეც უკან დავბრუნდი. გადავწყვიტე, რომ უაზრობა იყო დავდევნებოდი გამხმარ ეკლის ბუჩქს, რამეთუ არ იყო მასში სიცოცხლე. მაგრამ ბუჩქმა მიჩხვლიტა, როცა ხელში ავიღე იგი. მკვდარიც კი, იგი აგრძელებდა ტკივილის მოყენებას.

– შენ გადაეყარე უსიცოცხლოს, რომელსაც ეკლების გარდა არაფრით შეუძლია თავისი თავის გამოჩენა. უსიცოცხლო იცავს უსიცოცხლოს. უსიცოცხლო არ იქცევა ცოცხლად იმის გამო, რომ არის სიცოცხლე, ხოლო ცოცხალი არ გადაიქცევა მკვდრად იმ მიზეზით, რომ არის სიკვდილი. სიკვდილიც და სიცოცხლეც რაღაცისგან არიან დამოკიდებული, არის რაღაც, რაც მათ აერთიანებს, – წარმოთქვა მწირმა. მგზავრმა კი განაგრძო:

– მე შევხვდი დიდ ფრინველს. ის მაღლა დაფრინავდა. მივსდევდი მას, რადგან ვფიქრობდი, რომ გამიყვანს იქ, სადაც შევძლებდი სიმშვიდის პოვნას და ტანჯვისგან გათავისუფლებას. ვადიდებდი მის ფრენას და თავს ოცნებით ვინუგეშებდი. მაგრამ მან მიმიყვანა მისი მსგავსი ფრინველების გუნდში, რომლებიც ჭამდნენ უსიცოცხლო და დამპალ ცხედარს.

და უპასუხა მწირმა:

– უგუნურობაა შეაქო ის, ვინც შენში მხოლოდ მომავალ საკვებს ხედავს. შენ მოიხიბლე მისი ფრენის სიმაღლით, ამიტომაც დაედევნე მას და ფიქრობდი საკუთარ ანგარებაზე. მაგრამ ფრინველის მისწრაფება ფრენაში სხვა აღმოჩნდა. მიუხედავად იმისა, რომ უდაბნოს თავზე მაღლა დაფრინავს, მაგრამ იკვებება იგი მისი მსხვერპლით. ფრინველი კი, რომელიც მძორით იკვებება, არ ზარალდება თავისი „კერძების“ ცვლით. რამეთუ არსობა მისი მძორია. შენ საკუთარი თავი მოიტყუე. შენ დაინახე რეალობა და გაგიქრა ილუზიები. თუმცა შენი რეალობაც ილუზიაა. დიდი ფრინველი მხოლოდ აჩრდილი იყო საგნების არსობის წინაშე. საგნებს კი გააჩნია უფორმობაში გაჩენისა და სულმდაბლობაში დაბრუნების თვისება.

მგზავრმა თქვა:

– მე ვნახე გველი. მასში იგრძნობოდა სიმშვიდე. მისგან სიგრილე მოდიოდა. და გავიფიქრე, რომ მან იცის წყაროს ადგილი. ავედევნე. მაგრამ გველი შემომიბრუნდა და დავინახე მისი შხამით სავსე კბილები. ჩემი სხეული ათრთოლდა შიშისგან და გავერიდე მას. მე კი ხომ მივიჩნევდი, რომ ჩემი სხეული ეს მე ვარ. დავკარგე გველი, მაგრამ ყოველთვის ვფიქრობდი მასზე.

– მას, ვინც გარეგნულს ეყრდნობა, შეუძლია მხოლოდ ვარაუდი. მას, ვინც შინაგანს ირჩევს საყრდენად, ნამდვილი ცოდნა აქვს, – წარმოთქვა მწირმა. – სხეული ხრწნადია. შენ ხომ შეგეძლო მარადისობის სიბრძნის შეძენა, საკმარისი იყო ამისთვის ნაბიჯის გადადგმა. მაგრამ ხრწნადობის დამღუპველობის შიში უფრო ძლიერი აღმოჩნდა. ხრწნადობა გაგეცალა. შენ კი სევდასთან დაგტოვა, რადგან სული ყოველთვის მიილტვის მარადისობისკენ. მარადისობის სიბრძნის ჩაწვდომა შეუძლებელია ხრწნადობის ძალაუფლების შიშით, რამეთუ სისულელედ აქცევს მას. გაექცე შიშს – არ ნიშნავს გადარჩენას. შიშის მოკვლა საკუთარ თავში – არის უბადლოების შეძენა. უბადლოება კი იძლევა მიჯნაზე ნაბიჯის გადგმის შესაძლებლობას. რამეთუ მხოლოდ ზღვარზე აცნობიერებ სიბრძნის წყაროს.

მგზავრმა შემდეგ გაიხსენა:

– მე ვნახე გზად ხვლიკი. მეგონა, რომ ეს გველის მოჩვენება იყო. მომეჩვენა, რომ მისგან სიგრილე მოდიოდა. ვცდილობდი მის დაწევას. მაგრამ იგი მეტად სწრაფად და მარჯვედ მოძრაობდა. ჩაიმარხა ქვიშაში და ვერ შევძელი მისი პოვნა. თუმცა ამას არ გავუნაწყენებივარ. იგი ხომ მხოლოდ მოუსვენარი ხვლიკი იყო და არა გველი.

მწირმა შენიშნა:

– სიბრძნის სადარი აჩრდილი მხოლოდ გეჩვენება სიბრძნედ. ფუჭი ამაოება არეულობის დასაწყისია. ვისაც სხვების წინაშე თავის ქების მიზნით სურს ბრძენად გამოიყურებოდეს, სევდიანად ბორგავს მარტოობაში და ოცნებობს სიდიადეზე. თუმცა არსობა მისი სიცარიელეა ეგოს გარსში. როცა ცოდნა მოდის უცოდინრობისაგან, მაშინ შეკითხვებს ბოლო არ უჩანს.

მგზავრმა თქვა:

– მე ვნახე მზე, ცის უკიდეგანო სივრცე. დავინახე უდაბნოს უნაპირო დიუნები. დავინახე სხვადასხვა ქვიშის მარცვლის სიმრავლე, მაგრამ მასაში არცერთი გამოირჩეოდა. ქარი განსაზღვრავდა მათ მიმართულებას.

ანასტასია ნოვიხის ნახატი „კონტინუუმი“

რაზეც მწირმა უპასუხა:

– ცა და მზე ყველაფერს ცვლიან. მათ შეუძლიათ გარდაქმნა, რათა ყოველივე ცოცხალი თავისი ბუნების კვალს მისდევდეს. მზე და ცა ამრავლებენ აღვსებულობას და ანადგურებენ სიცარიელეს. უდაბნო სიმშვიდეში ახორციელებს მოძრაობას. იგი უსიცოცხლოა, მაგრამ შეუძლია მირაჟების წარმოშობა, რათა ცოცხალი მოატყუოს თავისი ილუზიებით. უდაბნო ანადგურებს

სავსეს და აღავსებს ცარიელს. ქვიშის მარცვლები კი თავის მასაში მისდევს ქვიშის მოძრაობას, ამიტომაც სტიქიები განსაზღვრავს მათ მიმართულებას.

მგზავრი გამოტყდა:

– გავიფიქრე, რომ ისეთივე ვარ, როგორც ეს მარცვალი. მე ხომ არც კი ვიცი, ვინ ვარ. მაგრამ თუკი მე ვარ, ე.ი. ვიღაცამ შემქმნა. და რადგანაც ვიღაცამ შემქმნა, ე.ი. ასეთი იყო შემქმნელის ნება. მაშინ აქ ჩემი ხეტიალი მხოლოდ და მხოლოდ მისი ჩანაფიქრის ნაწილია. მე თუ მოვკვდები, რა შეიცვლება? ამ მარცვლებს ხომ არ სჭირდება ჩემი სიცოცხლე. მაშ, რად შემქმნა გამჩენმა?

– რათა ადამიანად გახდე, – გაისმა პასუხი.

– ადამიანად გავხდე?! – გაოცდა მგზავრი. – მაგრამ, რა არის ჩემი სიცოცხლე?

მწირმა კი წარმოთქვა:

– ქვიშაში ჩავარდნილი ქვა – ქვიშის მარცვლების შრიალი.

ტალღის ზვირთცემა – ქვიშის მარცვლების შრიალი.

შენი გამალებული რბენა,

ტერფი ქვიშაში – ქვიშის მარცვლების შრიალი.

სიცოცხლე – ეს მხოლოდ ნაბიჯია,

წლები კი მასში – ქვიშის მარცვლების შრიალი.

მგზავრმა გაიფიქრა და ისევ იკითხა:

– მაგრამ, რას ნიშნავს ეს?

– შენ იქ მოხვედი, სადაც გეწერა დაბადებიდანვე მისვლა, – გამოეხმაურა მწირი. – იმაში გაიზარდე, რაც სურდა შენს ბუნებას. სიმწიფეს მიაღწიე იმაში, რაც შენი ბედი გახდა. და იქით წახვალ, რაც სიკვდილით მოგეცემა. სიკვდილი მხოლოდ და მხოლოდ სიცოცხლის დასაწყისია. სიცოცხლე კი მხოლოდ და მხოლოდ სიკვდილის მემკვიდრე. სიცოცხლის მოსვლის ხელყოფა და მისი წასვლის შეჩერება შეუძლებელია.

მგზავრი დადუმდა, შემდეგ კი აღტაცებულმა წარმოთქვა:

– ადამიანად გახდომა?! გამახსენდა! მე გზას ვეძებდი, რათა ადამიანად ვქცეულიყავი!

რაზეც მწირმა უპასუხა:

– შენ მხოლოდ სხვის კვალს ეძებდი და არა საკუთარ გზას. სხვისი ნაკვალევი არ ჰგავს საკუთარს. კვალევი ჩნდება იქ, სადაც მათ ტოვებენ. მაგრამ თვითონ ისინი არ წარმოადგენს იმას, ვინც მათ ტოვებს. სხვის კვალზე სვლით, შენ გარეგან სახეებს მისდევდი და არ იცნობდი მათ შინაგან არსს. მაგრამ ყოველი იმ გზას იკვალავს, რომელიც შეესაბამება მის ჭეშმარიტ მისწრაფებებს. უდაბნო დროთა განმავლობაში ყველა კვალს აქრობს თავისი ქვიშით, რათა ახალი მგზავრი აარიდოს წარსულის შეცდომებს. აი რატომ არის მნიშვნელოვანი საკუთარი გამოცდილება. ადამიანად რომ იქცე საჭიროა საკუთარი გზის გაკვალვა.

ადამიანის ტერფი მცირე ადგილს იკავებს უდაბნოს უკიდეგანო სივრცეში. მაგრამ ამის მიუხედავად, მას შეუძლია სვლა იქ, სადაც ჯერ არავის გაუვლია. და ჯერ კიდევ უვალ ადგილას სვლით, ადამიანს შეუძლია შორს წასვლა და მეტის შეძენა. მისი გონების ცნობიერება მცირეა, მაგრამ ადამიანი ენდობა შეუცნობადს და შეუძლია მიაგნოს მის შემქმნელს.

და მგზავრმა იკითხა:

– და ვინ არის ის, ვინაც შემქმნა?

მწირმა თქვა:

– იგი შეიძლება შეიგრძნო, მაგრამ ვერ გადასცემ. შეიძლება მიხვიდე მასთან, მაგრამ ვერ ჩაწვდები. იგი შეიძლება გიყვარდეს, მაგრამ ვერ მოიცავ. მისი გაგება შეიძლება დასაწყისში, მაგრამ ვერ შეიცნობ ბოლომდე. რამეთუ ის არის ყოველივეს შემქმნელი, საკუთარი ნებით შემოქმედი.

– საიდან იცი ეს მის შესახებ? – გაოცდა მგზავრი.

– მე მისი სიტყვა და სმენა ვარ, – გაისმა პასუხი.

– მაგრავ, ვინ ხარ? მითხარი სახელი შენი.

– სახელი – მხოლოდ და მხოლოდ სამოსის ჩრდილია, მაგრამ ის ბევრი მაქვს. ხოლო არსობა კი ერთი – „ბოდხისატვა“.

7

მას მერე, რაც სენსეიმ ეს ლეგენდა მოგვითხრო, მდუმარედ ვაგრძელებდით გზას. ცხადი იყო, ყველანი, ჩემს მსგავსად, ვიყავით გაგონილისაგან ძლიერი შთაბეჭდილების ქვეშ და ვცდილობდით გარკვევას, პირველ რიგში საკუთარ თავში და ცხოვრების გზის საკუთარ არჩევანში. როცა ვუახლოვდებოდით ბანაკს, ანდრეიმ ჰკითხა სენსეის:

– ბოდხისატვები მხოლოდ აღმოსავლეთს სტუმრობენ? სენსეის გაეცინა:

– რატომ, ისინი ყველგან არიან და რუსეთშიც, მათ შორის.

– მართლა? – გაუკვირდა ანდრეის. – რუსეთშიაც? რა, არსებობდა რუსი ბოდხები? არასოდეს მსმენია ამის შესახებ. სენსეი მოგვიყევი...

ყველა გამოცოცხლდა, როგორც ჩანს, მათაც სურდათ ამის შესახებ მეტის გაგება. მაგრამ სენსეიმ, დაინახა ჩვენს გზაზე მომავალი „დაცვის თანამშრომლები“, მხოლოდ ჩაილაპარაკა:

– მოგვიანებით, საღამოს...

„საღამოს, მაშ საღამოს“ – გაიფიქრა ჩემმა პიროვნებამ და მიმართა თავისი მზერა ტატიანასკენ, რომელიც ხელს მიქნევდა.

ბანაკში ჩვენ უკვე გველოდნენ. პარკების დაცლის დროს ვუყვებოდით დარჩენილ ბიჭებს ჩვენს თავგადასავლებს, ისინი კი ჩვენ თავისას. აღმოჩნდა, რომ ჩემი მეგობრებიც, აქ არ ყოფილან მოწყენილნი. როცა ჩვენმა „მცველებმა“ გადაწყვიტეს დასვენება, შემოჩვეულმა თოლიებმა დააპირეს მეორედ მოეოხრებინათ ბანაკი. კოსტიამ კი შეიქმნა მოხატული ინდიელის სახე გადაწყვიტა იურასთან ერთად, რადაც არ უნდა დაჯდომოდა, დაეჭირა ერთი „გარეული ფრინველი“ მაინც და მოეწყო მისთვის „საჩვენებელი გარჩევა“ რათა სხვებისთვის ჭკუის სასწავლებელი ყოფილიყო. მათ, როგორც საჭიროება მოითხოვდა, მოაწყვეს „ჩასაფრება“ სანაპიროს ლელქაშებში. თუმცა ამ ჩანაფიქრიდან მხოლოდ კომიკური ისტორია გამოვიდა, თუ როგორ მიიყვანა კინაღამ ორმა ქალაქელმა ბიჭმა კეთილშობილი ფრინველები თავიანთი მოულოდნელი გამოჩენით ულუ–ულუს ძახილით, გაშმაგებული ყვირილითა და გადარეული ვირაჟებით ნაპირზე შეშინებული ფრთოსნების გუნდის დევნაში. ასე რომ, თავისი „ცივილიზებული გარჩევებით“

ველურ ბუნებაში ჩენმა „ინდიელებმა“ ბუნდღისა და ფრინველის სკინტლის მეტი, როგორც კოსტიკამ გამოხატა, ვერაფერი „ჩაიგდეს ხელში“.

სადილის შემდეგ წავედით ზღვაზე სანავარდოდ. გავძეხით წყალბურთის თამაშით. ხოლო როცა ჩვენი კომპანიის ნახევარი უკვე წამოიჭიმა ქვიშაზე და სხეულებს ათბობდა, სტასმა და ჟენიამ გადაწყვიტეს აკვალანგებით ცურვა. მაგრამ მათ რაღაც ვერ წაუვიდათ სწორად, გვერდზე გადადეს აკვალანგები და გადაწყვიტეს ძველი, ნაცადი საშუალებით – ნიღბითა და მილაკით, ნაპირთან ახლოს ყვინთვა. კოსტია და ანდრეი ძალებს ისინჯავდნენ შორს გაცურვაზე. მე და ტატიანა კი ვჭყუმპალაობდით წყალმარჩხში. ჩვენი მოშიშარი ქალური ბუნებისათვის „გაცურვა“ მაშინ იყო კარგი, როცა პერიოდულად ფეხქვეშ იგრძნობოდა ზღვის ფსკერი.

და აი, იმ დროს, როცა, კოსტია და ანდრეი საკმაოდ მოშორდნენ ნაპირს, გასარუჯად წამოწოლილმა სლავიკმა ყველასათვის მოულოდნელად დაიწყო ყვირილი მათი მიმართულებით და ხელების ქნევა:

– ზვიგენი! ზვიგენი!

– რა გაყვირებს ასე? – ხუმრობით შეშფოთდა ქვიშაზე გვერდით მწოლიარე რუსლანი. – ისინი შენს ოხუნჯობას არ წამოეგებიან.

– მართლა ზვიგენებია, თვითონ შეხედე! – სულმოუთქმელად უყვიროდა სლავიკი უკვე მას.

სლავიკი მართლაც შეშინებული ჩანდა. ჩვენ, ტატიანასთან ერთად წამში მივიღეთ ვერტიკალური მდგომარეობა წყალში და შევიგრძენით ფეხქვეშ მაშველი ზღვის ფსკერი, წავიგრძელეთ კისრები და დავიწყეთ ზღვაში გაფაციცებით ყურება. მაგრამ არაფერი განსაკუთრებულად საშიში არ შეგვინიშნავს და ისევ გადავიტანეთ მზერა შეშინებულ სლავიკზე. ქვიშაზე გასარუჯად მწოლიარე ვალოდია და ვიქტორი წამოჯდნენ და დაუმალავი დაცინვით გაიხედეს შორს.

– სლავა, რა დაგემართა? – ღიმილით წარმოთქვა ვალოდიამ. – ამ ზღვაში რა უნდა ზვიგენებს? ეს ხომ ზღვაც არ არის, ისე წუმპეა. საიდან უნდა მოვიდეს აქ მტაცებელი, თუ ახლომახლო თევზსაც კი ვერ ნახავ წესიერად?

– მართლა ზვიგენებია! – გეფიცებით! – გაჭედა სლავიკი, როგორც გაფუჭებული ფირფიტა აკორდზე. – ეგერ, შეხედეთ!

და სლავიკის მიერ აღნიშნული მიმართულებით გავიხედე, მართლაც დავინახე, როგორ სწრაფად უახლოვდებოდა შორიდან ნაპირს თევზის ორი ზურგის ფარფლი, რომელიც პირიოდულად იმალებოდა ტალღებში. მოემართებოდნენ ისინი სწორედ კოსტიასა და ანდრეის მიმართულებით, რომლებიც არ აქცევდნენ ყურადღებას სლავიკის ყვირილს, მშვიდად ცურავდნენ წყალში და აშკარად ვერ ამჩნევდნენ ხიფათს. მაგრამ, როცა უკვე მე და ტატიანამ ჩვენი წკრიალა ქალური ხმებით შიშისაგან ავტეხეთ მთელი „სირენა“, ანდრეიმ და კოსტიკამ დაბნეულად დაიწყეს თავის ტრიალი ირგვლივ ჩვენი პანიკის მიზეზის ძიებაში. ანდრეიმ პირველმა შენიშნა მათკენ მოძრავი ფარფლები და მკვეთრად გამოსცურა ნაპირისკენ. კოსტიკამ კი, ვერ შენიშნა აშკარად საფრთხის მიზეზი, როგორც ამბობენ, ბედის გამოცდა არ უცდია და მაშინათვე ანდრეის დაედევნა უკან.

გამძაფრებულმა ყვირილმა ალიაქოთი გამოიწვია მთელ კომპანიაში და როცა ჩვენი თვითგადარჩენის ინსტინქტი გვიბრძანებდა წყლიდან სასწრაფოდ ამოსვლას, სენსეიმ უფროს

ბიჭებთან ერთად, პირიქით, უგულებელყო ეს შინაგანი სიგნალიზატორი და სასწრაფოდ დაიწყო წყალში შესვლა, შორს ყურება. ჩვენ კი, მივირბინეთ მათთან, ასე ვთქვათ, უსაფრთხო ზონამდე, გავჩერდით. სირცხვილი იყო წყლიდან სულ ამოსვლა, როცა იქ ჯერ კიდევ რჩებოდნენ ჩვენი ამხანაგები.

სენსეი, ჯერ ყველაზე წინ გამოვარდა, შემდეგ შეანელა სვლა და გაღიმებულმა წარმოთქვა ჩვენი მიმართულებით:

– უხ, პანიკიორებო. ეს ხომ დელფინებია!

– დელფინები?! – გამოუთქმელად გავოცდით ჩვენ და ისევ მივაშტერდით მოახლოებად სამკუთხა ფარფლებს.

სენსეი ღიმილით გაემართა უეცრად გამოჩენილი სტუმრებისკენ. კოსტიკამ და ანდრეიმ, როგორც ჩანს შენიშნეს მათკენ სწრაფად მომავალი სენსეი და კიდევ უფრო მოუმატეს „ნიჩბების სმას“ და პირდაპირ ტყვიასავით ჩაუქროლეს მას გვერდით, გაძლიერებულად უსვამდნენ რა ხელ–ფეხს, თუმცა სადაც ისინი ახლა მიცურავდნენ, წყალი წელამდე იყო. ვერტიკალური მდგომარეობა მათ მიიღეს მაშინ, როცა მათ ხელ–ფეხით დაიწყეს წყალმარჩხში ქვიშის მოხვეტა. როგორც ჩანს, ჯერ კიდევ შოკში მყოფნი, სწრაფად ადგნენ, აპირებდნენ ნაპირისკენ გაქცევას, მაგრამ ამ დროს მოესმათ უკნიდან ჩვენი კომპანიის სიცილი.

– თქვენ რას უდგეხართ?! – დაბნეულად წარმოთქვა ანდრეიმ, მოიწმინდა სახიდან წყალი და არ ესმოდა, რატომ არ ამოვედით ჩვენ აქამდე წყლიდან.

ყმაწვილი კიდევ უფრო მეტად გაოცდა, როცა დაინახა, რომ სენსეი აგრძელებს სიღრმეში შესვლას.

– ჩვენ გემრიელები არ ვართ, – ყველას მაგივრად უპასუხა ჟენიამ და მოიხსნა თავისი წყლის ნიღაბი. – ჩვენ სიცილგამომუშავების მოჭარბებული კოეფიციენტი გვაქვს. ასეთები კი ძნელი მოსანელებელია. ჩვენნაირებისაგან ნაწლავების გადასკვნა შეიძლება დაემართოს. ეს იგივეა, რაც ზღვის ზღარბი გადაგეყლაპოს და ცხოვრების მთელი დარჩენილი დრო ჭვალისგან გაიტანჯო.

ჩვენც, მგონი საჭმელად უვარგისნი ვართ, – გონება დაუბრუნდა ანდრეის ნელ–ნელა და ბიჭებს მიუახლოვდა. – აბა ამ ძვლებს დამიხედე. – და მიუთითა აკანკალებულ კოსტიკაზე.

– არაფერიც, – შეეპასუხა ჟენია. – მე ვნახე რა სიჩქარითაც მოგდევდნენ. ესე იგი რა? ამ საკითხში, მტაცებლების გასტრონომიული კრიტერიუმები და თქვენი წარმოდგენა საკუთარი პერსონების შესახებ აშკარად თანხვედრაში არ ზის.

გაგვეცინა. ვაი–ბიჭები შემოუერთდნენ კოლექტივს და ცდილობდნენ გაეგოთ, რა შეიცვალა აქ მათი მარშის განმავლობაში. როცა მათ აუხსნეს, რომ ეს დელფინები არიან, ჩვენზე არაკნაკლებ გაუკვირდათ.

– და რატომ მოგვდევდნენ მაშინ ასე? – იკითხა კოსტიკამ, ჯერ კიდევ შემორჩენილი კბილების კანკალით.

– რატომ გარბოდი მათგან? – თავის მხრივ სიცილით ჰკითხა ვიქტორმა.

– მომდევდნენ და ამიტომ.

– მათ, ალბათ შენთან თამაში უნდოდათ, – გამოთქვა თავისი ვერსია სტასმა.

– კარგი თამაშია. ჯერ კიდევ მიკანკალებს მუხლის მყესები.

– საერთოდ, რატომ ფიქრობ, რომ ეს მანძილი შენს გამო გამოცურეს მათ? – ბასი ხმით წარმოთქვა ვალოდიამ, რომელიც აკვირდებოდა სენსეის.

ხუმრობა შევწყვიტეთ და დაუმალავი ცნობისმოყვარეობით მივმართეთ ჩვენი მზერა სენსეისკენ.

გვერდებზე ორი შავ–თეთრი ზოლის მქონე ორი შავი დელფინი დიდი სისწრაფით ცურვის მიუხედავად, უჩვეულოდ მკვეთრად შეჩერდნენ სენსეისგან სულ რაღაც ორ მატრში. სენსეიც გაშეშდა. წყალი ამ დროს მას გულმკერდამდე წვდებოდა. ერთერთმა დელფინმა რაღაცნაირად სასაცილოდ ამოყო თავი წყლიდან, პირდაპირ, როგორც ადამიანმა, სასაცილოდ დაუქნია თავი, ცოტათი გააღო პირი და დაიწყო, რაღაცით, ჭრიალასა და წკავწკავის, ერთობლივად, მსგავსი გასართობი ხმების გამოცემა. მეორე, მომცრო დელფინი კი, უფრო გაუბედავად იქცეოდა. იგი გვერდით მიუბრუნდა სენსეის, თვალს არ აშორებდა მას, თითქოს გულდასმით სწავლობსო. სენსეიმ ფრთხილად დაატყაპუნა წყალზე, რაღაც ტაქტს უკრავსო იფიქრებდით. პირველმა დელფინმა შეწყვიტა ხმების გამოცემა და დაინტერესებულად დახარა დრუნჩი. როგორც ჩანს, მას მოეწონა ეს, ვინაიდან ჩაყვინთა და ამოყვინთა სენსეიდან პირდაპირ გაშლილი ხელის მანძილზე. ეს უკანასკნელი ნელა მისწვდა ხელისგულით დელფინს და ალერსით მოეფერა ცხოველს შუბლის ნაწილში. დელფინი კიდევ უფრო ახლოს მიცურდა, თამამად უშვერდა თავს მოსაფერებლად. მაგრამ სენსეიმ ამის ნაცვლად მსუბუქად დაიგროვა ხელებში წყალი და სათამაშოდ შეასხა ცხოველს. დელფინმა მხიარულად „დაიტკრციალა“, ჩაყვინთა წყალში და გაემზადა მოსაკურცხლად. რამდენიმე წამის შემდეგ მან მოულოდნელად ამოსწია კუდი სენსეის უკან და ხმაურით დაჰკრა წყალზე, რისგანაც სენსეი დაიფარა შხეფების შადრევანით. შემდეგ კი დაიწყო დაჭერობანას თამაში სენსეისთან, სადაც დამჭერის როლი ერთიდან მეორეზე გადადიოდა. ამას მალევე შემოუერთდა მეორე დელფინიც.

ასეთი წყლის თამაშების ყურებით მთელი ჩვენი შიში ამ კეთილგანწყობილი ცხოველების მიმართ ქრებოდა. დავიწყეთ სენსეისთან მიახლოება და თამაშში ჩართვის სურვილი არ გვასვენებდა. თუმცა, სიმართლე ითქვას, დასაწყისში რაღაც მოფრთხილებით ვუახლოვდებოდით ამ წყლის ქმნილებებს. ხუმრობა ხომ არ იყო ასეთი ბუმბერაზი სხეულები გვერდით დაცურავდნენ, არა უბრალოდ სხეულები, არამედ განვითარებული ინტელექტის მქონე ქმნილებები, თუ გავითვალისწინებთ სენსეის სიტყვებს იმის შესახებ, რომ მათი ტვინი იწონიდა 1800 გრამს, ანუ იმაზე მეტი ვიდრე ზოგ ადამიანს. რით ჩამოუვარდებიან სხვა სამყაროდან ჩამოსულებს, რომლებიც ცხოვრობენ ჩვენს დროს, ჩვენს პლანეტაზე, აქ, ჩვენთან მიმართებაში პარალელური, თავისი ცხოვრებით? მაგრამ, მათი, მუდამჟამს გულთბილი ღიმილით, ოდნავ დავიწროვებული მხიარული თვალების ყურების შემდეგ ძნელი დასაჯერებელია, რომ შეუძლიათ ტკივილის მოყენება.

დელფინები ტრიალებდნენ ჩვენს ირგვლივ. მიუხედავად იმისა, რომ ისინი იყვნენ ველური ბუნების წარმომადგენლები, რაც არ უნდა გასაოცარი იყოს, ჩვენი არც კი ეშინოდათ. მოფერების უფლებას გვაძლევდნენ, მართალია მაშინ, როცა სენსეი იყო ჩვენს გვერდით. ამასთან, თუკი დაჭერობანას თამაშის დროს შესვენებისას ისინი მხოლოდ ზოგჯერ გვაძლევდნენ შეხების უფლებას, სენსეის კი სიამოვნებით უწვებოდნენ მუცლის მოსაფხანად, განსაკუთრებით ის დელფინი, რომელიც შედარებით დიდი იყო. სიტყვამ მოიტანა, ნიკოლაი ანდრეევიჩმა, ჩვენგან

პირველმა შენიშნა მის სხეულზე, გვერდზე, პატარაზე თავის ქვეშ, შეხორცებული იარა. ისიც ზუსტად იგივე ადგილზე, რაც ჰქონდა დელფინს, რომელიც დილით „დავასაფლავეთ“ ზღვაში.

– ოჰო! ნუთუ ეს ჩვენი ნაცნობია? – გაოცებულად და აღტაცებულად გახედა ნიკოლაი ანდრეევიჩმა სენსეს ასეთი იდენტურობის აღმოჩენის შემდეგ.

სენსეიმ მხოლოდ უცნაურად გაიღიმა.

– არა, ეს სხვა დელფინია. – ეჭვით ჩაილაპარაკა რუსლანმა. – განა იარები ასე უცებ ხორცდება?

– ვინ იცის? – აიჩეჩა მხრები ფსიქოთერაპევტმა და ეშმაკური ღიმილით უმზერდა სენსეის. – ოთხშაბათი აქ განსაკუთრებულია...მასაც ხომ ზუსტად ამ ადგლებში ჰქონდა დიდი ხნის წინ შეხორცებული იარები. აგერ, შეხედე...

ცხოველის ზედა, შავი ფერის ზედაპირზე მოჩანდა კარგად შესამჩნევი თეთრი ზოლები, თითქოს უზარმაზარი თეთრი სავარცხლის კბილებით ყოფილიყო დატოვებული.

– ზუსტად ჩვენი დელფინია! – გაეცინა კმაყოფილებით ვალოდიას. – მობრძოლი! მეც შევნიშნე მაშინ ეს ნაკვალევები.



ანასტასია ნოვიხის ნახატი „სფეროების ჰარმონია“

– ეს მეთევზეებმა დაუშავეს? – დავინტერესდი მე სენსეისთან.

– არა. ეს თანამოძმეების კბილებია. თავის ჭირვეულ ხასიათს ავლენდა ახალგაზრდობის ჟამს.

– არა, ეს შეუძლებელია, ეს სხვა დელფინია, – აგრძელებდა ჩვენს დარწმუნებას, უფრო მეტად კი საკუთარ თავს რუსლანი. – უბრალოდ ყველა ეს დელფინი ერთმანეთს ჰგავს.

– გვაწყენინებ, – ღიმილით შეეპასუხა სენსეი. – ეს მხოლოდ უყურადღებო ადამიანისთვის არის დელფინები, როგორც ახალწვეულები, ყველა ერთნაირი. სინამდვილეში კი დელფინებს, თითქმის ადამიანების მსგავსად, ერთნაირი ფიზიონომია არ აქვთ. თითოეული თავისებურად ინდივიდუალურია და განსხვავდება ერთმანეთისაგან დრუნჩის გამომეტყველებით, სხეულით, ზურგის ფარფლების ფორმით.

– მართლა? – ჩაილაპარაკა რუსლანმა და შეეცადა უფრო ყურადღებით შეეთვალიერებინა დელფინი.

ამ დროს ვიღაც მიხვდა ბურთი მოეტანა. ის იმდენად მოეწონა მოთამაშე დელფინებს, მის დაუფლებაზე დაიწყო მათ შორის ერთი შეხლა–შემოხლა, თანაც მეტად კომიკური სიტუაციებით. განსაკუთრებით მოხვდა ჟენიას.

„ნაიარევმა“ დელფინმა, ჯერ კიდევ „პირველი ტელეპატიური შემსწავლელი შემოწმების“ დროს რაღაცნაირად არ მოიწონა ყმაწვილი. შემდგომშიც ყოველთვის ცდილობდა მისთვის მცირე უსიამოვნებები მიეყენებინა. ხან სპეციალურად მოახერხებდა მის წინ კუდით წატყაპუნებას წყალზე, რათა დაესველებინა შხეფებით, ხან, როცა ბიჭი ახლოს მიცურდებოდა სენსეისთან ეს დელფინი ცდილობდა დრუნჩით უკუეგდო ჟენია სენსეისაგან, რის გამოც ბიჭმა აღშფოთება დაიწყო:

– სენსეი, რატომ ამითვალწუნა ამ ოხერმა?

– რატომ? – გაეცინა გვერდით მოცურავე ნიკოლაი ანდრეევიჩს. – შენ ხომ მისი დამარხვა გინდოდა ცოცხლად, ქვიშაში, გახსოვს?

– მე?! – უცოდველი სახე მოირგო ჟენიამ. – რას ლაპარაკობთ?! მე ხომ მიყვარს ბუნება...–ამ დროს დელფინი ამოხტა წყლიდან ჟენიას სიახლოვეს და ხმაურით დავარდა წყალზე გულაღმა და ჟენია მთელი ტალღით დაფარა. უნდა გენახათ ყმაწვილის სახე ასეთი მოულოდნელი შხაპის შემდეგ. ის გამოიყურებოდა ისე, თითქოს ჟენია ნაფურთხში ამოვლებულიყო თავიდან ფეხებამდე, თანაც ყველაზე უტიფარი გზით. ბიჭმა გაბრაზებულმა დაამთავრა თავისი სიტყვა და უკან მიაძახა მყვინთავ დელფინს: – მე ხომ გეუბნები, მიყვარს ბუნება! – მოიწმინდა წყალი სახიდან და დასძინა: – კარგი, თითქმის მიყვარს, მისი ზოგიერთი ეგზემპლარის გამოკლებით.

ყველას გაეცინა, ხოლო სენსეიმ ღიმილით გააფრთხილა:

– იცოდე, დელფინები, სპილოების მსგავსად, წყენას დიდ ხანს იმახსოვრებენ.

მაგრამ როცა საქმე ბურთამდე მიდგა, რომელიც ჟენიამ დელფინებს აართვა და გადაწყვიტა მათი გაბრაზება, ნაიარევმა დელფინმა საერთოდ მიიღო მუქარისშემცველი პოზა. მან აღგზნებულად დაიქნია თავი გვერდიდან გვერდზე, ფართოდ გააღო პირი და გამოაჩინა თავისი, ვეფხვზე არანაკლებ სახიფათო, კონუსისებრი კბილები. ამის შემდეგ კბილებით გააკეთა მკვეთრი წკაპუნი. კარგს ეს არაფერს უქადდა. ბიჭმა შეწყვიტა დელფინის მოთმინების გამოცდა და მაშინათვე გააგდო ხელებიდან ბურთი, სასწრაფოდ გამოსცურა ნაპირზე. ხოლო მის ზურგსუკან გაისმა ხმების მთელი კაკოფონია (არაკეთილხმოვანება), რომელიც ძალიან ჰგავდა ჟენიას გესლიან სიცილს, ამასწინათ რომ გაახმოვანა მან დელფინების თანდასწრებით. ჩვენ ვერც კი დავიჯერეთ, რომ საკუთარი ყურებით გავიგონეთ დელფინების ასეთი მხიარული კისკისი. რაზეც სენსეიმ უპასუხა, რომ დელფინებს გააჩნიათ სხვადასხვა ხმების მიბაძვის უნარი. და მართლაც, როცა

მათთან ერთად ვცურაობდით, რა არ გაგვიგონია მათგან: გაუზეთავი ჭიშკრის ჭრიჭინის ხმიდან დაწყებული, ადამიანის სიცილის მსგავს ხმებამდე, მეტიც, კოღოს წივილის ხმაც.

ხანგრძლივი ბანაობით გადაღლილები, წყლიდან ამოვედით სენსეის კვალად. დელფინები კი აგრძელებდნენ გართობას, ათამაშებდნენ ბურთს და სულ უფრო შორს მიჰქონდათ იგი ზღვაში. ჩვენ ხელი ჩავიქნიეთ ამაზე, გადავწყვიტეთ დაგვეტოვებინა ეს პატარა საჩუქარი სახსოვრად მათთვის. ასეც მოხდა, მათ ღია ზღვას მიაშირეს ბურთით.

16

გაუთვალისწინებელი მოვლენებით ასეთი გაჯერებული დღე ჩვენ ჯერ არ გვქონია. წყლის კოლოსალური ფიზიკური მოთელვის შემდეგ ჩვენ უბრალოდ გამოვითიშეთ და ღრმა ძილს მივეცით ყველანი. გაგვეღვიძა მხოლოდ საღამოს. როცა მზე ჰორიზონტს მიღმა ჩადიოდა. პაპანაქება, როგორც იქნა, ჩაცხრა. ირგვლივ სიჩუმე იდგა. ზღვაზე აბსოლუტური შტილი იყო. ნამდვილი მადლი იყო.

ვისაც პირველს გაეღვიძა შეაგროვეს ფიჩხები და შეშა საღამოს კოცონისთვის. შემდეგ ერთსულოვნად მოვამზადეთ ვახშამი. როცა დავასრულეთ ყველა ჩვენი საყოფაცხოვრებო საქმე განვთავსდით კოცონის ირგვლივ და შევუდექით ჩვენს საყვარელ ჩაის სმას, ცაზეც პირველი ვარსკვლავები გამოჩნდა. სიამოვნებით ვისხედით მეგობრულ წრეში და როგორც ყოველთვის ველოდებოდით ესოდენ საინტერესო და სულისთვის სასარგებლო საუბრებს სენსეისთან. დასაწყისში ნებისმიერ თემაზე ვისაუბრეთ და ვალოდიამ პირველმა გადაიყვანა საუბარი „მარადიული თემების“ კალაპოტში.

– სენსეი, შენ დაგვპირდი,რომ მოგვითხრობდი რუსი ბოდხების შესახებ, – შეახსენა მან.

– რადგან შეგპირდით, – წარმოთქვა სენსეიმ და მცირე დუმილის შემდეგ თქვა: – თუ გაგიგონიათ ასეთი წმინდანის – აღაპიტის შესახებ?

ზოგიერთმა ჩვენგანმა უარყოფითად გააქნია თავი.

– არა, – ყველას მაგივრად გასცა პასუხი ვიქტორმა.

მე კი სახელი აღაპიტი, რატომღაც ნაცნობი მომეჩვენა. დავიწყე მეხსიერების დაძაბვა, სად უნდა გამეგონა ეს სახელი, თანაც არც ისე დიდი ხნის წინ.

– აღაპიტ, აღაპიტ, – ჩაფიქრებულად წარმოთქვა ნიკოლაი ანდრეევიჩმა, როგორც ჩანს, ისიც რაღაცის გახსენებას ცდილობდა. – ერთი წუთით...ეს შემთხვევით უძველეს მედიცინასთან ხომ არ არის დაკავშირებული?

– ძველრუსულ მედიცინასთან, – დააზუსტა სენსეიმ. – ეს იყო XI საუკუნეში მკურნალი, კიევისა და პეჩორის მონასტრის გამოჩენილი ბერმონაზონი. სახელი მძიმე დაავადებათა განკურნების მისი უნარის შესახებ გავრცელდა შორს, კიევის ფარგლებს გარეთ. მაგრამ ეს არ არის ყველაზე მთავარი მის ბიოგრაფიაში.

სენსეი გაჩუმდა, სიგარეტს მოუკიდა. აქ კი, როგორც ამბობენ, გონება გამინათლდა, სად შემეძლო ამ სახელის გაგონება. აღაპიტის შესახებ ყვებოდა ბიძაჩემის ნაცნობი. ამ დროს მე და დედაჩემი სწორედ ვსტუმრობდით ბიძია ვიტიას მოსკოვში, როცა გამოკვლევებს გავდიოდი მოსკოვის კლინიკაში.

– მეც ვიცი, ვინ არის ეს! – ჩემი მეგობრების გასაოცრად აღტაცებით წარმოთქვა ჩემმა პიროვნებამ. – ბიძაჩემს მოსკოვში კარგი ნაცნობი ჰყავს – პეჩორის წმინდა ნაწილების გამოკვლევის სამეცნიერო ჯგუფში შემავალი მეცნიერი. იგი ყვებოდა, რომ აწარმოებდნენ სხვადასხვა ბიოქიმიურ, რენტგენოლოგიურ, ბაქტერიოლოგიურსა და სხვა გამოკვლევებს, არ ვიცი, როგორ იწოდება ეს მეცნიერულად...მოკლედ, ძვლების მეშვეობით ადამიანის აღნაგობისა და გარეგნობის აღდგენის ხელშემწყობ რაღაც გამოკვლევებს...

– მორფოლოგიური და ანტროპომეტრიული გამოკვლევები, – უკარნახა ნიკოლაი ანრდეევიჩმა.

– სწორედ ისინი, – უკვე უშუალოდ მას მივმართე დახმარებისათვის და წარმოვთქვი: – და ესენიც...როცა ადგენენ, ვის რა დაავადება სჭირდა...

– ეთიოლოგიური.

– დიახ, – დავუკარი თავი. – მათ ამ კვლევების წყალობით აღადგინეს პეჩორის ზოგი წმინდანის ნამდვილი სახეები ახლო გვირაბიდან, მათ შორის აღაპიტის. ამასთან, მისმა წმინდა ნაწილებმა მეცნიერთა შორის გამოიწვია მთელი აურზაური. ყველაფერი კი მაშინ დაიწყო, როცა მეცნიერებმა აღმოაჩინეს, რომ აღაპიტის წმინდა ნაწილები ასხივებს რაღაც გაუგებარ ან ფონს ან ველს, ერთი სიტყვით ენერგიის უცნობ სახეობას. შემდეგ მოაწყვეს სხვადასხვა ექსპერიმენტი. ასე, მაგალითად, მისი ნაწილების გვერდით სტრუქტურას იცვლიდა წყალი და მცენარეები აჩქარებდნენ ზრდას, მეტიც, შედეგად ხდებოდნენ უფრო ამტანნი და გამძლენი. გამოავლინეს რადიაციის მოქმედებისაგან რაღაც დამცავი თვისებები. ნაწილების განთავსების შენობაშიაც კი რაღაც იქნა აღმოჩენილი, რაც ახდენდა ჰაერზე ძლიერ ბაქტერიციდულ ზეგავლენას. აღაპიტის წმინდა ნაწილების გვერდით მყოფი ჩვეულებრივი წყალი იცვლიდა თავის თვისებებს. ცხოველებსა და ადამიანებზე ჩატარებულ შემდგომ ექსპერიმენტებში ეს წყალი ავლენდა სამკურნალო თვისებებს, რის შედეგადაც ადამიანებს უფრო სწრაფად უხორცდებოდათ ჭრილობები, განიკურნებოდნენ სხვადასხვა დაავადებებისაგან, ხოლო ავადმყოფი ცხოველები სწრაფად ახდენდნენ ჯანმრთელობის აღდგენას. და ყველაზე მთავარი, გამოვლენილ იქნა წმინდა ნაწილების ფონის რაღაც ციკლურობა. გარკვეულ დღეებში ეს ველი მკვეთრად ძლიერდებოდა, თანაც მრავალჯერ. მოკლედ, იქცეოდა, როგორც ცოხცალ ორგანიზმში...ეს არის და ეს!

იმ მომენტისთვის ჩემთვის ცნობილი მთელი ინფორმაციის გადმოცემის შემდეგ გავჩუმდი.

– მაგარია! – წამოისტვინა ანდრეიმ.

– რა გინდათ, – თქვა სენსეიმ, – აღაპიტი იყო ბოდხისატვა.

– მოიცა, – წარმოთქვა ფსიქოთერაპევტმა, – ის ხომ ეკუთვნოდა ქრისტიანულ რელიგიას. ხოლო ბოდხისატვა – ეს მგონი ბუდისტური აღმოსავლეთია.

– მე შენ ოდესღაც გიხსნიდი სიტყვა ბოდხისატვის პირველად მნიშვნელობას, გახსოვს? ეს სიტყვა შამბალიდან არის. ბოდხისატვა, ადამიანის მსგავსად, ღმერთს ეკუთვნის. ხოლო რელიგიები, რწმენის დანაწევრება – ეს მხოლოდ და მხოლოდ ღმერთის სახელით მოვაჭრე ადამიანების ბიზნესია.

– კარგი. მაშინ მეორე შეკითხვა მაქვს. თუკი აღაპიტი ბოდხი იყო, მაშინ, მისი ცოდნის დონის გათვალისწინებით, ლოგიკურად...მაშინ რატომ იყო კიევისა და პეჩორის ლავრის, ძველ რუსეთში

ამ პირველი სულიერი ცენტრის ფუძემდებელი ანტონი და არა აღაპიტი, რომელიც მისი თანამედროვე იყო?

სენსეის გაეღიმა.

– უფრო მაერთებული იქნება, თუ ვიტყვით, რომ ანტონი იყო აღაპიტის თანამედროვე...ხოლო შენს შეკითხვას რაც შეეხება, ერთი მცირე დეტალი დაგავიწყდა. ბოდხისატვები მეტად იშვიათად თუ გვევლინებიან ადამიანების საზოგადოების ლიდერებად, თუ, რა თქმა უნდა, ეს დაკავშირებული არ არის რაიმე გარკვეულ მისიასთან, როგორც ბოდხი ისას შემთხვევაში იყო.



ანასტასია ნოვიხის ნახატის ფრაგმენტი „აღაპიტი“

ჩვეულებრივად, მათი მოწაფე – მიმდევრები ხდებიან ასეთებად. ხოლო ბოდხისატვა, წესისამებრ, ფართო მასებისათვის შეუმჩნეველი ხდება.

– რატომ? – გაოცდა ტატიანა.

– იმიტომ, რომ ადამიანების საქმეებში მათი ჩაურევლობის გათვალისწინებით ბოდხისატვას შეუძლია მხოლოდ რჩევის მიცემა, როგორ გარდაქმნან საზოგადოება უფრო უკეთეს, სულიერ ასპექტში. ხოლო თვით გარდაქმნა – თვითონ ადამიანების სურვილი და საქმეა, ანუ, მაგალითისათვის, იგივე მისი მოსწავლეებისა და მიმდევრების.

– გინდა თქვა, რომ ანტონი იყო აღაპიტის მოწაფე? – გაერკვა ნიკოლაი ანდრეევიჩი.

სენსეიმ თავი დაუქნია. ექიმმა იფიქრა და შემდეგ დაბნეულად იკითხა:

– მაშ ამ დადგენილებას რა ვუყოთ, რომ აღაპიტი იყო ანტონის მოსწავლე? იგი ხომ რაღაცას ეფუძნებოდა?

– მისი „საფუძველი“, როგორც შენ ამბობ, წეარმოადგენს მხოლოდ ეკლესიურ ვერსიას, რომელიც თავის მხრივ იგებოდა ისეთი წიგნების საფუძველზე, როგორც „ოტეჩნიკი“...

– „ოტეჩნიკი“? – გაიმეორა ვალოდიამ.

– დიახ. მას სხვაგვარად კიდევ „კიევისა და პეჩორის პატერიკს“ უწოდებენ. ეს წიგნი არის XIII საუკუნეში დაწერილი პეჩორის წმინდა მამათა ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ. ასევე,

პეჩორის მონასტრის ბერმონაზვნის ნესტორ ჟამთააღმწერლის ჩანაწერების „ცხოვრების...“ ან მაგალითად, სასკოლო პროგრამით თქვენთვის ცნობილი მისი წიგნის „ჟამთასვლის წლების აღწერილობის“ მიხედვით. – სენსეიმ გააკეთა პაუზა, შეხედა ჩვენს ახალგაზრდა კოლექტივს, გულითადად წარმოთქვა: – თუკი, რა თქმა უნდა, სწავლობდით სკოლაში და არა კლავდით იქ დროს ზარიდან ზარამდე.

როგორ არა, გვახსოვს, – წაიტრაბახა კოსტიკამ. – მე მისი დაწერის თარიღიც კი დავიმახსოვრე. – და გამომეტყველებით წარმოთქვა: – ქრისტეს შობიდან 1113–1115 წლები.

ბიჭებს ღიმილი მოეფინათ სახეზე.

– სწორია, – შენიშნა სენსეიმ. – ანუ, რეალური მოვლენებიდან გარკვეული დროის შემდეგ და სახელმწიფოში იმდროინდელი პოლიტიკური სიტუაციის, ასევე, უმაღლეს სასულიერო პირებს შორის მχობინებებისა და სიმპათიების გათვალისწინებით.

– რა თმა უნდა, – ქილიკით წარმოთქვა ვიქტორმა. – აბა სცადე და გაარკვიე, ვინ იყო მართალ–მტყუანი. როგორც ჩვენს წრეში ამბობენ, ერთ და იმავე საგზაო შემთხვევასთან დაკავშირებით ორი მოწმის ჩვენებების მოსმენის შემდეგ, ისტორიკოსების მიმართ ნდობას კარგავ.

გაგვეცინა ყველას, კოსტიამ კი დასძინა თავისი იუმორი:

– ეს ისევეა, როგორც ბერნარდ შოუს დაუსვეს შეკითხვა მისი მორიგი სიტყვით გამოსვლის შემდეგ: „რას იტყვის ამის შესახებ ისტორია?“ მან კი მიუგო: „ისტორია, როგორც ყოველთვის, იცრუებს, სერ“.

– რა საჭიროა ასეთი კატეგორიულობა, – არ დაეთანხმა სენსეი ბიჭების სიცილს. – უბრალოდ, წარსულის აღწერის დროს ყოველი ადამიანი ახდენს მის მოტივირებას, უპირველეს ყოვლისა, პირადი მოსაზრებებიდან გამომდინარე. ხოლო ეს უკანასკნელი დამოკიდებულია მისი სულიერების დონესა და პირად დაინტერესებულობაზე, რაც ობიექტურობის საზიანოდაა. ათ ადამიანს ერთი და იმავე მოვლენის აღწერა რომ დაავალო, დარწმუნებული იყავით, ყველა მათგანი თავისებურად წარგიდგენთ მას. მაგალითისათვის, პოლიტიკოსი აღგიწერთ ისე, როგორც ეს მას ეჩვენება ხელსაყრელად მის დროს მიმდინარე მოვლენათა ფონზე. ექიმი აღწერს მედიცინის თვალთახედვის კუთხით. ხოლო უბრალო ადამიანი ცხოვრებისეულ–საყოფაცხოვრებო პოზიციიდან და აქცენტს გადაიტანს პირადად მისთვის საინტერესო მომენტებზე. და აი გამოვიდა განსხვავებული ისტორიები. მაგრამ ნებისმიერ ისტორიაში შესაძლებელია მიმდინარე მოვლენათა ძირითადი არსის დაჭერა. როგორც ამბობენ ყველაფერს ძირში უნდა ჩახედო.

– ზოგადად, მართალი ხარ, – დათანხმდა ნიკოლაი ანდრეევიჩი. – ბევრ შემთხვევაში დღევანდელ ისტორიაზე ხედვა ჩვენ ნამდვილად ცალმხრივი გვაქვს, რომ არაფერი ვთქვათ შორეულ, თითქმის მივიწყებულ წარსულზე...

– თუ გავითვალისწინებთ, რომ ადამიანები, სამწუხაროდ, არ იცვლებიან, უფრო ზუსტად კი არ სურთ შეიცვალონ...– სევდის შემცველობით წარმოთქვა სენსეიმ.

– ...ისტორია, შესაბამისად მეორდება, – დაასრულა მისი აზრი ნიკოლაი ანდრეევიჩმა.

– როგორაც სამწუხარო ეს არ უნდა იყოს.

სენსეიმ ჩაფიქრებულად დახედა კოცონს. ჩამოწვა მცირე სიჩუმე. ვერ ვბედავდით ჩარევას ჩვენი შეკითხვებით „მეტრებს“ შორის დიალოგის მსვლელობაში.

– მაშ რა იყო სინამდვილეში ათასწლეულის უკან? – ცოცხლად დაინტერესდა ნიკოლაი ანდრეევიჩი.

– ეს, რა თქმა უნდა გრძელი ისტორიაა...

– ჩვენ კი არ გვეჩქარება, – ყველას მაგივრად გასცა პასუხი ვალოდიამ, უფრო მოხერხებულად დაჯდა თავის ადგილზე და მოემზადა მოსასმენად.

– თუ არ გეჩქარებათ, მაშინ, – იგივე ტონალობაში უპასუხა სენსეიმ, – მაშინ ისმინეთ...ვფიქრობ, რუსულ მიწაზე ბოდხისატვა აღაპიტის მოღვაწეობის დროის შესახებ თხრობა უნდა დავიწყოთ მოყოლით ანტონის შესახებ. შემდეგ მიხვდებით, რატომაც...

იდგა ზაფხულის თბილი საღამო. ირგვლივ ჩამოწოლილიყო სრული სიჩუმე. ზღვის ტალღები თითქმის ხმაგამოუცემლად ტლაშუნობდნენ ნაპირზე და თავისი მონოტონური, მელოდიური თქაფუნით მივყავდით დროის გვირაბში, იმ შორეულ წარსულში, რომელიც, საოცარია, მაგრამ არც კი მოჩანდა ესოდენ შორეულად.

– ...ბერმონაზვნობამდე ანტონის ანტიპი ერქვა. დაიბადა იგი ჩერნიგოვის მიწაზე, ქალაქ ლუბეჩეში, 983 წელს, რუსეთის მიერ ქრისტიანობის მიღებამდე 5 წლით ადრე, მის დედაქალაქ კიევში ვლადიმერ I სვიატოსლავოვიჩის მმართველობის ჟამს.

– ეს, შემთხვევით ის ხომ არ არის, ვისაც რუსულ ზღაპრებში წითელ მზეს უწოდებდნენ? – თავისი სიტყვა ჩაურთო კოსტიკამ.

– სწორედ ისაა, კნეინა ოლღასა და კიევის მთავრის, იგორის შვილიშვილი, – დააზუსტა სენსეიმ და განაგრძო: – ანტიპის ახალგაზრდობა დაემთხვა ბობოქარ დროს. სწორედ მიმდინარეობდა ძველრუსული სახელმწიფოს ჩამოყალიბება, აღმოსავლურ–სლავური ტომების გაერთიანება. სამხრეთსა და დასავლეთში მძვინვარებდა ომები მეზობელ ქვეყნებთან. ამასთან, წყალს შიდა ქიშპი, ურთიერთდაპირისპირება სხვადასხვა რელიგიებს შორისაც ამღვრევდა. ამავდროულად, აქტიური სვლით, ასე ვთქვათ „განკარგულებით ზემოდან“ მიმდინარეობდა წარმართული სულიერ–იდეოლოგიური საფუძვლების ჩანაცვლება ახალი ქრისტიანული კანონებით. ამასთან, ორივე მხრიდან საქმე მიდიოდა „მახვილამდე და ცეცხლამდე“. მოკლედ, ჩვეულებრივი ქაოსი, ან როგორც დღეს ჩვენთან იტყოდნენ „ცვლილებების დროის განუკითხაობა“.

– მართალია, როგორც ამბობენ, მტერსაც კი არ ვუსურვებ ცვლილებების დროს გაჩენას, – თავისი ბასით წარმოთქვა ვალოდიამ.

– ზუსტად. ხოლო ანტიპის არ გაუმართლა...

– ისევე, როგორც ყველა ჩვენგანს, – ჩუმად დასძინა ვიქტორმა.

– ერთი სიტყვით, ანტიპის ახალგაზრდობა „მხიარული“ აღმოჩნდა. ირგვლივ მიმდინარე მოვლენები, მეტწილად უწყობდა ხელს იმას, რომ მან მიმართა არა მხოლოდ გარეგანში, არამედ, უპირველეს ყოვლისა, საკუთარ შინაგან ბუნებაში გარკვევის მცდელობებს. თანაც, არა მხოლოდ გარკვევა, არამედ გააზრებული გაცნობიერება სურდა. იმ დროს ბევრ ადამიანს სჯეროდა ღმერთის. ისიც გრძნობდა, რომ ღმერთი არის. მაგრამ, რატომ ხდებოდა ირგვლივ ასეთი არეულობა? რატომ უშვებდა ღმერთი ასეთ ბოროტებას? მიმდინარეობდა რაღაც ურთიერთდაპირისპირება და უსაჭირო სისხლისღვრა. იტანჯებოდნენ ადამიანები, მათი შვილები, მძვინვარებდნენ დაავადებები, სიღატაკე, სიკვდილი. ანტიპის ჰქონდა სხვადასხვა რელიგიის მქადაგებლების მოსმენის შესაძლებლობა. ყველა მათგანი ასწავლიდა საკუთარი ღმერთის რწმენას, მის

თაყვანისცემასა და ლოცვას. მაგრამ პარადოქსი იმაში იყო, რომ მათ თვითონ არ გააჩნდა ის სუფთა რწმენა, რომლისკენაც მოუწოდებდნენ და თვითონაც არ ასრულებდნენ იმას, რასაც სხვისგან მოითხოვდნენ. ანტიპს ნდობა არ ჰქონდა მათი, ვინც მახვილით მოდიოდა და ღმერთის შესახებ ყვებოდა.

მეორე მხრივ, მას აწუხებდა აზრები, თუ არსებობდა ღმერთი მოსიყვარულე, რატომ იყო ირგვლივ ამდენი დარდი და მწუხარება და უაზროდ იღვრება ზღვა სისხლი? რატომ უშვებდა ღმერთი ასეთ უმძიმეს ტანჯვას?

კითხვები ბევრი იყო, აზრების ასეთ გროვაში კი, როგორც ყოველთვის, არცერთი გონივრული პასუხი. მაგრამ ერთხელ, მათთან ღამის გასათევად გაჩერებული ერთი მწირისაგან მან მოისმინა ისტორია, რომელმაც იგი მეტად დააინტერესა. იმ მწირმა მოუთხრო მას იესო ქრისტეს ცხოვრების შესახებ, ანტიპი განცვიფრებული იყო. გამოდიოდა, რომ ადამიანებმა მოკლეს თვით ღმერთის შვილი. რატომ არ გააჩერა ყოვლისშემძლე ღმერთმა ისინი? რატომ არ ჩაერია, როცა მისი საკუთარი შვილი იტანჯებოდა უწმინდურებისაგან და სხეული მისი კვდებოდა ჯვარზე? მაგრამ, როცა ანტიპი ჩასწვდა, რომ ყველაფრის არსი იმალებოდა ადამიანების არჩევანში, თითოეული ადამიანის არჩევანში ღმერთის წინაშე, იგი მიხვდა, რომ ირგვლივ მიმდინარე ქაოსის მიზეზი არა ღმერთში, არამედ თვით ადამიანებშია, მათ შორის მასშიც.

ამის გაცნობიერებამ იმდენად ამოატრიალა მისი პირდი შეხედულებები ცხოვრებაზე, რომ მან სხვა მზერით შეხედა არა მხოლოდ ათასწლეულების წინ, არამედ აწმყოში მიმდინარე მოვლენებს. მან გულწრფელად შეიყვარა ქრისტე, რამეთუ იგი მისთვის ახლოს იყო მისი ტანჯვა–წამებით. ანტიპმა ნამდვილად გულწრფელად და მხურვალედ შეიყვარა ღმერთი და ჩაფიქრდა, ვინ არის თვითონ იგი ღმერთის ხატების წინაშე?

ანტიპი განაცვიფრდა იმანაც, რომ ქვეყნად ცხოვრობენ ადამიანები, რომლებმაც საკუთარი სიცოცხლე ჭეშმარიტად მიუძღვნეს ღმერთს. მან პირველად გაიგონა მწირისაგან, რომ არის ასეთი წმინდა ადგილი ათონის მთაზე, რაც ბერძნულ მიწაზეა. და რომ იქ ცხოვრობენ სხვანაირი ადამიანები, სხვებისგან განსხვავებულნი. ტოვებენ ისინი ამ ცხოვრებისეულ სამყაროს და განმარტოვდებიან ღმერთისათვის, მისდამი სალოცავად საკუთარი სულის გადასარჩენად. ატარებენ შავ სამოსს და სამ აღთქმას იძლევიან: მორჩილების, მარტოობისა და უანგარობის. ამ ადამიანებს უწოდებენ „ბერებს“.

და ანტიპიც აენთო „ბერად“ ქცევისა და ღმერთისადმი დაუსრულებელი ლოცვის სურვილით. მაგრამ არ იცოდა მან, არც ის, როგორ მისულიყო იმ მთამდე უცხო, ბერძნულ მიწაზე და არც ის, თუ როგორ ელოცა სწორად, რომ გაგონილი ყოფილიყო. დაიწყო მაშინ ანტიპმა ღმერთისადმი მიმართვა თავისი უბრალო, გულწრფელი სიტყვებით და თხოვდა მას გამოეგზავნა მისთვის ბრძენი დამრიგებელი, რომელიც შეასწავლიდა მას ჭეშმარიტ, სულის გადამრჩენ ლოცვას. იმდენად ძლიერი იყო ეს სურვილი, იმდენად დაჟინებით ფიქრობდა იგი ამის შესახებ და გულწრფელად ითხოვდა ღმერთისაგან არა ერთ თვესა და წელიწადს, რომ საბოლოო ჯამში მოხდა შემდეგი რამ.

ეს მოხდა ზამთარში, ძველი სტილით (იულიანეს კალენდრით) 12 თებერვლის ან ახალი სტილით (გრიგორიანული კალენდარით, რომლითაც ჩვენ ვხელმძღვანელობთ ამჟამად) 25 თებერვალს გამთენიისას. იმ ღამით მან ვერაფრით დაიძინა, სულ ღმერთზე ფიქრობდა. ისე

ჩაიძირა თავის ფიქრებში, რომ დაუწყო ღმერთს მიმართვა, როგორც მოსიყვარულე შვილი თავის საკუთარ მამას, თხოვდა მას როგორც შეეძლო სულის გადამრჩენ ლოცვას. მან ინტუიციურად იგრძნო, რომ ღმერთისთვის მხოლოდ სულიერი რამ უნდა ეთხოვა და არა მიწიერისა და ხრწნადის შესახებ. ამასთან, თხოვნა უნდა იყოს გულწრფელი, სულში სუფთა რწმენით. როცა ანტიპი მორიგჯერ ჩაუღრმავდა მისდამი წარმოსახვით მიმართვაში, უეცრად მის გულმკერდში წარმოიქმნა არაბუნებრივი სიცხე. თითქოს იგი ძლიერდებოდა ყოველ წამს და ბოლოსდაბოლოს ისეთი ძლიერი გახდა, რომ შეუძლებელი შეიქნა მისი მოთმენა. ანტიპმა სასწრაფოდ ჩაიცვა და გარეთ გავიდა.

ყინვაზე იგი უკეთ გახდა. ქროდა ცივი, განმსჭვალავი ქარი. მოდიოდა თოვლი. ანტიპმა გადაწყვიტა თივის უახლოესი ზვინისთვის თავი შეეფარებინა უამინდობისგან. აკვირდებოდა თავისი თავშესაფარიდან ბუნების სტიქიის მძვინვარებას, განიცდიდა გულმკერდში ძლიერ სიცხეს და ანტიპმა კიდევ უფრო მეტი გულწრფელობით დაიწყო ღმერთისადმი მიმართვა. იმდენად განიმსჭვალა მუდარით, რომ დაავიწყდა ამინდიც, ადგილიც, დროც, რომელშიაც იმყოფებოდა. იგი მოიცვა ღმერთის, მისი გულისთვის ყველაზე ძვირფასი და მშობლიური არსების სიახლოვის უჩვეულო შეგრძნებამ, რისგანაც სულში დაიმკვიდრა გასაოცარმა სიმშვიდემ და სიმსუბუქემ.

უკვე გამთენიისას ქარი უეცრად ჩადგა და თოვაც შეწყდა. ჰორიზონტზე, ტყვიისებრი ღრუბლების გავლით დაიწყო გამონათება მზის პირველმა სხივებმა და დაიწყო მობრჭყვიალე შუქის თამაშით თვალისმომჭრელად თეთრი სივრცის გამოცოცხლება. ამ დროს ანტიპმა, თავის სიახლოვეს შენიშნა შავებში გამოწყობილი უცნაური ბერი. მის უჩვეულო სახეს არშიად დაყვებოდა მოჭაღარავებული–ქერა ფერის თმები და თეთრი ქათქათა წვერი. მსუბუქი, გულთბილი ღიმილი თამაშობდა მის ტუჩებზე. ხოლო, პირდაპირ, ყმაწვილის სულში ჩამწვდომი გასაოცარი თვალები ასხივებდნენ ღმრა თანაგრძნობასა და ჭეშმარიტ სიკეთეს.

ბერმა ფეხშიშველად, თოვლზე შეუმჩნეველი და უხმო სვლით დაიწყო მოახლოება. საოცარია, მაგრამ ანტიპს ესმოდა მისი გულითადი სიტყვები, მელოდიური ხმა, რომელიც ეალერსებოდა სმენას, თუმცა ბერი პირსაც კი არ აღებდა. იგი გაჩერდა სულ ახლოს ისე, რომ ანტიპმა იგრძნო მისგან ამომავალი დახვეწილი, სურნელოვანი არომატი. უეცრად ბერის გულმკერდიდან დაიწყო წარმოქმნა კაშკაშა მოცისფრო–მოთეთრო ფერის ბუშტმა. მისი შუქი იყო არნახული სიკაშკაშისა და სიწმინდის. თუმცა იგი არ ჭრიდა თვალებს. პირიქით, მოიზიდავდა თავისკენ მზერას თავისი რბილი ნათებით და მომაჯადოებელი ცისფერი ბზინვით. ამ სუფთა შუქის ნაკადებს შორის დაიწყო გამოკვეთა მობრჭყვიალე ოქროსფერმა ასოებმა და ისინი ლაგდებოდა ერთიან ტექსტში. ანტიპი მიხვდა, რა იყო იქ დაწერილი, რამეთუ იმ მომენტში მის თავში აჟღერდა ბერის მელოდიური ხმა სულის გადამრჩენი ლოცვის სიტყვებით: „მამაო ჩემო, ჭეშმარიტო! შენ ერთიანს გსასოებ და გევედრები, ღმერთო, მხოლოდ სულისა ჩემისა გადარჩენას. დაე იყოს ნება შენი წმინდა...“ ამ დროს ანტიპმა სულში ისეთი სიკეთე და სიმშვიდე იგრძნო, თითქოს ამ ლოცვის მეშვეობით თვით ღმერთმა მიმართა მისკენ მზერაო და დახმარების ხელი გაუწოდა თავის შვილს.

ლოცვის წარმოთქმის შემდეგ, ბერმა ურჩია მას ცარგრადში წასვლა...

– ცარგრადი? – გაუბედავად იკითხა სლავიკმა, ერთი მხრივ, ალბათ, არ სურდა სენსეის მოცდენა და იმავდროულად აწუხებდა ცნობისმოყვარეობა. – ეს სად არის?

– ეს ევროპასა და აზიას შორის, შავი და მარმარილოს ზღვის გამაერთიანებელი, ბოსფორის სრუტის ორივე ნაპირზე განთავსებული ამჟამინდელი სტამბოლია თურქეთში, –ამომწურავი პასუხი გასცა სენსეიმ, ალბათ იმიტომ, რომ გეოგრაფიული საკითხი მეტი არ წამოჭრილიყო.

– შორს გაუგზავნია, – ჩაურთო კოსტიამ. – რაში ჭირდებოდა მას თურქები?

– შენ თვითონ ხარ თურქი, – წაუსისინა მას ანდრეიმ იმით უკმაყოფილომ, რომ კოსტიკიც ჩაერჭო თავისი შეკითხვებით და გააწყვეტინა ესოდენ საინტერესო საუბარი. – შენ ხომ გეუბნებიან, მაშინ ეს იყო ცარგრადი.

– ა–ა–ა, მაშ იქ რუსები იყვნენ? – არ ცხრებოდა იგი და ცდილობდა არსის ჩაწვდომას.

– არა. უბრალოდ იმ დროს რუსები უწოდებდნენ ასე კონსტანტინოპოლს – მაშინდელი ბიზანტიის იმპერიის დედაქალაქს, – მშვიდად განმარტა სენსეიმ.

– კონსტანტინოპოლი? – მხიარულად წარმოთქვა კოსტიკამ და როგორც ჩანს, რეაბილიტაციის მიზნით სწრაფად ჩაილაქლაქა: – ეს შემთხვევით იმ იმპერატორი კონსტანტინეს საპატივცემულოდ ხომ არ დაარქვეს, რომელმაც შექმნა ქრისტიანების რელიგია?

– ზუსტად. რომის იმპერატორი კონსტანტინეს საპატივცემულოდ. – მაგრამ, ის იყო დააპირა კოსტიკამ პირის გაღება შემდეგი შეკითხვისთვის, სენსეიმ დაასწრო. – რომის იმპერატორის საპატივცემულოდ იმიტომ, რომ ეს ქალაქი ჩვენი წელთაღრიცხვის 330 წლიდან გახდა რომის, ხოლო შემდეგ კი 395–დან 1453 წლამდე ბიზანტიის იმპერიის დედაქალაქად. საერთოდ კი იგი დაარსებულ იქნა ჩვენს წელაღრიცხვამდე 659 წელს და ეწოდებოდა ვიზანტი.

ასეთი ამომწურავი პასუხის მიღების შემდეგ კოსტიკა უცებ გაჩუმდა, მით უფრო, რომ ანდრეიმ პატარა მუჯლუგუნი წაკრა გვედში და მიანიშნა გაჩუმებულიყო. სენსეიმ გააგრძელა თხრობა:

– მაშ ასე, ბერმა ურჩია ცარგრადში წასვლა, იქედან კი წმინდა მთაზე, სადაც ღმერთი დასდებს მას პატივს შეხვდეს იმას, ვისთანაც ჭეშმარიტად არის სული წმინდა და იქნება მისთვის აკი მნათობი ღმერთისკენ მიმავალ გზაზე. ამის თქმის შემდეგ, ბერი გაქრა. ისევ ამოვარდა ქარი. ცა დაიფარა ღრუბლებით და კვლავ წამოვიდა ძლიერ თოვლი. მაგრამ ანტიპი უკვე არ აქცევდა ყურადღებას გამძვინვარებულ სტიქიას. იგი იყო ბედნიერი და სიმტკიცით აღსავსე ბერის ბრძანების შესასრულებლად, რომლის გულთბილი სახე ჩაებეჭდა მას მეხსიერებაში მთელი ცხოვრებით. ეს ზმანება გახდა მთელი მისი მომავალი ბედის გასაღებად. შეიძლება ითქვას, რომ ამ მომენტიდან, მისი პირადი არჩევანის მომენტიდან, ანტიპის ცხოვრება მკვეთრად შემოტრიალდა.

მთელი კვირა ანტიპი იმყოფებოდა სულიერი აღმავლობის უჩვეულო მდგომარეობაში, შეუწყვეტლად იმეორებდა ბერისგან მოცემულ ლოცვას. თითქოს თვით ღმერთი იმყოფებოდა მის გვერდით და ენით აღუწერლად ახარებდა მის სულს გვერდით ყოფნისაგან. სწორედ ამ დღეებში გაუჩნდა ანტიპის ღმერთის მიმართ ახალი, დღემდე არარსებული გრძნობა. და მან პირველად გაიგო, რას ნიშნავდა ღმერთის ნამდვილი სიყვარული. ეს გრძნობა ვერ შეედრებოდა ღმერთის შესახებ მის წინანდელ ფიქრებს, ადამიანებს შორის გამეფებული, ჩვეულებრივ ადამიანურ ემოციებთან მიამიტური შედარებით. ეს იყო რაღაც უმაღლესი, რაც არ ექვემდებარება ადამიანის ენით გადმოცემას. ეს იყო სწორედ ის, რისგანაც სული სიხარულით თრთოდა და იმყოფებოდა არამიწიერ აღტაცებაში.

მაგრამ დაუვიწყარი ზმანებიდან ზუსტად შვიდი დღის შემდეგ თანდასწრების ეს უჩვეულო შეგრძნება გაქრა და დატოვა მეხსიერებაში მხოლოდ სულის ეიფორიის ჭეშმარიტად ღვთიური გრძნობის სასიამოვნო მოგონებები. ანტიპი დაუფიქრებლად გაემზადა სამგზავროდ და გაემართა შორეულ გზაზე ისე, რომ არც კი იცოდა დანამდვილებით საით გაეწია. მაგრამ როგორც ამბობენ – ენა კიევამდე მიგიყვანსო. ანტიპი მან მიიყვანა ცარგრადამდე. გზა ძნელი იყო. მაგრამ ბერის მიერ დატოვებული სულის გადამრჩენელი ლოცვის გუნებაში განუწყვეტლივ გამეორებით ანტიპი გრძნობდა თვით ღვთის ხელის დახმარებას. მოგზაურობის საფრთხეებისაგან სასწაულად გადარჩენასთან ერთად, ანტიპს წარმოუდგენლად უმართლებდა, როგორც კარგ თანამოგზაურებზე, ასევე, საჭირო გზის მიმთითებელ კეთილ ადამიანებზე, რომლებიც ეხმარებოდნენ მოწყალების გაცემითა და დროებითი ღამის სათევით.

ცარგრადამდე, ანუ კონსტანტინოპოლამდე ჩაღწევის შემდეგ ანტიპი დიდ ხანს დახეტიალობდა დედაქალაქის ქუჩებში. ქალაქის სილამაზის მიუხედავად მასში ყველაფერი უცხო იყო მისთვის: ენა, ხალხი, ცხოვრების წესი. ბევრი დღის გატარებამ მოუწია მანამ, სანამ იპოვიდა ათონზე თანამგზავრს.

აქ ვალოდიამ თავაზიანად ჩაახველა მუჭში და ჩაილაპარაკა:

– ათონის შესახებ მსმენია. მაგრამ, სიმართლე რომ გითხრათ, არც კი ვიცი სად არის იგი განლაგებული: – ტუჩები უხერხული სიცილისგან გაეწელა და დასძინა: – აშკარად, პლანეტის „ცხელი წერტილი“ არ არის.

– ეს მართალია, – ღიმილით დაეთანხმა სენსეი და დაუწყო ახსნა. – თუ შევხედავთ დღევანდელ რუქას, ათონი მდებარეობს თანამედროვე საბერძნეთში. ეს არის ვიწრო მთიანი ნახევარკუნძული, თუ ვიქნებით ზუსტი, ეგეოსის ზღვაში ნახევარკუნძულ ქალკედონის აღმოსავლეთი განშტოებაა. იგი მთავრდება ათონის მთით, რომლის სიმაღლე ოდნავ აღემატება 2 კილომეტრს. სწორედ მან მისცა სახელწოდება ნახევარკუნძულს.

– დიახ, გეოგრაფიაში ჩვენ ყველას ხარვეზები გვაქვს, თანაც საგრძნობი, – გაეცინა ვიქტორს.

– არაფერია საშიში, აღვიდგენთ, – გულთბილად წარმოთქვა სენსეიმ და განაგრძო თხრობა. – იქ ანტიპის მისვლის დროისათვის, ათონი უკვე აღიარებული იყო დამოუკიდებელ ბერმონაზვნურ სახელმწიფოდ, ფორმალურად, ბიზანტიის იმპერატორის დაქვემდებარებაში მყოფ ადმინისტრაციულ საზღვრებში. ფაქტიურად კი იქ იყო პროტას – ყველა იქაური მონასტრის მიერ ხელმძღვანელობისათვის ერთი წლით შერჩეული, ყველასაგან დაფასებული ბერის ხელისუფლება. ათონზე უკვე მაშინ იდგა ისეთი მონასტრები, როგორიცაა დიდი ლავრა, ვატოპედი, მონი–ივირონი. მაგრამ ანტიპი იქ უცებ როდი მიიღეს.

მაშინ, ხნიერი ბერის რჩევით ანტიპი დასახლდა კუნძულის სამხრეთ–დასავლეთ ნაწილში განმარტოებულ ადგილას, ერთერთ გამოქვაბულში. უნდა აღინიშნოს, რომ მთელი ორი წელი, რომელიც მან გაატარა გამოქმვაბულში, საკვების უკმარისობის მიუხედავ, მისთვის ათონზე გატარებული ერთერთი საუკეთესო წლები იყო. იგი ბედნიერი იყო, რომ ბოლოს და ბოლოს მიაღწია ათონს, როგორც უბრძანა მას ბერის ზმანებამ. იგი ბედნიერი იყო, რომ შეეძლო გულმხურვალედ ელოცა ღმერთისადმი მოჩვენებაში მისთვის მოცემული ლოცვით, ეცოცხლა ამისათვის და მარტოდმარტო დარჩენილიყო მასთან ამ შესანიშნავი ბუნების გარემოცვაში. დილით იგი დადიოდა სამონასტრო ტაძრებში, ეუფლებოდა უცხო ენას და ბერების ცხოვრების

წესებს. საღამოობით კი გულმოდგინედ ლოცულობდა, ხშირად დაისსაც ატარებდა ლოცვებში და ხვდებოდა განთიადს. მხოლოდ ორი წლის გავლის შემდეგ ანტიპი მიღებულ იქნა ერთერთი მონასტრის იღუმენად და აღიკვეცა ბერად, რის შემდეგაც გამოქვაბულებში დიდი ხნის განმავლობაში ასკეტური წესით მაცხოვრებელი წმინდა ეგვიპტელი ანტონის საპატივცემულოდ მიიღო ახალი სახელი ანტონი.

ანტონიმ მიიღო აღნიშნული მონასტრის იღუმენი სწორედ იმ წმინდანად, რომლის შესახებაც საუბრობდა ბერი ზმანებიდან. იღუმენმა კი თავის მხრივ, როგორც შეეფერებოდა მის სასულიერო წოდებას დაუწყო ანტონის ბერის ცხოვრების წესების სწავლება. რამდენიმე წლის შემდეგ ანტონიმ მიაღწია სულიერი სრულყოფის ისეთ დონეს, იმდენად დაწინაურდა ზნეობაში, რომ უკვე ბევრი „სარგებლობდა მისგან სულიერად“. ბერებიც კი გაოცებულნი იყვნენ მისი სულისა და ნების ასეთი სწრაფი განმტკიცებით. და მოევლინა ზმანება იღუმენს, რომ ანტონი იქნებოდა რუსეთში ქრისტიანული რწმენის გაძლიერების თანამონაწილე, რომ ანტონის ხვდა წილად მოემზადებინა სავანე თვით სული წმინდისათვის. იღუმენმა შეაფასა ეს, როგორც ნიშანი და დაუჩქარა მის რუსეთში, კიევში გამგზავრებას.

ანტონი მაშინ დაახლოებით 30 წლის იყო. კიევში ჩასვლის შემდეგ მან შემოიარა მონასტრები, რომლებსაც მაშინ აშენებდნენ რუსეთის მოსანათლავად ჩამოსული ბერძენი ბერები მიტროპოლიტ მიქაელთან ერთად. მაგრამ არ ისურვა გაჩერებულიყო არცერთ ამ მონასტერთაგანში. დაიწყო სიარული ადგილობრივ, გორაკიან ადგილებში. ბოლოს და ბოლოს იპოვა ოდესღაც ვარიაგების მიერ გათხრილი პატარა გამოქვაბული და დასახლდა. მაგრამ დიდ ხანს არ უცხოვრია იქ. როგორც კი მთავარი ვლადიმერის გარდაცვალების შემდეგ ძალაუფლება გადავიდა სვიატოპოლკის ხელში, კვლავ დაიწყო სისხლისღვრა და დევნა. ანტონი ისევ ათონზე წავიდა, სადაც სიბერემდე გაატარა ცხოვრება გულმოდგინე ლოცვებში.

თუმცა ანტონი ცხოვრობდა მონასტრის განაწესით, მაინც მას ჰქონდა სულიერი ღვთისმსახურების განსაკუთრებული ზეიმი. მან შენიშნა, რომ ყოველ წელს, საოცარი ბერის დასამახსოვრებელი ზმანების დღეს, დილიდანვე გრძნობდა ძალების არნახულ მოზღვავებას. მას კვლავ უბრუნდებოდა სულიერი აღმაფრენის ის მდგომარეობა, რომელიც შეიგრძნო მოჩვენების შემდეგ. ეს გრძელდებოდა ზუსტად ერთ კვირას და კვლავ ქრებოდა. და ანტონიმ დაიწყო ამ დღეების მიმართ, როგორც თავისი სულის განსაკუთრებული დღესასწაულისადმი მოპყრობა. ამ კვირის განმავლობაში იგი ცდილობდა განმარტოებულიყო, არ მიეღო საკვები და კიდევ უფრო მეტი გულმხურვალებით ელოცა ღმერთისადმი. ეფექტიც გამაოგნებელი აღმოჩნდა. შინაგანი აღმავლობის ეს არაჩვეულებრივი გრძნობა მრავალჯერ მატულობდა და ყოველწლიურად სულ უფრო და უფრო ძლიერდებოდა.

შემდგომში, საეკლესიო ლიტერატურის შესწავლის კვალდაკვალ, ანტონი სულ უფრო ხშირად ასკვნიდა, რომ იმ სამახსოვრო ზმანებაში მას გამოეცხადა თავად მთავარანგელოზი გაბრიელი – სიხარულისა და გადარჩენის მაუწყებელი, პირველმაცნე და ღვთის საიდუმლოებებისა და სასწაულების ღვთიური ყოვლისშემძლეობის მსახური, თუმცა საეკლესიო წარმოდგენებისათვის გარკვეულწილად უჩვეულო მოჩვენებაში.

მაგრამ ანტონის სულიერი ცხოვრების ყველაზე მთავარი მოვლენები დაიწყო მაშინ, როცა მისი ასაკი გადასცდა 60 წელს. ერთხელ, საძმოში ხმა გავრცელდა, რომ მათ მონასტერს მალე

ეწვეოდა ვიღაც იდუმალი პერსონა. ბერების განკარგულებების მიხედვით მართლაც ემზადებოდნენ მათთვის მნიშვნელოვანი სასულიერო სტუმრის გამოჩენისათვის. როგორც შემდგომში ანტონი უყვებოდა თვით აღაპიტს, მაშინ მან გაიფიქრა, რომ მოსალოდნელი იყო რომელიღაც მეტად ავტორიტეტული სასულიერო ბერის ჩამოსვლა. რაოდენ დიდი იყო მისი გაოცება, როცა ბერის ნაცვლად იხილა სასიამოვნო გარეგნობის ახალგაზრდა კაცი ღია ქერა ფერის თმებით. საოცარი მასში კი იყო მისი უჩვეულო თვალები, ასაკთან შეუფერებელი, რაღაც სიღრმისეული სიბრძნით და გაცისკროვნებული ელვარების მასხივებელი მზერით. მაგრამ ყველაზე მეტად ანტონი განაცვიფრა თუ როგორი უდიდესი თაყვანისცემითა და პატივისცემით ეპყრობოდნენ ათონის ზოგი ბერები ამ ახალგაზრდა კაცს. მას ვერ გაეგო, რატომ იყო მისი ვიზიტი აქ შეუღწეველი საიდუმლოების ბურუსით მოცული. ვინ უნდა ყოფილიყო ეს ახალგაზრდა, რომ ბერები ამოდენა პატივსა და თაყვანს სცემდნენ? თითქოს ბერი არ ყოფილა, მაგრამ ისეთ სასულიერო თემებზე საუბრობდა, რომლებიც ბრძენი ბერებისათვისაც კი საინტერესო მოსასმენი იყო. მეტიც, ეს ახალგაზრდა ადამიანი აღმოჩნდა მეტად განათლებულ კაცად. სრულყოფილად ფლობდა რამდენიმე ენას. რაც ყველაზე განსაკუთრებით გასაოცარი იყო ანტონისთვის, ეს საპატიო სტუმარი რუსეთიდან იყო წარმოშობით და როგორც შემდეგ გაირკვა, შესანიშნავად იცოდა კიევი და მისი გარშემოგარენი. ხოლო სახელი ამ ახალგაზრდა კაცისა იყო აღაპიტი.

მაშინაც კი, როცა ანტონი მას გააცნეს პირადად, პირველ ხანებში ვერაფრით ეგუებოდა ამ ახალგაზრდა კაცის მხრიდან უბრალო ურთიერთობას მასთან, ათონისათვის მისი პერსონის მნიშვნელოვნებისა და იქაური ბერების მხრიდან მისდამი დიდი მოწიწების მიუხედავად. მაგრამ, ყველაზე გამაოგნებელი იყო ის უბრალოება და სიცხადე, რომლითაც გადმოსცემდა აღაპიტი წმინდა მამების სულიერ სიბრძნეს. ხოლო რაც შეეხება, აღაპიტისეული იესოს სწავლების განმარტებას, ანტონის მისი მოსმენა შეეძლო საათობით, რამეთუ აღაპიტი ყველაფერს ისე მარტივად და გასაგებად ხსნიდა, ისეთი მაგალითებითა და წვრილმანებით, თითქოს თავად იყო იმ ათასწლიანი ხანდაზმულობის მოვლენების მოწმე. ეს მოთხრობები აიძულებდა ანტონის არსებული საეკლესიო ლიტერატურის გადაკითხვას მრავალგზის.

ათონზე აღაპიტის ყოფნის პერიოდში ანტონი მეტად დაუმეგობრდა მას. თავისი ახალგაზრდობის მიუხედავად, აღაპიტს გააჩნდა ცოდნის სოლიდური მარაგი, მედიცინის სფეროს ჩათვლით და ზოგი მათგანი ასწავლა ანტონის. აღაპიტი ასევე კარგად ერკვეოდა, ჩვენი ენით რომ გადმოვცეთ, ფიზიკაში, ქიმიაში, ბუნებრივი მოვლენების ცოდნაში, ასევე, ადამიანის ცხოვრებისეულ სფეროებში – ფილოსოფიაში, პოლიტიკაში, რელიგიაში. მასთან სასიამოვნო იყო საუბარი განსხვავებულ თემებზე. ეს საუბრები ტოვებდა რაღაც გამოუცნობ, სასიამოვნო შეგრძნებებს სულში.

ანტონი დაუმეგობრდა აღაპიტს, ასაკში ასეთი არსებითი სხვაობის მიუხედავად. ამ მეგობრობაში მან თავისთვის აღმოაჩინა აღაპიტის სრულიად ახალი, გასაოცარი პიროვნება, როცა ამ უკანასკნელმა გაანდო დიდი მეცნიერების „ბელაო ძის“ (თეთრი ლოტოსის ხელოვნების) საიდუმლოებები. სწორედ აღაპიტისგან შეიტყო ანტონიმ პირველად ალტ–ლანდის წინარე ადამიანური ცივილიზაციის, იმ დროს კიევის მიწის ტერიტორიაზე აშენებული ლოტოსის მიწისქვეშა ტაძრის, იმ ადგილებისათვის იესოს მიერ ანდრია პირველწოდებულისათვის გადაცემული მძიმე ტვირთის შესახებ. აღაპიტმა ბევრი ასწავლა და გაანდო მას.



ანასტასია ნოვიხის ნახატის ფრაგმენტი „აღაპიტი“

დროთა განმავლობაში ისინი დაშორდნენ ერთმანეთს. აღაპიტი უნდა გამგზავრებულიყო ბიზანტიის დედაქალაქში, იქედან კი – აღმოსავლეთში. მაგრამ პირობა დადო, რომ აუცილებლად შეხვდებოდა ანტონის და იწინასწარმეტყველა ეს მათი შეხვედრა კიევის მიწაზე იმ ადგილზე, რომელიც აღნიშნული იყო ჯერ კიდევ ალტ–ლანდის დროს.

– მართლა არის იქ აღნიშნული ადგილი? – დაინტერესდა კოსტიკი, აშკარად სურდა გაეგონა გაგრძელება.

– რა თქმა უნდა, – მიუგო სენსეიმ. – ამ ადგილის შესახებ აღწერილია სახარებაშიც კი ანდრია პირველწოდებულისგან...

– ანდრია პირველწოდებული?! – გამოცოცხლდა და აღელდა ანდრეი, თითქოს მხოლოდ ეხლა გაეგონოს ეს სახელი.

– ეს ვინ არის? – სიზარმაცით იკითხა რუსლანმა და გვერდი მოიფხანა.

სენსეის გაეცინა მის დანახვაზე და წარმოთქვა:

– ანდრეი, ეს იესოს ერთერთი ყველაზე ახლო მოწაფეთაგანია. იგი იყო პირველთაგანი, რომელიც იესომ თავის როგებში აიყვანა პალესტინაში ქადაგებების დროს.

– და განა არსებობს სახარება ანდრია პირველწოდებულისაგან? – გაიოცა ნიკოლაი ანდრეევიჩმა. – ბიბლია წანაკითხი მაქვს. ანდრიას შესახებ მსმენია. ხოლო ევანგელიეს შესახებ მისგან...არ მახსენდება. შესაძლოა, ეს წიგნი არ შესულა ბიბლიაში? მასში ხომ სულ ოთხი თუ ხუთი სახარებაა?

– ოთხი, – უპასუხა სენსეიმ და მცირე დუმილის შემდეგ დასძინა: – მათესაგან, მარკოზისაგან, ლუკასაგან და იოანესგან. თუმცა ისინიც დაწერილი იყო...– მაგრამ, აზრის დაუმთავრებლად განაგრძო: – ბიბლიაში სახარება ანდრია პირველწოდებულისაგან სინამდვილეში არ არის. მასში ყველა სახარება როდი შევიდა. მხოლოდ ისინი, რომლებიც შერჩეული იყო იმპერატორი კონსტანტინესა და მისი თანაშემწეების მიერ მათ წინაშე მდგარი ამოცანების შესრულების მიზნით. დანარჩენი სახარებები უბრალოდ უარყვეს, რადგან მათში გადმოიცემოდა არა ის, რაც მათთვის იყო საჭირო და მომგებიანი. ისინიც კი, რომლებიც შეირჩა, ახალი დროის ვითარებისა და

სახელმწიფო რელიგიად ქრისტიანობის დამტკიცების შესაბამისად საკმაო რედაქტირების ქვეშ მოექცა.

364 წლიდან, როცა როგორც ასეთი, „ახალი აღქმა“ იქნა დამტკიცებული და ბიბლიის პირველ გამოცემამდე, ტექსტი მრავალგზის რედაქტირებულ იქნა. ამას დამატებული, თარგმანის უზუსტობებმა თავისი როლი ითამაშა. ბიბლია ხომ ძველებრაულ ენაზე დაიწერა თავდაპირველად, უმნიშვნელო ნაწილში კი არამეულ ენაზე, ხოლო „ახალი აღქმა“ – ბერძნულად. ასე, რომ პირველი, 1455 წელს გამოცემული დაბეჭდილი წიგნი ეს უკვე იყო მნიშვნელოვანი განსხვავება იმასთან შედარებითაც კი, რომელიც რედაქტირებულ იქნა 364 წელს. ამას დამატებული შემდგომში არაერთგზის შეტანილი კორექტირებები. შედეგად გვაქვს ის, რაც გვაქვს. და ამის მიუხედავად ჩვენამდე მოაღწია ადამიანებისათვის ბევრმა ფასეულმა და აუცილებელმა ინფორმაციამ. – ხაზი გაუსვა სენსეიმ. – და ისევ, თუ ვისაუბრებთ სახარებების შესახებ, ეკლესიის მიერ კანონიზებულის გარდა, არსებობს ათეულობით აპოკრიფიული სახარება.

რუსლანმა წარბები შეჰყარა და საქმიანად იკითხა:

– რა არის აპო...აპო...კრიტიკა?

– აპოკრიფები – ეს არის ეკლესიის ან ქურუმების მიერ წმინდა წიგნებად არაღიარებული ნაწარმოებები. საერთოდ კი, სიტყვა „აპო’–კრიფი“ წარმოიქმნა ბერძნული „apokryjos“-ისგან, რაც ნიშნავს „იდუმალს“, „საიდუმლოს“. თავდაპირველად მას მიაკუთვნებდნენ ერთერთი ქრისტიანული ჯგუფის ნაწარმოებებს, რომლებიც საკუთარ თავს მოიხსენიებდნენ თავისი სწავლების საიდუმლოდ შენახვის მომხრე გნოსტიკებად.

– დიახ, თავი დაუკრა ნიკოლაი ანდრეევიჩმა. – ამასთან დაკავშირებით, წაკითხული მაქვს, რომ 1946 წელს, ეგვიპტის სამხრეთში აღმოჩენილ იქნა ქრისტიანი – გნოსტიკების ნაწარმოებთა მთელი ბიბლიოთეკა.

– სრულიად მართალია, – დაადასტურა სენსეიმ. – იქ, სხვა დანარჩენ ხელნაწერთან ერთად აღმოაჩინეს სწორედ ე.წ. სახარებები თომასაგან, ფილიპესგან, ჭეშმარიტებები, იოანეს აკოკრიფი. უფრო ადრე კი ეგვიპტეში აღმოჩენილ იქნა ამონარიდები უცნობი სახარებიდან, თანაც განსხვავებულ ვერსიებში პაპირუსზე დაწერილები...

– წარმომიდგენია, რა უჩვეულო ამბავია მღვდლებისთვის! – ჩაიცინა ჟენიამ. – ამ წიგნებს არ აღიარებენ, მათ კი პოულობენ და კვლავ პოულობენ. პირდაპირ, რაღაც უბედურებაა ამ ძველ „მაკულატურასთან“ დაკავშირებით.

სენსეის და ბიჭებს გაეცინათ.

აქ ხომ პრობლემა კიდევ შემდეგშია, აპოკრიფებსაც კი ყოფენ „დაშვებულებსა“ და „აღკვეთილებზე“. რა თქმა უნდა, ცდილობდნენ „აღკვეთილების“ განადგურებას. სიტყვამ მოიტანა, „აღკვეთილ“ წიგნთა პირველი ოფიციალური სია აღმოსავლეთ რომის იმპერიაში, ჩვენი წელთაღრიცხვის V საუკუნეში შედგა. ბუნებრივია, მსგავსი „ვანდალიზმის“ შემდეგ შთამომავლებს შერჩათ II-IV საუკუნეების ქრისტიანი მწერლების მიერ საკუთარ ნაწარმოებებში მოყვანილი მხოლოდ სახელწოდებები და ციტატები, რომლებიც კამათობდნენ ამ წიგნების ავტორებთან...თუმცა, ყველაფერი ისეა, როგორც ყოველთვის, – მხრები აიჩეჩა სენსეიმ.

– სამწუხაროა, – წარმოთქვა ნიკოლაი ანდრეევიჩმა. – ეს ხომ ადამიანური მოდგმის ისტორიაა. რა საჭირო იყო მისი განადგურება? ყოფილიყო წიგნი თავისთვის საჭირო დრომდე. შთამომავლებს გამოეტანათ იგი ობიექტურ სამსჯავროზე.

– გესმის, რა არის საქმე, – დაიწყო ახსნა სენსეიმ, – ზოგი ამ წიგნებთაგან სინამდვილეში წარმოადგენდა ფასეულობას, ვინაიდან ასახავდა იესოს ჭეშმარიტ სწავლებას იმ სახით, რომლითაც თვითონ იესო გადმოცემდა. ამიტომ გულგრილს ისინი არცერთ ადამიანურ სულს არ ტოვებდნენ, რამეთუ იესოს ჭეშმარიტი სწავლება ადამიანებს ნამდვილად თავისუფლებს ხდიდა ამ სამყაროს ყველა შიშისაგან. ისინი იწყებდნენ იმის გაცნობიერებას, რომ სხეული ხრწნადია, სული კი უკვდავი. ადამიანებმა შეწყვიტეს ყოფიერების მატერიალური სამყაროს ილუზიების ტყვეობაში და მონობაში ყოფნა. მათ შეიცნეს, რომ ზემოთ მხოლოდ ღმერთია, რამდენად ხანმოკლეა სიცოცხლე და დროებითი ის პირობები, რომლებშიც მომწყვდეულია მათი დღევანდელი სხეული. მათ იცოდნენ, რომ ეს სიცოცხლე, რამდენადაც ხანგრძლივად არ უნდა მოჩვენებოდათ, – მხოლოდ და მხოლოდ თვალის ერთი დახამხამებაა, რომელშიც წარმოდგენილია მათი სული. ისინი აცნობიერებდნენ, რომ ნებისმიერი მიწიერი ძალაუფლება, იქნება ეს პოლიტიკოსების, თუ რელიგიური სტრუქტურების, შემოიფარგლება მხოლოდ სხეულებზე ძალაუფლებით. მმართველები კი მუხლს იდრეკენ თავიანთი „ღმერთის“ წინაშე, რომლისთვისაც ბოძებულია ძალაუფლება დედამიწაზე, მის მატერიაზე და არა სულზე. რადგან სული ეკუთვნის მხოლოდ ჭეშმარიტ, ერთიან ღმერთს. იესოს პირველი მიმდევრები, მისი სწავლების (და არა რელიგიის, რადაც იგი მოგვიანებით გადაიქცა) მქადაგებლები, ემშვიდობებოდნენ შიშს ამ ცხოვრების წინაშე. ისინი იწყებდნენ შეგრძნებას და აცნობიერებდნენ, რომ ღმერთი სულ ახლოსაა მათთან, ყველაზე ახლოს და ყველაზე მშობლიური და იგი მარადიულია...ადამიანების ასეთი ჭეშმარიტი თავისუფლება სასტიკად აშინებდა ძალაუფლების მპყრობელებს. ამიტომაც, ეს უკანასკნელნი შეუდგნენ იესოს სწავლების შესახებ იმ დროისათვის უკვე არსებული წერილობითი წყაროების შეკრებასა და გადამუშავებას. ახალი რელიგიის შექმნის მიზნით ძალიან ბევრი იყო განადგურებული მათთვის საჭირო ინფორმაციის ამოღების შემდეგ, რომელსაც, როგორც ამბობენ, ზემოდან ქვემოთ ავრცელებდნენ უკვე ხელისუფლების საჭეთმპყრობელნი.

ამიტომაც, ბევრი წერილობითი წყარო, სადაც ნახსენები იყო იესოს ჭეშმარიტი სიტყვები უბრალოდ არ შეესაბამებოდა „მასებისთვის ახალი იდეოლოგიის“ კრებულებს. მაგრამ რელიგიური წრეების უმაღლეს ძალაუფლებაში, სხვადასხვა დროს მოქცეული ადამიანების ყველა შეგნებული დაუდევრობის, ეშმაკობებისა და ეგოისტური ამბიციების მიუხედავად, ეს წერილობითი წყაროები იყო და რჩება! მაშ ასე, სახარებაში თვით ანდრია პირველწოდებულისაგან ნათქვამია, რომ მას შემდეგ, რაც პონტოელი პილატეს ადამიანებმა გადაარჩინეს იესო ჯვარზე გაკვრის შემდეგ, იესო ელაპარაკა პონტოელ პილატეს და სწორედ მისი თხოვნის შემდეგ მიიღო აღმოსავლეთში წასვლის გადაწყვეტილება. წასვლის წინ მან მოციქულებს შორის გაანაწილა რეგიონები სწავლების ქადაგებისათვის.

– მოციქულებს, მგონი იქ რაღაც წილისყრა ჰქონდათ, ვინ სად უნდა წასულიყო, – შენიშნა ნიკოლაი ანდრეევიჩმა.

– არა, წილისყრა, როგორც ასეთი, არ ყოფილა. ეს უკვე ადამიანების მონაგონია. მოციქულები...სიტყვამ მოიტანა, „apostol“-ი ბერძნულიდან ნიშნავს „წარგზავნილს“. მაშ ასე, იესოს

მოწაფე წარგზავნილები იყვნენ სრულიად განსხვავებული ადამიანები და ბუნებრივია, განსხვავდებოდნენ ერთმანეთისაგან თავიანთი სულიერი განვითარების დონით. იესომ გაანაწილა მათ შორის სხვადასხვა რეგიონი შესაბამისი ხალხებითა და ტომებით, თვით წარგზავნილების სულიერი სიმწიფის მიხედვით. ვინც უფრო ძლიერი იყო, მას წილად ერგებოდა უფრო რთული ადგილები ან უფრო მნიშვნელოვანი რეგიონები კაცობრიობის შემდგომი სულიერი აღორძინებისათვის, ხოლო ვინც უფრო სუსტი იყო – ნაკლებად რთული „უბნები“. ერთი სიტყვით, ყველას განსაზღვრული ჰქონდა ტვირთი მისი ძალების შესაბამისად...სენსეი გაჩუმდა, შემდეგ კი ჩილაპარაკა: – ეს მეტისმეტად მნიშვნელოვანი იყო ბევრი ადამიანის სულისათვის მაშინაც, მომავალშიც, რომ აღნიშნული სწავლების გავრცელება მიენდო ადამიანური გონების უბრალო წილისყრისთვის...

ანდრიას კი, როგორც ერთერთ ყველაზე ძლიერ მოწაფეს მან მიუთითა ექადაგა თრაკიაში, სკვითიაში, სარმატიაში. მაგრამ მთავარი იყო ბორისფენის მთებამდე მისვლა და იმ მიწებზე კურთხევის მიტანა, რომლებსაც ათასწლეულის შემდეგ ეწვევა თვით სული წმინდა და დააფუძნებს იქ თავის სამანეს. იესომ გადასცა ანდრეის ლოტოსის თესლები და დაუბარა ჩაედო ისინი იმ მიწაში სული წმინდისათვის ძღვენის სახით. მისი სიტყვები იესოსმიერ ბოძებულ რებუსად იქცა, როგორც თვით ანდრიასათვის, ასევე მათთვის, ვინც შემდგომში აწყდებოდა ამ აღწერილობას. ცოტას თუ ესმოდა, რატომ გადასცა იესომ მას მაინცდამაინც ლოტოსის თესლები, მაშინაც კი, ეს უკანასკნელი მხოლოდ სიმბოლიკად რომ ყოფილიყო.

– და მართლაც, რატომ? – გაიკვირვა ანდრეიმ. სენსეი მხოლოდ უცნაურად გაიღიმა, გაექცა პირდაპირ პასუხს და წარმოთქვა:



ანასტასია ნოვიხის ნახატი „იესოს მიერ ანდრია პირველწოდებულისთვის მითითებული ადგილი“

– ნებისმიერი თესლი – ეს, უპირველეს ყოვლისა...თქვენთვის რომ უფრო გასაგები იყოს, ხატოვნად რომ ვთქვათ, – უდიდესი მეხსიერების მქონე „მიკროჩიპია“. მას შეუძლია არა მხოლოდ მომავალი მცენარის მატრიცის, არამედ უდიდესი რაოდენობის ინფორმაციის შენახვა.

მოგვიანებით, როგორმე მოგითხრობთ ამის შესახებ უფრო დაწვრილებით. ამას გარდა, ეს თესლები იყო თვით იესოს – ღმერთის შვილის ხელებში. თანაც, ლოტოსის თესლებია, რომელთა გაღვივების უნარი ინახება ათასწლეულების განმავლობაში...ახლა კი გააკეთეთ დასკვნა.

სენსეი გაჩერდა. ჩვენ ვისხედით, ვუყურებდით მას და ვცდილობდით ჩვენი მწირი გონების მეშვეობით ჩავწვდომოდით, რა მოხდა მაშინ ასეთი მნიშვნელოვანი და ღირშესანიშნავი. ანდრეი კი, როგორც ჩანს, ცდილობდა თავის გონებრივ დონეზე თავი მოება უსასრულო შეკითხვების ხლართისათვის და ჰკითხა:

– როგორ იპოვა ანდრია პირველწოდებულმა იესოს მიერ მითითებული ადგილი?

– ელემენტარულად, – უბრალოდ ჩაილაპარაკა სენსეიმ. – „სახარებაში“, ანუ ბერძნულად „euange'lion“ - ში ანდრიამ აღწერა არა მხოლოდ იესოს ნამდვილი ცხოვრება, არამედ თავისი გადასვლა მისიის შესრულების დროს. სწორედ იქ ახსენებს, რომ როცა მიაღწია იმ ადგილებამდე ბორისფენის მდინარესთან (ბორისფენად ადრე იწოდებოდა მდინარე დნეპრი), ანდრიამ უცებ იცნო ეს ადგილი, რამეთუ, როგორც აღმოჩნდა, იესოს იგი დეტალური სიზუსტით აღუწერავს. წარმოიქმნებოდა ისეთი შთაბეჭდილება, რომ იესო კარგად იცნობდა ამ მთებს, თუმცა არასოდეს უხსენებია, რომ ყოფილა აქ.

– მაშ, სინამდვილეში ყოფილა? – დაინტერესდა იურა.

– ის ხომ ღმერთის ძეა, – ღიმილით უპასუხა სენსეიმ. – ღმერთი კი ყველგანაა. – მცირეოდენი პაუზის შემდეგ განაგრძო თხრობა: – საერთოდ კი, სახარება ანდრია პირველწოდებულისგან იმიტომ იყო აკრძალული, რომ ვერაფრით შეეთავსებოდა ახალი რელიგიის „თეთრი ძაფებით ჭრა–კერვას“. ძირითადად ორი მიზეზით. ის მეტისმეტად შეესაბამებოდა სინამდვილესა და თავისუფლების სიყვარულის დამნერგავი იყო მკითხველებში, რადგან მასში მოყვანილი იყო იესოს ჭეშმარიტი სიტყვები, როგორც ამბობენ, პირველწყაროსგან. თანაც, თვითონ იესოს სწავლების გადმოცემის სტილი მარტივი, ბრძნული და ადვილად აღსაქმელი იყო. ანდრიამ, ასევე, აღწერა თავისი მასწავლებლის რეალური ცხოვრების წვრილმანები იმის შესახებ, რომ ოესო ახალგაზრდობაში იმყოფებოდა აღმოსავლეთში, რაც აგრეთვე, არანაირად არ ჯდებოდა საეკლესიო დოგმებში. თანაც, ამას გარდა, ხსენებამ ლოტოსის შესახებ შეიყვანა „მათი უდიდებულესობა ცენზორები“ სრულ ჩიხში. ამას ხომ ისეთი რელიგიების სუნი ასდიოდა, როგორებიცაა ბუდიზმი, ინდუიზმი. არავის სურდა თავის საკუთარ რელიგიაში სხვისი ასეთი მკაფიო სიბოლიკის შეჭრა. ასე რომ, ეს გახდა შებრკოლების, კამათისა და დაპირისპირების კიდევ ერთი ლოდი მათ შორის, ვინც წყვეტდა, რა „ფერებით“ უნდა შემოსილიყო აღნიშნული რელიგიის იდეოლოგია. ამიტომაც მოიშორეს სახარება ანდრია პირველწოდებულისაგან, როგორც ამბობენ, თვალსაწიერის მიღმა.

არსებობდა, რა თქმა უნდა, ადრეულ სხვადასხვა ქრისტიანულ ჯგუფებში სახარების ჯიდევ სხვა ვერსიები ანდრია პირველწოდებულისაგან, მაგრამ ესენი იყო, ძირითადად, მისი მიმდევართა ჩანაწერები იესოს სწავლების შესახებ.

– რა დაემართა ამ სახარებას ანდრიასაგან? ის გაანადგურეს? – დაინტერესდა ანდრეი.

– ცდილობდნენ, რა თქმა უნდა, – გაეცინა სენსეის, როგორც ჩანს, ამ მომენტში გაახსენდა რაღაც სასაცილო შემთხვევა. – მაგრამ, როგორც ამბობენ, ასეთი ნივთები წყალში არ იძირება და ცეცხლშიც არ იწვის, ამისი უდიდესი სურვილიც რომ ჰქონდეს ადამიანურ უგუნურებას...მაგრამ,

ეს ყოველივე, ცხოვრების წვრილმანებია...ანდრია პირველწოდებულის მიერ მასწავლებლის დარიგების შესრულებიდან მრავალი წლის შემდეგ აღსრულდა იესოს სიტყვები. იმ ადგილებში გაშენდა ქალაქი კიევი – „რუსული ქალაქების დედა“, კიევის რუსეთის – სლავების გაერთიანების აკვანის დედაქალაქი. ხოლო იმ ადგილას, სადაც ანდრიას მიერ ჩარგული იქნა ლოტოსის თესლები, ათასი წლის შემდეგ მოწყალებით გამოცხადდა თვით სული წმინდა ადამიანის სხეულში და დააარსა იქ თავისი სავანე.

– გამოცხადდა სული წმინდა მოწყალების თვალით ადამიანის სხეულში, ეს როგორ? – იკითხა კოსტიკამ.

– მარტივად რომ ვთქვათ, მოვიდა შამბალის ხელმძღვანელი აღაპიტის სხეულში.

– თვით, შამბალის მბრძანებელი? – გაოცდა ანდრეი.

სენსეის გაეცინა.

– დიახ. მას უწევს ადამიანური სამყაროს მონახულება, ასე ვთქვათ, სამსახურეობრივი მოვალეობებით, თუნდაც ერთხელ 12 ათასი წლის განმავლობაშა. ხოლო კაცობრიობისათვის მნიშვნელოვანი მოვლენების შემთხვევაში კი უფრო ხშირად – თითქმის ყოველ ათას წელიწადში, განსაკუთრებით კი შემდგომი ცივილიზაციის საწყის და საბოლოო სტადიებზე.

ის–ის იყო კოსტიკამ დააღო პირი და აპირებდა შეკითხვის დასმას, რომ სენსეიმ შენიშნა და დაასწრო პასუხის გაცემით:

– „ცივილიზაციები“, იგულისხმება შამბალის ცნებების მიხედვით...თუმცა, თემას ცოტა ავცდით. დავუბრუნდეთ იმ მოვლენებს, რომლებიც მოხდა იესოს მოღვაწეობიდან ათასი წლის გავლის შემდეგ...როცა აღაპიტი ათონიდან წამოვიდა, იღუმენს რამდენიმე წლის შემდეგ კვლავ გამოეცხადა ღმერთისგან ზმანება. მას მოჩვენებაში ეწვია თვით გაბრიელ მთავარანგელოზი და დაარიგა, გაეგზავნა რუსეთში ანტონი. ეს მოხდა 1051 წელს.

ამჯერად ანტონი ჩამოვიდა კიევში, უკვე არ დადიოდა ქრისტიანულ მონასტრებში, თუმცა ნებისმიერ მათგანში მიიღებდნენ სიხარულით პატივსაცემ ბერს ათონის მთიდან. ანტონი მიზანმიმართულად მივიდა იმ ადგილას, სადაც შემთხვევით გაჩერდა კიევში პირველად ჩამოსვლისას და სადაც დაუბარა აღაპიტმა მისვლა თავისი წასვლის წინ. იგი დასახლდა გორაკზე, მდინარე დნეპრის მახლობლად, იმავე გამოქვაბულში და დაიწყო ცხოვრება იქ და ელოდებოდა აღაპიტს და ლოცულობდა გულმოდგინედ ღმერთისადმი, განსაკუთრებით იმ ლოცვას, რომელსაც სიყრმიდან ლოცულობდა. მიუხედავად იმისა, რომ ხშირად განიცდიდა შიმშილს, ყოვედღიურად მუშაობდა ფიზიკურად, აღრმავებდა გამოქვაბულს და მაინც ჭეშმარიტად ბედნიერად გრძნობდა თავს. რამეთუ იყო ღმერთთან ახლოს, როგორც მაშინ, შორეულ ახალგაზრდობაში ათონის გამოქვაბულებში ცხოვრებისას.

მალე მის შესახებ ცნობები ადგილობრივ მოსახლეობაში გავრცელდა. და დაიწყო ანტონის სახელის განთქმა მათ შორის იმით, რასაც აღაპიტი ასწავლიდა მას ათონზე – სასწაულებით, განჭვრეტის ნიჭით, ლოცვებით განკურნებით. და იწყო ხალხმა მასთან სიარული: ზოგი სამკურნალოდ, ზოგი კურთხევის მისაღებად, ზოგიც მასთან დარჩენის სურვილით სულიერი გმირობის მიღწევის მიზნით. ასე რომ აღაპიტის მოსვლის დროისათვის ანტონისთან, გამოქვაბულში უკვე ცხოვრობდა რამდენიმე ადამიანი, რომლებიც ბერის მიერ მათი

ნებასურვილის თანახმად აღკვეცილ იქნენ ბერებად. ამ დროისათვის მათ ერთობლივი ძალისხმევით გააფართოვეს და გააღრმავეს გამოქვაბული და მოიწყვეს იქ საცხოვრებელი სენაკები.

ანტონი უდიდესი სიხარულით შეხვდა თავის ძველ მეგობარს. აღაპიტისადმი ბერის ასეთი მოწიწებული დამოკიდებულების დანახვაზე დანარჩენი ბერებიც ასეთივე პატივით მიეგებნენ მას. აღაპიტი აგრძელებდა ანტონის გაოცებას თავისი გამოუცნობი, უდიდესწილად იდუმალი პიროვნებით. კიევში აღაპიტის ჩამოსვლის შემდეგ ანტონი გახდა აღაპიტისა და იაროსლავ მუდრის (იაროსლავ ბრძენის) საიდუმლო შეხვედრის მოწმე, როცა ამ უკანასკნელს გადაეცა 4 ძვირფასი ხელნაწერი წიგნი და სამი მანუსკრიპტი თავისი „წიგნსაცავისათვის“. ამასთან, სამი წიგნი მორთული იყო ძვირფასი ქვებით. მეოთხე კი უბრალო გარეგნობის მიუხედავად, როგორც ჩანს,იყო ძალიან ძველი. ანტონი გაოცებული იყო, რადგან თითოეული წიგნი იყო ნამდვილი შედევრი და ღირდა მთელი ქონება. ხოლო მანუსკრიპტები...იმ დროს ერთი მანუსკრიპტიც კი საოცრად ძვირი ღირდა. ასეთი დიდებული, ჭეშმარიტად მეფური საჩუქრის გაცემა შეეძლო სულ მცირე, მხოლოდ „ცისფერი სისხლის“ მქონე ადამიანს. მაგრამ, მაშინ არა მხოლოდ ამან გააოცა ანტონი. მთავარი იყო ის, თუ რა თავისუფლად ურთიერთობდნენ ერთმანეთში აღპიტი და იაროსლავი! იაროსლავი მას ელაპარაკებოდა ისე, თითქოს დიდ ხანს და კარგად იცნობდა აღაპიტს, თითქოს იყვნენ ძველისძველი, კეთილი მეგობრები და ეს ყველაფერი ასაკში საგულისხმო განსხვავებისა და იაროსლავის მაღალი თავადური მდგომარეობის მიუხედავად. იმ სამახსოვრო შეხვედრის შემდეგ, ნანახით შეძრულმა ანტონიმ შესთავაზა აღაპიტს სათავეში ჩადგომოდა საძმოს, სადაც თვითონ იყო უფროსი. თუმცა აღაპიტმა ისურვა ყოველივე უცვლელად დარჩენილიყო და ყოფილიყო მასთან ჩვეულებრივ ბერად. მან სთხოვა ანტონის საიდუმლოდ შეენახა მისი შეხვედრა იაროსლავთან. და მოისურვა აღკვეცილიყო ბერის წოდებაში, არაფრით რომ არ გამორჩეულიყო დანარჩენი საძმოსაგან.

– აი ეს მესმის! – აღმოხდა კოსტიას. – ის ხომ ბოდხისატვა იყო! და მოისურვა უბრალო ბერობა?!

სენსეიმ დაჟინებით შეხედა მას და მსუბუქად ჩაილაპარაკა:

– ბოდხისატვისათვის ნებისმიერი ძალაუფლება – ფუჭი სიტყვაა. ბოდხისატვა მხოლოდ ღმერთს ემსახურება. ადამიანებისაგან განსხვავებით მან იცის, რას წარმოადგენს ყოფნა „აქ“ და ყოფნა „იქ“.

კოსტია ოდნავ დაიბნა და შერცხვენილად წარმოთქვა:

– ის არ მიგულისხმია...იმას ვგულისხმობდი...– და, როგორც ჩანს, იპოვა შესაფერისი მოსაზრება, – ადამიანს ხომ ოდესმე დასვენებაც სჭირდება. სულ მუშაობა და მუშაობა ხომ ძნელია. რამდენადაც ჩემთვის ცნობილია, უბრალო ბერები იმ დროს ხნავდნენ, როგორც მონები. რაზეც სენსეიმ კიუგო:

– ბოდხისატვისათვის დასვენება ადამიანური გაგებით არ არსებობს. მან იცის, რა არის დრო და იცის მისი დაფასება. აღაპიტი, რა თქმა უნდა, იყო გავლენიანი და ძლიერი პიროვნება. მაგრამ იგი შეგნებულად გაეცალა ძალაუფლებას, საძმოს ხელმძღვანელობას და მთელი თავისი თავისუფალი დრო მიუძღვნა ადამიანებისათვის რეალურ დახმარებას. მოგვიანებით, როცა საძმოს რაოდენობა გაიზარდა ანტონიმ მმართველობა ვარლაამს გადააბარა, თვითონ კი აღაპიტის მაგალითზე გახდა რიგითი ბერმონაზონი.

– რა დახმარებას აღმოუჩენდა აღაპიტი ხალხს? – ჰკურნავდა? – დაინტერესდა ვალოდია.

– დიახ. აღაპიტი, თავის სხვა ღირსებებთან ერთად, კარგი ექიმი იყო. მისმა გულითადმა, მზრუნველობითმა დამოკიდებულებამ ავადმყოფებისადმი გაუგონრად მოუხვეჭა მას სახელი და მოუპოვა პატივისცემა ხალხში, თანაც კიევიდან საკმაოდ მოშორებით, თუმცა თვითონ აღაპიტი პრაქტიკულად არასოდეს გასულა მონასტრის ტერიტორიის გარეთ. ის გახდა XI საუკუნის ერთერთი ყველაზე ცნობილი მკურნალი. ხალხმა მას უწოდა „მკურნალი ღმერთისაგან“. იგი კურნავდა ადამიანებს ისეთი მძიმე დაავადებებისაგან, რომელთა მორჩენაზე ხელი ჰქონდათ აღებული იმდროინდელ განთქმულ ექიმებს. ავიღოთ თუნდაც ასეთი ცნობილი ისტორიული ფაქტი, როცა აღაპიტმა განკურნა სიკვდილის სარეცელზე მყოფი ჩერნიგოვის თავადი ვლადიმერ ვსევოლოდოვიჩი მონომახი. იმ დროისათვის ცნობილ ადამიათა წრეში საუკეთესო ესკულაპად აღიარებული ექიმი, სახელად არმიანინი, უძლური იყო დახმარება აღმოეჩინა თავადისთვის. აღაპიტისთვის კი საკმარისი იყო თავადის შიკრიკის ხელით გაეგზავნა ლოცვის ქვეშ დამზადებული „სასწაულმოქმედი წამალი“ და ცოტა ხანში ფეხზე დაეყენებინა ვლადიმერ მონომახი. მოგვიანებით თავადი ესტუმრა პეჩორის მონასტერს აღაპიტის დასაჩუქრების მიზნით, თან მოიტანა ბევრი ოქრო და ძვირფასი საჩუქარი. მაგრამ აღაპიტმა უარყო ეს ყველაფერი, როგორც თავადისგან, ასევე, ბოიარინისგან, რომელიც მოგვიანებით გაუგზავნა თავისი სახელით ვლადიმირ მონომახმა. რამეთუ უანგაროდ და მზრუნველობით ჰკურნავდა აღაპიტი ერთნაირად, როგორც უბრალო ხალხს, ასევე დიდებულებს, რის გამოც დაარქვეს მას სახელად აღაპიტი უანგარო ექიმი. ბუნებრივია, ეს იწვევდა ჩვეულებრივ, ბოროტებასთან ახლოს მყოფ ადამიანურ შურიანობას ისეთ ექიმებში, როგორიც იყო არმიანინი. რაც ამ უკანასკნელს ეხება, საბოლოო ჯამში მან გააცნობიერა, ვინ იყო სინამდვილეში აღაპიტი. სწორედ ამის წყალობით არმიანინი შემდგომში გახდა ბერი პეჩორის მონასტერში.

– მაშ, იგი ფულსაც არ ღებულობდა მკურნალობისათვის?! – კვლავ გაიოცა კოსტიამ. – რით ირჩენდა თავს?

– უბრალოდ ცხოვრობდა, სულიერ გმირობაში. – და გაღიმებულმა სენსეიმ დასძინა: – მისი სენაკი სიბრალულს იწვევდა ქურდებშიაც კი, რამეთუ, ერთადერთი რაც მასში ფასეული იყო – თვით აღაპიტი, მისი ცოდნა და გამოცდილება.

– რით იკვებებოდა, სული წმინდით?

სენსეის გაეცინა

– არა. თვითმჭამელობით იგი ზუსტად არ იყო დაკავებული.

– ასე, ხომ ცოტა ხანში შეიძლება წერილის წაღება იქით.

– ადრე თუ გვიან, ყოველი ჩვენგანი წაიღებს წერილს, – თქვა სენსეიმ, არ ვიცი ხუმრობით, არ ვიცი სერიოზულად. – აზრი ხომ ამაში არ არის.

– არა, გასაგებია...იგი ხომ არ იპარავდა ამ ფულს, არამედ პატიოსანი შრომით შოულობდა. მით უფრო, რომ ადამიანებს თავისი ნებით მიჰქონდათ მისთვის. რატომ არ ღებულობდა?

– იცი რაშია საქმე, აღაპიტი ასწავლიდა ბერმონაზვნებს ღმერთის ჭეშმარიტ მსახურებას. იგი ამბობდა, რომ „ოქრო“ და „ბერი“ შეუთავსებელი რამ არის. ადამიანს არ შეუძლია ემსახუროს ორ ბატონს: ან ემსახურება ღმერთს, ან მიწიერ სიმდიდრეს, ანუ ეშმაკს. მესამე ვარიანტი არ არსებობს. ამ ქვეყნად ბერმონაზონი ყველა თავისი საქციელისათვის ჭეშმარიტად ელოდება ჯილდოს

მხოლოდ ღმერთისაგან და არა ახლა და ადამიანებისაგან. ოქრო კი არის ნაგავი სულისათვის და ცდუნება აზრებისთვის. ეს არის სიბილწე, რომელიც სწყურია ბევრს და რაც სინამდვილეში არის მოჩვენებითი ტყუილი. ბერისთვის ჭეშმარიტი ფასეულობა არის გულწრფელი ლოცვა საკუთარი სულისთვის. არა მუცლის ნაყროვანებასა და სხეულის ჯანმრთელობაზეა საჭირო ზრუნვა. რადგანაც, რამდენი არ უნდა ჭამო, ადრე თუ გვიან მაინც მოგშივდება და როგორი ჯანმრთელობაც არ უნდა გქონდეს, ადრე თუ გვიან ხორცი შენი მაინც მოკვდება. სული კი მარადიულია და მხოლოდ იგია ღირსეული ზრუნვის ღირსი. როგორც აღაპიტი ამბობდა, ბერი ლოცულობს ყველა ადამიანისათვის გულით, მაგრამ ბერმონაზვნობის მთელი არსი არის ღმერთის სამსახური და მის სახელზე საკუთარი სულის გადარჩენისათვის ლოცვა.

სენსეი გაჩერდა. ჩამოწვა სიჩუმე. მაგრამ მალევე დაარღვია იგი ვიქტორის ჩაფიქრებულმა ხმამ:

– ამაზე ცოტა ვინმე თუა წამსვლელი...

ამ დროს ახალგაზრდის მსჯელობაში ჩაერთო კოსტია თავისი „ჭკვიანური დასკვნებით“:

– ე.ი. თანამედროვე ენით თუ ვიტყვით, აღაპიტი იყო სახალხო მკურნალი?

რაზეც სენსეიმ გაცინებით უპასუხა:

– თუ, თანამედროვე ენით ვიტყვით, აღაპიტი, უფრო, აკადემიკოსი იყო. როგორც უკვე აღვნიშნე, იგი სრულყოფილად ფლობდა არა მხოლოდ სამედიცინო ცოდნას, არამედ სხვა საგნებსაც. იცოდა რამდენიმე ენა. თავისუფლად კითხულობდა ანტიკური, ძველრომაული ავტორების ნამდვილ ტრაქტატებს. ეწეოდა წიგნების თარგმნას სლავურ ენაზე. იაროსლავ მუდრის (იაროსლავ ბრძენის) წიგნსაცავისათვის ნათარგმნი აქვს წიგნები არა მარტო აღმოსავლეთიდან, არამედ თან მოტანილი ძველეგვიპტური მანუსკრიპტები. მოგვიანებით აღაპიტი, ასევე ეხმარებოდა...ან უფრო ზუსტად, „1073 წლის იზბორნიკის“ (ძველრუსული ხელნაწერი წიგნი) შემდგენლის სვიატოსლავის კონსულტაციას ეწეოდა, რომელშიც ენციკლოპედიური ხასიათის სტატიების გარდა დაწვრილებით იყო აღწერილი სამედიცინო მონაცემები. კერძოდ, დაავადებათა ამოცნობის ხერხები, სხვადასხვა რჩევები საწამლე საშუალებათა დამზადებისა და გამოყენების, მონაცემები ადამიანის ფიზიოლოგიისა და ანატომიის შესახებ. ამ წიგნს შემდეგ დიდი ხნის განმავლობაში იყენებდნენ სასწავლო დამხმარე წიგნის სახით.

ბუნებრივია, აღაპიტი ნერგავდა კულტურასა და შემეცნების წყურვილს აჩენდა ბერმონაზვნებს შორის. ზოგიერთს იგი ასწავლიდა მედიცინას. ზოგს ეხმარებოდა თავისუფალ დროს, უბრალოდ წიგნების ათვისებაში. სიტყვამ მოიტანა და შემდგომში სამონასტრო წესდებით დაკანონდა და სავალდებულო გახდა ბერების მიერ წიგნების კითხვა თავისუფალ დროს. სწორედ მისი ინიციატივით შეიქმნა კივისა და პეჩორის მონასტრის წიგნსაცავი.

– წიგნსაცავი? – გაიმეორა რუსლანმა სიტყვა, რომელიც ასე ჭრიდა ყურს თავისი სიძველით.

– ჰო, ბიბლიოთეკა, ჩვენებურად.

– ა–ა–ა...

– მაშ ასე, აღაპიტი ეხმარებოდა ზოგ ნიჭიერ ბერმონაზონს მკურნალობის ოსტატობის დაუფლებაში. – განაგრძო თხრობა სენსეიმ. – სწავლების საფუძველში იდო ცნობიერების განსაკუთრებულ მდგომარეობაში წაკითხული სპეციალური ლოცვები, როგორც წესი საკვების ან სითხის სიახლოვეს. რისი წყალობითაც, მაგალითად, იგივე სითხე იმუხტებოდა უზარმაზარი

ძალით, რის შემდეგაც იგი გამოიყენებოდა როგორც წამალი და აძლევდნენ ავადმყოფს შინაგანი მიღების ან გარეგანი გამოყენებისათვის. მარტივად რომ ვთქვათ, აღაპიტის მოწაფეები სწავლობდნენ არა მარტო წყლის ფიზიკური პარამეტრების, არამედ მოლეკულების სტრუქტურის ცვლილებას, რომელზეც იდებოდა საჭირო ინფორმაცია. ბუნებრივია, მათ ასეთ დეტალებამდე არ იცოდნენ თხევადი სტრუქტურის მოლეკულის მიკროსამყაროში მიმდინარე მთელი პროცესისა და მაკროობიექტზე მისი მოქმედების სრული მექანიზმის შესახებ. მათ ეს არც კი სჭირდებოდათ. ბერები უბრალოდ სარგებლობდნენ ამ ცოდნის საერთო პოსტულეტებით, რომლებსაც ასწავლიდა აღაპიტი ისევე, როგორც ჩვენ დღეს ვსარგებლობთ ელექტროენერგიით. ელექტრული დენის ენერგიით ადამიანები ყოველდღიურად სარგებლობენ, თუმცა აქამდე არავინ ზუსტად არც კი იცის, ეს რა არის.

მაშ ასე, მაგალითისათვის, ბერმონაზონ დამიანს, რომელიც სწავლობდა აღაპიტთან კარგად გამოსდიოდა ადამიანების, განსაკუთრებით კი ბავშვების მკურნალობა მირონის ცხებით.

–რით, რითო? – იკითხა სლავიკმა, ალბათ ვერ გაიგონა.

– მირონით.

– ეს რა არის?

– მირონი – ეს ზეითუნის ხის ზეთია. ქრისტიანებში, მაგალითად არის მთელი რელიგიური წეს–ჩვეულება, ე.წ. მირონცხება – შვიდი მღვდლის მიერ აღსრულებადი საიდუმლოებაა და თუ ასეთი შესაძლებლობა არ არის, მაშინ ერთი მღვდლის მიერ დაავადებულის თავთან. ამას კუდევ ეწოდება ზეთით ზიარება. მისი არსი, ასევე, მდგომარეობს ავადმყოფის სიახლოვეს გარკვეული ლოცვების წაკითხვაში და ხდება ნაკურთხი ზეთით მირონცხება. ასე ხდება შვიდჯერ.

– და რატომ მაინცდამაინც შვიდი მღვდელი და შვიდჯერ? – იკითხა ანდრეიმ.

– ეს ასოცირებულია სულიერ ძალასთან, ღმერთსა და ადამიანებს შორის შუამავალი შვიდი მთავარანგელოზის ძალასთან. მარტივად რომ ვთქვათ, შვიდი ბოდხისატვის მიერ...ხოლო ასეთი ხერხით ზეთის გამოყენებასთან დაკავშირებით, ეს ავადმყოფების მკურნალობის ძველისძველი მეთოდია, ვინაიდან განკურნების პროცესის საფუძველში მოქცეულია სწორედ ის ცოდნა, რომლის შესახებაც უკვე მოგიყევით – ადამიანის მიერ სითხის მეშვეობით გარემომცველ სამყაროზე ზემოქმედების შესაძლებლობა. ამიტომ მსგავსი რამის ნახვა შეიძლება სხვადასხვა რელიგიებში და მსოფლიოს ხალხების სარიტუალო წეს–ჩვეულებებში.

– მდა, – ამოიოხრა ნიკოლაი ანდრეევიჩმა. – ადამიანები ცოტ–ცოტა კარგავენ არსს და ტოვებენ მხოლოდ მის გარეგან ფორმას.

– სამწუხაროდ, – წარმოთქვა სენსეიმ. – ოდესღაც ადამიანებმა იცოდნენ, რასაც აკეთებდნენ. ახლა კი მხოლოდ და მხოლოდ ახდენენ ამ ცოდნის გარეგანი ფორმის იმიტირებას. აი, ავიღოთ ერთერთი ქრისტიანული საიდუმლოება – ნათლისღება, რომელიც მოწმობს აღნიშნულ რელიგიასთან ადამიანის ზიარებს. დღეს ეს არის საზეიმო, მრავალმარცვლოვანი წეს–ჩვეულება, რომლის ძირითადი მოქმედებაა ნაკურთხ წყალში ადამიანის სამჯერ ჩაყვინთვა, ლოცვების კითხვა, მირონცხება. მაგრამ ხშირად ამ წესის შემსრულებელნიც ვერ ფლობენ ცოდნას იმის შესახებ, თუ რა უდიდესი ძალა დგას ამ გარეგანი მოქმედების უკან. თვით მორწმუნეებიც კი ბოლომდე ვერ აფასებენ და ვერ აცნობიერებენ აღნიშნული, ნაკურთხი, ლოცვაწაკითხული წყლის ჭეშმარიტ მოქმედებას. მცირე დუმილის შემდეგ დაამატა: – თვით ჩვილების წყლით შემობანის

წეს–ჩვეულება ქრისტიანობაში უცებ როდი წარმოიშვა, არამედ ბევრად მოგვიანებით, ქრისტიანული წეს–ჩვეულებების ჩამოყალიბებისა და სრულყოფის მიხედვით.

ნათლისღების სათავეები კი წინაქრისტიანული კულტების სიღრმეში იმყოფება. წყლის ასეთი წეს–ჩვეულებები სრულდებოდა ძველი მსოფლიოს ბევრ რელიგიაში, რომლებიც თავის მხრივ ეფუძნებოდა მათი წინაპრების რწმენას წყლის „განმწმენდი“ ძალის შესახებ. მაგრამ ნათლისღების პრაქტიკის არსი, რომელიც თავიდანვე გადაეცემოდა ადამიანებს, კიდევ უფრო ღრმად არის ჩაფლული წყლის იმ სტიქიის ზღვარს მიღმა, რომელსაც გარეგნულად ხედავენ ადამიანები.

– საინტერესოა და რაშია მისი არსი? – სწრაფად იკითხა ნიკოლაი ანდრეევიჩმა, რომელიც ჩვენსავით იყო დაინტერესებული საუბრის თემით.

– ნათლისღების პრაქტიკის ჭეშმარიტი არსი მდგომარეობს საკუთარი ცნობიერების სიღრმეში, სულამდე ადამიანის ჩაწვდომაში. თვით სიტყვა ნათლისღება ბერძნულად ჟღერს, როგორც „ვაპტისი“, რაც ნიშნავს „ჩაძირვას, ჩაშვებას“. გახსოვთ, დილით ნათქვამი მაქვს ჩაძირვის იოგების პრაქტიკაზე, რომელსაც ისინი „პრანაიამას“ უწოდებენ. თანამედროვე ხედვით, ეს ორი სრულიად განსხვავებული პრაქტიკაა, რომელთა შორის ადამიანებმა თავიანთი ამბიციებით გაავლეს უფსკრული. სინამდვილეში კი ნათლისღებაც და პრანაიამაც და წყალთან დაკავშირებული კიდევ სხვა პრაქტიკები და წეს–ჩვეულებები, – ეს თვით ადამიანების მიერ ფართო მასებისათვის ადაპტირებული ჭეშმარიტი ცოდნისა და უძველესი პრაქტიკების მხოლოდ და მხოლოდ შორეული გამოძახილებია. თავდაპირვანდელი პრაქტიკის საფუძველში დევს ადამიანის ცნობიერების მდგომარეობის ცვლილებისა და გარკვეულ სიხშირეზე მისი გაყვანის გამომწვევი პრაქტიკები, რომელთა წყალობითაც ხდებოდა ადამიანის სულიერი ზრდა და მოწიფულ არსებად ღმერთთან მისვლა. ანუ, ამ პრაქტიკების წყალობით იგი შეიცნობდა ნამდვილ რეალობას. მან იცოდა, რას აკეთებდა და საით მიდიოდა.

ოდესღაც, დიდი ხნის წინ ჩაძირვის“ პრაქტიკა ეძლეოდათ ადამიანებს და განკუთვნილი იყო მათთვის, ვინც უკვე იმყოფებოდა სულიერი განვითარების გარკვეულ ეტაპზე. მისი მეშვეობით ადამიანი შედიოდა ცნობიერების შეცვლილ მდგომარეობაში და იძენდა თავის ყველაზე იდუმალ სიღრმეებში ჩასვლის შესაძლებლობას, სადაც შეეძლო ღმერთთან გაერთიანება. ბუნებრივია, იქ აგილი არ ჰქონდა არანაირ ცხოველურ საწყისს, რამეთუ ეს დაკავშირებული იყო სულის არსობასთან. ეს პრაქტიკა სინამდვილეში იძლეოდა ცოდნის საიდუმლოებას, სწორედ იმ ცოდნისა, რომლის ასახვა შეუძლებელია სიტყვებით, რადგან მისი შეძენა ხდებოდა ღმერთის ნაწილისგან – ყოვლისმცოდნე სულისაგან.

– დიახ, ბევრი ფასეული რამ დაგვეკარგა დროთა განმავლობაში, – დამწუხრებულად შენიშნა ნიკოლაი ანდრეევიჩმა. – ხშირად საერთოდ ვერ ვაცნობიერებთ, რას ვაკეთებთ და რისთვის ვაკეთებთ ამას. ყველაფერს ტრადიციებით ვხსნით, თავს იმით ვიმშვიდებთ, რომ ასეა საჭირო, ასე მოდიოდა დასაბამიდან, რომ ჩვენ მხოლოდ და მხოლოდ პატივს მცემთ ჩვენი წინაპრების წეს–ჩვეულებებს.

სენსეის გაეცინა და წარმოთქვა:

– არა, მაგრამ თუ დავუკვირდებით, უმჯობესია ასეთნაირად, ვიდრე საერთოდ არანაირად და სრული დავიწყება. ვინაიდან, ადრე თუ გვიან, გამოჩნდებიან ადამიანები, რომლებიც მიაგნებენ ნამდვილ არსს.

– მე ადრე არ ვაქცევდი ასეთ მომენტებს ყურადღებას, – ისევ წარმოთქვა ნიკოლაი ანდრეევიჩმა. – მაგრამ ახლა შენ გვიყვებოდი ნათლისღების შესახებ, მე კი გამახსენდა ჩემი დიდი ხნის წინანდელ პაციენტთან ერთი საუბარი. იგი მორწმუნეა, შეიძლება ითქვას ფანატიზმამდე ეკლესისი თითოეული სიტყვის პირდაპირ აღმქმელი. მაშ ასე, ერთერთ საუბარში მან მიამბო ქრისტიანებში ნათლისღების წეს–ჩვეულების იდეოლოგიის შესახებ. მეც მონათლული ვარ, მართალია, ბავშვობაში. მაგრამ ასეთი რამ პირველად ცხოვრებაში გავიგონე. ამ იდეოლოგიის მიხედვით მხოლოდ მონათლული და სხვა არავინ განიწმინდება, თვით, ადამიანის დაბადების ფაქტთან დაკავშირებული პირველშობილი ცოდვისაგან. რომ მხოლოდ ნათლისღების შემდეგ ადამიანი ხდება ეკლესიის წევრი, ეზიარება მის სიკეთეებს, რასაც წარმოადგენს მარადიული ცხოვრება. თითქოს ნათლისღებამდე ადამიანი ატარებს დემონის ბეჭედს, ანუ არ არის დაშორებული სატანისტურს. მხოლოდ ამ საიდუმლოების გავლის შემდეგ მისი გულიდან განიდევნება სატანა და სამუდამოდ რჩება გარეგანში ამ ადამიანთან მიმართებაში. და რომ ნათლისღების წყალობით ადამიანს შეუძლია ყველა ცოდვისაგან გათავისუფლება, ხოლო შემდგომში კი თავის შეკავება იგივე ცოდვების თავიდან ასარიდებლად. განა ასეთი რამ შესაძლებელია?

– რა თქმა უნდა, არა. ნათლისღებას, უდაოდ, აქვს ძალა. მაგრამ უბრალო ადამიანისათვის – ეს მხოლოდ და მხოლოდ ბიძგია სულიერი გამოღვიძებისაკენ. თუმცა, ეს მას არ დაიხსნის ცხოველური არსობისაგან, რასაც ქრისტიანობაში უწოდებენ „სატანას“. ადამიანი იმყოფება ცხოველის სხეულში. ადამიანის გონება – ეს ცხოველის გონებაა. ამის მოცილება შეუძლებელია გარეგანში ან ამისგან სრულიად თავის დახსნა. ასე ფიქრი, ეს იგივეა, რაც იფიქრო, როგორც ავტომობილში მოძრავი ადამიანი, რომელიც ცდილობს დაარწმუნოს საკუთარი თავი იმაში, რომ კი არ მოძრაობს მანქანით, არამედ უბრალოდ მიფრინავს ჰაერში.

ადამიანის სხეულში დაბადებული ბოდხისატვებიც კი ექცევა ცხოველის გამოცდებისა და ყველა ადამიანური ცდუნების ქვეშ. მოვიყვანოთ მაგალითად ადამიანის სხეულში დაბადებული იესო, ღვთის შვილი. ისიც ვერ გაექცა ამ ხვედრს. 40 დღე ებრძოდა იგი სატანას, მარტივად რომ ვთქვათ, გადიოდა პირადულ არმაგედონს. მან დაუქვემდებარა თავის სულიერ არსობას ცხოველის გონება და დასვა თავისი „ცხოველი ჯაჭვზე“. ისიც კი ყეფდა და იკბინებოდა მთელი ცხოვრების განმავლობაში და ახსენებდა საკუთარ თავს. იმიტომ, რომ მიუხედავად იმისა, რომ იესო იყო დიადი სული, მაგრამ იმყოფებოდა მატერიალურ სხეულში. ამას ვერსად გაექცევი. ასეთია კანონი, ადამიანური ბუნების არსი.

ამ დროს კოსტიამ ღიმილით წარმოთქვა:

– მე მახსოვს, როგორ მნათლავდნენ მე–4 კლასში. მღვდელი რაღაცას გვეკითხებოდა, ჩვენ კი ერთად ვპასუხობდით. შემდეგ გვითხრა შევტრიალებულიყავით დასავლეთისკენ, მთელი ძალით შეგვებერა და შეგვეფურთხა სატანისათვის. ეს კარგად დამამახსოვრდა იმიტომ, რომ შევაგროვე მთელი ჩემი ნერწყვი და მეტად მოვინდომე...

გაგვეცინა ყველას, სენსეიმ კი ჩაილაპარაკა:

– თქვენ გადიოდით ნათლისღების ერთერთ წეს–ჩვეულებას – აკრძალვას უწმინდურ ძალებზე და განკვეთას სატანისაგან.

– არაფერია, მესმის ყველაფერი, – გაეცინა კოსტიკას ნიკოლაი ანდრეევიჩის მსჯელობების მიბაძვით. – მაგრამ, გადაფურთხება რა საჭირო იყო?

– მიიჩნევა, რომ ამ გადაფურთხებით ქრისტიანი აჩვენებს, რომ არ ეშინია სატანისა და მისი ხრიკების, რადგანაც ღმერთისგან ღებულობს საჭირო დაცვას, – განმარტა სენსეიმ. – ერთი სიტყვით ამ გზით გამოხატავს სატანისადმი უკიდურეს ზიზღს.

– კულტურაც ეს ყოფილა, ნამდვილი შუასაუკონეობრიობა, – გაეღიმა კოსტიას.

– კულტურა აქ არაფერ შუაშია. ადამიანები ხომ არ იცვლებიან, როგორებიც იყვნენ, ისეთებად დარჩნენ.

– რატომ შევტრიალდით დასავლეთისკენ?

– უბრალოდ დასავლეთი მართლმადიდებლობაში ყოველთვის იყო დაკავშირებული ღმერთთან დაპირისპირებულ ძალებთან. როცა ადამიანი ამ წეს–ჩვეულების დროს შეტრიალდება დასავლეთისაკენ, ეკლესიის მსახურნი მიიჩნევენ, რომ ამ გზით მოსანათლი უშუალოდ განიკვეთება სატანისაგან და უცხადებს მას ამის შესახებ „პირში“. ამის შემდეგ კი შემობრუნდება საკურთხევლისაკენ – აღმოსავლეთით. ითვლება, რომ სამყაროს ეს მხარე აკავშირებს ადამიანს ღმერთთან.

– თუ გავითვალისწინებთ, რომ სადღაც იქ მდებარეობს შამბალა, ისინი რაღაცაში მართლები არიან, – შენიშნა ვალოდიამ, მცირე პაუზის შემდეგ კი ჩაუბასა: – დასავლეთის შესახებაც, ალბათ, მართალია.

– მახსოვს კიდევ, მღვდელი ლოცვებს კითხულობდა ეკლესიურ–სლავურ ენაზე, – გადაეშვა კოსტია მოგონებებში. – მართალია, ნახევარი სიტყვები გაუგებარი იყო. შემდეგ წყლით შეგვასხურა, გვიცხებდა სახეზე რაღაცას. ჰო! კიდევ თმის გოჯი ამოგვაჭრა ყველას, ჩვენ კი მათ ცვილის ფურცელში ვახვევდით და წყალში ვძირავდით. რა საჭირო იყო ასეთი სირთულეები?

– გაიზრდები და მიხვდები, – ჩაერია ვიქტორი.

სენსეის სევდით გაეღიმა და თქვა:

– ხომ ხედავთ, ეს წეს–ჩვეულებები ზოგისთვის – სანახაობაა, სვებისთვის კი ცხოვრების გადაფასება.

ამ სიტყვების შემდეგ კოსტია გაჩუმდა, ხოლო ნიკოლაი ანდრეევიჩმა ისარგებლა მომენტით, ისევ მიმართა სენსეის და გაიხსენა საუბარი თავის პაციენტთან.

– მაშ ასე, იმ ადამიანთან საუბრის დროს გაიჟღერა ასეთმა რამ, რომ მხოლოდ მონათლული ადამიანი შეიძლება მოხვდეს სამოთხეში, მოუნათლავი კი არავითარ შემთხვევაში, რომ მოუნათლავ ადამიანზე არ მოქმედებს სხვა საიდუმლოებების მადლი. მისთვის თითქოსდა აკრძალულია ლოცვა, მისი მოხსენიება სიცოცხლეშიაც და გარდაცვალების შემდეგაც. მისთვის იკრძალება წესის აგებაც კი. მონათვლის შემდეგ კი ამ ყოველივეს ჩატარება შესაძლებელია. გამოდის, რომ მოუნათლავი ადამიანი ეკლესიისთვის საერთოდ არც კი არსებობს?

სენსეიმ ყურადღებით მოუსმინა ნიკოლაი ანდრეევიჩს, შემდეგ კი რბილად თქვა:

– როგორ გითხრა... აღნიშნული რელიგიის ეკლესიისათვის იგი, შესაძლოა, არც კი არსებობდეს. მაგრამ ღმერთისთვის ყველა ადამიანი – მისი შვილია! ადამიანი, დაბადების მერვე დღიდან, როგორც კი მის სხეულში სული მკვიდრდება, პატარა ადამიანი ხდება ღმერთის „შვილი“.

შეძლებს თუ არა იგი, გახდეს ნამდვილი ადამიანი და მივიდეს ღმერთთან მომწიფებული სულით – ეს უკვე დამოკიდებულია მხოლოდ მასზე, მის არჩევანსა და ნებაზე.

– ადამიანის სული ჩაისახება სხეულში დაბადებიდან მერვე დღეს? – იკითხა რუსლანმა.

– დიახ.

– მანამდე, ვინღა არის ეს ბავშვი?

– უბრალოდ ცოცხალი ორგანიზმი, როგორც ნებისმიერი სხვა ცხოველი, – უპასუხა სენსეიმ. – და კვლავ, ამ საკითხში ვაწყდებით იმას, რომ ცოდნა ამის შესახებ დაკარგულია და დარჩა მხოლოდ ტრადიდციები უხსოვარი დროიდან. სიტყვამ მოიტანა და რუსეთში დღემდე შემორჩა ცოდნის წარსულის გამოძახილი იმის შესახებ, რომ სული ჩაისახება დაბადებიდან მერვე დღეს. იქ ბავშვის სახელს ხშირ შემთხვევაში არჩევდნენ იმის მიხედვით, რომელი წმინდანის ხსენების დღე იყო ბავშვის დაბადების მერვე დღეს. ადრე, ხდებოდა არა დაბადების დღის აღნიშვნა, არამედ წმინდანის ხსენების დღისა, ვის საპატივცემულოდაც დაერქვა ბავშვს სახელი, რათა ადამიანი არ აღზევებულიყო თავის სიამაყეში და ხსომებოდა, თუ რისთვის მოდის ადამიანი ამ ქვეყნად და ვის სახელს ატარებს...საერთოდ კი, ბავშვისთვის დაბადების მერვე დღეს სახელის დარქმევის ტრადიცია სათავეს ჯერ კიდევ ძველაღქმის დროიდან იღებს...

– გამოდის, რომ ახლა ჩვენ ვზეიმობთ ჩვენი ცხოველური საწყისის დაბადების დღეს?! – გააკეთა თავისთვის აღმოჩენა ჟენიამ. – მე კი სულ ვფიქრობდი, რატომ ნაყრდებოდნენ და იჭყიპებოდნენ სასმელებით გოჭებივით ადამიანები თავიანთ დაბადების დღეზე! ამასთან, საჩუქრებიც მეტი და უფრო ძვირფასი უნდათ. აი თურმე სად აეხადა ფარდა ჩვენს გოჭურ არსს!

ყველას გაეცინა.

– არა, ამ ანცობას ბოლო უნდა მოეღოს, – აგრძელებდა მსჯელობას ყმაწვილი. – მორჩა, სტას, მორიგ დაბადების დღეზე მოვდივარ შენთან ერთი კვირის დაგვიანებით, ყოველგვარი საჩუქრის გარეშე, მხოლოდ ერთადერთი სანთლით. რამეთუ სულსა შენსა საჩუქრები ჩემი მხოლოდ ვნებს, ხოლო შენს ცხოველს კვებავენ და კვებავენ, უღვივებენ წლიდან წლამდე დიდი ღორის მადას...

სტასმა არ დააყოვნა პასუხი კიდევ უფრო მეტი რაციონალური გეგმით მის დაბადების დღესთან დაკავშირებით. რაზეც მეგობრმა საპასუხო სახუმარო ანეგდოტით მიუგო. მთელი კომპანია სიცილით იხოცებოდა მათი კლოუნადისაგან. მოგვიანებით, როცა ყველაფერი ჩაცხრა, ნიკოლაი ანდრეევიჩმა გააგრძელა თავისი მსჯელობების გახმოვანება.

– მდა, საითაც არ უნდა გაიხედო, ყველგან მთელი ფორმალობებია და არა ცოდნა. ამას ჰქვია ჩამოვქვეითდით „პროგრესამდე“...არა, მე ყველაფერი მესმის, ფსიქოლოგიურად ნათლისღების წეს–ჩვეულება, თუ იგი ტარდება ზრდასრულ ადამიანზე, ეხმარება მას საკუთარი ძალების რწმენის მოპოვებაში, ანუ თვითდამკვიდრებაში, ასეთი ხერხით საკუთარი შიშებისაგან თავის დაცვაში, ამასთან განაწყობს სიკეთეზე და ავალდებულებს ცხოვრებას ზოგადსაკაცობრიო ზნეობრივი კრიტერიუმების შესაბამისად. ეს ყოველივე გასაგებია. მაგრამ რა საჭიროა ასეთივე კატეგორიულობით საკითხის წამოჭრა მონათლულსა და მოუნათლავ ადამიანებს შორის? თუკი მაგალითისათვის ადამიანი დაიბადა ოჯახში, რომელშიც მშობლები მიეკუთვნება სხვადასხვა რელიგიას? ისინი ხომ ასეთი შეზღუდვებითა და კატეგორიული ჩარჩოებით უბიძგებენ ადამიანს შინაგანი კონფლიქტისკენ.

– აბა რა გინდოდა? რელიგიური მოღვაწეებიც ადამიანები არიან...როგორც ხალხში ამბობენ, შეუძლებელია ერთი რომელიმე რელიგიის სამოთხეში მოხვედრა, თუ დანარჩენების ჯოჯოხეთში არ მოხვდები.

– მდა–ა, – დააგრძელა ნიკოლაი ანდრეევიჩმა. – ამას ჰქვია, ჭამა ყველას უნდა.

– ზუსტად, – ჩაუბასა ვალოდიამ. – ყველა ცდილობს სხვისი ცხვრების თავის ფარაში შემორეკვას. კოლექტივს გაეცინა. სენსეიმ კი წარმოთქვა:

– ხოლო, თუ ხუმრობას შევეშვებით, მთელი რელიგიური ზიზილპიპილების მიუხედავად, უბრალო ადამიანისათვის ყველა ეს წეს–ჩვეულება წყლის კურთხევით საკმაოდ მნიშვნელოვანია, ვინაიდან უბიძგებენ მას ღმერთისადმი პირველი ნაბიჯის გადადგმისაკენ. ყველა ეს წეს–ჩვეულება თავისი სანახაობით, დამაბნევლობით, გამოუცნობობით იწვევენ ადამიანის თავისებურ ტრანსის მდგომარეობაში შეყვანას. ამასთან ტრანსში შედის, როგორც წეს–ჩვეულების ჩამტარებელი ადამიანი, ასევე, მასში მონაწილენი. და თუკი ყველა შეკრებილის აზრები მოკრებილია ღმერთისადმი ლოცვაზე და არა რაღაც საკუთარი მატერიალური პრობლემების შესახებ ფიქრებზე – ეს წარმოშობს სულიერ ძალას, რომელსაც ღებულობს თითოეული მონაწილე თავისი აგატოდემონის შინაგანი ამოფრქვევის სახით. უბრალო ადამიანებისათვის ეს შესანიშნავია! ასე მაინც შეიძლება მათი ყურადღების მიქცევა იმაზე, რომ ქვეყნად არსებობს არა მხოლოდ მატერიალური ყოფიერება და რომ საბოლოო ჯამში ისინი ამ ქვეყანას ევლინებიან არა საკუთარი ეგოს მუდმივ მონობაში ყოფნისათვის.

სხვა სიტყვებით, ადამიანი წეს–ჩვეულებების მეშვეობით იძენს იმედს, რომელიც ემსახურება რწმენისაკენ მისი ბიძგის როლს. ხოლო ძირითადი საიდუმლოება ხდება მის რწმენაში. გესმით, რა განსხვავებაა? თუკი სულიერი ადამიანისათვის ცნობიერების მდგომარეობის შესაცვლელად და სულიერ პრაქტიკებზე სამუშაოდ საკმარისია რწმენა და ნება, უბრალო ადამიანს არ ყოფნის საკუთარი ძალების თუნდაც ელემენტარული რწმენა, მას ესაჭიროება სანახაობრიობა, მასობრიობა, რომ ხუთი წუთით მოწყდეს მატერიალურ ყოფიერებას და დავარწმუნოთ უმაღლესი ფასეულობების არსებობაში.

– რატომ ხუთი წუთით? – იკითხა რუსლანმა.

– იმიტომ, რომ ყველა ამ შთაბეჭდილებისა და დადებითი აფეთქების შემდეგ მივა იგი სახლში, იქ კი გაუთავებელი მატერიალური ყოფიერების პრობლემები ხვდება. აქ კი მისი ცნობიერება ბრუნდება ჩვეულ კალაპოტში. გონიერება ხომ არ ყოფნის, რომ ნებისყოფის ძალით შეცვალოს საკუთარი თავი უკეთესი, სულიერი მხარისკენ და იწყებს ყველა თავისი შინაგანი პრობლემის დაბრალებას გარეგან პრობლემებზე.

– გამოდის, რომ ადამიანებზე შთაბეჭდილებას არ ახდენს სუფთა ცოდნა?! – გააკეთა თავისი მოულოდნელი დასკვნა ნიკოლაი ანდრეევიჩმა.

– სავსებით მართალია, რაოდენ პარადოქსალურადაც არ უნდა ჟღერდეს, – დაეთანხმა მას სენსეი. – სუფთა ცოდნა ადამიანებს არ ხიბლავს. მისი სიმარტივის გამო მათ უჭირთ მისი გააზრება. აქ ხომ არ არის ვიზუალური სანახაობა – შოუ, კაშკაშა შთაბეჭდილებები, ემოციურ–სტრესული განცდები. რა უნდათ პირველ რიგში ადამიანებს? პური და სანახაობა, რადგანაც ეს შეესაბამება უმრავლესობის მიერ ცხოვრების არსის შეცნობის შეფასებას.

ადამიანები თვითონ ირთულებენ ცხოვრებას. ეს ეხება არა მხოლოდ უბრალო, თავიანთი მიწიერი საზრუნავით მცხოვრებ ადამიანებს. არიან ზოგი ინდივიდები, რომლებიც ცდილობენ იარონ სულიერის კვალად, აკეთებენ პირველ ნაბიჯებს და იძენენ საკუთარ გზაზე პირველად ცოდნას. მაგრამ საკუთარ თავთან სერიოზული მუშაობით დაკავების, ამ ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების, მის არსში ჩაწვდომისა და გზის გაგრძელების ნაცვლად ისინი წლებს კარგავენ, მათი გარეგანი ფორმის დათვალიერებასა და მხოლოდ მათი დაუფლებისათვის მნიშვნელობის მინიჭებაში.

ეს როგორ? – ვერ გაერკვა იურა.

– ეს იმის ტოლფასია, რომ მაგალითად, შოკოლადის მქონე ადამიანი უბრალოდ, მისი შეჭმის ნაცვლად ჯერ მიემგზავრება ამერიკაში, ხუთი წლის განმავლობაში შოკოლადის შემოსახვევის გახსნის სასწავლებლად. შემდეგ მიემგზავრება იაპონიაში კიდევ ხუთი წლით ფოლგის გახსნის სასწავლებლად. შემდეგ მიემგზავრება ჩრდილოეთში და სწავლობს შოკოლადის სწორად კბეჩას. შემდეგ კიდევ ხუთ–ხუთი წელი სწავლობს საფრანგეთსა და ინგლისში შოკოლადის გემოს შეფასებას. დაბოლოს, ბრუნდება სახლში, იღებს თავის შოკოლადს, ორი წუთის განმავლობაში ჭამს და აცნობიერებს, რომ ეს მთლად ის არ იყო, რასაც მოელოდა და რისთვისაც ასე დიდ ხანს და ასეთი პომპეზურობით ემზადებოდა. ეს როგორ – ორი წუთის განმავლობაში შეჭამა და მორჩა? ნუთუ მან ცხოვრების წლები დაკარგა, რათა შედეგად ასეთი მარტივი რამ მიეღო? ასეთი რეაქცია ბუნებრივია, იგი ხომ, არსობრივად ერთ ადგილზე იტკეპნებოდა მთელი ამ ხნის განმავლობაში. ხოლო ცოდნის ასათვისებლად შორს წასვლა როდია საჭირო. საჭიროა მხოლოდ საკუთარ თავში ჩახედვა და შეცნობა იმისა, თუ ვინ ხარ და რა გნებავს სინამდვილეში ამ ცხოვრებაში.

სენსეი გაჩერდა, ჩააბრუნა კოცონში გადმოვარდნილი ნაკვერჩხალი. კვლავ წარმოიქმნა მოკლე პაუზა.

– აი კიდევ, რა მინდოდა შენთვის მეკითხა, – გაახსენდა ნიკოლაი ანდრეევიჩს. – სული წმინდის თაობაზე. როგორც გავიგე ჩემი პაციენტის მონაყოლიდან, ნათლისღების წეს–ჩვეულებაში ყველაფერი იგება ადამიანის სულზე სული წმინდის ჩამოსვლაზე. იქ, მაგალითად წყლის კურთხევის დროს მღვდელი ითხოვს, რომ ემბაზში წყალი იკურთხოს სული წმინდის ძლით, მოქმედებითა და ზეშთაგონებით. მირონცხების, ნათლისღების დროს იგი ასევე მოიხსენება. სხეულის ნაწილების მირონცხების შემთხვევაში მღვდელი ამ მოქმედებების დროს ყოველთვის წარმოთქვამს: „სული წმინდის შესაწირავის ბეჭედი“. ამასთან სხეულის თითოეული ნაწილი რაღაცის სიმბოლოა. მაგალითად, სახე, რათა მოხდეს აზრების კურთხევა, ფეხები – რათა ადამიანი დადიოდეს ქრისტეს გზით, ხელები – რათა ადამიანი ახდენდეს ღვთისმოსავ საქმეებს. ეს რა, ასევე ტრადიციაა თუ ამაში არის გარკვეული აზრი?

– ნაწილობრივ შენ თავად გაეცი პასუხი შენს შეკითხვას. სიმბოლიზმი აქ, რა თქმა უნდა, არსებობს, მაგრამ თვით სული წმინდის საიდუმლოებაც ამაში არის. რამეთუ ვინც რწმენით მიმართავს, მას მიეცემა. საერთოდ კი ღმერთის შეცნობამდე ადამიანს მისვლა შეუძლია მხოლოს სული წმინდის მეშვეობით. რამეთუ ის არის პირველი დამხმარე და შუამავალი ღმერთსა და ადამიანს შორის. ის მრავალსახეობრივია თავის გამოვლინებაში, მაგრამ არსობა მისი ერთია. ადამიანს მეტად უჭირს გააცნობიეროს, თუ რა არის სინამდვილეში სული წმინდა. მაგრამ არცერთ რელიგიაში, ღმერთისადმი ადამიანის სიყვარულისა და რწმენის აღმძვრელი არცერთი

საიდუმლოება არ ხდება სული წმინდის ზეშთაგონების გარეშე, რამეთი ადამიანებისათვის იგი არის ღმერთის ძალა, მისი სმენა და ხმა მისი. – პაუზის შემდეგ სენსეი კვლავ დაუბრუნდა საუბარს აღაპიტის შესახებ. – ჩვენ, სხვათა შორის, ცოტა ავცდით საუბარს აღაპიტის მოწაფეების შესახებ. მაშ ასე, დამიანი ჰკურნავდა ხალხს ლოცვებით და ავადმყოფების ზეთისცხებით. მაგალითად აღაპიტის მეორე მოწაფე – ალიპი ზეთების მაგივრად იყენებდა საღებავებს. ის იყო ხატმწერი. ჯერ კიდევ ყრმობისას, ალიპი ეხმარებოდა ბერძნებს პეჩორის მონასტერში უსპენის ტაძრის მოხატვაში. შემდეგ კი თვითონ დაიწყო ხატწერა. აღაპიტმა კი ასწავლა მას, როგორ შეიძლებოდა ლოცვებისა და საღებავების მეშვეობით კანის დაავადებათა განკურნება, მაგალითად, იგივე, წყლულებისა და ჩირქოვანი იარების.

– და როგორ შეიძლება მათი მკურნალობა საღებავების მეშვეობით? – გაიოცა კოსტიამ.

– როგორ? საღებავს ხომ თხევადი საფუძველი აქვს. ეს იგივე ზეთებია, რომლებსაც შეურევენ საღებავებს. ამას დამატებული თვით საღებავებსაც გააჩნია დამატებითი სამკურნალო თვისებები, რაც, ბუნებრივია, აძლიერებს საერთო გამაჯანსაღებელ ეფექტს. ადრე ხომ გამოიყენებოდა ბუნებრივი საღებავები, დღევანდელი ქიმიისაგან განსხვავებით. ზოგ საღებავს გააჩნია კარგი ანტიბაქტერიული თვისებები, მაგალითისათვის, იგივე, მცენარე ინდიგონოსკისაგან მიღებული ლურჯი ფერის საღებავი სინდიკანი. ამას გარდა იმ დროს ხშირად გამოიყენებოდა წითელი და ყვითელი საღებავები, რომლებიც თავიანთი მცენარეული წარმოშობის კომპონენტების წყალობით ფლობდნენ ანტისეპტიკურ, ანთების საწინააღმდეგო და შემახორცებელ თვისებებს.

– გამოდის, რომ ალიპი ახერხებდა მხატვრისა და ექიმის პროფესიების შეთავსებას? – დაასკვნა ნიკოლაი ანდრეევიჩმა.

– სავსებით მართალია, რათა მაქსიმალური სარგებლობა მოეტანა ადამიანებისთვის, – დაუდასტურა სენსეიმ. – სხვათა შორის, აღაპიტმა გაანდო ალიპის საკმაოდ საიდუმლო მისი პირველი „პროფესიის“ შესახებ. იგი უყვებოდა მას საღებავების ფერთა გამების შეხამების, ადამიანის ფსიქიკაზე მათი მოქმედების, ასევე, სივრცითი და დროითი თანაფარდობების გამოხატვის სისტემის შესახებ...

– ვერ გავიგე, – გაოცდა ნიკოლაი ანდრეევიჩი. – ეს რა, XI საუკუნეში აღაპიტმა მოუთხრო ალიპის ფერთააღქმის ფსიქოლოგიისა და სივრცითი და დროითი თანაფარდობების გამოხატვის სისტემის წვრილმანების შესახებ?

– ვფიქრობ, ალიპიც გაოცდებოდა რომ ცოდნოდა, ათასი წლის შემდეგ ამ მარტივ ჭეშმარიტებათა მეცნიერებად ქცევის შესახებ, – გაეღიმა სენსეის. – მაგრამ, მთელი ეს ფერთააღქმა, საბოლოო ჯამში, არ არის მთავარი. უმთავრესი, რასაც აღაპიტი უთმობდა განსაკუთრებულ ყურადღებას იყო, თუ როგორ შეექმნა გამოსახულებისგან უხილავი ეფექტი. რამეთუ აღაპიტი ამტკიცებდა, რომ ხატი არ უნდა ახდენდეს ხატების იდეალიზებას, რათა მოცემული ხატებისგან არ შექმნილიყო კერპი ბრმა ადამიანური თაყვანისცემისათვის. მაგრამ იგი უნდა ყოფილიყო გასულიერებული, ზეშთაგონებული. მთავარი იყო არა რაზე და როგორ იწერებოდა ხატება, ხის ნაჭერზე თუ კედელზე, არამედ როგორ სულიერ მდგომარეობაში იმყოფებოდა მისი შემქმნელი ადამიანი. რადგანაც, ცნობიერების განსაკუთრებულ მდგომარეობაში ყოფნისას, როცა ადამიანი ახდენს თავისი ცხოველური საწყისისაგან უკიდურეს აბსტრაგირებას და საკუთარი სულიერების მაქსიმალური გამოვლინებას, ხატში მკვიდრდება განსაკუთრებული ძალა. მას შეუძლია შეიყვანოს

აღნიშნული ხატის მხილველი ცნობიერების განსაკუთრებულ მდგომარეობაში, აღძრას ღვთიურის რეალური თანდასწრების შეგრძნება და წარმოშვას ადამიანში სულიერი აფეთქება ან, როგორც დღეს ამბობენ, მოახდინოს „დატენვა“. რაც უფრო სუფთაა მხატვრის ზრახვები და მისწრაფებები ღმერთისაკენ, მით უფრო მძლავრად იგრძნობოდეს იქნება მოცემული ეფექტი, რომელიც თავისი დადებითი მუხტის წყალობით სულიერად გარდაქმნის ადამიანს, რომ არაფერი ვთქვათ, მისი ფიზიკური ჯანმრთელობის ნომალიზების შესახებ. რადგან, ფიზიკური ჯანმრთელობა უპირველეს ყოვლისა დამოკიდებულია სულიერ ჯანმრთელობაზე. თანაც, მხატვრის რწმენით შობილი ძალების ასეთი აფეთქება სტაბილურად შენარჩუნებულ იქნება ათასწლეულების განმავლობაში.

– ათასწლეულების? რატომ ხდება ასე? – დაინტერესდა ტატიანა.

– იმიტომ, რომ ჭეშმარიტი სულიერი ძალისათვის სინამდვილეში არ არსებობს არც დრო და არც სივრცე.

– ეს ვრცელდება მხოლოდ ხატებზე? – იკითხა კოსტიამ.

– ეს ვრცელდება ნებისმიერ მხატვრულ ნაწარმოებზე. საქმე ხომ არა საღებავებით დაფარულ ხის დაფაშია, როგორც აღაპიტი ამბობდა, არა ტილოშია, არა ქანდაკებაში და არც წიგნშია, არამედ იმ შინაგან ძალაში, რომელიც საფუძვლად დაედო მოცემულ ნაწარმოებს.

– მართლაც, საოცარი ეფექტია, – ჩაილაპარაკა ნიკოლაი ანდრეევიჩმა. – ოდესღაც ბედნიერება მერგო წილად დამეთვალიერებინა ლენინგრადის ერმიტაჟი. იქ, რა თქმა უნდა, წარმოდგენილია ძველაღმოსავლური, ძველეგვიპტური, აზიური და ანტიკური კულტურის ძეგლთა უმდიდრესი კოლექცია და ბევრი სხვა რამ. ასევე, VIII – XIX საუკუნეების რუსული კულტურის. რა ნახატებია იქ!

სენსეიმ თავი დაუკრა.

– თუ შეგიმჩნევია, ზოგი ნახატის წინ ადამიანებს საათობით შეუძლიათ დგომა და ტკბობა, თუმცა თვით ნაწარმოები ფაქტიურად შეიძლება დიდს არაფერს წარმოადგენდეს. ხოლო სხვა დეტალებში ბევრად უკეთ გამოხატული სურათების წინ ადამიანები პრაქტიკულად არ ჩერდებიან. რადგანაც ნახატს, ასევე, გააჩნია მეხსიერება და მხატვარი, მისი შექმნის დროს თავის ნამუშევარში აქსოვს საკუთარ გრძნობებს, ემოციებს, აზრებს. ნახატის მაყურებელი ადამიანი კი ინტუიციურად ამას გრძნობს.

– ადამიანის ფოტო ასეთივე ეფექტს ფლობს? – დაინტერესდა სტასი.

– უდაოდ. მეტიც, ფოტოსურთი ინარჩუნებს მუდმივ კავშირს ობიექტთან, ანუ ადამიანთან. და მისი მეშვეობით ადვილი დასადგენია, ცოცხალია თუ არა ობიექტი, სად იმყოფება მოცემულ მომენტში, ასევე, მისი ემოციური მდგომარეობა. ფოტობარათების მეშვეობით შესაძლებელია მისი ობიექტის ფსიქოემოციურ სფეროზე, ფიზიკურ ჯანმრთელობასა და ა.შ. უშუალო ზეგავლენის მოხდენა. ფოტოსურათის მრავლობითი ტირაჟირების შემთხვევაშიაც კი ეს კავშირი ცოცხალ ობიექტთან პრაქტიკულად არ იკარგება. ნახატთან მიმართებაში კი ყველაფერი სხვაგვარადაა. სურათისთვის სურათის გადაღების შემთხვევაშიაც კი მასში ჩადებული ინფორმაცია ნარჩუნდება თავდაპირვანდელ ვარიანტში. მისი შეცვლა და მასზე ზეგავლენის მოხდენა პრაქტიკულად შეუძლებელია, ვინაიდან მოცემული ინფორმაცია მასში მუდმივია.

– ასე გავიგე, რომ ადამიანები მუხტავენ ნახატებს საკუთარი რწმენით, – აღნიშნა ნიკოლაი ანდრეევიჩმა.

სავსებით მართალია. შინაგანი რწმენა ძალიან ბევრს ნიშნავს. ასე, მაგალითად, თუ დავუბრუნდებით ჩვენს საუბარს, მოვიყვანოთ თვით აღაპიტი. იგი სინამდვილეში ახდენდა სასწაულებს მკურნალობაში. ეს მეტწილად დაკავშირებული იყო მასთან მისული ადამიანების შინაგან რწმენასთან და მათ დადებით მისწრაფებასთან. მათ, ვინც იწამებდა მის ძალებს, იგი სწრაფად აყენებდა ფეხზე, რა მძიმე სენიც არ უნდა ჰქონოდათ. მათ კი ვინც მოდიოდა გაბოროტებული, სულში რწმენის გარეშე, ასეთები კი, საბედნიეროდ, უმცირესობა იყო, იგი უბრალოდ არც კი მკურნალობდა, მიუხედავად იმისა, რომ მათი სენი ადვილად განკურნებადი იყო. რწმენა ხომ – ეს ცარიელი სიტყვა როდია. სამშობლოში დაბრუნებული თვით იესო „ვერ ახერხებდა იქ ბევრი სასწაულის მოხდენას მათი ურწმუნობის გამო“.

– შთაგონება? – იკითხა ნიკოლაი ანდრეევიჩმა ხმამაღლა მსჯელობისას და მხრების აჩეჩვით დაამატა: – მაგრამ მხოლოდ შთაგონებით სერიოზული დაავადებების განკურნება შეუძლებელია, ეს ხომ ფაქტია.

– შთაგონება აქ არაფერ შუაშია, – შეეპასუხა სენსეი. – აღაპიტი, იესო არ კიდებდნენ ხელს ასეთი ადამიანების მკურნალობას იმიტომ კი არა, რომ არ შეეძლოთ მათი დაავადებების განკურნება. საქმე რწმენის ფენომენშია. თუკი ადამიანი გახსნილია სინათლისათვის, იგი აღიქვამს შუქს. თუკი ადამიანი დაკეტილია, ანუ, მასში არ არის რწმენა, – ეს იგივეა, რომ იგი ჩავიდა სარდაფში, დახურა სახურავი მჭიდროდ და სრულ სიბნელეში ელოდება, რომ მას ვინმე იმ სარდაფში განკურნავს დღის შუქის მეშვეობით. ასეთი მოლოდინები, ბუნებრივია, ფუჭი გამოდგება. ადამიანის ტვინი ხომ კომპიუტერისავით მუშაობს. რწმენა კი – ეს გარკვეული პროგრამაა. თუკი იგი დაყენებულია კომპიუტერში, მასთან შესაძლებელია აქტიური მუშაობა და ამ მუშაობის შესაბამისი შედეგის მიღება. თუკი ადამიანში რწმენა არ არის – ეს იგივეა, რაც კომპიუტერში შესაბამისი პროგრამის არარსებობა. ბუნებრივია, რომ ვეღარ შეძლებთ უკვე სრულფასოვნად მუშაობას მანამ, სანამ არ დააყენებთ თქვენს კომპიუტერზე შესაბამის პროგრამას.

რაში მდგომარეობს აღაპიტის წარმატებული მკურნალობის ფენომენი? იგი ხომ კურნავდა მხოლოდ ბალახებით ან თავისი ხელებით, როგორც ამას ამჟამად ქიროპრაქტიკას უწოდებენ, სიტყვითაც. ხშირ შემთხვევაში იგი ავადმყოფს აძლევდა რაღაც საჭმელს თავისი ტრაპეზიდან ან წყალს ასმევდა. მაგრამ ყველა ეს საკვები აუცილებლად იყო შელოცვილი. ამის შემდეგ ადამიანი ბევრად უკეთ ხდებოდა და სინამდვილეში იკურნებოდა. რატომ? იმიტომ, რომ აღაპიტი კურნავდა ჭეშმარიტი რწმენით. ეს კი – უდიდესი, რეალური ძალაა! ჭეშმარიტი რწმენა – ეს სულაც არ არის აბსურდამდე გადაზრდილი ფანატიზმი, ეს არ არის მჯიღების ცემა მკერდში კამათებსა და დემაგოგიებში. ჭეშმარიტი რწმენა – ეს არის შენი პირადი სულიერი ძალის სიწმინდის ხარისხი. ხოლო აღაპიტის პირადი სულიერი ძალა უდიდესი იყო და საკვებისა თუ წყლის ლოცვა–კურთხევით ავადმყოფისთვის, რაც გამოიყურებოდა, როგორც შენალოცი, აღაპიტი სინამდვილეში სითხეში აქსოვდა გარკვეულ პროგრამას თავისი პირადი სულიერი ძალის მეშვეობით. შემდეგ ეს სითხე მიეწოდებოდა ავადმყოფის ორგანიზმს, სადაც ურთიერთმოქმედებდა მის სითხეებთან, ანუ არსობრივად ხდებოდა ახალი პროგრამის დაყენება, რომელიც იწყებდა ამუშავებას თვით ადამიანის რწმენის ძალით.

სხვათა შორის, აღაპიტი ყოველთვის ლოცულობდა ჭამის წინ და აკურთხებდა თავის საჭმელს. სხვებსაც ამას ასწავლიდა. ძირითადად იკვებებოდა მცენარეული საკვებით. მის მიერ შელოცვილი მწარე ბალახიც მისი ხელიდან გამოდიოდა ავადმყოფისთვის ტკბილ წამლად.

– ზოგადად კი, თუ ამას განვიხილავთ გადატანითი მნიშვნელობით, – სკეპტიციზმის მსუბუქი მინიშნებით წარმოთქვა კოსტიამ, – წამლის სახით შეგიძლია ყლაპო ყველაფერი, მწარეც და საზიზღარიც, ორონდაც გამოჯანმრთელდე.

– რატომ გადატანითი მნიშვნელობით? – გულწრფელი გაუგებრობით ჩაილაპარაკა სენსეიმ. – პირდაპირი მნიშვნელობით.

კოსტიკამ უნდობელი მზერით გახედა სენსეის. შემდეგ მიიღო ღრმადმოაზროვნის პოზა და ცდილობდა გაეაზრებინა სენსეის ნათქვამი. ასეთი „დიდცეზარისეული“ ფიქრის დროს, როგორც მას უყვარდა თავის შესახებ ლაპარაკი, ყმაწვილის მზერა შეჩერდა მშრალ ტოტებზე, რომლებიც კოცონისთვის ჩვენ შევაგროვეთ ჯერ კიდევ დილით. ისინი ელაგა ზუსტად მის გვერდით და მათზე მიკრულ სხვადასხვა ბალახეულთან ერთად აღმოჩნდა აბზინდის ტოტი. მის დანახვაზე ყმაწვილი რამდენადმე გამოცოცხლდა, როგორც ჩანს, გონზე მოსული „საპირისპიროს მტკიცებულებისაგან“.

– როგორ გავიგო, პირდაპირი მნიშვნელობით? – ეჭვით წარმოთქვა მან. – და თუ ეს მაგალითად აბზინდაა? – და თავი ტოტისკენ გაიქნია. – ის ხომ წარმოუდგენლად მწარეა! ეს ხომ თავისთავად, ცუიდი სურნელის მქონე სარეველაა! როგორ შეიძლება იგი გახდეს ტკბილ სამასპინძლოდ?

სენსეიმ გახედა კოსტიას, მხიარული თვალების ჭუტვით და თქვა:

– მომეცი აქეთ.

კოსტიამ ზიზღით აიღო ტოტი ორი თითით და გადასცა სენსეის, რის შემდეგად საგულდაგულოდ ჩამოიფერთხა ხელები. ჟენიამ შენიშნა მისი ფრთხილი ჟესტები და დაუყოვნებლივ წაიოხუნჯა ბლითურას ჭამით.

– ე–ე–ე, ძმაო, ეს კიდევ საკითხავია, ვინ არის აქ ცუდი სურნელის მქონე სარეველა!

ყველას გაგვეცინა. სენსეიმ კი ფრთხილად გამოართვა მცენარე და ოდნავ დაფერთხა. შემდეგ დაიდო ხელისგულზე და ალერსიანად მოეფერა, როგორც ცოცხალ არსებას.

– საიდან მოიტანე მისი სარეველობა? ეს საწამლე მცენარეა. მასში არის ეთერული ზეთები და ალკალოიდები. ეს ხომ სამედიცინო ნივთიერებათა ფასეული ნაკრებია, ხოლო მის გემოს რაც შეეხება...

სენსეიმ იდუმალად გაიღიმა. შემდეგ განაგრძო ხელით აბზინდის ტოტის ფერება და რაღაცის ძლიან ჩუმად ჩურჩული. ჩვენს კომპანიაში უმალ ჩმოწვა სრული სიჩუმე. ჟენიამაც შეწყვიტა ყბებით მუშაობა, რომლებიც აქამდე სიამოვნებით ახრამუნებდნენ ბლითურას. მიუხედავად იმისა, რომ სენსეის გვერდით ვიჯექი და ვცდილობდი გამეგონა მისი ჩურჩული, ყველაფერი ამაო აღმოჩნდა. შემდეგ სენსეი გაჩუმდა, გახედა კოსტიკას და გაუწოდა მას აბზინდის ტოტი.

– გასინჯე.

კოსტიამ ჯერ ინსტინქტურად გაუწოდა ხელი, მაგრამ შემდეგ, როგორც ჩანს იფიქრა, რომ ეს ხუმრობა იქნებოდა, უკან წაიღო ხელი და სიცილით თქვა:

– ავადმყოფი ხომ არა ვარ, აბზინდა გავსინჯო?!

ნიკოლაი ანდრეევიჩი, დაინტერესებული, ადგა თავისი ადგილიდან, გვერდი მოუარა მჯდომარე ბიჭებს და გაემართა სენსეისკენ. კოსტიკას გვერდით ჩავლის დროს, ხელი დაკრა მხარზე და ბიჭების საერთო სიცილის ქვეშ სხვათა შორის შენიშნა:

– ყველა ავადაა, კონსტანტინე. ჯანსაღი ადამიანები არ არსებობენ. არიან ბოლომდე გამოუკვლეველნი...– ექიმი გაიწია ტოტისკენ. – შეიძლება?

– რა თქმა უნდა, ჯანმრთელობაში, – ღიმილით წარმოთქვა სენეიმ.

ნიკოლაი ანდრეევიჩმა აიღო აბზინდა სენსეის ხელიდან, ჯერ დაყნოსა, შემდეგ კი მოამტვრია კენწერო და ფრთხილად გაუსინჯა გემო. ჩვენ კი დაუმალავი ცნობისმოყვარეობით ვაკვირდებოდით მის რეაქციას. მაგრამ ჩვენი ფსიქოთერაპევტის სახე, როგორც ყოველთვის, გამოუცნობი რჩებოდა.

– ვერ გავიგე, – მხოლოდ წარმოთქვა და ისევ გასინჯა, ამჯერად უფრო მეტი ნატეხი.

მისმა გასაოცარმა „ვერ გავიგე“ კიდევ უფრო მეტად დაგვაინტრიგა და ყველაზე მოუთმენლებმა, მათ შორის მეც, წამოვხტით ჩვენი ადგილებიდან და შევკოწიწდით ნიკოლაი ანდრეევიჩის გვერდით.

– აბა, აბა, – საქმიანად გაწია ხელი მცენარისკენ ჟენიამ და სასწრაფოდ დაასრულა მორიგი ბლითურას ღრამუნი. – გავსინჯოთ...ჰმ, ეს რა ბადაგივით ტკბილია.

მისი „რეკლამის“ შემდეგ ჩვენ დაჩქარებულად დავიწყეთ აბზინდისგან პატარა ნაწილების მოწყვეტა და გასინჯვა. მეც მერგო ამ მცენარის მცირე ნაწილი. გემო მართლაც რაღაცნაირად არაჩვეულებრივი იყო, უფრო მომწკლარტო–მოტკბილო. კოსტია კი ჯერ კიდევ ვერ ბედავდა სენსეის „სამასპინძლოს“ გასინჯვას, ტუმცა გამოხედვაზე ეტყობოდა აშკარად, რომ სურდა გასინჯვა, მაგრამ როგორც ამბობენ, სიამაყე უშლიდა ხელს. ჩვენი აჟიოტაჟის ხილვაზე მან მისთვის დამახასიათებელი სარკაზმით თქვა:

– თქვენ, აბზინდის მანიაკები ყოფილხართ. იქნებ, თქვენ თეთრი შხამა სოკოც მოგიტანოთ?

– თეთრი შხამა სოკო აქ არ იზრდება, – კომიკურად წარმოთქვა ანდრეიმ და გაუწოდა მას უკანასკნელი „ულუფა“. – აი გასინჯე. მართლაც ტკბილია.

კოსტიამ თავიდან დემონსტრაციულად გააბრუნა ცხვირი, მაგრამ როცა ანდრეიმ განაცხადა: „როგორც გნებავს“–ო და გადაწყვეტილი ჰქონდა ბოლო ღეროს შეჭმა, კოსტიამ სწრაფად შეიცვალა გადაწყვეტილება.

ე–ე–ე, აქეთ მომეცი, გაუმაძღარო!

მან სიცილით გამოართვა ანდრეის მცენარის ნარჩენები. შემდეგ, წელმოხრილმა დაუწყო მას საგულდაგულო შეთვალიერება, დაყნოსვა და ბოლოს გადაწყვიტა გასინჯვა.

– როგორია? – მისი დაბნეული სახის დანახვაზე მხიარულად იკითხა სენსეიმ.

კოსტიამ სულელურად გაიღიმა და ხელები გაშალა:

– ნუ, რა შემიძლია ვთქვა? როგორც ამბობდა გიოტე შემი შესრულებით: „რაც არ მესმის, იმას ვერ ვფლობ“.

– სენსეი, ეს როგორ შეძელი? – დაინტერესებულად წარმოთქვა ვიქტორმა.

– ელემენტარულად. გქონდეს რწმენა და შეძლებ. რთული არაფერია. რწმენა და აზრების სიწმინდე – აი ძირიტადი მიზეზები. ხოლო მცენარის თხევად სტრუქტურაზე ზემოქმედება – ეს, შეიძლება ითქვას, უკვე ტექნიკის საქმეა.

– რატომ მაინცადამაინც თხევადზე? – სიტყვას გამოეკიდა ნიკოლაი ანდრეევიჩი. – დღევანდელი საღამოს განმავლობაში შენგან ეს უკვე არაერთხელო გავიგონე.

– იმიტომ, რომ ნებისმიერ წყლოვან გარემოს თავის სტრუქტურაში გააჩნია რაღაც, მინი კომპიუტერების მსგავსი თვისებური უჯრედები. მათი მიკრო ზომები იტევს გლობალურ მეხსიერებას. მათში ჩადებულია პრაქტიკულად სრული ინფრომაცია მატერიის შესახებ. თუ აღნიშნულ სტრუქტურაზე მოხდება, უბრალო მექანიკურიდან, ქიმიური, ელექტრომაგნიტურიდან დაწყებული და ... სენსეი დადუმდა სიტყვების შერჩევაში და შემდეგ წარმოთქვა: – გასაგებად რომ ვთქვათ, აზრის (ფიქრის) ენერგიით დასრულებული ზემოქმედება, შესაძლებელი იქნება წყლის მოლეკულის გადაკეთება საჭირო შეთავსებაში. რადგანაც წყალი ინახავს მეხსიერებას ყველა ნივთიერებათა შესახებ, რომლებიც ოდესმე არსებობდა მასში ან წყალი არსებობდა მათში ან შეხება ჰქონდა მათთან თავისი ენერგეტიკული მდგომარეობებით...მაგალითისათვის, ისეთი მარტივების, როგორიცაა ელექტრომაგნიტური რხევები. ხოლო, თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ წყალი – ეს ბუნებაში ყველაზე გავრცელებული ნივთიერებაა, რომ ამა თუ იმ ფორმით იგი კონტაქტშია ყველასთან ამ მატერიალურ სამყაროში და ინახავს თავის თითოეულ მოლეკულაში შეძენილ ინფორმაციას, აგრეთვე, ერთმანეთში ურთიერთქმედებას, შეგიძლით წარმოიდგინოთ, მეხსიერების რა მარაგებს ფლობს იგი.

– ანუ, გამოდის, რომ ამ აბზინდის გადაქცევა შეიძლება არა მხოლოდ ტკბილ მცენარედ, არამედ რაღაც საოცრებად? – წარმოთქვა რუსლანმა.

– შეიძლება, თუ გეცოდინება ამ „საოცრების“ მოლეკულური სტრუქტურა და ენერგეტიკული შიგთავსი, – ღიმილით მიუგო სენსეიმ.

– რა, ბუჭყაშიაც კი?! – გაოცდა რუსლანი.

– რატომაც არა? წყლის გარეშე ვერცერთი ცოცხალი არსება დედამიწაზე ვერ მოძრაობს. ჩვენს პლანეტაზე წყალი შედის ყველა ცოცხალი ორგანიზმის შემადგენლობაში 45–დან 98 %–მდე, მათ შორის ადამიანის ორგანიზმში, სადაც ის შეადგენს საერთო მასის 80 %–ს. წყალი არის ბულების გავრცელებული კომპონენტი. ცეცხლიშაც კი არის წყლის ელემენტები წყალბადისა და ჟანგბადის სახით, რომელთა ხარჯზეც ხდება წვის პროცესი. ქვაშიაც კი არის სითხე.

– ქვაში? – განცვიფრდა სლავიკი.

– ქვაში. ყველა ქვა დიდი წნევის ქვეშ გამოყოფს სითხეს, თუმცა მცირე რაოდენობით. და, რარიგ პარადოქსალურადაც არ უნდა ჟღეროდეს თქვენთვის დღეს, დედამიწის ცენტრშიაც, გავადვარებული ბირთვის შიგნით იმყოფება უდიდესი სიმკვრივისა და მასის ბირთვი, რომელშიაც არის სითხე.

დედამიწა,. სინამდვილეში არის ცოცხალი არსება, რომელიც, ასევე, ძირითადად შედგება სითხისაგან, მხედველობაშია არა მხოლოდ ზედაპირული ფენა, სადაც 70 % უჭირავს ოკეანეებს, ხოლო დანარჩენი 30 % – წყლის შემცველობის მატერიის სხვადასხვა მოდიფიკაცია, არამედ შინაგანი სითხე. ჩვენ, ადამიანები, ასევე, ვგავართ მას.

– დედამიწასაც გააჩნია გონება? – ვერაფრით გაერკვია ამ საკითხში კოსტია.

– უცილობლად და ადამიანი მასთან დაკავშირებულია, ვინაიდან ეს გონება იმყოფება თხევადი სტრუქტუტის მეხსიერების შიგნით და მასში გროვდება ინფორმაცია ყველაფრის შესახებ, მათ შორის თითოეული ჩვენგანის შესახებ. როგორც უკვე ვამბობდი, ჩვენი სხეულის

დიდი ნაწილი შედგება წყლისგან. ყველა მონაცემი ჩვენს შესახებ, დაწყებული აზრებიდან (ფიქრებიდან), ემოციებიდან და ჯანმრთელობითა და დნმ–ს მატრიცით დამთავრებული, იდება ამ მეხსიერებაში.

– დიდ ხანს ინახება?

– საკმაოდ.

– გამოდის, რომ შესაძლებელია ნებისმიერის შესახებ ყველაფრის გაგება, ვისაც კი უცხოვრია ამ პლანეტაზე, მაგალითად ნაპოლეონის, ჩინგისხანის...–ოცნებებს მიეცა კოსტია.

– ჰმ, მოისურვა ბიჭმა, – გააქილიკა ანდრეიმ. – ამათზე საინტერესო პიროვნებებიც ხომ არიან.

– ეს ისე ვთქვი, სიტყვაზე, – აჩქარდა თავის მართლებაში კოსტია და გახედა სენსეის.

– ეს ბევრად უფრო სერიოზულია, ვიდრე გეჩვენება, – უპასუხა იმან. – ასეთ შესაძლებლობებს კი მთელი კაცობრიობიდან ერთეულები ფლობენ.

– დედამიწისაზე უფრო მაღალი გონება თუ არსებობს? – ვერ მშვიდდებოდა კოსტია.

– რა თქმა უნდა. არსებობენ უმაღლესი ინფორმაციული სტრუქტურები, გლობალურის ჩათვლით. მაგრამ ყველა ისინი ექვემდებარება მხოლოდ ერთს, ვისაც ჩვენ ღმერთს ვუწოდებთ.

– და ვინ არიან ის ერთეულები, რომლებსაც შეუძლია ინფორმაციის ამოკითხვა წყლიდან? – ხმაში ეშმაკობის ნარევით იკითხა ჟენიამ.

– მაგალითად, ჭეშმარიტად წმინდა ადამიანები. როგორ ახდენდნენ ისინი „სასწაულებს“? საკუთარი რწმენის სიწმინდით. ადამიანებისთვის ეს დაუჯერებლად მოჩანს. მათთვის კი ეს სავსებით ხელმისაწვდომი იყო. აზრების სიწმინდე და რწმენა – აი რა იყო უმთავრესი, რამეთუ თვით სასწაულებში, სინამდვილეში, არანაირი სასწაული არ არსებობს. ეს მხოლოდ და მხოლოდ ელემენტარული ცოდნაა, მათ შორის მეცნიერება წყლის შესახებ, რომლის შესახებაც, საბედნიეროდ, კაცობრიობის ეს ცივილიზაცია მეასედ ნაწილსაც კი ვერ აცნობიერებს.

– რატომ საბედნიეროდ? – პრეტენზიული ტონით წარმოთქვა კოსტიკამ.

– იმიტომ, რომ ამ ცოდნის ფლობის შემთხვევაში, საზამთროსაც კი ბირთვულ ბომბად აქცევდნენ. შენ წარმოდგენაც კი არ გაქვს, რა ძალაა ჩაქსოვილი წყალში. მის შესახებ ცოდნის მქონე ადამიანს შეუძლია ერთი წვეთის მეშვეობითაც კი მოსპოს მთელი დედამიწა.

– როგორ თუ მოსპოს? – ვერ გაერკვა ჟენია. – ეს რა, წყლის წვეთით მოკლე ჩართვა გააკეთოს ბირთვული ღილაკის სადენები?

– ბირთვული ენერგია ადამიანის ფიქრის ნამდვილ ძალასთან შედარებით – ეს ნამდვილად არაფერია, უბრალოდ სისულელე.

ჟენიამ აიღო თავისი ტოლჩა ჩაის ნარჩენით, გახედა სენსეის, გამოისახა სახეზე ჰოლივუდური ღიმილი და ამბიციურად განაცხადა:

– არა, ყველაფერი მესმის, მაგრამ, ნუ რომ წვეთი წყალი...?!

ყმაწვილმა მომლოდინე მზერა ესროლა სენსეის და აშკარად იწვევდა დემონსტრაციის ჩატარების პროვოცირებაზე. რაზეც სენსეიმ უპასუხა:

– კარგი, ურწმუნო იუმორისტო. წადი მომიტანე ერთი ტოლჩა ზღვის წყალი.

ჟენიამ ჯერ დაძაბა ყურადღება, შემდეგ კი სახის კომიკუირი გამომეტყველებით ჩაილაპარაკა:

– მაშ, ერთი ტოლჩა ზღვის წყალი, არა?

– სწორედ ის, – გაეღიმა სენსეის. ჟენიამ სიზარმაცით გაიხედა ზღვის მხარეს.

– არა, მე არ მენანება თოვლი ზმთარში...ეს სიკეთე ოლქში საკმარისადაა...მაგრამ, ეს რა გმირობა უნდა ჩაიდინო, რომ ადგე, გაიარო და ამასთან ამ სისველეში ჩაძვრე, ფეხები აუცილებლობის გარეშე დაისველო. – ჩაიხედა თავის ტოლჩაში და შესთავაზა: – იქნებ ჩაით შემოვიფარგლოთ?

– მიდი, მიდი, – ღიმილით აჩქარებდა მას სენსეი. – ასეთი გასეირნება შენი ტვინისთვის სასარგებლოა.

ჟენია სურვილის გარეშე ადგა, ხვნეშოდა ბებერი კაცივით და გაემართა ზღვისკენ. ნიკოლაი ანდრეევიჩმა თვალი გააყოლა ყმაწვილს დაწარმოთქვა:

– არ შეკრთე, ჟენია. ასეთი კარგი ამინდია და რა გიჭირს გაისეირნე.

საღამო ნამდვილად შესანიშნავი იყო. ზღვაზე შტილი იდგა. ცა ვარსკვლავებით იყო მოჭედილი. ანათებდა კაშკაშა მთვარე. სიჩუმე და სიმშვიდე, უბრალოდ მადლი.

ჟენიამ ამოიღო წყალი, აუჩქარებლად რხევით წამოვიდა უკან, ცდილობდა სავსე ტოლჩა ზღვის წყალი არ დაღვროდა. მაგრამ, როგორც ჩანს, იგრძნო თვის თავზე ჩვენი დაჟინებული მზერა, უკვე გამხნევდა და სენსეისთან მიახლოების დროს წელში დახრით გაუწოდა წყალი, როგორც ნამდვილმა ოფიციანტმა.

– ინებეთ, თქვენი შეკვეთა. ეს თქვენი საჩუქარია ფირმა „ნეპტუნისაგან“. ჩვენთან ყოველი მეასე ტოლჩა ბაქტერიებიანი, ცხირებიანი, მიკრობებიანი და უახლოესი ქალაქის ექსკრემენტებიანია – სრულიად უფასოდ! ანუ მუქთად!

– გმადლობთ, – ისეთივე სამასხრო ტონით მიუგო სენსეიმ.

–სანა ბიჭები იცინოდნენ ამ სასაცილო თემის გავრცელებით, სენსეიმ დაიდგა თავის წინ ტოლჩა, დაფარა იგი ხელებით და ყურადღება მოიკრიბა. მაგრამ მის ამ მოქმედებებზე ცოტა ვინმემ თუ მიაქცია ყურადღება, ვინაიდან ჟენია უკვე სრულიად გადაერთო კომიკური ოფიციანტის სახეზე და დაუწყო კომპანიას რაღაც სასაცილო ანეკდოტის მოყოლა, რის შემდეგაც ყველა ერთსულოვნად გადაეშვა ხარხარში. გამეცინა ყველასთ ერთად, მაგრამ უეცრად თავი შეუძლოდ ვიგრძენი. თავიდან რაღაც უჩვეულო დისკომფორტი შევიგრძენი ორგანიზმში. ამ მდგომარეობამ დაიწყო ტალღისებურად ზრდა. ვერც კი გაგემო, რა იყო ეს. დამეწყო გულისრევა, თავბუხვევა. სხეულში სისუსტე ვიგრძენი, ძვლებმა მტვრევა იწყო. პირველი, რაც თავში მომივიდა იყო აზრი იმის შესახებ, რომ რაღაც პროდუქტით მოვიწამლე. იქნებ სიცხემ და პაპანაქებამ შეუწყო ხელი. მაგრამ მაშფოთებდა ამ სიმპტომების უჩვეულობა. ზუსტად, მე არა მხოლოდ მოვიწამლე, არამედ ასეთ მდგომარეობაში გულისრევამდე ვიქანავე თავბრუდამხვევ საქანელაზე. ყველაზე მთავარი, ცნობიერების სიღრმიდან დაიწყო ამოსვლა არაბუნებრივმა შიშმა. წამში პანიკამ მომიცვა, რისგანაც გაქცევა მინდოდა საითაც თვალები იყურებოდა, თუმცა აშკარა მიზეზი ასეთი შიშისათვის არ არსებობდა, ყოველ შემთხვევაში, ვიზულაურად.

წუთიც არ გასულა და სენსეიმ გაუწოდა ტოლჩა ჟენიას, რომელიც აგრძელებდა ხალხის გამხიარულებას თავისი ანეგდოტების მეშვეობით.

– აიღე და ისევ ზღვაში გადააქციე.

ჟენიამ დახედა წყალს და აშკარად ბევრად მეტიხ ხილვის მოლოდინში იკითხა:

– ამით მორჩა?! აი ასე ხდება ყოველთვის! ყველაზე მთავარმა ჩემი სწორი ხვეულის მიღმა ჩაიარა. ახლოს მჯდომმა რუსლანმა ცნობისმოყვარეობით დაიგრძელა კისერი და შეეცადა ჩაეხედა მის ტოლჩაში. ჟენიამ მაშინვე მოახდინა რეაგირება:

– რას დააშტერდი, ბოშო? მასში წყალმცენარეები არ იზრდება და არც ბაქტერიები დაცურავენ მუცელამოტრიალუბულები. ჩამოახურა კეპი მას თვალებზე და ბიჭების სიცილის ქვეშ დასძინა: – სე რომ, შეგიძლია შუქი ჩააქრო, მორჩა კინო.

მგზნებარე სიცილი თან სდევდა ჟენიას მიახლოებას ზღვასთან და მის უვნებელ დაბრუნებას უკან ტოლჩით. მე კი, გამოგიტყდებით, უკვე ხუმრობის თავი არ მქონდა, შიში ძლიერდებოდა. მთელი შიგნეულობა უკუღმად ამოტრიალდებოდა. უკანასკნელი ძალებით ვუძლებდი და ზედმეტი მოძრაობის მეშინოდა. მოჩანდა, რომ კიდევ ცოტაც და საერთოდ გონებას დავკარგავდი. მაგრამ ამ დროს ზღვიდან სუფთა ჰაერმა დაბერა, რომელმაც სულ მცირედით, მაგრამ მაინც გამიუმჯობესა მდგომარეობა. გამიხარდა კიდეც და სახე ნიავს მივუშვირე, მიამიტობამ მაფიქრებინა, რომ რადგან ცოტა უკეთ ვიგრძენი თავი, ესე იგი, ორგანიზმშიც მალე ყველაფერი დალაგდება და კარგად ვიქნები. მაგრამ, ვცდებოდი.

ქარმა დაიწყო გაძლიერება. ზღვა ახმაურდა. მთვარის ბილიკზე შეძრწუნებით შევნიშნე, რომ წარმოშობილი ტალღები არა უბრალოდ აჩქარდებოდა ქარის მიერ, არამედ, ყოველ ჯერზე ისინი იზრდებოდა და ბევრად დიდი ხდებოდა. ბიჭები გაჩერდნენ და ირგვლივ დაიწყეს ყურება.

ქარის მკვეთრმა დაბერვამ ძლიერ შეაფრიალა ჩვენი კარვები. მსუბუქი პარკები წამში აიტაცა ჰაერში და იწყეს სანაპიროზე ფრიალი ველური ცეკვით. ყოველი წამით, ქარი სულ უფრო და უფრო ძლიერდებოდა. კარვებს უკვე არა უბრალოდ აფრიალებდა, მოჩანდა, თითქოს ზუსტად ვიღაც თავის სიგიჟეში ცდილობდა მათ მოგლეჯას მტელი თავისი რკინის სარებით.უეცრად ამოვარდნილი ქარიშხლის ახალი შემოტევა ფანტავდა კოცონს აქეთ–იქეთ. მომენტალურად გაუჩნდა ალი ხელსახოცებს. ცეცხლწაკიდებული მცირე გუნდები მანქანებისკენ მიყარა, დიდი ცეცხლი კი, გააფთრებული მხეცივით ლელქაშიდკენ წაიღო და სიხარბით მოედო მის ტოტებს.

თავზარდაცემულები წამოვცვივდით ჩვენ–ჩვენი ადგილებიდან. უფროსი ბიჭები ნიკოლაი ანდრეევიჩთან ერთად შეუდგნენ გაფანტული ალმოკიდებული დაჭმუჭნილი ქაღალდების ჩაქრობას. ვალოდია, ანდრეი და სტასთან ერთად აქრობდნენ „ორმაგ კოცონს“. ჩვენ კი, ტატიანასთან ერთად შიშისაგან ავიტაცეთ ვიღაცის ნივთები, ქვესაფენები, პირსახოცები, ერთი სიტყვით ყველაფერი, რაც კოცონის გვერდით იდო და ამ ხარახურასთან ერთად დავიწყეთ წინდაუკან სირბილი, არ ვიცოდით რა გვექნა მათთვის. შიშისა და პანიკისაგან მთელი ჩემი შეუძლობა სადღაც უკანა პლანზე გაქრა და პირველად ცხოვრებაში ვიგრძენი, რა არის ნამდვილი ცხოველური შიში გავეშაპებული სტიქიის წინაშე.

ქარი იმდენად გაძლიერდა, რომ ირგვლივ მხოლოდ მისი თავზარდამცემი ზუზუნი და სანაპირო ტალღების ზრდადი ხმაური ისმოდა. რაღაც წარმოუდგენელი ხდებოდა. წყალი ხან სწრაფად უკან იხევდა ნაპირიდან დიდ მანძილზე, ხან დაუჯერებელი ძალით ეხეთქებოდა მას და სულ უფრო მეტ და მეტ ხმელეთის ნაწილს ტბორავდა. მთვარის ცივი შუქის ქვეშ მოჩანდა, თითქოს ზღვა დუღდა. თავისი გააფთრებული ხახით იგი მზად იყო ჩაეყლაპა ნებისმიერი, ვინც მის გზაზე აღმოჩნდებოდა. წყლის გიგანტური „ენები“ შემაძრწუნებელი სისინით ულმობლად მოიწევდნენ ჩვენი ამასწინანდელი შეკრების ადგილისკენ.

„საღი აზრის“ ზედმეტსახელი გაამართლა ნიკოლაი ანდრეევიჩმა, გაიქცა მანქანისკენ, შეეცადა ძრავის ამუშავებას და დაგვიყვირა:

– დაყარეთ ყველაფერი! ახლა ყველაფერს ჩაძირავს! შემდეგ თავს ვერ დვაღწევთ!

ყველამ პანიკაში დაიწყო შფოთვა. მე კი საერთოდ გამაშეშა. ფეხები შიშით ჩამეკეცა და ბამბასავით გამიხდა. და ასეთ არევ–დარევაში დავინახე სენსეი. ჩემს პიროვნებას ეგონა, რომ იგი ხანძარს აქრობდა ან იმყოფება სადღაც ავტომობილის გვერდით. იგი კი მთელი ამ დროის განმავლობაში მშვიდად იჯდა თავის ადგილზე, იმავე პოზაში და აკვირდებოდა ჩვენს დავიდარაბას ისე, თითქოს უყურებდა მწვავესიუჟეტიან კინოფილმს კინოთეატრში. რომ გითხრათ, ამით შოკირებული ვიყავი–თქო, ეს იგივე, არაფრის თქმას ნიშნავდა.

ამ დროს სენსეისთან მიირბინა ჟენიამ. იგი შეეცადა ქარიშხლისა და მეტად სერიოზული მოქცევის ხმაური გადაეფარა თავისი სიტყვებით და დაიყვირა:

– სენსეი! კარვებს ახლა წაიღებს! რა ვქნათ? უნდა წავიდეთ აქედან! წყალი გვაწვება...

რაზეც ჩემი და როგორც ჩანდა ჟენიას სახის გამომეტყველებაზე, მის უზარმაზარ გასაკვირად, პასუხად დაიყვირა:

– მოიტანე ერთი ტოლჩა ზღვის წყალი!

ღაო?! – ვერ გაიგო ყმაწვილმა, ეგონა, რომ მოესმა.

– ერთი ტოლჩა ზღვის წყალი მომიტანე! – კვლავ დაუყვირა მას სენსეიმ.

ჟენიამ, გაშტერებულმა შეხედა მას და საკუთარ ყურებს არ უჯერებდა.

– ზღვის ტოლჩ??? მე ეხლა საერთოდ წამიღებს იმ ტოლჩიანად...შენც ჩაგრეცხავს! გაიხედე უკან, რამოდენა ტალღებია...

ტალღები უკვე ნამდვილად საკმაოდ მაღალი იყო და ყოველ ჯერზე სულ უფრო ახლოს და ახლოს მოიწევდნენ იმ ადგილისკენ, სადაც სენსეი იჯდა. ეხეთქებოდნენ ნაპირს და ხმაურით ყრიდნენ თავის შხეფებს ირგვლივ. ქარის დაბერვით ატაცებული ეს მსხვილი წყლის ცივი წვეთები, სეტყვის მსგავსად, უხეშად გვირტყამდნენ სახესა და ტანსაცმელზე. სენსეი, სრულად გაწუწული, საერთოდ არც კი განძრეულა, რათა შემობრუნებულიყო და თავისი თვალებით ენახა საშინელი შავი ტალღები. ჟენიას ტირადის საპასუხოდ მან მხოლოდ გაიღიმა, როგორც თავისი ნამუშევრით კმაყოფილი ოსტატი. ყმაწვილი მიხვდა, რომ თავის მოსაწყლებით და ყველანაირი არგუმენტითა და მუქარით მასზე გავლენის მოხდენა შეუძლებელია, მხოლოდ ესღა წარმოთქვა გულითადად.

– ეჰ, მამა მია!

და, როგორც ჩანს, სასოდაკარგულად თავისი ლოგიკის წინააღმდეგ გალაშქრების ფასად დაიწყო აჩქარებულად ტოლჩას ძიება დატრიალებულ ქაოსში. ყველა დანარჩენი აგრძელებდა პანიკაში აქეთ–იქეთ სირბილს. ზოგი ცდილობდა კარვების გადარჩენას, ზოგი დარბოდა რაღაც ნივთებით ხელში, ზოგი მანქანებთან იყო და რაღაცებს საბარგულში ტენიდა. ჟენიამ დაუწყო აფორიაქებულებს ტოლჩას შესახებ შეკითხვა, ხომ არ უნახავთ იგი. მაგრამ მათ, როგორც ჩანს, არ შეეძლოთ გაეგოთ, რას ითხოვდნენ მათგან. ხოლო როცა ყმაწვილი სტასთან დაინტერესდა ტოლჩით, მან პასუხის ნაცვლად ძლიერ შეარყია იგი და პირდაპირ ყურში ჩაჰყვირა:

– ჟენია! შენ რა, გაგიჟდი?! რა დროის ტოლჩაა?! ჩვენ ეხლა წყალი წაგვიღებს! – და არ გაუშვია მისთვის ხელი ისე შემოიხედა ნიკოლაი ანდრეევიჩისაკენ. – ექიმო, იქნებ იგი გასათიშია და საბარგულში შევტენოთ? მგონი, აურია გონებრივად ძალიან!

– შეწყვიტეთ სისულელის კეთება! – დაიღრიალა პასუხად „საღმა აზრმა“. – ისარა უკვე იტბორება! მანქანებში ყველანი სწრაფად, სანამ ჯერ კიდევ გასვლაა შესაძლებელი...

ჟენია კი დაუსხლტა სტასის ძლიერ ჩაბღაუჭებულ ხელებს და იქით შეჰყვირა მას:

– შენ თვითონ ხარ...! ჩემი გონება ადგილზეა. ეს სენსეის წაერთვა იგი მგონი!

სენსეის ხსენებამ იმოქმედა სტასზე, როგორც ცივმა შხაპმა და იმის ნაცვლად, რომ მანქანისკენ გაქცეულიყო, როგორც ამისკენ მოუწოდებდა ყველას ნიკოლაი ანდრეევიჩი, სტასი გაშეშდა, როგორც ჩამარხული ბოძი და გაუგონარი გაოცებით მიაშტერდა სენსეის. ახლა კი შემთხვევით შევნიშნე, რომ ეს საწყალი ტოლჩა მე მეჭირა ხელში სხვა ნივთებთან ერთად. მე თითქოს დენმა გამიარაო.

– მე მაქვს ტოლჩა, მე! – დავიყვირე, რა ძალა და ღონე მქონდა, მოვისროლე დანარჩენი ხარახურა და გავექანე ჟენიასკენ.

ყმაწვილმა გამომართვა ტოლჩ, როგორც საესტაფეტო ჯოხი, გაიქცა ზღვისკენ, რომელიც უკვე სენსეის გვერდით იყო. მაგრამ ზღვას აშკარად არ სურდა თავისი წყლის მიცემა. ერთი ტალღის შხეფებით ბიჭის თავიდან ფეხებამდე დასველების შედეგ, მეორე ტალღით „მოცელა“ დაუპატიჟებელი სტუმარი. მაგრამ, თვისი დაცემის შემდეგ ჟენია, სწრაფად წამოხტა ფეხებზე და მაინც მოახერხა უკუქცევად ტალღაში ერთი ტოლჩ წყლის ავსება, მართლია ქვიშითა და სხვა ქარიშხლიანი სიმღვრივით. მაგრამ, როგორც კი ჟენიამ ამოიღო წყალი და დაიწყო გაქცევა ახალი ტალღისაგან, შიშის ზარით შევნიშნე თუ როგორ გამოჩნდა შორს, მთვარის ბილიკზე უზარმაზარი ტალღა, რომელიც უმოწყალოდ გვიახლოვდებოდა. მინდოდა ყველასათვის ამ საშიშროების შესახებ მეყვირა, მაგრამ ყელი გადამიშრა წამებში და დაყვირების ნაცვლად გამომივიდა რაღაც ჩხლეჩილი, გაურჩეველი ხმები და ხელების უილაჯო ქნევა ზღვის მიმართულებით. ამ დროისათვის ჟენიამ უკვე მიირბინა სენსეისთან და მთლიანად, ვერხვის ფოთოლივით აკანკალებულმა, თუ შიშისაგან, გაუწოდა ტოლჩა. ძლიერი აღელვების ქვეშ მყოფმა, ისევ გავიხედე დიდი ტალღისაკენ. იგი, მშიერი მტაცებელის მსგავსად, რომელსაც გადაუწყვეტია მთელისანაპირო ნადავლის ერთიანად ჩაყლაპვა, უდრეკად მოიწევდა თვისი თავზარდამცემი ძალით. როგორც ჩანს, მისი სემაძრწუნებელი სიშავე სხვებმაც შენიშნეს, რადგან მათ დაუწყეს სენსეის რაღაც გაშმაგებულად ყვირილი. ეს სულის შემძრავი ყვირილი ჩემს ყურში აირია ზვირთცემის ველურ ღრიალთან. საშინელება იყო, წარმოდგენა იმისა, თუ რა მოხდებოდა ახლა.

სენსეიმ კი მშვიდად გამოართვა ჟენიას ტოლჩა, არავის არ მიაქცია არანაირი ყურადღება, დააფარა მას თავისი ხელები და მოახდინა პირდაპირ რამდენიე წამით ყურადღების მოკრება. ეს წამები პირადად ჩემთვის მარადისობამდე გაიწელა. ტალღა მიზანსწრაფულად მოიწევდა,ხოლო სენსეი არ ინძრეოდა.

დანარჩენები აგრძელებდნენ მანქანებთან რაღაცის ყვირილს. ამ დროს ვიგრძენი, რომ ჩემმა შეუძლოებამ რაღაც საეჭვოდ სწრაფად იწყო უკან დახევა. იმავდროულად ნიკოლაი ანდრეევიჩვა, ვიქტორმა და ვალოდიამ მიაშურეს სენსეის, ეგონათ, რომ ამ უკანასკნელს აღარ ესმოდა მათი. მაგრამ, ამ დროს სენსეიმ გაახილა თვალები, ისევე მშვიდად მისცა ჟენიას ტოლჩა და უთხრა:

– გადაასხი ზღვაში.

როცა ჟენიამ ტოლჩა ხელში აიღო, მას არ მოუწია ზღვისკენ გაქცევა, რადგან იგი უკვე მის ფეხებამდე იყო მოსული. მან უბრალოდ გულგრილად გადაასხა ტოლჩაში არსებული წყალი უკუქცევად ტალღაში და მოჯადოებულად გახედა მოახლოებად უდიდეს ზვირთცემას.

– სენსეი, უნდა გავიქცეთ, – მივარდა ამ დროს სტასიც, რომელიც არ აშორებდა მზერას ტალღის მრავალტონიან შავ მასას.

სენსეის ნაცვლად გაისმა ჟენიას განწირული ხმა:

– ახლა უკვე გვიანია, მაინც დაგვფარავს. ბიჭის ამ სიტყვების გაგონებაზე მივარდნილებიც გაჩერდნენ და მიხვდნენ თავისი ქმედებების აბსოლუტურ უაზრობას და მხოლოდ ამ დროს მოატრიალა სენსეიმ თავი ზღვისკენ. მაგრამ სხვებისაგან განსხვავებით, იგი, როგორც ჩნდა, არა უბრალოდ უყურებდა, არამედ ტკბებოდა მრისხანე სტიქიით.

ამ დროს ვიგრძენი, რომ ყველაფერი ჩემში დალაგდა თავ–თავის ადგილას. გამიარა გულისრევამ და თავბრუხვევამ. ორტგანიზმი კვლავ ნორმაში მოვიდა. შიშიც კი გაქრა. ცნობიერებაში დამკვიდრდა არაჩვეულებრივი სიცხადე და თავი იმდენად კარგად, აღფრთოვანებულად ვიგრძენი, თითქოს ეს ყოფილიყო ჩემი ცხოვრების საუკეთესო წამები, თუმცა რეალური სურათის საპირისპიროს ამბობდა. ამ უზარმაზარმა ტალღამაც კი, თავზარისა და პანიკის ნაცვლად, დაიწყო ჩემში ბუნების სიძლიერის ასეთი განუმეორებელი სურათით გამოწვეული ჭეშმარიტი აღფრთოვანების გრძნობის გამოწვევა.

უეცრად, ქარმა დაიწყო სწრაფი ჩაყუჩება. ტალღები სულ უფრო მცირე და მცირე ხდებოდა, თითქოს მთვარის ბილიკზე რაღაც გიგანტურმა უთომ გადაუარაო ზღვის შავ ზეწარს ნაკეცების გასწორებით. ნაპირამდე პირდაპირ რამდენიმე ასეული მეტრით არმისულმა დიდმა ტალღამ, ფიზიკის ყველა კანონის დარღვევით დაიწყო გამალებით შემცირება და მხოლოდ მსუბუქი თქაფუნის ექოს სახით მოაღწია მისმა წყალმა ნაპირის კიდეს. წყალი უღიმღამოდ ტოვებდა დაპყრობილი ხმელეთის ნაწილს და უბრუნდებოდა თავის ჩვეულ საზღვრებს. ქარი ჩადგა და ზღვაზე კვლავ ჩამოდგა, უკვე სმენისათვის უჩვეულოდ გარდაქმნილი, სრული შტილი.

ამ დროს გადავიტანე მზერა სენსეიზე და მივხვდი, რა გახდა ამ უეცარი შტორმის ჭეშმარიტი მიზეზი. ეს არ ყოფილა ბუნების ანომალია, როგორც ეგონა ჩემს გონებას პანიკის მდგომარეობაში. ეს არ ყოფილა ბუნების ანომალია, როგორც ჩემს გონებას ეგონა პანიკის მდგომარეობაში. ეს უდაოდ, ადამიანის გონებამ აღასრულა! და თუმცა ჩემი გონება სადღაც მეორე პლანზე აგრძელებდა ასეთი ვარაუდისთვის შეწინააღმდეგებას, მაგრამ ჩემი მატერიალური ტვინის გამოსახვის უნართან შედარებით სამყაროს შესახებ ბევრად მეტის მცოდნე, რაღაც სიღრმისეული, შინაგანი იძლეოდა მომხდარის ჭეშმარიტი მიზეზის გააზრების შესაძლებლობას. უბრალოდ განცვიფრებული ვიყავი, რამდენად დიადია სინამდვილეში ცოდნით აღჭურვილი ადამიანის ნება, რომლის წინაშე მორჩილებს ბუნების სტიქიებიც! რამდენად დიდი შესაძლებლობებითა და უნარებით დაგვაჯილდოვა ღმერთმა თითოეული ჩვენგანი. მაგრამ, განა ჩვენ შეგვწევს მისი ძღვენის სრულად შეფასების უნარი მაშინ, როცა არჩეული გვაქვს საკუთარი ეგოცენტრიზმის სიბნელეში წვიმის ჭიის ცხოვრება? განა შეგვიძლია ჩავწვდეთ ჩვენთან მიმართებაში მის ჭეშმარიტ სიყვარულს მაშინ, როცა საკუთარი თავის გარდა ირგვლივ არავის ვამჩნევთ? ირგვლივ მოჩვენებითობა, სიყალბე, სიცრუეა და ამასობაში ცხოვრებაც გადის. ჭია ჭიად რჩება ყოველთვის. არის და გაქრება, სტიქიებიც არ არის საჭირო, ცხოვრება ისედაც ჭეჭყავს თავის ქუსლებქვეშ.

ბუნება ჩაწყნარდა. თუმცა, არცერთი ჩვენგანი ადგილიდან არ დაძრულა, როგორც ჩანს, გადატანილი მოვლენებით მეტისმეტად თავზარდაცემულნი. მთვარე ანათებდა თავისი საზარელი, ცივი შუქით სანაპიროზე დატრიალებულ იმ ქაოსს, რაც თავის მერე დატოვა სტიქიამ. ამ, ჩვენთვის სრულიად არარეალურ სიჩუმეში უეცრად გაისმა სენსეის ხმა.

– კოცონის დანთება და გათბობა არ იქნებოდა ცუდი...

ასეთმა უბრალო ცხოვრებისეულმა სიტყვებმა გამოგვიყვანა გაშეშების მდგომარეობიდან. ყველანი გაოცებით შემოტრიალდა სენსეისკენ. მან კი გაიძრო სრულიად დასველებული პერანგი და დაიწყო მისი გამოწურვა ზღვის წყლისაგან.

– კოცონი დაგვენთო და ცოტა გავმშრალიყავით, – გაიმეორა სენსეიმ, შენიშნა რა ჩვენი გაოგნებული სახეები.

ამ ფრაზამ, როგორც ამბობენ, საბოლოოდ მოგვიყვანა გონზე. უფროსი ბიჭები უსოტყვოდ ადგნენ და დაიწყეს ფაცი–ფუცი, მოძებნეს გადარჩენილ კარვებში ფარნები და წავიდნენ სანაპიროზე მშრალი შეშის საძებნელად, ვინაიდან ჩვენს მიერ შეგროვებული ყველაფერი ან დაიწვა, ან დასველდა. დარჩენილი კომპანია შემოიკრიბა სენსეის გვერდით, თითქოს ეს იყო ყველაზე უსაფრთხო ადგილი მთელ სანაპიროზე.

– იქნებ არ არის საჭირო კოცონი? – ფრთხილად გამოთქვა აზრი ნიკოლაი ანდრეევიჩმა. – იქნებ უფრო უსაფრთხო ქალაქში გადასვლა იქნება? აშკარაა, ზღვაზე სადღაც ქარიშხლის ფრონტია და ეს იყო პირველი შემობერვა. მათი გამეორების გამორიცხვა არ შიძლება.

რაზეც სენსეიმ გულთბილად გასცა პასუხი:

– მოდუნდი, ექიმო. ეხლა ჩაის მოვადუღებთ და ცოტა გავშრებით. იქ კი გამოჩნდება.

– როგორც იცი, – ხმაში ეჭვის ელფერით წარმოთქვა ნიკოლაი ანდრეევიჩმა.

მალე ჩვენი დასველებული ნივთები გაფენილი იყო საჩქაროდ გაშლილი კარვების ბაწრებზე. ჩვენ კი გამოვიცვალეთ სველი ტანსაცმელი, დავსხედით ახალ ადგილებზე, ზღვიდან მოშორებით, ვთბებოდით კოცონთან და ველოდით ჩაიდანში წყლის ადუღებას. რაოდენ გასაკვირიც არ უნდა იყოს, ვითარების საპირისპიროდ გუნება–განწყობა კარგი მქონდა. თითქოს მეორე სუნთქვა გამეხსნა, აღფრთოვანებამ მომიცვა, რისი წყალობითაც სული უბრალოდ მღეროდა, იმდენად მშვიდად და კარგად ვგრძნობდი თავს.

ღოგორც კი წყალი ადუღდა ჩიდანში, ტატიანასთან ერთად დავაყენეთ არომატული ჩაი თავშავასა და მელისასგან. ჩვენი ექიმის დაჟინებული თხოვნით გამოვიტანეთ ჩვენი საჭმლის გადარჩენილი მარაგებიდან ცაცხვის თაფლი გაციების პროფილაქტიკისათვის. მოვაწყვეთ მცირე ვახშამი ამ სამასპინძლოთი, უფრო ზუსტად კი „საღმოს პიკნიკი“.

როცა მადლიანი ჩაის პირველმა წვეთებმა სითბოს მონიჭებით დაიწყეს გავრცელება ჩვენს სხეულში, უკვე მოდუნებულმა ნიკოლაი ანდრეევიჩმა წარმოთქვა:

– ქარიშხალიც ამას ერქვა! ესეც შენი სტიქია! მაინც, რა საინტერესოა ადამიანის ფსიქოლოგია ექსტრემალურ სიტუაციებში. და მაინც, ერთი საქმეა თეორია, მეორე კი – პრაქტიკა, თანაც საკუთარი.

– ნამდვილად, – გაეღიმა სენსეის. – მსჯელობა მოქმედება როდია.

– და რაც მთავარია, რა მალე იცვლება ადამიანის ფასეულობები, – აღგზნებულად აგრძელებდა ფსიქოთერაპევტი. – როცა განიხილავ სხვებისა და საკუთარი თავის გადარჩენის

უმცირეს შანსს, ერთადერთ ფასეულობად სიცოცხლე იქცევა. მაგრამ, ბოლო წუთებში, როცა საფრთხე გარდაუვალი იყო...საოცარია, მაგრამ იკარგება სიცოცხლის, ამ სხეულის ფასეულობა! შინაგანად კი...განსაცვიფრებელია...არის სიცხადე და სრული სიმშვიდე, ცნობიერების გაფართოების რაღაც არაჩვეულებრივი გრძნობა...

სენსეიმ კმაყოყილებით გაიღიმა და გააწყვეტინა ნიკოლაი ანდრეევიჩს საუბარი ჩემთვის ყველაზე საინტერესო ადგილას. თურმე, არა მხოლოდ მე განვიცდიდი მსგავს, ექსტრემალურ ვითარებასთან შეუთავსებელ შეგრძნებებს.

– ექიმო, მოეშვი თვითანალიზს. მიეცი სულს „აქ და ახლა“ ამ მომენტით ტკბობის შესაძლებლობა.

ნიკოლაი ანდრეევიჩმა ყურადღებით შეხედა მას და ღიმილით დაუკრა თავი, თითქოს მიუხვდა იმას, რას გასაგონად არ იყო თქმული.

რაღაც დროის განმავლობაში მდუმარედ ვისხედით და ვტკბებოდით ტოლჩა ცხელი ჩაით მიღებული სიამოვნების გაწელვით. მე ჯერ კიდევ განვიცდიდი ამ სიჩუმით გამოწვეულ რაღაც აუხსნელ შინაგან სიამოვნებას. ჭეშმარიტად, ამ „სამოთხისეული“ სიმყუდროვის გასაოცარი შეგრძნების ნამდვილ დაფასებას იწყებ მას შემდეგ, რაც მოხვდები თვით „ჯოჯოხეთში“.

ხალხის გონების ჩვეულ კალაპოტში დაბრუნების კვალად დაიწყო განახლება შეწყვეტილმა დისკუსიამ.

– გინახავთ ასეთი ქარიშხალი, ასეთი სასწაული! – სხვებთან ერთად ვერ მშვიდდებოდა ვიქტორი.

ამ დროს კი სენსეიმ, ჩაის სმის დროს, თითქოს გაკვრითო, წარმოთქვა:

– ეს იყო მხოლოდ წყლის წვეთი. ამ სიტყვებს გუნდი უცებ როდი ჩაწვდა.

პირველად „გაერკვნენ“ ვალოდია და ნიკოლაი ანდრეევიჩი და გაოგნებულებმა გახედეს სენსეის. ცოტა მოგვიანებით მიხვდნენ დანარჩენებიც.

– ანუ...ერთი წვეთი? – გაშტერებულმა იკითხა ვიქტორმა. – მე სწორად გავიგე, სწორედ ის წვეტი ტოლჩა წყალში, რომლის შესახებაც ჟენიამ იკითხა?

სენსეიმ კმაყოფილებით დაუკრა თავი. ჟენია კი ამ დროს კინაღამ დაიხრჩო ჩაით, დააშტერა თვალები სწენსეის და ცდილობდა გაერკვია, ხუმრობდა თუ არა.

– ეს პროვოკაციაა, ვაპროტესტებ! – ყოველი შემთხვევისთვის ხუმრობით აღშფოთდა ურწმუნო იუმორისტი მაშინ, როცა ჩვენი კომპანიის უმეტესობამ გახედა მას არაორაზროვანი მზერით. – ეს უბრალოდ დამთხვევა იყო, ქარიშხალი სრულიად შემთხვევით დაგვატყდა თავს...

– შემთხვევით? – გაეღიმა სენსეის და გაოცებისგან წარბები ასწია. – შემიძლია გავიმეორო.

– არ არის საჭირო! – ჟენიას პასუხს სტასმა დასწრო. – არ შეწუხდე სენსეი, მე თვითონ მოვკლავ მას და ამ სიტყვებით თავს დაესხა ჟენიას, ხუმრობით ჩაავლო ხელი ყელში და დაუწყო ნჯღრევა. ჟენია კომიკურად აფართხალდა და გვერდით დაგდებულ თეთრ ხელსახოცს ჩაავლო ხელი, ააფრიალა დანებებისა და შერიგების ნიშნად.

– მორჩ, გეყო! მჯერა, უკვე დავიჯერე...

– ჭკუით იყავ – დაემუქრა სტასი და ხელები გაუშვა.

ყველას გაეცინა, ჟენიამ კი ხელი მოისვა ყელზე და შეშინებულმა ჰკითხა სენსეის:

– არა, მართლა, ეს ყველაფერი ტოლჩა წყლის გამო მოხდა?

– მორჩა, ამას შეხედეთ, – გადაჭრით წამოდგა სტასი, მაგრამ ვერ მოასწრო დასხმოდა მეგობარს, როგორც ეს უკანასკნელი, თითქოს ქარიშხალს წაეღოო. ჟენია განზე გახტა და სწრაფად დაიწყო ახსნა, ხელების გაშლა დამამშვიდებელი ჟესტებით.

– არა, სხვას ვგულისხმობდი. მინდოდა აღფრთოვანება გამომეხატა ამ ძალით!

– თავიდანვე ასე გეთქვა...– ჩაილაპარაკა სტასმა და ბიჭების სიცილში დაუბრუნდა თავის ადგილს.

როცა ხუმრობების ტალღმ გადაიარა, სენსეიმ განმარტა:

– ადამიანის აზრს ამაზე მეტი შეუძლია, მას ძალუძს, როგორც ნგრევა, ასევე, შექმნა. უბრალოდ, ადამიანები არ ფლობენ რეალურ ცოდნას ამ ცოდნის შესახებ. ხოლო ცოდნის მიღება შეუძლებელია მანამ, სანამ ადამიანი არ შეიცვლება უკეთესობისკენ. წინააღმდეგ შემთხვევაში ის, ნებისმიერი ცხოველის მსგავსად, დამოკიდებული იქნება სტიქიის ჭირვეულობაზე. დედამიწაც ხომ ცოცხალი არსებაა და ცხოველურით დომინირებადი კაცობრიობის გადამეტჯერებას იგი არ მოითმენს. მისთვის მასიურად ადამიანური ნეგატივის გამოვლენა – ეს სხეულზე პირდაღებული ჭრილობის მსგავსია, რომლისკენაც, სისხლში ლეიკოციტების მსგავსად, მიემართება ბაქტერიებისა და სხვა უცხო სხეულების მშთანთქმელი დამატებითი ძალები. შემდეგ უბრალოდ ხდება განწმენდის პროცესი, მეტი არაფერი...ცალკეული ადამიანის მსგავსად, კაცობრიობა მთლიანობაში, თავისი აზრებით (ფიქრებით) გაუცნობიერებლად ახდენს წყლის მეხსიერებაში ცვლილებების შეტანას. შემდეგ კი, უკაცრავად, ვღებულობთ იმას, რაც დავიმსახურეთ.

– ესე იგი, შესაძლებელია წყლის დაპროგრამება გარკვეული წესით, – შემაჯამებელი დასკვნა გააკეთა ნიკოლაი ანდრეევიჩმა. – და ამ პროგრამით შესაძლებელია არა მხოლოდ ნგრევა, არამე შექმნა?

– სავსებით სწორია. რაც თქვენ იხილეთ, – ეს მხოლოდ წვრილმანია. ახლა კი წარმოიდგინეთ, რა ძალას ფლობდა, მაგალითისთვის აღაპიტი, ვისშიაც მკვიდრობდა თვით სული წმინდა, დაარქვით ამ არსობას როგორც გნებავთ, – გაბრიელი, რიგდენი, ჯაბრაილი – მას ბევრი სახელი აქვს. რამდენად ძლიერი იყო მისი შემოქმედებითი ძალა, თუკი მისი გარდაცვალების შემდეგაც კი მის ნაწილებთან ადამიანები აგრძელებენ განკურნებას, როგორც ფიზიკურად, ასევე, სულიერად და განსაკუთრებით ე.წ. „ფონის“ აქტიურობის მომატების დღეებში, – სენსეიმ ღიმილით შემომხედა, ისარგებლა რა ჩემი, არც თუ ისე მოხერხებული ლექსიკონით.

აღაპიტთან, ჯერ კიდევ სიცოცხლეში მიდიოდა ბევრი სხვადასხვა ადამიანი, ამასთან რელიგიასთან მათი კუთვნილების მიუხედავად. ქრისტიანების გარდა მას აკითხავდნენ მუსულმანები და ბუდისტები, ასევე, სხვა აღმსარებლობის ადამიანები. ისინი მოდიოდნენ არა მხოლოდ სამკურნალოდ, არამედ, როგორც ბრძენთან, ღმერთისკენ მიმავალი ჭეშმარიტი გზის მცოდნე ადამიანთან. მასთან ასეთი მომლოცველობისათვის აღაპიტი აითვალწუნა ბევრმა რელიგიური ხელმძღვანელობიდან. ის ხომ, მათსავით საკუთარი ძალაუფლების გაფართოების მიზნით არ აიძულებდა ადამიანებს საკუთარ რწმენაზე უარის თქმას. ის საუბრობდა იესოს ჭეშმარიტი სიტყვებით, რომ ღმერთი ერთია და მასთან მიმავალი გზა უამრავი. მე არც მიკვირს რატომ არის რუს ბრძენთან მომლოცველობის შესახებ ხსენება საგულდაგულოდ ამოღებულია მემატიანეებიდან. აღაპიტი ხომ მოუთხრობდა იესოს ჭეშმარიტ სწავლებაზე, რომელიც იმ

დროისათვის უკვე ტრანსფორმირებული იყო რელიგიად. ის ყვებოდა არჩევანის თავისუფლების, სულის მარადიულობის შესახებ.

მიუხედავად იმისა, რომ აღაპიტი ჰკურნავდა ადამიანებს სხვადასხვა დაავადებისაგან – სულიერისა და სხეულის, იგი, ასევე, არიგებდა მათ: **„ყველა საბაბით როდია საჭირო ღმერთის შეწუხება, საკუთარი სულის ხსნის გარდა. არა სხეულისათვის, არა კეთილდღეობისა და**

ანასტასია ნოვიხის ნახატი „აღპიტი“. შესრულებულია პუანტილიზმის ტექნიკით.

გაძღომისათვის მიმართეთ – ეს ყოველივე არის ხრწნადი და სურვილების უზომობა. რამეთუ იმაზე ღირსეული თხოვნა არ არის, ვიდრე საკუთარი სულის გადარჩენის თხოვნა“. ბევრმა ადამიანმა აღაპიტის წყალობით მართლაც იწამა ღმერთის, ვინაიდან იგი ყოველთვის წარმოადგენდა ღმერთისათვის ჭეშმარიტი მსახურების მაგალითს სულის სიწმინდეში და იმდენად ძლიერი იყო შინაგანი სულით, რომ მისთვის არაფერი იყო შეუძლებელი. აღპიტს არაერთხელ დაუმტკიცებია ეს საქმით და სიტყვით.

სულიერი ადამიანები მიილტვოდნენ მისკენ, ხოლო ოქროს მოყვერულნი – გაურბოდნენ. აღაპიტი ასწავლიდა ადამიანებს თვიანთი ზრების (ფიქრების) სიწმინდის შენარჩუნებას. რამეთუ ნებისმიერი ცუდი ფიქრი შობს ეჭვს. ხოლო ეჭვები და სუფთა რწმენა შეუთავსებელია. ეჭვებს შეუძლია ყველაფრის განადგურება. აღაპიტი მუდამ იმეორებდა: **„ირწმუნეთ და მოგეცემათ**

თქვენი რწმენის შმიხედვით. ეს მარტივია, მაგრამ ჩაწვდომაა ძნელი. მთელი სირთულე სიმარტივეშია“.

აღაპიტის სულიერი ძლიერების მაგალითად მოგიყვანთ ერთ შემთხვევას მისი ცხოვრებიდან. მას სენაკში მიუყვენეს მთავრი იზიასლავის მძიმედ დაჭრილი, ორივე ფეხმოტეხილი მეომარი – რატიმირი. ყველას ეგონა, რომ ყმაწვილი ვერ გადარჩებოდა. მაგრამ ერთი საათიც კი არ გასულა და მეომარი თავისი ფეხებით გამოვიდა სენაკიდან აღაპიტის თანხლებით. ამ შემთხვევამ მაშინ უამრავი განაცვიფრა.

– შენ ხომ თქვი, რომ მას ფეხები ჰქონდა მოტეხილი?! – გაოგნებულად იკითხა ვიქტორმა. – როგორ შეძლო აღაპიტმა მათი ასე სწრაფად შეხორცება, თუ მეომარი საკუთარი ფეხებით გამოვიდა?

– სულ მარტივად. აღპიტმა მისცა მას თავისი ნაყენი დასალევად.

ნაყენი?! – ვიქტორზე მეტად გაოცდა ნიკოლაი ანდრეევიჩი. – კიდევ მესმის, თუ ეს იქნებოდა ანესტეზიის მიზნით.. მაგრამ მოტეხილობების შესახორცებლად? – ეჭვით წარმოთქვა ექიმმა. – სენსეი, რა თქმა უნდა, ბოდიში მომითხოვია შენთვის, მაგრამ რა ბალახეულიც არ უნდა ყოფილიყო, ძვალი ძვალად რჩება და ასე სწრაფად მისი შეხორცება შეუძლებელია.

– და რა შუაშია აქ ბალახები? ბალახები – ეს მხოლოდ ბალახებია, ხოლო ძვალი კი – ძვალი. სხვათა შორის, ექიმო, ისიც შედგება წყლისგან, – ხაზი გაუსვა ღიმილით სენსეიმ.

– და რა, შესაძლებელია მისი ასე სწრაფად შეხორცება? – უნდობლობით წარმოთქვა ნიკოლაი ანდრეევიჩმა.

სენსეის რაღაცაზე გაეღიმა და წარმოთქვა:

– აღაპიტის მსგავსი მკურნალი ძლითა და წყლის შესახებ მისი ჭეშმარიტი ცოდნით ნებისმიერი ძვლის შეხორცებაა შესაძლებელი ბევრად უფრო სწრაფად, ვიდრე ფიქრობ.

– მართლა? და როგორ? – თავის მხრივ დაინტერესდა ვიქტორი.

ამ დროს, როგორც ჩანს, სლავიკს გადაწყვეტილი ჰქონდა უფრო მოხერხებულად მოკალათებულიყო და ფეხით გადატეხა მის ქვეშ გდებული, ნახევრად დამწვარი ლელქაშის ტოტი. მაგრამ მან ამას ყურადღება არც კი მიაქცია. სენსეიმ შენიშნა და სთხოვა მას:

– აბა მომაწოდე ეს გადამტვრეული ლელქაში. სლავიკმა ჯერ ვერ გაიგო, რა უნდოდათ მისგან. შემდეგ თავის ტრიალი დაიწყო ირგვლივ და ბოლოს, როცა იპოვა გადატეხილი ლელქაში, სწრაფად აიღო და გადასცა სენსეის.

– აი მაგალითად ავიღოთ ჩვეულებრივი ლელქაში. იგივე წყლისა და რწმენის ძალით შეიძლება არა მხოლოდ მისი გამთლიანება, არამედ ნებისმიერ ფოლადზე უფრო მყარად გარდაქმნა...

სენსეის დღეს აშკარად კარგი გუნება–განწყობა ჰქონდა საუბრისა და უჩვეულო შესაძლებლობების დემონსტრირებისათვის. მგონი, დღეს მის გვერდით გატარებული ამდენი განსაცვიფრებელი წუთი ჩვენ ჯერ არასოდეს განგვიცდია.

სენსეიმ გაუწოდა ჟენიას ტოლჩა და ღიმილით მიმართა:

– ჩამოასხი ერთი ამ ტოლჩაში ზღვა მცირეოდენი.

ყველანი ხუმრობის გარეშე აფორიაქდნენ და შეშინებულ მზერებს ისროდნენ აქეთ–იქეთ. ჟენია კი საერთოდ განერიდა მას, როგორც ცეცხლს.

– არა სენსეი, ჩემგან საკმარისია. მე უბედური ხელი მაქვს, – უპასუხა მან, ხელები ზურგსუკან დამალა და აქვე, სწრაფად დასძინა ნერვიული ღიმილით: – თანაც ორივე ხელი! და საერთოდ, ბავშვობიდან ინვალიდი ვარ სხეულის ყველა ნაწილებში.

– დამშვიდდი, ვიხუმრე, – ღიმილით შეაგულიანა სენსეიმ. – შეგვიძლია მინერალური წყალიც გამოვიყენოთ.

ჩვენ შვებით ამოვისუნთქეთ. ჟენიამაც მოგვაჩვენა, რომ დამშვიდდა, თუმცა თვალს არ აშორებდა სენსეის ხელებს. სენსეიმ ჩაასხა ტოლჩაში მინერალური წყალი და ხელისგულით დაფარა. ამ ჟესტებისაგან, ყველა ძალაუნებურად დაიძაბა კვლავ, განძრევის ეშინოდათ, საწინააღმდეგო სიტყვის ამოღებას ვინ გაბედავდა. ასეთი „განმწმენდი“ ქარიშხლის შემდეგ, პირველ რიგში ჩვენს აზრებში, სენსეის რეალური უნარებისადმი ყველა ჩვენი ეჭვი ამასთან დაკავშირებით, თითქოს განქარდაო. ამიტომ ყველანი, სულშეხუთულნი, თვალყურს ადევნებდნენ მომხდარს.

სენსეიმ კი, ჩვეულებრივად, ყურადღება მოიკრიბა რამდენიმე წამით. შემდეგ საბოლოოდ გადატეხა ლელქაშის ტოტი ორად.

ერთი ბოლო ჩადო ტოლჩაში გადატეხის ადგილით. იგივე გააკეთა მეორე ნატეხით. შემდეგ კი შეაერთა ისინი ერთ ტოტად. ჩვენს გასაოცრად ლელქაში აბსოლუტურად გამთლიანდა. რის შემდეგაც სენსეიმ ამოიღო მცირედი მინერალური წყალი იმავე ტოლჩიდან და გაუსვა–გამოუსვა ტოტს მთლიანად. შედეგით კმაყოფილი დარჩა და შემოგვთავაზა, გაგვესინჯა იგი სიიმყარეზე.

საოცარია, ლელქაშისთვის დამახასიათებელი მთელ თავის სიმსუბუქესთან ერთად იგი, ფოლადის მსგავსად, მყარი აღმოჩნდა. ბიჭები დასაწყისში ცდილობდნენ მის ნელა გადამტვრევას, მაგრამ მისი გაღუნვაც კი ვერ შეძლეს. ამან მხოლოდ გაახელა მათი აზარტი. უკვე ყოველი, მთელი ძლით ცდილობდა ლელქაშის დამტვრევას, თუმცა ამაოდ. რა არ მოიმოქმედეს მასთან, ხელებით ეცადნენ დამტვრევას, ფეხებითაც ახტებოდნენ, იქვე დაგდებულ ხის მორს მთელი ძალით ურტყეს იგი. სხვათა შორის ისეთ უცნაურ ხმას გამოსცემდა, გაუგებარია რისი, ან სუპერმყარი პლასტიკის, ან რაღც განსაკუთრებული ლითონის ხმას. ბგოლოს და ბოლოს, სტასმა და ვალოდიამ დაიჭირეს ლელქაშის ბოლოები, როგორც ღერძი. ჟე ნია კი მთელი თვისი გოლიათური ტანით ჩამოეკიდა ამ ტოტს და დაიწყო რაც ძალა და ღონე ჰქონდა ფაართხალი მისი გადამტვრევის იმედით. ესეც ტყუილად გამოდგა. თითქმის ყველამ, ვინც ამ ხელკეტთან გვარიანად იწვალა, დაწყნარდა და თავთავიანთ ადგილებს მიაშურა, მათ საწყალ ლოგიკაზე მორიგჯერ თავს დატეხილი ამ ფაქტით განცვიფრებულნი. მხოლოდ ჟენია, თომა ურწმუნოს მსგავსად, ჯიუტად აგრძელებდა თავის ექსპერიმენტებს ბიჭების ხუმრობის თნხლებით. იგი მიუჯდა კოცონს და მცდელობას არ აკლებდა ამ ლელქაშის მილს.

– დალახვროს ეშმაკმა! – გაბრაზებულმა წარმოთქვა ბიჭმა ამ მოუხელთებელი ჯოხის ყურებით. როგორც კი მან ეს წარმოთქვა, ჯოხი მაშინათვე გაიპო ორ ნაწილად, მასზე რაიმე ძალდატანების გარეშე. ყველა გაშეშდა. ჟენია თვითონაც გაოგნებული დარჩა, უცქერდა ხან ლელქაშის ორ ნატეხს, ხან სენსეის. მაგრამ სენსეის მხოლოდ გაეცინა. მაშინ ყმაწვილი გათამამდა, აიღო ერთერთი ნატეხი და ადვილად გატეხა იგი კიდევ ორ ნაწილად.

–უპს, – უხერხულობისგან წარმოთქვა და კისერი დახარა.

– აი ინებეთ, – განაცხადა სენსეიმ ხმაში ირონიის რტონით, – იმის რეალური მაგალითი, თუ როგორ შეუძლია ერთ კოვზ კუპრს კასრი თაფლის გაფუჭება...ამიტომაც ასწავლიდა აღაპიტი აზრების (ფიქრების), ზრახვების სიწმინდეს, რამეთუ ერთ ცუდ აზრს შეუძლია ყველაფრის გაფუჭება.

დაუფარავი ღიმილით წარმოთქვა სენსეიმ და განაგრძო თხრობა რუსი ბოდხის შესახებ.

– საერთოდ კი აღაპიტი ბევრ სასწაულს ჩადიოდა. სხვათა შორის, ფლობდა იუმორის შესანიშავ გრძნობას. არაიშვიათად აქილიკებდა მათ, რომლებშიც აშკარად დომინირებდნენ ადამიანური მანკიერებები. ერთხელ მოუყვანეს, ერთი ცნობილი ვაჭარი კიევიდან, რომელიც გატანჯა სენმა. ეს ვაჭრი შეპირდა აღაპიტს ყოველივე საუკეთესოს, რაც გააჩნდა მას ფასეულობებიდან, ოღონდაც განეკურნა ავადმყოფობისაგან. ამავდროულად, მუდმივად არყევდა ოქროს მონეტების ორ ქისას, არაფერი მენანებაო. ეს მონეტები კი იმ დროს ფუფუნების დიდი საგანი იყო. ისინი წარმოადგენდნენ ოქორს მონეტებს, რომლის ერთ მხარეს გამოსახული იყო მთავარი ვლადიმერ სვიატოსლავოვიჩი, ხოლო მეორიდან – რიურიკოვიჩების საგვარეული ნიშანი სამკაპის სახით წარწერით: „ვლადიმერი, ეს კი მისი ოქრო“. ეს ოქორს მონეტები იყო ცნობილი ვაჭრის სიამაყის საგნები, ძველრუსული სახელმწიფოს მართვის სადავეებთან მყოფ პირებთან მისი მჭიდრო კავშირების არსებობის დასტური. მხოლოდ გამორჩეულებს თუ შეეძლოთ ამ მონეტების ფლობით ამაყობა. მაგრამ, როცა დაავადება ჯაბნის ადამიანს, ყველაფერი აზრს კარგავს. ვაჭარი მზად იყო გაეცა ისინი, ოღონდაც კი დაებრუნებინა ადრინდელი ჯანმრთელობა.

აღაპიტმა განკურნა ვაჭარი. მაგრამ ეს უკანასკნმელი სიძუნწემ დასძლია. მეორე მხრივ კი, იგი თვითონ დაპირდა ყველას თანდასწრებით, რომ აღაპიტს მოიმადლიერებდა და გადაწყვიტა ვაჭარმა წმინდანის მოტყუება, ჩადო რა ქისებში ოქროს მონეტების ნაცვლად იაფფასიანი ვერცხლის მონეტები. მაშინ ხომ არავის უნახავს, რა იდო მათში. ასეც მოიქცა და ჩადო მასში სინდისის გასაწმენდად ერთი ოქროს მონეტა. გაუხარდა, რომ განკურნებაც შეძლო და საკუთარი ეშმაკობით ამდენი ფასეულობის გადარჩენაც. კვლავ ეწვია აღაპიტს თავისი ამალით ვალის გასასტუმრებლად თავისი დანაპირების შესაბამისად. მის ამაყად გამოწოდებულ ხელებში ქისების დანახვაზე აღაპიტს მხოლოდ გაეცინა და თქვა: „მე არავისგან საფასური არ ამიღია და არც შენგან ავიღებ, მაგრამ საკუთარ სიტყვას შენ აღასრულებ. გადი და დაურიგე მთელი ეს ოქროულობა ღატაკებს“. ვაჭარს კიდევ უფრო მეტად გაუხარდა და წავიდა თავისი ამალითურთ წმინდანის დანაბარების შესასრულებლად. მაგრამ, როცა მან გახსნა ქისები და დაიწყო იქედან ფულის ამოტანა, ყველა მონეტა ოქროსი აღმოჩნდა, ერთის გარდა.

ვაჭარს ნირი წაუხდა, იფიქრა, რომ ალბათ სახლში ქისები აერია. მაგრამ წმინდანის დარიგება შეასრულა. ხოლო როცა სახლში დაბრუნდა, იგი ნამდვილმა საშინელებამ მოიცვა რტადგანაც მთელი მისი სიმდიდრე და ფასეულობა იაფფასიანი ვერცხლის მონეტებად ქცეულიყო და ამ ჯართში მან მხოლოდ ერთი ოქროს მონეტა აღმოაჩინა.

– ჰმ, თურმე ასეთი ქორვაჭრები ჯერ კიდევ იმ დროიდან მოდიან, – ჩაუბასა ვალოდიამ.

– კი, ისინი ყველა დროში საკმარისადაა, – სევდიანი გაღიმებით წარმოთქვა სენსეიმ. – სიძუნწე – ეს ადამიანური ცხოველის გამორჩეულად საყვარელი მანკიერებაა და არა მხოლოდ საერო საზოგადოებაში, არამედ, სამწუხაროდ ბერმონაზვნებს შორისაც. აღაპიტის დროსაც კი მონასტრის საძმოდან ბევრი, სადაც იგი ცხოვრობდა, ოქროს უფრო მეტ თაყვანს სცემდნენ, ვიდრე

ღმერთს და იყენებდნენ თავიანთ ბერმონაზვნის ჩინს უბრალო ხალხისაგან ფულის გამოსატყუებლად...

აღაპიტის, სიცოცხლეში, ბევრ მათგანს ეშინოდა. თუმცა, თვითონ აღაპიტი არასდროს არავის განსჯიდა. მისი გარდაცვალების შემდეგ ფარულმა ოქროს მოყვარულებმა შვებით ამოისუნთქეს, რადგანაც არ დარჩა მათ გვერდით ის, ვინც არ ასვენებდა მათ სინდისს. შედეგად, მონასტრის ცხოვრების აღწერისას მათ დამალეს აღაპიტის ბევრი ჭეშმარიტი ქმედება. საკუთარი მნიშვნელოვნობის ასამაღლებლად მიიწერდნენ მის სასწაულ ქმედებებს. ასევე, მათ მიერ დამალულ იქნა აღაპიტის მიერ იესოს ჭეშმარიტი სიტყვებით გადმოცემული სწავლება, რამეთუ იგი ეწინააღმდეგებოდა და აფერხებდა მათ მისწრაფებას ძალაუფლებისა და მომხვეჭელობისადმი. ხოლო აღაპიტისა და მისი მოწაფეების წყალობით მონასტრის მიერ მოხვეჭილ სახალხო სახელს იყენებდნენ საკუთარი გამდიდრებისათვის, იგონებდნენ რა ქონების მოხვეჭისა და პოლიტიკური მიზნების მიღწევის სულ უფრო ახალ და ახალ საშუალებებს.

საერთო ჯამში კი, სხვისი შრომის მიმთვისებელი ახირებულების სიწმინდე არ აღემატება ბაზარზე ძუნწი მოვაჭრისას. – სენსეიმ ამოიოხრა და წარმოთქვა: – ადამიანები არ იცვლებიან, რა სამოსიც არ უნდა ჩაიცვან...თუმცა, აღაპიტი ყველას შორის, ვისაც ადამიანის გონება მიაწერდა სიწმინდეს, სინამდვილეში გახლდათ ჭეშმარიტად წმინდანი, რამეთუ მასში მკვიდრობდა თვით სული წმინდა.

ჩამოწვა მცირე დუმილი.

– როდის გარდაიცვალა აღაპიტი? – დაინტერესდა ტატიანა.

– 1095 წლის ოქტომბერში.

– ანტონი? – იკითხა ვიქტორმა.

– 1073 წელს...სხვათა შორის ანტპონის გარდაცვალებამდე შედგა მეტად უჩვეულო საუბარი ანტონისა და აღაპიტს შორის, რომლის მოწმე გახდა ანტონის მომვლელი ახალაზრდა მორჩილი. სწორედ მან, ათონზე წასვლის წინ დატოვა იქ, თავის მოგონებებში ჩანაწერი ამ მოვლენის შესახებ. მაშ ასე, როცა აღაპიტი შემოვიდა, ანტონი იმყოფებოდა ნახევრად უგონო მდგომარეობაში და იმეორებდა ერთსა და იმავე ლოცვას, რომელიც მორჩილის ყურამდე ნაწყვეტ–ნაწყვეტ წვდებოდა. აღაპიტმა შეხედა ანტონის, გაიღიმა და დაამატა მის სიტყვებს: „და გევედრები შემი სულის გადარჩენას. დაე იყოს ნება შენი წმინდა...“ ამ სიტყვებზე ანტონი შეკრთა და გააღო თვალები. მისი მზერა აღაპიტთან შეხვედრის შემდეგ გაბრწყინდა და დაიწყო ხმაჩხლეჩილად გამეორება: „გაბრიელ, გაბრიელ!“ და გაუწოდა მას ხელები. მოხუცის ლოყებზე ცრემლი ჩამოედინა. აღპიტი მიუახლოვდა, ხელი მოჰკიდა ხელში, ანტონიმ კი ნეტარებაში წარმოთქვა: „ღმერთო ჩემო, აღაპიტ, ეს შენ ხარ! როგორ ვერ გიცანი ადრე? რა ბრმა ვყოფილვარ შენი სხივების სიბრწყინვალეში?!“ მან დაიწყო სწრაფად ბუტბუტი, თითქოს ეშინოდა ვერ მოესწრო ყველაფრის თქმა, რასაც მისი სული ითხოვდა ამ წუთს. იგი ყვებოდა თავისი სიყმაწვილის, მისთვის ლოცვლის მსწავლელი იმ ბერის შესახებ. იმის შესახებ, რომ მთელი ცხოვრება მას ელოდა, ის კი თურმე გვერდით ყოფილა. ახლა კი, როცა შეხვედრა ვერც კი მოასწრეს, მოელით განშორება. რაზეც აღაპიტმა მიუგო: **„შენ მთელი ცხოვრება აქ, ჩემს გვერდით იყავი. ნუთუ ფიქრობ, რომ იქ დაგშორდები? თუ ამ ცხოვრებაში იყავი ღმერთისადმი ჭეშმარიტ, უწყვეტ სიყვარულში, ვის შეუძლია შენი მოწყვეტა ამ სამოთხისეულისაგან, რაც შექმნილი გაქვს შენი რწმენითა და გულით? არ დაკნინებულა რწმენა**

შენი მიწიერი ცხოვრების დროს, არ მოდრეკილა გონება ხრწნადი ცდუნებების წინაშე, სიკეთისათვის სინდისი სუფთად შეგინახავს. აქამდე მისთვის არაფერი გითხოვია, საკუთარი სულის ხსნის გარდა და ლოცვის სიტყვებს მთელი სულით წარმოთქვამდი. სულის კარები ღმერთისთვის გაგიღია, აწ კი ღმერთმაც გახსნა კარიბჭეები თავისი შენთვის. ახლა კი დატკბი ღმერთის წყალობით, მადლით. ჭეშმარიტად გეუბნები, რომ შენი ცხოვრებით მოიხვეჭე მარადიული სგანძური – ღვთის სასუფეველი, საითკენაც გაგიძღვები მე".

აღაპიტმა და ანტონიმ დახარეს თვალები. სანამ აღპიტი უხმოდ ჩურჩულებდა ლოცვას, ანტონიმ, ნეტარებიანი ღიმილით პირზე, კანასკნელად ჩაისუნთქა და სული მისი სული წმინდის თანხლებით გაემართა სამოთხისაკენ, რამეთუ ამ წუთს თვით მთვარანგელოზი გაბრიელი ლოცულობდა მისი სულისათვის.

სენსეი ჩაფიქრდა, მხრები აიჩეჩა და თქვა:

– თუმცა არ მესმის, რატომ დაანაწილეს მათ მთლიანი მრავალზე...რაც არის არის, – მსუბუქადჩაიქნია სენსეიმ ხელი. – მათ ხომ ამასთან ცხოვრება მოუწევთ. – შემდეგ კი, თითქოს გონს მოეგო თავისი მსჯელობისაგანო, განაგრძო მოყოლა: – მაშ ასე, როცა ანტონი გარდაიცვალა, აღაპიტის დარიგებით სხეული სენაკში დატოვეს. ამასთან, სანამ აღაპიტი ცოცხალი იყო, ანტონის სხეული ცოცხალივით იწვა, მეტიც უჩვეულო სურნელს აფრქვევდა...

ხოლო აღაპიტის გარდაცვალების შემდეგ მოხდა კიდევ უფრო უჩვეულო ამბავი. როგორც გთხარით ადრე, ჯერ კიდევ სიცოცხლეში აღაპიტს ჰყავდა საკმაოდ ადამიანი, რომლებიც შურით უყურებდნენ ხალხში მის პოპულარობას. როცა აღაპიტმა იწინასწარმეტყველა თავისი გარდაცვალების დღე...

– წინასწარ თქვა თავისი გარდაცვალების დღე? – გაოცებულად იკითხა რუსლანმა. – განა ეს შესაძლებელია?

– რა თქმა უნდა, მით უფრო აღაპიტისთვის...აღაპიტი ბოდხისატვა იყო. უწყვეტად რეინკარნაციებში გარდასახული ჩვეულებრივი ადამიანისაგან განსხვავებით, მისთვის სიკვდილი პრობლემა არ იყო. მას, როგორც ბოდხის, ნებისმიერ დროს შეეძლო სხეულიდან გასვლა. მაგრამ ადამიანებს შორის ყოფნის წესების მიხედვით, ბოდხისატვა ვალდებულია სრულად იცხოვროს სხეულში,როგორიც იგი არ უნდა იყოს, მოკლე თუ დღეგრძელი. ხოლო, სხეულში პრანას ამოწურვის გამოანგარიშება მისთვის არც ისე რთული იყო...

– ა–ა–ა, – გაწელა რუსლანმა.

– მაშ ასე, როცა აღაპიტმა იწინასწარმეტყველა საკუთარი გარდაცვალების დღე, ამ დღისათვის სამზადისს შეუდგნენ არა მხოლოდ აღაპიტის მოწაფეები, რომლებიც მისდევდნენ მის უკანასკნელ სულიერ სწავლებებს, არამედ მისი მოძულენიც. მათ გადაწყვიტეს წმინდანის გარდაცვალების შემდეგ გაეტანათ ცხედარი მონასტრიდან და დაემარხათ სადმე მოშორებით, ყრუ ადგილას, რომ არავის და არასდროს მოეძებნა ის ადგილი. მაგრამ, ამ გეგმის განხორციელება უცებ ვერ შეძლეს, რადგანაც სახელი მისი ხალხში დიდი ხნის განმავლობაში არ მიეცა დავიწყებას, რისი საპირისპირო მოლოდინებიც ამოძრავებდა მის მტრებს, მეტიც სახელი მისი მრავალჯერ გაიზარდა. მის სხეულთან დაიწყო მასობრივი მომლოცველობა. გავიდა ოთხი თვე, აღაპიტის სხეული კი უხრწნადი იყო, თითქოს მხოლოდ გუშინ გარდაცვლილიყო. ხალხის ნაკადი არ**

წყდებოდა, ამიტომაც მისდამი სიძულვილისა და შურისაგან დაღრღნილი მოძულეებმა გდაწყვიტეს აღაპიტის სხეულის გატაცება.

ამ მოვლენისადმი ისინი საგულდაგულოდ მოემზადნენ, მოიფიქრეს გეგმა და ჩართეს მის განხორციელებაში სანდო ადამიანები, რომელთაგან ორი ბერმონაზონი იყო. გადამწყვეტ დღეს, ახალი სტილით 24 თებერვალს, ძლიერი ყინვის მიუხედავად, მათი ხალხი მთელი დღის განმავლობაში ანთებდა კოცონს და სამარეს თხრიდა შერჩეულ, ყრუ ადგილას, ღრმა თხრილის სიახლოვეს. და 25 თებერვლის ღამეს მათ, როგორც იქნა, მოახერხეს ჩანაფიქრის განხორციელება. მაგრამ, როცა ამ, ჭეშმარიტად ბარბაროსული ქმედების შემსრულებლები „შავი საქმის“ შესრულების შემდეგ დილისთვის დაბრუნდნენ მონასტერში, იქ მათ დახვდათ დიდი აურზაური. მაგრამ ეს ალიაქოთი იყო არა აღაპიტის გაქრობის გამო, როგორც მათ ეგონათ. თურმე საძმოდან ვიღაცამ აღმოაჩინა...აღაპიტის სხეული, არა მწოლიარე, არამედ უჩვეულო პოზაში მჯდომარე მდგომარეობაში თავის სენაკში. თანაც სხეულის წინ იმყოფებოდა ეტრატის ფურცელი, რომელზეც აღაპიტის ხელწერითა და ახალი მელნით კოხტად იყო შესრულებული გასაოცარი ჩანაწერი.

ისინი, კი ვინც პირადად ამასწინათ მარხავდა წმინდანის სხეულს, ორმაგად შეშინდნენ. ისინი სამნი იყვნენ. ამასთან, ორმა მათგანმა უშუალოდ უმაღლესი ჩინოსნების ბრძანებით იმ ღამით მოიპარა აღაპიტის სხეული, ჩააგდეს იგი სამარეში, დამარხეს და შენიღბეს ის ადგილი. მაშ ასე, სწორედ მათ ამ დროს დაემართათ შემდეგი რამ. ერთი, რომელმაც იხილა მჯდომარე აღაპიტი, ჭკუიდან გადავიდა. მეორემ კი სამუდამოდ დაკარგა ძილი. მთელი თავისი ცხოვრების დარჩენილი ნაწილის განმავლობაში მან ვერ შეძლო დაძინება და გულმოდგინედ ინანიებდა თავის ცოდვას. შემდგომში ეს ბერი გახდა აღაპიტის ყველაზე გულმხურვალე მიმდევარი და მისი სხეულის ყველაზე თავგამოდებული მცველი. მოკვდავებიდან მესამე თანამონაწილემ კი სწრაფად შეატყობინა ამ საზარელი, მზაკვრული ქმედების დამკვეთები. თავის „დამკვეთებთან“ ერთად იგი სასწრაფოდ გაემართა იმ ადგილზე, სადაც დამარხული იყო აღაპიტის სხეული. სამარის გათხრის შემდეგ ისინი დარწმუნდნენ, რომ იქ არავინ იყო. სამარის ირგვლივ არავითარი უცხო ნაკვალევი არ ყოფილა. სხეული უბრალოდ გაქრა სამარიდან და გაუგონარ ვითარებაში აღმოჩნდა ისევ სენაკში. ამ შემთხვევის შემდეგ ვერავინ გაბედა შეხებოდა აღაპიტის სხეულს.

– რა იყო დაწერილი იმ ფურცელზე? – დაინტერესდა კოსტია

სენსეიმ მხოლოდ გამოუცნობად გაიღიმა, არ გასცა პასუხი მის შეკითხვას და წარმოთქვა:

– სხვათა შორის ამ ფურცელს გასაოცარი ძალა ჰქონდა და „ჩამორთმევამდე“ მას ფარულად დიდ ხანს იყენებდნენ. როცა ეტრატს ხატს უკან დებდნენ, იგი იწყებდა მირონდენას და მისგან საოცრად იკურნებოდნენ ადამიანები. ხოლო როცა...

– რატომ იყენებდნენ ფარულად? – გააწყვეტინა სენსეის თავისი შეკითხვით რუსლანმა.

– იმიტომ,რომ უნდოდათ ადამიანებისაგან დაემალათ აღაპიტის მიერ დატოვებული ჩანაწერი.

– ვინ და რის საფუძველზე ამოიღო ეს ფურცელი? – თავის მხრივ დაინტერესდა სტასი.

– ეს ცალკე ისტორიაა და მოცემულ თემას არ ეხება. გეტყვით, რომ ადამიანებისაგან აღაპიტის პერგამენტის ეს დროებითი „ჩამორთმევა“ დაკავშირებული იყო ადამიანური შურისა და უგუნურობის ნიადაგზე მისი საბოლოო დაკარგვის საფრთხესთან დაკავშირებული.

– და მაინც, რა იყო მასზე ასეთი დაწერილი? – შეუპოვრად აგრძელებდა კოსტია გამოკითხვას.

– სიმართლე, – მიუგო სენსეიმ და გააგრძერლა თხრობა აღაპიტის ეტრატის უჩვეულო სულიერი ძალის შესახებ.

ამ დროს, როგორც კოსტია ამბობს, თავში მომივიდა „გენიალური აზრი“. კარგი იქნებოდა, რომ დახატულიყო თვით აღაპიტის პორტრეტი (მით უფრო, რომ ჩემს ბიძას ჰყავს ნაცნობი, რომელიც მონაწილეობდა წმინდანის ნამდვილი სახის აღდგენის პროცედურაში) და მოთავსებულიყო ეს ფურცელი პორტრეტის უკან, თუკი, რა თქმა უნდა, მოხერხდებოდა მისი პოვნა. მაშინ, ალბათ, პორტრეტი მოიპოვებდა გასაოცარ ძალას. შემდეგ გადაგვეცა იგი ლავრაში და ყოფილიყო იგი იქ ყველასათვის ხელმისაწვდომი! რამდენი ადამიანი შეძლებდა განკურნებას, იმედის მოპოვებას, რწმენაში გაძლიერებას! მეც ხომ სულ ცოტა ხნის წინ გამოვიარე შინაგანი მღელვარბის ეს საშინელება, როცა სიცოცხლე ბეწვზე ჰკიდია, ხოლო ადამიანს არ შეუძლია, არც თავის შველა, არც იმის გაცნობიერება, რისთვის ცოცხოლობდა ამ ქვეყანაზე. მე ხომ ყველასი კარგად მესმის, ვინც იტანჯება და სულიერი გადარჩებისათვის ეძებს ცხოვრებაში ჭეშმარიტ ფასეულობებს. ავადმყოფობა აიძულებს ადამიანს დაფიქრდეს სიკვდილის შესახებ, ხოლო სიკვდილი კი – ღმერთზე აფიქრებინებს. ღმერთის ძიება კი შეახვედრებს სხვადასხვა ადამიანთან, ვითარებებთან, რომლებსაც მკვეთრად შეუძლიათ ბედის შეცვლა და სრულიად უცნობი რეალობის ჩვენება.

ამ აზრებმა იმდენად აღმაფრთოვანა, რომ დავიწყე ოცნება, რა კარგი იქნებოდა ამ იდეის ფრთაშესხმა ცხოვრებაში. და თუ აღაპიტის წარმოსახვასთან დაკავშირებით პრობლემები არ იქნებოდა (ბიძაჩემი დამეხმარებოდა), აღპიტის პერგამენტთან დაკავშირებით...სად უნდა ეძებო ამ ქვეყანაზე, თუკი „ჩამორთმეულ“ იქნა ადამიანთა გარემოდან? ამ დროს სენსეი, რომელიც ჩემი მძაფრი მსჯელობების დროს აგრძელებდა თხრობას, უეცრად გაჩერდა და დაჟინებით შემომხედა. შემდეგ კი რაღაც გულთბილად წარმოთქვა:

– **...არაფერია შეუძლებელი მაძიებელი სულისათვის.**

მე ბოლომდე ვერ გავიგე, რა იყო ეს. ან, მისი მზერის მიხედვით, იგი პასუხობდა ჩემს აზრებს, ან ამგვარად დაასრულა თავისი თხრობა, რომელიც მე, ჩემი ბრძნული მსჯელობების გამო გამოვტოვე, სამწუხაროდ. ასეა თუ ისე, ვერ გავბედე ყველას თანდასწრებით მეკითხა მისთვის ამის შესახებ.

მით უფრო, რომ ამ დროს ნიკოლაი ანდრეევიჩი დაინტერესდა:

– ამბობენ, იქ, პეჩორის გამოქვაბულებში რაღაც განსაკუთრებული მიკროკლიმატია, ამიტომაც წმინდანების ნაწილები უხრწნადიაო. ეს რა, იმ ადგილის განსაკუთრებული თვისებაა?

– განსაკუთრებული, – ხაზი გაუსვა გამოუცნობი ინტონაციით სენსეიმ. – მაგრამ ფოკუსი იმაშია, რომ ლავრის გამოქვაბულების ყველა წმინდა ნაწილები უხრწნადი როდია. იქ არის უამრავი ნეშტი, რომლებიც გაიხრწნა, როგორც ჩვეულებრივი გარდაცვლილების სხეულები.

– რა არის „ნეშტი“? – უეცრად გაახმოვანა თავისი დაგვიანებული შეკითხვა რუსლანმა.

– გამოეღვიძა! – ჩაიხითხით ჟენიამ.

ყველას გაგვეცინა, მაგრამ სენსეიმ სრულიად სერიოზულად უპასუხა.

– ძველრუსულ და სლავურ ენებზე „ნეშთი“ ნიშნავდა ძვლებს. მაგრამ ადრე იყო ორი ცნება „ნეშთი“ და „სხეული“. მაგალითად, ზოგი წმინდანის შესახებ ადამიანები ამბობდნენ, რომ „ის განისვენებს ნეშთში“, ხოლო სხვების შესახებ, რომ „ის განისვენებს სხეულში“. ადრე ძველ რუსეთში „უხრწნად ნეშთს“ უწოდებდნენ უბრალოდ დაუშლელ ძვლებს. იყო, ასევე, სხეულის ბუნებრივი მუმიფიკაციის შემთხვევები. ეს უკვე ჩვენს დროში ეკლესია ერთნაირად უწოდებს „ნეშთს“, როგორც წმინდანების ძვლებს, ასევე მუმიფიცირებულ სხეულებს, როგორც ამბობენ განსაკუთრებული აქცენტირების გარეშე.

– რატომ? – რუსლანი გამოკითხვებით დაიქოქა.

– როგორ თუ რატომ? გამოაცხადებენ, მაგალითად სიცოცხლეში რელიგიურ სტრუქტურაში მაღლი თანამდებობის მქონე რომელიღაც მაღალსულიერ პიროვნებას გარდაცვალების შემდეგ წმინდანად. იგი კი, მოდი და გაიხრწნა, მიუხედავად იმისა, რომ დასაფლავდა, მაგალითად ლავრის გამოქვაბულებში, როგორც შენ ამბობ, განსაკუთრებულ მიკროკლიმატში, – აქ მან გაამახვილა ნიკოლაი ანდრეევიჩის ყურადღება. – მაგრამ, ხომ ვერ წაიღებე4ნ თავიანთ სიტყვებს უკან, ხალხს ხომ უკვე აცნობეს წმინდანობის შესახებ. ჰოდა იძულებულნი იყვნენ თავი დაეძვრინათ, როგორაც შეეძლოთ, ასხვაფერებდნენ ზოგ მომენტს ისტორიაში, რათა არ გამოეწვიათ მრევლში მღელვარება. აი მაგალითისათვის, როგორაც ამას ადგილი ჰქონდა თეოდოსეს შემთხვევაში.

– ვინ არის თეოდოსე? – სულ გათამამდა რუსლანი.

– და რა მოხდა? – ჩავერთეთ უკვე ჩვენც.

– თეოდოსი? ეს ყველაზე დიდი ანეკდოტია რუსი წმინდანების დიდებით შემოსვის ისტორიაში. პეჩორელ თეოდოსეს უწოდებენ რუსული ბერობის მამას, – ჩაცინვით წარმოთქვა სენსეიმ. – მას წარმოადგენენ, როგორც ბერმონაზვნური ცხოვრების იდეალს, ხოლო ყველა რუს ბერს მიაკუთვნებენ მის შვილებს. მაგრამ ამ ცრუ დიდებით შემოსვაში არ არის დღევანდელი სულიერი მოძღვრების ბრალი, რამეთუ ისინი ხელმძღვანელობენ მათ განკარგულებაში მოღწეული „ისტორიული დოკუმენტებით“, რომლებიც ხშირ შემთხვევაში არ არის სანდო. არ მაქვს მხედველობაში თვით დოკუმენტების ფაქტი, არამედ მათში არსებული ინფორმაცია. ამ ფალსიფიკაციის ფესვები გაცილებით ღრმად არის ჩაფლული და უკავშირდება სწორედ აღაპიტის ეპოქას.

იმ დროში, აღაპიტის ქმედებების, სასწაულების, განკურნებების შესახებ ხმები ვრცელდებოდა მეტად სწრაფად. ხალხში გავარდნილი ხმა ამტკიცებდა: როგორც გვასწავლიდა აღაპიტი, როგორც ამბოვდა აღაპიტი, როგორც აკეთებდა აღაპიტი. აბა მითხარით, „ფარას“ იმდროინდელ რომელ სულიერ მოძღვარს მოეწონებოდა, რომ რომელიღაც უბრალო ბერს ხალხი უფრო თაყვანს სცემს, ვიდრე მის მაღალსულიერ პერსონას?

ასე რომ, ზოგი მაღალი თანამდებობის პირი, ჯერ კიდევ აღაპიტის ცხოვრების დროს განმსჭვალული იყო მისდამი შურით. თუმცა, რისამე განხორციელება მის წინააღმდეგ, როგორც უკვე ვთქვი, ეშინოდათ, რადგან ჭეშმარიტი წმინდანის მოწამვლის მცდელობაც აღარ გაუვიდათ – აღაპიტი ამის შედეგად არ დაზიანებულა. ასე რომ, მისი ძლიერი პიროვნება, სახალხო სიყვარული, არაჩვეულებრივი ძალა და თავისუფალი აზროვნება, რომელსაც იგი ფლობდა შიშის ზარს სცემდა ხელისუფალთ. არ ჰქონდათ რა აღაპიტის არც ფიზიკურად და არც მორალურად განადგურების

საშუალება, მათ დაიწყეს სხვაგვარად მოქმედება: აღაპიტის საპირისპიროდ გაჰყავდათ თავიანთი კანდიდატი სახალხო აღიარების მოსაღვეჭად და შეძლებისდაგვარად ატარებდნენ მის ოფიციალურ კანონიზაციას. არჩევანი წილად ხვდა იმ დროისთვის უკვე გარდაცვლილ იღუმენ თეოდოსს, რომელიც, სხვათა შორის, არ იყო მონასტრის პირველი წინამძღვარი და არც იდეალურ პიროვნებას წარმოადგენდა წმინდანის კანდიდატისათვის. სამაგიეროდ, მისი სახე ყველაზე ახლოს იდგა სულიერად იმ ოქროს მოყვარულთათვის, ვისაც აღაპიტი უშლიდა ხელს ფულის შოვნაში, ღმერთის სახელს ამოფარებულებს.

ამ ჩანაფიქრის რეალიზაციისათვის სასწრაფოდ დაიწყეს „მემატიანის კრებულების“, „ცხოვრების“ შედგენა. ასე მაგალითად, უკვე 1078–1088 წლებში გაჩნდა ტექსტები „ცხოვრება ღირსი თეოდოსი პეჩორელისა“, რომელშიც თეოდოსის შესახებ რეალურად ცოტა რამ დაიწერა, სამაგიეროდ უამრავ მიწერას ჰქონდა ადგილი. ასე გაჩნდა 1077–1088 წლებში ნიკონ „დიადის“ ჩანაწერები, რაც ბერმონაზვნობის დროს ერქვა ილარიონს, რომელიც თავის დროს, ოქროს მომხვეჭოლობისთვის გადააყენეს მიტროპოლიტის კათედრიდან სოფიის ტაძარში. ისიც ვერ ეგუებოდა აღაპიტის სახელმოხვეჭილობას. მოგვიანებით, 1093 წელს ეს ჩანაწერები შეივსო იღუმენი იოანეს მიერ. ხოლო ამის საფუძველზე უკვე დაიწერა პატერიკონი, ასევე, „ჟამთა აღწერილობა“ 1113 წელს, ანუ აღაპიტის გარდაცვალებიდან 18 წლის შემდეგ. მაგრამ, ეს „ჟამთა აღწერილობაც“ მოგვიანებით არაერთგზის გადაკეთებულა და მასში შეტანილ იქნა ცვლილებები.

ასე მაგალითად, 1116 წელს ვიდუბიჩის მონასტრის იღუმენმა სილვესტრმა, როგორც ამბობენ, საფუძვლიანად გადაამუშავა „მემატიანის“ ტექსტები. სხვათა შორის, სწორედ მან მოახდინა ანდრია პირველწოდებულის ხსენების ინტერპრეტირება. იქ, სადაც დაწერილი იყო, რომ ანდრია პირველწოდებული მოვიდა იმ მიწაში თესლის – ქრისტეს ტვირთის ჩასადებად, სილვესტრმა ამ მასალის გადამუშავების შემდეგ ეს ყოველივე აღწერა თავისი თვალსაზრისით და ტვირთს „ჯვარი“ უწოდა, ხოლო „თესლს“ – რწმენა. რადგანაც, სწორედ მისმა ჩანაწერებმა მოაღწია შთამომავლებამდე, მათი მიხედვით გამოდის, რომ ანდრია პირველწოდებულმა, კიევის მიწაზე ყოფნისას აღმართა ჯვარი გორაზე, დალოცა ეს მიწა–წყალი და იწინასწარმეტყველა, რომ მასზე ბრწყინვალებით ჩამოვა ღვთის მადლია.

– იმ შთამომავლებამდე კი მიაღწია, როგორც ცნობილ საბავშვო თამაშში „ყრუ ტელეფონის“ შესახებ, – გაეცინა ჟენიას. – „თესლის“ ნაცვლად „ტომი“, „ტვირთის“ ნაცვლად – „ჩვენი სიფათები“.

– სწორედაც რომ, – ამოიოხრა სენსეიმ, – მაშ ასე, 1091 წელს, ყველაფერთან ართად გადაწყვიტეს ამოეთხარათ თეოდოსეს ნეშთი და წაეღოთ თაყვანისცემისათვის უსპენსკი (მიძინების) ტაძარში. მაგრამ, როცა გახსნეს თეოდოსის სენაკი შორეულ გამოქმაბულში, სადაც ის იყო დამარხული, აღმოჩნდა, რომ მისი ნეშთი დამპალა. ხოლო მანამდე კი იყო გამოცხადებული ტაძარში თეოდოსეს ნეშთის საზეიმოდ გადატანის შესახებ. ამ კაზუსის დასამალავად დაიწყეს სხვა სამარეების სასწრაფოდ გათხრა. და კვლავ, ვინ მონაწილეობდა ამ ავანტიურაში? მარკოზი, რის გამოც შემდეგ მას დაერქვა სამარეების გამთხრელი, ერთი მაშველი ბერი და ნესტორი, მოგვიანებით ჟამთააღმწერლად წოდებული, რომელიც, სწორედ რომ ვთქვათ, დააყენეს ამ „მხიარული კომპანიის“ სახელმძღვანელოდ. როგორც იქნა, მათ სასიხარულოდ, იპოვეს განდეგილის, აღაპიტის ერთერთი პირველი მოწაფის კარგად შენახული, მუმიფიცირებული სხეული და უკვე მომდევნო დღეს მისი ნეშთი საზეიმოდ გაასაღეს თეოდოსეს ნეშთად. მათ არც კი

იცოდნენ, ვისი იყო ეს ნეშთი. ეს ნეშთი კი უბრალო არ ყოფილა. ადამიანი, რომელსაც ის ოდესღაც ეკუთვნოდა, ჭეშმარიტად ნირვანაში, ან ქრისტიანული ენით თუ ვიტყვით, – სამოთხეში მოხვდა, რამეთუ ჯერ კიდევ სიცოცხლეში მან შეძლო სიკვდილის დამარცხება და რეინკარნაციის წრიდან გასვლა. ამ ბერის სახელი იყო დობროსლავი, ან, როგორც მას მეგობრულად უწოდებდა აღაპიტი და მისი მოწაფეები – დობრინია.

– ეს ნეშთი თუ შემორჩა დღეს ტაძარში?

სენსეის გაეღიმა.

– არა, რა თქმა უნდა. სამართლიანობამ, მაინც იზეიმა. 1240 წელს დობრინია გადაურჩა მასხრად აგდებას. ბათუ ხანის შემოსევის დროს მისი ნეშთი ამოღებულ იქნა მეჟანების მიერ და გადატანილი მისთვის უფრო ღირსეულ ადგილას.

– მეჟანები? ეს ვინღაა? – დაინტერესდა კოსტია.

– მეჟანები – ეს არიან შამბალასთან წვდომის მქონე ადამიანები, რომლებიც ურთიერთობენ უშუალოდ შამბალას ბოდხისატვებთან.

– განდეგილი, ეს ვინ არის? – თავის მხრივ დაინტერესდა ანდრეი.

– განდეგილი – ეს ბერია, რომელიც ნებაყოფლობით სახლდებოდა გამოქვაბულის მცირე სენაკში და იწყობდა იქაურობას იმგვარად, რომ იგი მიწისქვეშა დერეფანს უერთდებოდა მცირე სარკმელით, რისი დანიშნულება იყო უბრალო საკვების გადასაცემი არე. ხშირად, განდეგილი კმაყოფილდებოდა მხოლოდ წყლითა და პურით და ისიც არა ყოველდღე. ბერი იქ ცხოვრობდა და ლოცულობდა გარდაცვალებამდე.

– გაუგონარია! – ამოსკდა კოსტიას. – სრულ სიბნელესა და მარტოობაში?

– ბუნებრივია. ყოველივე მიწიერისაგან განდგომილად.

– რისთვის? – გულწრფელად გაოცდა ახალგაზრდა.

– ეს ნირვანას მიღწევის ერთერთი გზაა.

– არა, მე ამას ვეღარ გავუძლებდი, – უარყოფით გაიქნია თავი ჩვენმა „ფილოსოფოსმა“.

– მე კი გავსინჯავდი, – გამოთქვა აზრი ანდრეიმ.

– ფიქრობ, რომ ეს ასე ადვილია? – წარმოთქვა სენსეიმ. – განდეგილის ტექნიკას რომ ხელი მოჰკიდო, უნდა შეისწავლო, თუნდაც ელემენტარული რამ – საკუთარი აზრების კონტროლი...ადამიანი ხომ არა მხოლოდ გამოიკეტებოდა გამოქვაბულში სრულ სიბნელეში და ღმერთის ლოცვებში. თავდაპირველად იგი სწავლობდა სუნთქვის სპეციალურ ტექნიკას, შემდეგ აზრების გაკონტროლებას, მათი აგატოდემონის, ანუ დადებითი აზრის სტაბილურ მდგომარეობაში გადაყვანას. მხოლოდ ამის შემდეგ გამოიკეტებოდა, თანმიმდევრულად ასრულებდა მთელ რიგ გარკვეულ მედიტაციებს, რომლებსა იგი გამოჰყავდა შესაბამის დონეზე მარტივიდან რთულისაკენ. და საბოლოო ჯამში, ადამიანი გაცნობიერებულად მიემართებოდა ნირვანაში, ღმერთთან, ანუ თავს აღწევდა რეინკარნაციის ჯაჭვს. ეს ყოველივე, ასე მარტივად არ მოჩანს. თუმცა, – სენსეიმ მხრები აიჩეჩა და ჩაფიქრებულმა წარმოთქვა: – სულიერი თვალსაზრისით, ეს მეტად მარტივი და ადვილი გზაა, ზარმაცებისთვის. ყველაზე მარტივია ადამიანთა სამყაროსგან გაცლა და ბერი განდეგილობის გზის არჩევა. სულ სხვა საქმეა, იცხოვრო სამყაროში ადამიანების გვერდით, აკეთო სიკეთე და ასე გაემართო ღმერთისკენ. აი ეს მესმის! რთულია, მაგრამ სინამდვილეში ფასეულია. – და კვლავ დაუბრუნდა საუბრის თემას. –

განდეგილის ტექნიკა კი – ეს მეტად ძველი ტექნიკაა, რომელიც პრაქტიკაში იხმარებოდა უხსოვარი დროიდან. აღაპიტმა გაანდო იგი თავის მოწაფეებს, როგორც საიდუმლო ცოდნა. მაგრამ შემდგომში ეს ტექნიკა დაიკარგა, ვინაიდან იმ უკანასკნელმა, რომელიც მას ჭეშმარიტად ფლობდა, ვერ იპოვა ღირსეული ადამიანი, რომელსაც ენდობოდა ამ ცოდნის გადაცემაში.

ბევრი, ვინც ცდილობდა მიებაძა აღაპიტის მოწაფისათვის, ცდილობდა დამოუკიდებლად განდეგილობას, აბსოლუტურად არ ფლობდნენ რა ცოდნას ამ პრაქტიკის შესახებ. შედეგად, ისინი, ან უბრალოდ ვეღარ უძლებდნენ, ან ჭკუიდან გადადიოდნენ. ეს ბუნებრივიცაა. თუკი ადამიანს არ შეუძლია საკუთარი შიშების, ნეგატიური აზრების დამარცხება, თუკი მასში მუდმივად მიმდინარეობს კაკოდემონის, ანუ უარყოფითი აზრების დომინაცია, გვირაბში გამოკეტილობის დროს ეს ძლიერდება მრავალგზის. მოუმზადებელი ადამიანისათვის განდეგილობის გაძლება პრაქტიკულად შეუძლებელია.

ჩამოწვა მცირე სიჩუმე.

– რაღა გამოდის, ნესტორმა ცოტა მოიტყუა? – იკითხა ვიქტორმა.

– იგი წერდა იმას, რასაც ავალებდნენ მაღალჩინოსანი პირები. ნესტორს დაევალა მოემზადებინა თეოდოსეს „ცხოვრების“ წიგნის მომზადება და კანონიზაცია. მარტივად რომ ვთქვათ, თაყვანისცემის ხატების შექმნა. მაშასადამე, წერაც მის შესახებ შესაბამისად უნდა მომხდარიყო, საკადრის დონეზე. ნესტორმაც დაწერა. ცოტა აიღო თეოდოსეს რეალური ცხოვრებიდან, ხოლო მისი დანარჩენი „წმინდანობა“, პირდაპირი მნიშვნელობით, გადმოიწერა. ავტორი არ ყოფილა რეალური მოვლენების თვითმხილველი. როცა თეოდოსე 1056 წელს მივიდა ანტონისთან გამოქვაბულში, ნესტორი ამ დროს, როგორც იტყვიან, სახვევებში სიმღერებს მღეროდა. სწორედ ამიტომაც დაევალა ნესტორს ამ ნაშრომის წერა, მიუჩინეს მას დამხმარებად თეოდოსეს რამდენიმე მიმდევარი ძველი ბერებიდან, რომლებიც მოესწრნენ მის იღუმენობას, რათა რაც შეიძლება უფრო „მართალი“ გამოსულიყო ისტორია.

– მოდი და დაუჯერე „ისტორიას“ ამის შემდეგ! – გაეცინა ჟენიას.

– აბა რა გინდოდა? ასე მარტივად არ არის არაფერი. მაშინ დასჭირდა ეკლესიას კიევის რუსეთში პირველი, ღირსეული სახის ცხოვრების ისტორია. და გამორჩიეს მათ იღუმენი თეოდოსე „განსაკუთრებული ღვაწლისათვის“. აღაპიტს ხომ არ აირჩევდნენ?! – ღიმილით თქვა სენსეიმ. – ვინ არის საჭირო? იღუმენი. ამიტომაც გაისარჯა ნესტორი. ცოტა აიღო თეოდოსეს რეალური ცხოვრებიდან, რაც ნაწილობრივ მის ბავშვობას, სიყრმესა და სამონასტრო ცხოვრებას ეხებოდა, დანარჩენი კი „მამაოების“ სწავლებით სიტყვასიტყვით გადმოიწერა ზოგი ათონელი და პალესტინელი ბერი – წმინდანების „ცხოვრებიდან“. კიევის რუსეთში, უკვე მაშინ არსებობდა უძველესი პატერიკონებისა და ასკეტურ – სამასწავლებლო ტრაქტატებისა და ასკეტიკური ცხოვრებების თარგმანები. განსაკუთრებით პოპულარული და წაკითხვადი იყო ბერძენი წმინდანების ცხოვრება, როგორებიც იყვნენ წმინდა ანტონი, თეოდორე სტუდიტი, თეოდორე ედესელი, იოანე ოქროპირი. ნაკლებად ცნობილი, მაგრამ სრული კრებულებით იყო VI საუკუნის პალესტინელი წმინდანების „ცხოვრება“, რომელთა შესახებაც წერდა კირილე სკიფოპოლსკი. ეს იყო ცხოვრება დიდი ევფიმისა, სავა წმინდანელის, იოანე მოლჩალნიკის, თეოდოსე კინოვიარხის. მოკლედ, ახალი ხატების შექმნის წინ ამოსარჩევი ნამდვილად იყო. მაგალითად ნესტორს განსაკუთრებულად მოეწონა წმინდა ევფიმისა და საბას ცხოვრება. ამიტომაც ახალი თეოდოსეს

სახე მეტწილად დაემსგავსა საბას სახეს, ამასთან, ტექსტში არის ადგილები სიტყვასიტყვით გადმოწერილი ამ უკანასკნელის ცხოვრებიდან. სულიერი ღვაწლი გადმოიწერა აღმოსავლური ასკეზადან (ასკეტიზმი), დაამატა რამდენიმე ელემენტი წმინდანების ცხოვრებიდან და აი, თქვენს წინაშე წარდგა წმინდა თეოდოსეს, რუსული ბერმონაზვნობის მამის ხატება.

თუმცა, თვითონ თეოდოსე ახლოსაც არ იდგა შექმნილ სახესთან. მას სინამდვილეში ჰქონდა მძიმე ბავშვობა მდიდარ ოჯახში. 13 წლისას გარდაეცვალა მამა. დედა გამუდმებით ძალადობდა მასზე ფიზიკურად. ბიჭის ფსიქიკა – სრულიად შეირყა. ერთი სიტყვით იყო სუსტი, რომელიც ცდილობდა ეამებინა მასზე ძლიერებისათვის. როცა იგი, დედამისისაგან მორიგი გაქცევის შემდეგ ჩამოვიდა ანტონისთან კიევში, ამ უკანასკნელმა მიიღო იგი სულით და გულით და იმედოვნებდა სწორად აღეზარდა. იმ დროისათვის გვირაბში ანტონისთან ერთად უკვე ცხოვრობდა მცირე საძმო, მათ შორის აღაპიტიც, რომელმაც გააფრთხილა ანტონი ამ „ჩუმალა“ ბიჭის შესახებ: „იცოდე, გველს აძლევ თავშესაფარს შენს მკერდზე“. მაგრამ ანტონიმ, ლმობიერების გამო დაიტოვა ბიჭუნა. სხვათა შორის, თეოდოსეს ანტონისთან მისვლის ეს მომენტი და თითქოს ანტონის უარი მისთვის იქ გაჩერებაზე, ნესტორმა თავისებურად გამოხატა, სიტყვა–სიტყვით გადმოიწერა წმინდა საბას ცხოვრებიდან, რასაც სინამდვილესთან არანაირი კავშირი არ ჰქონდა.

თეოდოსე კი, თუმცა საძმოსთან იყო ჩუმალა, მის შიგნით კი დუღდა „მდუღარე ქვაბი“ და არც თუ ისე კეთილი ზრახვების. თეოდოსე გრძნობდა, რომ აღაპიტი მას გამჭოლად ხედავდა და მისი ფარული ზრახვებიც იცოდა, ცდილობდა თავი აერიდებინა ყოველთვის აღაპიტისაგან. ამის შემდეგაც, მთელი ცხოვრება თეოდოსე განიცდიდა შინაგან შიშს აღაპიტისადმი, რამეთუ სჩადიოდა სულიერი ცხოვრებისათვის შეუთავსებელ საქმეებს.

რაც უწინასწარმეტყველა აღაპიტმა ანტონის ამ ბიჭის შესახებ, ის ახდა. შემდეგ, როცა ბერებს შემოუერთდა ვარლაამი – მთავარი იზიასლავის პირველი თავდი, იოანეს ძე, ამ მიზეზით ატყდა დიდი აურზაური ძალაუფლების მესაჭეებთან. სწორედ მაშინ, მთელი საძმოდან მხოლოდ თეოდოსე, თავისი სულიერი სისუსტის მიზეზით გახდა დამბეზღებელი იზიასლავთან. შემდგომში არაერთხელ დაუბეზღებია ანტონი. ბოლოს და ბოლოს, როცა ვარლაამი გახდა პირველი იღუმენი, მივიდა იზიასლავთან გვირაბების ზემოთ მდებარე მიწის სათხოვნელად, ეს უკანასკნელი დათანხმდა მათ გადაცემაზე მხოლოდ ერთი პირობით, რომ მათ საძმოს სათავეში ჩაუდგებოდა მხოლოდ მისთვის სასურველი სულიერი პირი. ვარლაამს არაფერი დარჩენოდა, გარდა იმისა, რომ დათანხმებულიყო. იმავე წელს იზიასლავმა გადაიყვანა ვარლაამი (რომელიც თავის დროზე ანტონიმ საძმოს სახელმძღვანელოდ აირჩია მაშინ, როცა თვითონ გადადგა რიგით ბერად) დიმიტრის სახელობის მონასტერში, ხოლო მის ადგილას გაამწესა „თავისი კაცი“ – თეოდოსე. ხოლო ნეტსორმა ეს ყოველივე წარმოაჩინა, თითქოს თვით საძმოს გადაეწყვიტა თეოდოსეს იღუმენად არჩევა „ბერობის ღვაწლის“ დასაფასებლად.

–ჰმ, „ღვაწლი“, – დამცინავად ჩაიცინა ვალოდიამ. – ჩვენთან, ასეთი ღვაწლისათვის კეფაში ამოადებდნენ კარგად.

– სწორედ ამ მომენტიდან დაიწყო უსიტყვო უთანხმოებები პეჩორის მონასტერში, – განაგრძო სენსეიმ. – აღაპიტის მიმდევრები ესწრაფოდენ სულიერი ცხოვრებისკენ. თეოდოსე და მისი მიმდევრები კი, რომელთა შორის ყველაზე გამორჩეული თეოდოსეს ბერად აღმკვეთი და რომლის მიმართაც თეოდოსეს რთული სიყვარულიც კი გაუჩნდა, ნიკონი იყო, – გაეღიმა სენსეის, –

ცდილობდნენ საკუთარი მდგომარეობის გამოყენებას ქონების მოსახვეჭად. სასურველის მიღწევის შემდეგ თეოდოსემ ისე გაიძლიერა და აღაზევა საკუთარი ძალაუფლება, რომ იზიასლავსაც კი გაუჭირდა მასთან ურთიერთობა.

– მდა–ა, – ჩაფიქრებულმა წარმოთქვა ნიკოლაი ანდრეევიჩმა. – თეოდოსისნაირი ადამიანისათვის ძალაუფლების ჩაბარება – სიკეთის მომტანი ნამდვილად არ არის. მდგრადი დეპრესიული გულდამძიმებულობა მოზარდობის ასაკში ხშირად იწვევს ფსიქიკაში სერიოზულ დარღვევებს, სხვადასხვა ფსიქოპათოლოგიას. ასეთი მოზარდი ცუდად ახდენს თანატოლებთან ადაპტირებას და არაიშვიათად კარგავს რეალობის შეგრძნებას გარემომცველ სამყაროში. ეს კი, თავის მხრივ, იწვევს არასრულფასოვნების, საკუთარი უსუსურობისა და დაქვეითებული თვითშეფასების გრძნობას, შიშების მთელ კომპლექსს. როგორც წესი, ასეთი ადამიანები გულჩაკეტილნი, გაუბედავნი არიან. მაგრამ, როგორც კი მათ ხელში უვარდებათ ადამიანებთან მიმართებაში ძალაუფლების რეალური შანსი, სწორედ აქ იწყებს გამოვლენას მათი ფსიქიკური გადახრების მთელი თაიგული...

ჟენიამ ისმინა ფსიქოთერაპევტის მსჯელობები და შემდეგ ჩაილაპარაკა:

– პირდაპირ, ჩიკატილოს სახე...ისიც ასეთივე თავმდაბალი და ჩუმალა იყო ადამიანების დასანახად.

– შენ მანიაკები საიდან გეგონა ჩნდებოდნენ? – სერიოზულად წარმოთქვა ფსიქოთერაპევტმა. – გაზვიადებული განდიდების მანია ბევრად უარესებსაც აიძულებს ადამიანებს.

– სავსებით გეთანხმები, – დაეთანხმა სენსეი. – თეოდოსე, პირველ რიგში, ემსახურებოდა საკუთარი განდიდების მანიის წყურვილს. სულიერებაში კი იგი სასტიკად ზარმაცი იყო, ლოცვებს მხოლოდ დასანახად კითხულობდა. აღაპიტისა და მისი მოწაფეების სულიერი მუშაობის შემხედვარე, თეოდოსე მოძღვრავდა სხვა ბერებს ღამეები გაეტარებინათ ლოცვებში, თვითონ კი ამ დროს ეძინა, თანაც ისე ტკბილად, რომ დილ–დილაობით მუდმივად საჭირო იყო მისი გაღვიძება. მოგვიანებით კი ეს წარმოადგინეს, როგორც მისი ასტეზის საიდუმლოება. მისნაირების შესახებ იესოს ნათქვამი აქვს: „ბოჭავს მძიმე და მოუხელთებელი ტვირთი, და ტვირთად აწვება ადამიანებს, თვითონ თითის განძრევაც კი არ სურთ“.

აღწერეს თეოდოსე სანაქებო სიტყვებით, როგორც „მწიგნობარი და განსწავლული ადამიანი“. გრამატიკაში მისი ელემენტარული ცოდნის გათვალისწინებით, ეს ხომ საერთოდ ანეკდოტია. სამაგიეროდ ჭკუის სწავლება სხვისთვის ყოველ ნაბიჯზე, თავისი „სულიერი პიროვნების“ აღზევება მას მეტად უყვარდა, ფეხებში რომ ემთხვეოდნენ, ხელები დაეკოცნათ და „წმინდა მამად“ მიემართათ. ეს იყო მისი განუყოფელი შინაგანი თვისება – ხალხის წინაშე თითქმის ღმერთის ტოლ კაცად წარმოჩენა. იესო ხომ ამბობდა: „დედამიწის ზურგზე ნურც მამას უწოდებთ ნურავის, რადგან ერთი მამა გყავთ ცაში“. ამასთან, უყვარდა არა მხოლოდ საკუთარი „ფარასთვის“ ჭკუის სწავლება, არამედ ჩვეულებრივი საერო კაცებისათვისაც და ამგვარად წარმოაჩენდა თავს, როგორც ქრისტიანობის მკაცრ და შეურიგებელ მომხრედ, შთააგონებდა მათ, რომ „ის, ვინც აქებდა სხვის რწმენას, ერესთან ახლოს დგას“. ამავდროულად, ხშირად იმეორებდა აღაპიტის სიტყვებს: „ღმერთი ერთია და ერთია მისი რწმენა!“ მაგრამ, თუ აღაპიტი უყვებოდა მოწაფეებს ყველა ადამიანური არსებისათვის დამახასიათებელი, ღმერთისადმი ერთი შინაგანი

რწმენის არსებობის შესახებ, რომელიც მთელი არსებით მიილტვის მისკენ, რასაც, სწორედ რომ ვთქვათ, ასწავლიდა იესო, თეოდოსე უკუღმა ატრიალებდა ამ სიტყვებს რელიგიისა და თავისი ცხოველური საწყისის პოზიციიდან და „ქადაგებდა“, რომ მხოლოდ ჩემი რწმენაა ჭეშმარიტი, ხოლო სხვა დანარჩენი კი უღირსი. განსაკუთრებით უყვარდა მდიდრების „დამოძღვრა“, როცა ხშირად იმყოფებოდა მათთან სუფრასთან ან სტუმრად. მან საერთოდ აიკვიატა, რომ მისი ვალი იყო – მთავრებისთვის ჭკუის სწავლება, მათ კი უნერგავდა, რომ ესმინათ მისი მოძღვრებისთვის. ანუ უყვარდა ძალაუფლების ქონა ძალაუფლებისვე საჭეთმყრობელებზე. ასეთი „ფარისეველი“ ადამიანების შესახებ ნახსენებია სახარებაშიაც, რომლის კანონების გამოცხადებას ცდილობდა თეოდოსე: „ყველაფერს სხვების დასანახავად აკეთებენ. იფართოებენ ფილაქტერიონებს და იგრძელებენ ტანსაცმლის ფოჩებს“. „უყვართ საპატიო ადგილები ვახშმებზე და წინა ადგილები სინაგოგებში“; „მოედნებზე რომ ესალმებიან და ხალხი რომ მასწავლებელს უწოდებს“. მაგრამ იქვე ნათქვამია: „თქვენ კი ნუ გიწოდებენ მასწავლებელს, რადგან ერთია თქვენი მოძღვარი – ქრისტე, ხოლო თქვენ ყველანი ძმები ხართ“; „ნურც წინამძღოლს გიწოდებენ, რადგან ერთი გყავთ წინამძღოლი — ქრისტე“...

და ამ დროს ტატიანამ, რომელსაც ყველაზე მეტად შეეხო სიტყვები ერთი ერთი რწმენის შესახებ, წარმოთქვა:

– რაღაც ვერ ვამჩნევ სხვაობას აღაპიტისა და თეოდოსეს სიტყვებს შორის რწმენის შესახებ. მგონი თეოდესე მართალი იყო. როგორც ამბობდა ბებიაჩემი, უნდა ირწმუნო მხოლოდ ქრისტიანობა, რამეთუ ეს არის ღმერთისკენ მიმავალი ერთიანი რწმენა.

– აი ხომ ხედავ, ბებიაშენს ასე მიაჩნია იმიტომ, რომ იგი დაიბადა და გაიზარდა ქრისტიანულ გარემოში. ხოლო ახლო აღმოსავლეთში მცხოვრები ვიღაცის ბებია თავის შვილიშვილს მოუყვება, რომ ერთადერთი მართალი რწმნენაა – მუსულმანობა. ჩინელი ბებია კი არწმუნებდეს იქნება, რომ ეს ბუდიზმია და ა.შ. მაგრამ, ყოველივე ეს გარე პირობითობაა, რომელიც საბოლოო ჯამში, დადებით ტალღაზე, ანუ აღატოდემონის დომინაციზე (და არა კაკოდემონის აგრესიული ფანატიზმის მხარდაჭერაზე) ადამიანის სრული გადასვლის შემთხვევაში იწვევს ერთსა და იმავე შინაგან შედეგს. ხშირ შემთხვევაში ადამიანი ვერც კი ერკვევა მასში მიმდინარე პროცესებში. იგი მხოლოდ იწყებს იმის გააზრებას, თუ რა არის ღმერთის ჭეშმარიტი რწმენა, ძალების არაჩვეულებრივი სულიერი მოზღვავების შეგრძნებას. ანუ, ყველა, ვისაც კი ჭეშმარიტად სწამს ღმერთის, როგორაც არ უნდა უწოდებდნენ მას, საბოლოო ჯამში მიდიან ერთსა და იმავე კარებთან და გადააბიჯებენ ერთსა და იმავე ზღურბლს. ნათქვამია, რომ მრავალი გზა მიდის ღმერთისაკენ, ხოლო მთავარი კარები ვიწროა.

– არა, მე, მაგალითისთვის ასე მესმის ყველაფერი, – დაიწყო განსჯა კოსტიამ. – მაგრამ, თუ გულწრფელად გამოგიტყდებით, საბოლოო ჯამში, ყოველივე ამის დაჯერება მიჭირს...თუნდაც, მოვიყვანოთ იგივე აღაპიტი, რომ მასში დამკვიდრებული იყო სული წმინდა. საერთოდ, როგორ გამოიყურება იგი, ის სული წმინდა? და ნუთუ, ეს ასე მნიშვნელოვანი იყო კიევის რუსეთისთვის? დღემდე რატომ არ მსმენია ამის შესახებ არსად და არც წამიკითხავს? რატომ მოაღწია ჩვენამდე სწორედ იმ ისტორიებმა, რომლებიც, როგორც თქვენ ამბობთ, მეტწილად შეცვლილია? მაშინ საერთოდ, ვისი დაიჯერება? და თუ ღმერთი არის, რატომ უშვებს ის, რომ წმინდანებს აბუჩად, მასხრად იგდებდნენ, ქრისტე ჯვარს აცვეს, აღაპიტის შესახებ სიმართლეს მალავდნენ...

სენსეიმ, დაღლილმა ამოისუნთქა და მშვიდად გასცა პასუხი:

– ნუ შეეცდები ღმერთის საქმეებში ჩაწვდომას, რომელთ უმეტესობა ადამიანებისაგან დაფარულია. ეს იგივე იქნება, რომ ჭიანჭველამ სპილოს გადაყლაპვა დააპიროს. ადამიანის ტვინი მეტად შეზღუდულია. ადამიანი ვერ აღიქვამს ელემენტარულს: როგორ ახერხებს მოსმენას, როგორ ახერხებს ხედვას, როგორ ახერხებს ფიქრს, როგორ ცხოვრობს და ვინ არის იგი სინამდვილეში. მან არც კი იცის რა არის სიკვდილი, საქმის არსიდან გამომდინარე. არაფერს ვამბობ იმაზე, რომ მას ვერ შესწევს უნარი თავისი შეზღუდული გონებით გააცნობიეროს, რა არის სამყაროს უსასრულობა. ერთადერთი, რაც ძალუძს ადამიანს – ან იწამოს ან არ იწამოს.

– არა, ეს როგორ, ან გწამდეს ან არ გწამდეს? – შეეპასუხა კოსტია, კამათში გართული. – ნებისმიერი რწმენისათვის აუცილებელია მტკიცებულებები, მათ შორის ღმერთის რწმენისათვის!

– მტკიცებულებებიო ამბობ?! – სენსეის ხმა თითქოს შეიცვალა. – მიდი სარკესთან და ყურადღებით შეხედე საკუთარ თავს. და თუ გჯერა, რომ წარმოადგენ, საბოლოო ჯამში, მაიმუნის მუტაციის გამომწვევი, ამინომჟავების შემთხვევით შეერთებას, რის შედეგადაც იგი გახდა გონიერი, მაშინ რად გინდა საერთოდ ღმერთის ძიება? წადი ბაზარზე, იყიდე ბანანი და დატკბი ცხოვრებით! მაგრამ, თუ ამას არ ეთანხმები და გჯერა, რომ შენ ღმერთის საოცარი ქმნილება ხარ, როგორ შეგიძლია მოითხოვო ღმერთისგან მისი არსებობის მტკიცებულებები?! ვინ ხარ შენ და ვინ არის ღმერთი?

სენსეი ლაპარაკობდა ხმასა და მზერაში ისეთი ძალით, რომ კოსტია უნებურად გაშტერდა, ერთიანად მოიკუკა, სწრაფად დახარა თვალები. ეტყობოდა, რომ ამ მომენტში მზად იყო ქვესკნელში ჩავარდნილიყო. წარმოიქმნა მოკლე პაუზა.

– მდა–ა, – დაარღვია სიჩუმე ნიკოლაი ანდრეევიჩმა. – გამოდის, რომ თეოდოსე ემსახურებოდა კეისარს, აღაპიტი კი ღმერთს.

– სრულიად მართალი ხარ, – უპასუხა სენსეიმ მისი ჩვეული, გასწორებული ხმით. – აი იმ დროიდან დაიწყო ლავრაში დაყოფა. ბერების ერთმა ნაწილმა ჩაიდინა ჭეშმარიტი სულიერი გმირობანი, მათ შორის საკუთარი თავის განდებილობა გამოკეტვით, მეორენი კი ამ დროს ტკბებოდნენ თვითნებობით, თავგასულობით, ეგოიზმითა და ოქროს მომხვეჭელობით, ძარცვავდნენ რა საერო ხალხს და ფულს იმით შოულობდნენ, რომ უჩვენებდნენ მათ ღმერთისკენ მიმავალი ჭეშმარიტი ბერების სულირი თავდადების ადგილებს...ერთი სიტყვით, ყველაფერი ისე იყო, როგორც ადამიანებში: შებილწეს ასეთი წმინდა ადგილები თავიანთი სიხარბით, ყველაფერი თავდაყირა დააყენეს, სიბნელით მოცვეს. არადა, ყველაფერი სხვაგვარად შეიძლებოდა ყოფილიყო. აქ ხომ სავანე დაიდო თვით წმინდა სულმა. ეჰ, ადამიანო, ადამიანებო...

სენსეი ცოტა ხნით გაჩერდა, შემდეგ კი ჩაფიქრებულმა წარმოთქვა:

– ასე რომ აღაპიტმა დიდი გავლენა იქონია კიევის რუსეთზე და არა მხოლოდ მასზე...მიუხედავად იმისა, რომ ამ ზეგავლენას მხოლოდ ირიბი ხასიათი ჰქონდა, მან შეცვალა მომავალი სამყარო. თუმცა ეს, საერთო ჯამში, არ შედიოდა აღაპიტის, როგორც ბოდხისატვის მაშინდელ ამოცანაში, არამედ იყო თვით აღაპიტის პირადი ინიციატივა. ერთი სიტყვით, ბოდხი ბოდხად რჩება.

აღაპიტმა საძირკველი ჩაუყარა სულიერ სავანეს, სადაც მთელი მისი არსებობის განმავლობაში არავინ და არასდროს არ ითვლიდა, რამდენი ადამიანი განიკურნა სასიკვდილო

სენისაგან და მადლობა ღმერთს, დღემე აგრძელებენ გამოჯანსაღებას. მაგრამ ეს არ არის მთავარი არსი. მთავარი ის არის, რომ ბევრმა შეიძინა იქ სულიერი ჯანმრთელობა, რაც ფიზიკურზე ბევრად აღმატებულია. ფუნდამენტალური ინტერესებიდან გამომდინარე, აღაპიტის, მისი ნეშთის, რომელშიც შენახულია სული წმინდის მაცოცხლებელი ძალა წყალობით, კიევისა და პეჩორის მონასტერმა სახელი გაითქვა საუკუნოდ.

დღევანდელი დღე რომ ავიღოთ, სხვადასხვა რელიგიის წარმომადგენელი და ისინიც კი ვინც თავს „ათეისტებს“ მიაკუთვნებს, სხვადასხვა ქვეყნის ბევრი ადამიანი მოდიოდნენ პეჩორის გამოქვაბულების სანახავად, სადაც დასვენეულია წმინდანების ნეშთი, ყველაზე დიდ ხანს ჩერდებიან აღაპიტის ნეშთთან. რატომ? რადგანაც ადამიანი ინტუიციურად გრძნობს ჭეშმარიტ სიწმინდეს, სულის მოტყუება სად გაგონილა. მაგრამ, ადამიანებს რომ ცოდნოდათ, რომ აქვთ შესაძლებლობა არა მხოლოდ ითხოვონ სხეულის განკურნება, რაც ბევრად მნიშვნელოვანია, არამედ სულის გადარჩენაც, განსაკუთრებით აღაპიტის ნეშთში სული წმინდის ჩამოსვლის დღეებში, რომლებიც ყოველწლიურად იწყება 25 თებერვლიდან და გრძელდება მთელი ერთი კვირის განმავლობაში, მათი სულებისათვის შეუდარებელი მადლი იქნებოდა. **რამეთუ არ მოიპოვება იმ დღეს დედამიწის ზურგზე უფრო წმინდა ადგილი, სადაც აღმსარებლობის მიუხედავად ნებისმიერ ადამიანს შეუძლია ასე ახლოს იდგეს თავისი თხოვნით ღმერთის სმენის წინაშე. და ეს შანსი ეძლევა ყველა ადამიანს, რომლის გამოყენება მას შეუძლია წელიწადში შვიდი დღის განმავლობაში. შემდეგი წელი მისთვის ხომ, შესაძლოა, ვერც კი დადგეს, რამეთუ ხანმოკლეა დღენი ადამიანისანი დროების გზაჯვარედინზე. რამეთუ სამწუხაროა საქმენი მათნი ღმერთის ხატების წინაშე. ადამიანის თითოეული წამი სასწორის თეფშზე დევს. და არც არის სულებისათვის უფრო მნიშვნელოვანი საქმე, ვიდრე ხსნის პოვნა. არა გარეგან რწმენაში, არამედ შინაგან რწმენაშია კარების გასაღები. მხოლოდ ბრმა, მიწიერით დაბრმავებული ვერ დაინახავს მას**.

ადამიანს შეუძლია ღმერთს მისცეს მხოლოდ თავისი რწმენა და გულწრფელი ლოცვა. ამაზე მეტის, არაფრის მიცემა შეუძლია. რამეთუ ყოველივე, რაც გარს აკრავს მას, არის ღმერთის ქმნილება და არ ივარგებს შემქმნელს საჩუქრად მისივე ქმნილება გადასცე. ღმერთს ხომ ადამიანისაგან სიყვარულისა და რწმენის მეტი არაფერი უნდა! რა შეუძლია პატარა ბავშვს მისცეს თავის მშობელს გულის გასახარებლად? მხოლოდ სიყვარული და პატივისცემა.

სენსეი დადუმდა და დააშტერდა კოცონს. შემდეგ კი ჩაფიქრებულმა წარმოთქვა. თითქოს, ერთდროულად მიმართავდა ყველას და ამავე დროს თითოეულს ცალკე.

– სანამ ცოცხალი ხარ ადამიანო, გაქვს შანსი ღმერთის სიყვარულში საკუთარი სულისთვის მარადისობა ითხოვო მისგან. და სანამ გაქვს ეს შანსი, წადი აღაპიტთან წმინდა კვირას და სული წმინდის წინაშე ილოცე მხოლოდ შენი სულისათვის. რამეთუ სხეული შენი მიწიერი, წარმავალია. ყველა მიწიერი საზრუნავი და დარდი – ვარამი, ამაოებაა. მაგრამ გახსოვდეს, ადამიანო, რასაც დაპირდები ღმერთს პატიების სანაცვლოდ – შეასრულე. რამეთუ ის, როგორც ყველა მშობელი, ვერ იტანს სიცრუეს, პატიობს, მაგრამ შემდეგ ნდობა ეკარგება...

მოსწყვიტა თავისი მზერა მბჟუტავ კოცონს და ყურადღებით შეგვხედა. თვალები მისი ანათებდნენ რაღაც არაჩვეულებრივი სისუფთავითა და ძალით. აქ კი წარმოთქვა:

– გაბედე ადამიანო, ჭეშმარიტად გეუბნები, როგორც ვერ გაექცევი სიკვდილს, ისე ვერ ასცდები ღმერთის სამსჯავროს.

სიჩუმე ჩამოწვა, რომლის დარღვევას ვერავინ ბედავდა. თენდებოდა უკვე. სადღაც ჩიტმა მელოდიური სიმღერა გააბა. სენსეიმ გაიხედა ზღვისკენ, მძიმედ ამოიოხრა და დაღლილად წარმოთქვა:

– კარგით, ბიჭებო და გოგონებო, დაგღალეთ ჩემი მოთხრობებით. თქვენ უკვე დიდი ხნის წინ უნდა დაგესვენათ...ყველა დაიშალა დასაძინებლად. ზღვის ნაპირზე დარჩა მხოლოდ სენსეი და იჯდა უკვე ქრობად კოცონთან. მისი ჩაფიქრებული მზერა მიმართული იყო აღმოსავლეთისკენ, სადაც სინათლის პირველი სხივები მზეს უკაფავდნენ გზას და სწრაფად არღვევდნენ ღამის წყვდიადს.

სენსეის გამონათქვამები

1. თუ იქნები მიმტევებელი ბოროტების მიმართ, ვერც კი შენიშნავ, როგორ გახდები გულგრილი სიკეთის მიმართ. თუმცა, ბოროტების დასჯისას, დროზე უნდა შეძლო გაჩერება. მხოლოდ ასე შეგიძლია აიცილო თავიდან შენს შიგნით ჩამალული საშიშროება. გამარჯვებული არ ამაყობს, არ ძალადობს, არ ზეიმობს. იგი იმარჯვებს...და უპირველეს ყოვლისა საკუთარ თავზე. ასე რომ, ბოროტრების დასჯისას, უნდა გახსოვდეს სიკეთის შესახებ.

2. ადამიანებს სურთ ღირსეულად გამოიყურებოდნენ არა ღმერთის, არა საკუთარი სინდისის, არამედ სხვა ადამიანების წინაშე. ამ ბოროტების მთელი მიზეზი იმალება ადამიანის სურვილში. ადამიანი ხომ მხოლოდ იმას აფასებს, რაც სურს, რომ იხილოს თავისთვის ღირებულად. ხოლო ის, რისი დანახვაც მას ფასეულად არ სურს, არავითარ ღირებულებას არ წარმოადგენს მისთვის. შური, სიძულვილი, გაბოროტება წარმოიშობა არა გარე სტიმულებიდან, არამედ თავმოყვარეობის შინაგანი ფესვებიდან.

3. მთელი სამყარო მუშაობს იმაზე, რომ გამოიწვიოს ადამიანში რაიმეს შეძენის რაც შეიძლება მეტი სურვილი, რაც თითქოს მას აკლია სრული ბედნიერებისათვის. მთელი სამყარო ვაჭრობს ილუზიებით, იგი ნაქსოვია სიცრუისაგან და ძაფები მისი მიმაგრებულია შურის გრძნობაზე. ადამიანები თვითონ წარმოშობენ ილუზიებს, ასაზრდოებენ მას თავიანთი აზრების უწმინდურობით, თვითონ ცხოვრობენ ამ ილუზიებში და აღიქვამენ მას ნამდვილ რეალობად.

4. რა ძალაუფლებასაც არ უნდა ფლობდეს ადამიანი დედამიწაზე, ის ვერასოდეს მიიღებს მისგან კმაყოფილების გრძნობას, ვინაიდან მაინც რჩება საკუთარი სურვილების მონად. ხოლო ჭეშმარიტი ძალაუფლება არის ძალაუფლება საკუთარ თავზე.

5. უგუნურობაა თევზის მიცემა მშიერისთვის, რამეთუ იგი შეიჭმება და შიმშილის გრძნობა კვლავ მოვა. ბევრად ბრძნულია მისცე მას სათევზაო მოწყობილობა და ასწავლო სარგებლობა.

6. სანამ სულში სიყვარული ბუდობს – განშორება შეუძლებელია. მთავარი ხომ იცი, რომ შენ გიყვარს ის ადამიანი. როგორ შეგიძლია მისი დაკარგვა, თუკი ის სინამდვილეში ძვირფასია შენი სულისთვის, თუკი მისდამი ხსოვნა და სიყვარული აგრძელებს არსებობას თავად შენში...

7. ადამიანი – დროებითი მოვლენაა. სიკვდილი წერტილს უსვამს სიბერესა და ტანჯვას და ათავისუფლებს ყოფიერების ტვირთისაგან. მოყვარული სულებისათვის ეს ჯილდოა. მთავარი ის არის, რომ ჩვენ არ ვხდებით სხვანი მხოლოდ იმიტომ, რომ ვკვდებით...

8. ყოველი ადამიანი, არსობრივად არ ცხოვრობს თავისი ნამდვილი ცხოვრებით. იგი ირჩევს მისთვის მოწონებულ სახეს და თამაშობს როლს, თანაც, როგორც წესი, რამდენიმეს. და იმდენად შეესისხლხორცება მას, რომ ფიქრობს, ეს ყოფილა მისი ნამდვილი ცხოვრება. ნებისმიერი არტისტის მსგავსად, ადამიანი რჩება უკმაყოფილო თავისი როლით და ოცნებობს სხვა როლის შესახებ, სადაც საკუთარ თავს უფრო მნიშვნელოვანს ხედავს. რასაც არ უნდა მიაღწიოს ადამიანმა, მას ეჩვენება, რომ თავისი ცხოვრების მთავარი როლი ჯერ არ უთამაშია. და ყოველთვის იმყოფება ოცნებებში, იმშვიდებს თავს ამ ზღაპრებით.

9. განა უფრო ადვილი არ იქნება, ოცნებებისთვის თავის დანებება და ცხოვრებაში ადამიანისათვის ღირსეული როლის არჩევა? და ის იყავ, ვინც ნამდვილად უნდა იყო. რათა ჩაძინებისას მშვიდად იყო, რომ სუფთაა შენი სინდისი. რომ სიკვდილის წინ არ შეგრცხვეს შენი აზრებისა და ქმედებებისთვის. რომ თვით ღმერთის წინაშე წარდგომის დროს, როგორც ამბობენ ქრისტიანები, ღმერთის სასამართლოზე სათქმელიც გქონდეს. რომ სასიკეთო საქმეების შენი გოდორი სავსე იყოს, ხოლო ცუდისა კი – ცარიელი. აი რას ნიშნავს იყო ადამიანი. რამეთუ სიცოცხლე მეტად ხანმოკლეა და იმისათვის ეძლევა ადამიანს, რათა დაუმტკიცოს ღმერთს, რომ იმსახურებს ადამიანის სახელის ტარებას...

10. იქეც საკუთარ თავად, საკუთარ არსობად. სიკვდილი და სიცოცხლე, როგორც ერთიანი ნაკადია. ნაკადში არსობა მოძრაობს. მოძრაობაში იძენს მარადიულს. არავის შეუძლია ბოლომდე შეაფასოს მძვინვარე ნაკადი, თუ არ შევიდა მის წყლებში, რამეთუ ეს არის მომავალი. არავინ შეძლებს ერთსა და იმავე წყალში ორჯერ შესვლას, რამეთუ ეს წარსულია. არსებობს მხოლოდ ნაკადის მოძრაობა, რამეთუ ეს არის აწმყო. ყველა წყალი ადრე თუ გვიან აღწევს თავის საწყისს და იქცევა წყაროდ და იბრუნებს პირველყოფილ სიწმინდეს.

11. სამოსი ეს შექმნისა და ნგრევის მხოლოდ ერთიანი პროცესის ნაწილია. იმაზე მეტი უგუნურობა არ არსებობს, ვიდრე საკუთარი სამოსის ახირებების ამება. რადგან ის, რაც მისი არსია, გამწყვდევს თავის ვიწრო საზღვრებში, გაშორებს სამყაროს და გაფლობს ამ გაუცხოებით გამოწვეულ ეჭვებსა და შიშებში. იგი გაიძულებს არსებობას მისი ფორმებისა და გარეგანი ილუზიებისათვის, რომლებიც სახეს ქმნიან მისას სხვებისათვის და გითრევს ამით შენ მისდამი უფრო მეტ მზრუნველობაში. ყველა ფორმას ხომ გააჩნია თავისი წესები. წესები – კი მხოლოდ და მხოლოდ კონტრასტების ერთობლიობაა.

შენს სამოსს გააჩნია საზღვარი. იგი იცვითება. შენ თავისუფალი ხარ მის ტარება–არტარებაში. მაგრამ ერთის გაცვეთის შემდეგ, შენ სხვას იცვამ. თუმცა, ზღვარის დაურღვევლად, უსაზღვროს გამოკიდება დამღუპველია.

12. უაზრობაა მკვდარი, გამხმარი ეკლის ბუჩქის კვალად სიარული, რამეთუ იგი არ ფლობდა სიცოცხლეს. ის მკვდარია, რომელსაც არაფრით შეუძლია თავის გამოჩენა, თავისი ეკლების გარდა. მკვდარი მკვდარს იცავს. მკვდარი არ გაცოცხლდება იმის გამო, რომ არსებობს სიცოცხლე, ხოლო ცოცხალი არ იქცევა მკვდრად იმის გამო, რომ არსებობს სიკვდილი. სიცოცხლეც და სიკვდილიც რაღაცაზე დამოკიდებულია, არის რაღაც, რაც მათ აერთიანებს.

13. უგუნურობაა შეაქო ის, ვინც შენში მხოლოდ მომავალ საკვებს ხედავს. შენ მოიხიბლე ფრინველის ფრენის სიმაღლით, ამიტომაც გაჰყევი მას და ფიქრობდი საკუთარ ანგარებაზე. მაგრამ ფრინველის მისწრაფება ფრენისას სხვა აღმოჩნდა. თუმცა უდაბნოს თავზე მაღლა დაფრინავს, მაგრამ იკვებება იგი მისი მსხვერპლით. ფრინველი კი, რომელიც მძორით იკვებება, არ ზარალდება თავისი „კერძების“ შეცვლით. რამეთუ არსობა მისი მძორია. შენ საკუთარი თავი მოიტყუე. შენ დაინახე რეალობა და გაგიქრა ილუზიები. თუმცა შენი რეალობაც ილუზიაა. დიდი ფრინველი მხოლოდ აჩრდილი იყო საგნების არსობის წინაშე. საგნებს კი გააჩნია უფორმობაში გაჩენისა და სულმდაბლობაში დაბრუნების თვისება.

14. მას, ვინც გარეგნულს ენდობა, შეუძლია მხოლოდ ვარაუდი. ვინც შინაგანს – საიმედო ცოდნას ფლობს. სხეული ხრწნადია. მისი არსი კი მტვერი. შენ ხომ შეგეძლო მარადისობის სიბრძნის შეძენა. ამისთვის საკმარისი იყო ნაბიჯის გადადგმა. მაგრამ ლპობის დამღუპველობის შიში უფრო მძლავრი აღმოჩნდა. ლპობა გაქრა. შენ კი სევდამ მოგიცვა, რამეთუ სული ყოველთვის მიილტვის მარადისობისკენ. მარადისობის სიბრძნის ჩაწვდომა შეუძლებელია ლპობის ძალაუფლების პირობებში, რამეთუ მარადისობის სიბრძნე ასე უგუნურებად იქცევა. შიშისგან გაქცევა – არ ნიშნავს გადარჩენას. შიშის მოკვლა შენში ნიშნავს უმწიკვლობის მოპოვებას. უმწიკვლობა კი იძლევა მიჯნაზე ფეხის დადგმის შესაძლებლობას, რადგანაც მხოლოდ მიჯნაზე აცნობიერებ სიბრძნის წყაროს.

15. მოჩვენება, რომელიც სიბრძნეს ჰგავს, მხოლოდ გეჩვენება სიბრძნედ. ფუჭი ამაოება შფოთის დასაწყისია. ვისაც სხვების წინაშე სატრაბახოდ სურს ბრძნად მოაჩვენოს თავი, სევდიანად ბორგავს მარტოობაში და ოცნებობს დიდებაზე. მაგრამ არსი მისი სიცარიელეა საკუთარი გარსის ქვეშ. როცა ცოდნა მოდის არცოდნიდან, მაშინ შეკითხვებს ბოლო არ უჩანს.

16. ცა და მზე ცვლილებებს აღავლენენ. მათ შეუძლიათ გარდაქმნები, რათა ყოველივე ცოცხალი თავის ბუნებას გაუყვეს. ცა და მზე ამრავლებენ აღვსებულს და ანდგურებენ ცარიელს. უდაბნო მოძრაობას სიმშვიდეში ახორციელებს. იგი მკვდარია, მაგრამ ძალუძს მირაჟების გაჩენა, რათა ცოცხალი მოატყუოს თავისი ილუზიებით. უდაბნო ანადგურებს სავსეს და აღავსებს ცარიელს. ქვიშის მარცვლები კი, თავის მასაში, მიყვება ქვიშის მოძრაობას, ამიტომაც სტიქიები განსაზღვრავს მათ მიმართულებას.

17. შენ მოხვედი იქ, სადაც დაბადებიდანვე გეწერა მოსვლა. გაიზარდე იმაში, რაც შენს ბუნებას აწყობდა. სიმწიფეს მიაღწიე იმაში, რაც შენი ბედი გახდა. და იქით წახვალ, საითაც სიკვდილის ძალით გაწერია წასვლა. სიკვდილი, მხოლოდ სიცოცხლის დასაწყისია. სიცოცხლე,

სიკვდილისთვის მხოლოდ მემკვიდრეა. სიცოცხლის მოსვლის უარყოფა შეუძლებელია და არც მისი წასვლის შეჩერებაა შესაძლებელი.

18. სხვისი კვალი საკუთარს არ ჰგავს. კვალი ჩნდება იქ, სადაც ტოვებენ. თუმცა, თვითონ ისინი არ წარმოადგენს იმათ, ვინც მათ ტოვებს. სხვის კვალზე სვლით, მისდევ გარეგან წარმოსახვებს და არ იცი მათი შინაგანი არსი. მაგრამ, ყოველი იკვალავს იმ გზას, რომელიც შეესაბამება მის ჭეშმარიტ მისწრაფებებს. უდაბნო თავისი ქვიშით დროთა განმავლობაში შლის ყველა ნაკვალევს, რათა ახალმა მგზავრმა არ დაუშვას წარსულის შეცდომები. აი რატომაც მნიშვნელოვანია საკუთარი გამოცდილება. ადამიანად რომ გახდე, საკუთრი გზა უნდა გაიკვალო.

19. ადამიანის ტერფი მცირე ადგილს იკავებს უკიდეგანო უდაბნოში. მაგრამ მიუხედავად ამისა, მას შეუძლია იქ იაროს, სადაც მანამდე არავის უვლია. გაუვალ გზაზე სიარულით, ადამიანს შორს შეუძლია წასვლა და მეტის მოპოვება. მისი გონების შემეცნება პატარაა, მაგრამ თუ მიენდობა იდუმალს, ადამიანს შეუძლია მივიდეს თავის შემქმნელამდე.

20. მისი აღქმაა შესაძლებელი, მაგრამ არა გადაცემა. შეგიძლია მიხვიდე მასთან, მაგრამ არა ჩაწვდე მას. შეგიძლია გიყვარდეს იგი, მაგრამ არა გარემოიცვა იგი. შეგიძლია გაუგო მას დასაწყისში, მაგრამ არა ბოლომდე ჩაწვდე. რამეთუ ის არის ყოვლის შემქმნელი. რამეთუ ის არის შემოქმედი თავისი ნებით.

21. ოქრო სულისთვის ნაგავი და ზრახვებისთვის ცდუნებაა. ეს სიბილწეა, რომელიც ბევრს სწყურია, მაგრამ რომელიც სინამდვილეში სიცრუეა მოჩვენებითი. ჭეშმარიტი ფასეულობა დამალულია ლოცვაში საკუთარი სულისთვის. არა მუცლის განცხრომისათვის და სხეულის სიჯანსაღისთვის უნდა იზრუნო. რამეთუ, რამდენიც არ უნდა ჭამო, ადრე თუ გვიან მაინც მოგშივდება. და როგორიც არ უნდა იყოს შენი ჯანმრთელობა, ადრე თუ გვიან სხეული შენი მაინც მოკვდება. სული კი მარადიულია. და მხოლოდ იგია ჭეშმარიტი ზრუნვის ღირსი.

22. არ ივარგებს ღმერთის შეწუხება რაც არ უნდა იყოს იგი, გარდა საკუთარი სულის ხსნისა. არა სხეულისთვის ითხოვეთ, არა ჯანმრთელობისთვის, არა მუცლისთვის იზრუნეთ – ეს ყოველივე ცარიელი ამაოებაა, სურვილებში გაუმაძღარი. რამეთუ არ არსებობს იმაზე ღირსი თხოვნა, რაც სულის გადარჩენის ლოცვაა.

23. არაფერია შეუძლებელი მოწყურებული სულისათვის.

24. ხანმოკლეა კაცის დღეები დროების გზაჯვარედინზე. ნაღვლიანია მათი საქმენი ღმერთის ხატების წინაშე. ადამიანის თითოეული წამი სასწორის თეფშზეა. და არ არსებობს სულისთვის იმაზე დიდი საზრუნავი, ვიდრე ხსნის მოპოვება. არა გარეგან, არამედ შინაგარ რწმენაშია კარიბჭის გასაღები. მხოლოდ მტვრით დაბნელებული ბრმა ვერ დაინახავს მას.

25. გაბედე ადამიანო, ჭეშმარიტად გეუბნები, როგორც სიკვდილს ვერ გაექცევი, ისე ვერ დაემალები ღვთის სამსჯავროს.